ავტორის სტილი დაცულია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ხელნაწერის უფლებით

მაია ცერცვაძე

XIX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს საზოგადოებრივი გარემო ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლური მემკვიდრეობის მიხედვით (ახალი ასპექტები, კვლევა, ანალიზი)

დისერტაცია

ისტორიის დოქტორის (Ph.D.) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელები: **დიმიტრი შველიძე**
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

ლადო მინაშვილი
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2017

სარჩევი

აღნიშვნებისა და შემოკლებათა ნუსხა…….……4

შესავალი……6

თავი I. ბარათაშვილ-ორბელიანები და ნიკოლოზ ბარათაშვილის ახლო სანათესაო

1. ბარათაშვილთა და ორბელიანთა სათავადოებისა და გვარების წარმომავლობა……12
2. ნ. ბარათაშვილის გენეალოგია და წინაპრები.....17
3. ნ. ბარათაშვილის ოჯახური წრე……19

თავი II. ნიკოლოზ ბარათაშვილის პირადი წერილების ადრესატები

1. გრიგოლ ორბელიანი……32
2. მაიკო ორბელიანი……39
3. ზაქარია ორბელიანი……45
4. მიხეილ თუმანიშვილი……47
5. ბარბარე საგინაშვილი……...50
6. ალექსანდრე საგინაშვილი……...53

თავი III. ნიკოლოზ ბარათაშვილის პირად წერილებში მოხსენიებულ პირთა იდენტიფიკაციის საკითხები

1. ნ. ბარათაშვილის თანაგიმნაზიელი და სხვა მეგობრები……..58
2. ნ. ბარათაშვილის ნათესავი და მეგობარი ქალები……..75
3. ნ. ბარათაშვილის ტრფობის ობიექტები და პოეტური მუზები....……92
4. ნ. ბარათაშვილის სიძის ოჯახი……...98
5. IX და XIII წერილებში მოხსენიებული პირები……107

6. რუსი და სხვა უცხოელი პირები და მათი ოჯახის წევრები……112

თავი IV. წერილებში მოხსენიებული პირები და წერილთა დათარიღება

1. „ლუარსაბის ცოლი ანნა“ და ნ. ბარათაშვილის XIII წერილის დათარიღების საკითხი…….131
2. „კნიაზ ბარათოვი“ და ნ. ბარათაშვილის VII წერილისა და ლექსის „საფლავი მეფის ირაკლისა“ დათარიღების საკითხი…….134

თავი V. ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლური მემკვიდრეობა და ისტორიული კონტექსტი

1. 1832 წლის შეთქმულება და შეთქმულნი ნ. ბარათაშვილის პირად წერილებში……141
2. რუსეთ-კავკასიის ომი და მისი მონაწილენი ნ. ბარათაშვილის პირად წერილებში 157
3. 1841 წლის გურიის აჯანყების გამოძახილი……...170
4. სხვა ისტორიული მოვლენებისა და ფაქტების გამოძახილი…….177

დასკვნა…….....182

გამოყენებული ლიტერატურის სია……188

დანართი……....205

აღნიშვნებისა და შემოკლებათა ნუსხა

სადისერტაციო ნაშრომში მრავლადაა ციტირებანი ნიკოლოზ ბარათაშვილის პირადი წერილებიდან. ამიტომ ვისარგებლებთ წერილთა შემოკლებული აღნიშვნებით, რომელთა ნუსხა მოყვანილია ქვემოთ. აღნიშნული ნუსხის მიხედვით მაგალითად, „წერილი I“ აღნიშნავს „[1831 წლის 3 სექტემბრის] წერილს გრიგოლ ორბელიანისადმი“ , „წერილი II“ - „[1831 წლის 3 სექტემბრის] წერილს ზაქარია ორბელიანისადმი“ და ა.შ.

ნუსხაში მოყვანილ წერილთა დათარიღება შეესაბამება სადისერტაციო ნაშრომამდელ დათარიღებას. ოთხკუთხა ფრჩხილებში ([ ]) მითითებული თარიღები სავარაუდოა. ჩვენს მიერ ჩატარებული სამეცნიერო კვლევების შედეგად დაზუსტდა რამდენიმე წერილის სავარაუდო დათარიღება, რის შესახებაც არის მსჯელობა ნაშრომში.

1. წერილი I - [1831 წლის 3 სექტემბრის] წერილი გრიგოლ ორბელიანისადმი;
2. წერილი II - 1837 წლის თებერვლის წერილი გრიგოლ ორბელიანისადმი;
3. წერილი III - 1838 წლის 6 აგვისტოს წერილი მიხეილ თუმანიშვილისადმი;
4. წერილი IV - 1841 წლის 28 მაისის წერილი გრიგოლ ორბელიანისადმი;
5. წერილი V - 1841 წლის 18 ოქტომბრის წერილი გრიგოლ ორბელიანისადმი;
6. წერილი VI - 1842 წლის 2 მაისის წერილი გრიგოლ ორბელიანისადმი;
7. წერილი VII - [1842] წლის წერილი გრიგოლ ორბელიანისადმი;
8. წერილი VIII - 1842 წლის 31 ოქტომბრის წერილი მაიკო ორბელიანისადმი;
9. წერილი IX - 1843 წლის 21 აგვისტოს წერილი გრიგოლ ორბელიანისადმი;
10. წერილი X - 1844 წლის 15 აპრილის წერილი ზაქარია ორბელიანისადმი;
11. წერილი XI - 1844 წლის 10 მაისის წერილი ზაქარია ორბელიანისადმი;
12. წერილი XII - 1844 წლის 23 მაისის წერილი გრიგოლ ორბელიანისადმი;

13. წერილი XIII - [1844 წლის 15 აგვისტოს შემდეგ] წერილი ზაქარია ორბელიანისადმი;

14. წერილი XIV - 1845 წლის 9 თებერვლის წერილი მაიკო ორბელიანისადმი;

15. წერილი XV - [1845 წლის 20 თებერვლიდან 20 მარტამდე] წერილი მაიკო ორბელიანისადმი;

16. წერილი XVI - 1845 წლის 10 აგვისტოს წერილი მაიკო ორბელიანისადმი;

17. წერილი XVII - [1845 წლის] 23 აგვისტოს წერილი ბარბარე საგინაშვილისადმი;

18. წერილი XVIII - [1845 წლის 23 აგვისტოს] წერილი ალექსანდრე საგინაშვილისადმი.

შესავალი

<u>**პრობლემის აქტუალობა.**</u> ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრება და შემოქმედება მრავალი კუთხით არის შესწავლილი, ბევრი რამ გაკეთდა და კეთდება მისი ადგილის განსაზღვრისათვის როგორც ქართული ლიტერატურის ისტორიაში, ასევე მსოფლიო ლიტერატურულ პროცესში (ი. მეუნარგია, კ. აბაშიძე, გ. ქიქოძე, ს. გორგაძე, პ. ინგოროყვა, გ. ლეონიძე, ა. გაწერელია, გრ. კიკნაძე, გ. ასათიანი, რ. სირაძე, ი. ევგენიძე, თ. დოიაშვილი, ი.რატიანი...).

ნიკოლოზ ბარათაშვილის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში მის პოეტურ ნიმუშებთან ერთად მოიაზრება პოეტის პირადი წერილებიც - ქართული ეპისტოლური მემკვიდრეობის „ოქროს ფონდის“ კუთვნილება. ჩვენამდე მოღწეული მისი თვრამეტი პირადი წერილის მნიშვნელობა განუზომლად დიდია და ისინი მრავალმხრივ არის საყურადღებო.

წერილები ერთი წყაროთაგანია თავად პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების, მისი პოლიტიკური მრწამსის, მსოფლმხედველობის, მსოფლაღქმისა და მსოფლგანცდის შესასწავლად. ამ კერძო წერილებმა დიდი დახმარება გაუწია მის ბიოგრაფოსებს, მკვლევარებს, რედაქტორ-გამომცემლებს.

ნიკოლოზ ბარათაშვილის პირადი ბარათები ამავდროულად მისი ეპოქის სანდო დოკუმენტებია, საუკეთესო და ღირებული მასალა XIX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური, კულტურული ყოფისა და პოეტის გარემოცვისა და საახლობლო წრის შესასწავლად და დასახასიათებლად. ბარათებში ადრესანტის მიერ გადმოცემულია და კომენტირებულია თანადროული ისტორიული ფაქტები და მოვლენები.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლურ მემკვიდრეობაზე და წერილების კომენტარებზე თავის დროზე იმუშავეს და თვალსაჩინო კვალი დატოვეს ბარათაშვილოლოგიაში ცნობილმა ქართველმა ლიტერატორებმა და მეცნიერებმა: პ. უმიკაშვილმა, დ. კარიჭაშვილმა, ს. ფირცხალავამ, გ. ლეონიძემ, პ. ინგოროყვამ, ი.ლოლაშვილმა, აკ. გაწერელიამ... აღსანიშნავია აგრეთვე ბოლო აკადემიური გამოცემის მნიშვნელობა აღნიშნულ საქმეში. მხედველობაში გვაქვს გამოცემა „XIX-XX

საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. I. ალექსანდრე ჭავჭავაძე, სოლომონ დოდაშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილი“. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2011 წ. ტომის რედაქტორები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ქ. გიგაშვილი და ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მ. ნინიძე.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპოქა და მისი კულტურულ-საზოგადოებრივი გარემო გამოკვლეულ-გაანალიზებულია ქართველ ისტორიკოსთა და საზოგადოებრივი აზრის მკვლევართა მ. ბერძნიშვილის, აკ. სურგულაძის, აკ. გელაშვილის, დ. შველიძის, თ. ჯოლოგუას, დ. ჭუმბურიძის, ლ. ნანიტაშვილის, რ. ჩხეიძის და სხვათა შრომებშიც.

მიუხედავად ზემოთჩამოთვლილ მეცნიერ-მკვლევართა დიდი ღვაწლისა, ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლური მემკვიდრეობის შესწავლაში მაინც არის დარჩენილი თეთრი ლაქები, დასადგენ-დასაზუსტებელია ბევრი საკითხი (წერილთა დათარიღება, პირთა იდენტიფიკაცია, მათი მიმართება პოეტთან და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენებთან, კულტურულ ყოფასთან...).

აღნიშნული საკითხების გამოკვლევა ერთობ აქტუალურია. ერთი მხრივ ეს იძლევა საშუალებას უფრო სრულყოფილად იქნას შესწავლილი პოეტის ცხოვრება და სულიერი ბიოგრაფია, მისი პოეტური შემოქმედებისათვის მნიშვნელოვანი და საკვანძო საკითხები, რაც დიდად მნიშვნელოვანია ქართული ლიტერატურათმცოდნეობისათვის, ხოლო მეორე მხრივ სრულყოფს ჩვენს ცოდნას იმ ეპოქის შესახებ, რომელშიც მოუხდა ცხოვრება პოეტს. ესაა ქვეყნის ისტორიისათვის მეტად საინტერესო და რთული პერიოდი - საქართველოს სახელმწიფოებრიობა გაუქმებულია და იგი რუსეთის იმპერიის ნაწილია. ქართველი ხალხი ვერ ეგუება თავისუფლების დაკარგვას და იბრძვის დამოუკიდებლობის აღდგენისათვის. როგორც ცნობილია, XIX საუკუნის პირველი ორი ათწლეული საქართველოში აღინიშნა ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის გრანდიოზული მასშტაბის ეპიზოდებითა და სახალხო აჯანყებათა სერიით. ესენია – 1802-1803 წლების მოძრაობა, 1904 წლის მთიულეთის აჯანყება, კახეთის 1812 წლის აჯანყება, 1820 წლის იმერეთის აჯანყება და სხვა. ისტორიკოსები მართებულად

მიუთითებენ, რომ ამ ბრძოლებს სტიქიური და ნაკლებად ორგანიზებული ხასიათი ჰქონდა და რომ თანდათანობით ქართულ საზოგადოებაში გაჩნდა იმის შეგნება, რომ გამარჯვება და სასურველი შედეგის მიღწევა შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ ერთიანი და ორგანიზებული, შეგნებულად მომზადებული მოქმედებითა და ბრძოლით. ამ შეგნებამ დასაბამი მისცა 1832 წლის შეთქმულებას (გოზალიშვილი 1970: 5-6), რომელიც მოღალატური გამცემლობის გამო აჯანყებაში ვერ გადაიზარდა. 1841 წელს გურიაში იმპერიის საწინააღმდეგო აჯანყებამ იფეთქა, რომელიც სასტიკად იქნა ჩახშობილი. პარალელურად ჩრდილო კავკასიის მთიანეთში მიმდინარეობს ომი რუსეთის მიერ მისი დამორჩილებისათვის. ქართველები ჩაბმულნი არიან იმპერიის დამპყრობლურ ბრძოლებში. ნიკოლოზ ბარათაშვილის პირად წერილებში ასახვა ჰპოვა მისი დროის ისტორიულმა ფაქტებისა და მოვლენებმა და მათმა გამოძახილმა. პოეტის ეპისტოლური მემკვიდრეობის შესწავლა ამ მხრივაც მეტად საშური საქმეა.

<u>სადისერტაციო ნაშრომის კვლევის საგანი, მიზნები და ამოცანები</u> – კვლევის ობიექტია XIX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს საზოგადოებრივი გარემო ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლური მემკვიდრეობის მიხედვით. ჩვენს ამოცანას შეადგენს დავადგინოთ, დავაზუსტოთ და/ან განსხვავებულად წარმოვაჩინოთ წერილებში ამა თუ იმ ანთროპონიმით მოხსენიებული მრავალი ისტორიული პირის ვინაობა, ცნობები მათი დაბადება-გარდაცვალების, ქორწინების, ოჯახის წევრების, ნათესავ-მეგობრების და ნეკროპოლის შესახებ, მათი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ფაქტები, მათი პორტრეტები გავამდიდროთ სახასიათო შტრიხებით. ვრცელი კვლევები ეძღვნებათ იმ პირთ და ფაქტებს, რომლებიც შედარებით ნაკლებადაა ცნობილი, ხოლო უფრო ცნობილთათვის დამოწმებულია სათანადო ლიტერატურა და მოხმობილია ამონარიდები, მათი პორტრეტები გამდიდრებულია ახალი შტრიხებით. ჩვენი მიზანია აგრეთვე წერილებში ნახსენები ფაქტების კომენტირება საქართველოსა და კავკასიისათვის ისეთი მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენების კონტექსტში, როგორებიცაა 1832 წლის შეთქმულება, რუსეთის იმპერიის ომი კავკასიელ მთიელთა წინააღმდეგ, ქართული მილიციის შექმნა და მათი ბრძოლები, 1841 წლის გურიის აჯანყება, სენატორ განის რეფორმა და მისი რევიზია იმპერიის სამთავრობო

კომისიის მიერ და სხვ. წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი ჩაფიქრებულია აგრეთვე, როგორც ერთგვარი რეკონსტრუქცია ეპოქისა, მისი გაცოცხლებისა და ისტორიული პანორამის ჩვენების ცდა. დასახული მიზანი მისი სირთულისა და კომპლექსურობის გამო შეუძლებელია სრულად იქნას მიღწეული ერთ სადისერტაციო ნაშრომში და ჩამოთვლილი საკითხების კვლევა კვლავაც მოითხოვს გაგრძელებას. წარმოდგენილი გამოკვლევა, ვფიქრობთ, ხელს შეუწყობს და ახალ საფეხურზე აიყვანს შემდგომ კვლევებს ამ მიმართულებით.

<u>კვლევის მეთოდოლოგია</u> - კვლევა შესრულებულია კომპლექსური მეთოდოლოგიური მიდგომის საფუძველზე - გამოყენებულია ისტორიულ-შედარებითი, ანალიზის და ბიოგრაფიზმის მეთოდები.

<u>ნაშრომის მეცნიერული სიახლე</u> - ნაშრომის მეცნიერული სიახლე ისაა, რომ იგი წარმოადგენს ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლური მემკვიდრეობის მიხედვით მისი გარემოცვისა და საზოგადოებრივი გარემოს შედარებით სრულად შესწავლის მცდელობას, ახალ ასპექტებს, კვლევასა და ანალიზს. მასში ახლებურადაა წარმოდგენილია პოეტის პირად წერილებში მოხსენიებულ ზოგიერთ ისტორიულ პირთა იდენტიფიკაციის, პოეტთან და ისტორიულ მოვლენებთან მათი მიმართების საკითხები. განხილულია წერილთა დათარიღების საკითხები - დაზუსტებულია რამდენიმე ბარათის და ერთი ლექსის დაწერის თარიღი. სადისერტაციო ნაშრომში გამოთქმულია მრავალი განსხვავებულ მოსაზრება და ყურადღება გამახვილებულია ისეთ საკითხებზე, რაც აქამდე არ გამხდარა საგანგებო კვლევის საგანი და რაც მეტად მნიშვნელოვანია როგორც ისტორიული მეცნიერებისათვის, ასევე ბარათაშვილოლოგიისათვის.

სადისერტაციო ნაშრომით წარმოდგენილ კვლევაში უხვად არის გამოყენებული ძველი და ახლად გამოვლენილი საისტორიო თუ ლიტერატურული წყაროები. განსაკუთრებით აღსანიშნავია იმ საარქივო მასალების ჩართვა და დამუშავება, რომელიც პროფესორ შ. ჩხეტიას მიერ იქნა შეკრებილ-გამოცემული. გამოყენებულია XIX საუკუნის პირველი ნახევრის ამსახველი მემუარული, ეპისტოლური, სამოგზაურო და სხვა ჟანრის ლიტერატურა, XIX საუკუნეში კავკასიაში მომსახურე რუს და სხვა უცხოელ სამოქალაქო თუ სამხედრო პირთა

მოგონებანი, ინტერნეტ-რესურსები, უახლესი გამოცემები და ჩანაწერები უცხოელ მეცნიერთა მორიც ვაგნერისა და აუგუსტ ჰაქსჰაუზენისა, რომელთაც საქართველოში ნ. ბარათაშვილის ეპოქაში, მისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში იმოგზაურეს, ასევე საოჯახო არქივებში შემორჩენილი და შთამომავალთაგან მოწოდებული საინტერესო ცნობები მათი წინაპრების შესახებ.

წერილების ტექსტი შედარებულია ნ. ბარათაშვილის ეპისტოლური მემკვიდრეობის ზემოხსენებული ბოლო აკადემიური გამოცემის ტექსტთან. წერილების რუსული ტექსტის ან მისი ფრაგმენტების ქართული თარგმანები ეკუთვნის პეტრე უმიკაშვილს. წერილების აღმოსავლური წარმომავლობის ლექსემებისა და ფრაზემების განმარტებებში ვისარგებლეთ აღმოსავლეთმცოდნის, ენათმეცნიერის, თავისუფალი უნივერსიტეტის პროფესორის შალვა გაბესკირიას კონსულტაციებით. სადისერტაციო ნაშრომს დანართის სახით ერთვის და სამეცნიერო სიახლის შემცველი მისი განუყოფელი მნიშვნელოვანი ნაწილია გამოკვლევის მიზნების შესაბამისად სპეციალურად მომზადებული თუ გამოკრეფილი გენეალოგიური ტაბულები. ისინი შევადგინეთ საქართველოში გენეალოგიური კვლევების ფუძემდებლის, ქართული გენეალოგიური საზოგადოების დამფუძნებლისა და პრეზიდენტის, საერთაშორისო გენეალოგიური აკადემიის ნამდვილი წევრის იური ჩიქოვანის კვლევებისა და ტაბულების მიხედვით. ტაბულებზე მუქი შრიფტით მოვნიშნეთ მხოლოდ წერილებში ნახსენები პირები.

<u>სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა</u> – სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს 209 გვერდს. იგი შედგება შესავლის, ხუთი თავის, დასკვნისა და დანართისაგან. ნაშრომს თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია.

სადისერტაციო თემასთან დაკავშირებით გამოქვეყნებულია შემდეგი სამეცნიერო ნაშრომები, თეზისები და წიგნი

1. ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლური მემკვიდრეობის შესწავლისათვის - მურუთიდან გამოგზავნილი წერილები. გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, 2014, № 3-4, გვ. 37-69;
2. ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლური მემკვიდრეობის შესწავლისათვის - სამი წერილი მაიკო ორბელიანისადმი. გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, 2014, №5-6, გვ. 38-69;
3. ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლური მემკვიდრეობის შესწავლისათვის - სამი წერილი გრიგოლ ორბელიანისადმი. გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, 2014, №7-8, გვ. 38-69;
4. ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლური მემკვიდრეობის შესწავლისათვის - 1841 და 1844 წლების წერილები გრიგოლ ორბელიანისადმი. გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, 2015, №1-2, გვ. 43-73;
5. ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლური მემკვიდრეობის შესწავლისათვის - ორი წერილი ზაქარია ორბელიანისადმი. გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, 2015, №1-2, გვ. 52-75;
6. ნიკოლოზ ბარათაშვილის მიმართება ტრადიციასთან. IX საერთაშორისო სიმპოზიუმის „ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები - ტრადიცია და თანამედროვე მწერლობა" მასალები (ნაწილი I) 2015. გვ. 234-245;
7. Tsertsvadze Maia. Participants of the Conspiracy of 1832 as presented in the epistolary heritage by N. Baratashvili. Georgian Electronic Journal of Literature "Litinfo" Vol. 8, 2. 2015 http://litinfo.ge/vol.%208,-iss-%202/tsertsvadze.pdf;
8. წიგნი - ნიკოლოზ ბარათაშვილი. პირადი წერილები. მოამზადა, შესავალი, კომენტარები, შენიშვნები, საძიებლები და გენეალოგიური ტაბულები დაურთო მაია ცერცვაძემ. გამომცემლობა „არტანუჯი", თბილისი, 2015.

თავი I.

ბარათაშვილ-ორბელიანები და ნიკოლოზ ბარათაშვილის ახლო სანათესაო

1. ბარათაშვილთა და ორბელიანთა სათავადოებისა და გვარების წარმომავლობა

ნიკოლოზ ბარათაშვილი ქართველი უმაღლესი არისტოკრატიის წარმომადგენელია - ბარათაშვილთა უძლიერესი სათავადოს შთამომავალი. დედის მხრივ ის ორბელიანია, ასევე მეტად სახელგანთქმული გვარის შვილი.

ბარათაშვილთა და ორბელიანთა გვარებს შორის არსებობს გარკვეული ურთიერთმიმართება. სადისერტაციო ნაშრომის ამ ქვეთავში აღნიშნულ ურთიერთმიმართებასა და ორბელიანთა გვარის წარმომავლობასაც განვიხილავთ.

დიდი სათავადო - „საბარათიანო“ - ფორმირდება XV საუკუნის პირველ ნახევარში, ეპოქაში, რომელიც საქართველოში დადგვაროვან აზნაურთა გაძლიერებითა და ახალი ფეოდალური სახლების ჩამოყალიბებით ხასიათდება. სათავადოს გაჩენა და მისი შემდგომი აღზევება ხდება ქვემო ქართლის საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე. საბარათიანო, რომლის პოლიტიკური ცენტრი იყო სამშვილდე, სამ ხეობას - მაშავერის, ქციისა და ალგეთის ხეობებს მოიცავდა. აქ ბარათაშვილებს ჰქონდათ საგვარეულო ციხეები, სასახლეები და ეკლესია-მონასტრები, ჰყავდათ ათეულობით აზნაური და მრავალი ყმა-გლეხი (თოფჩიშვილი 2011:46-47).

ბარათაშვილები სამეფო კართან დაახლოებული პირები იყვნენ, სარგებლობდნენ დიდი გავლენითა და აქტიურად მონაწილეობდნენ ქართლის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში. ბევრ მათგანს საკმაოდ მაღალი თანამდებობა ეკავა - ბოქაულთუხუცესის, სახლთუხუცესის, ხაზინადარის სახელოები. XVI საუკუნიდან ბარათაშვილები არიან სარდლები „მეწინავე სადროშოსი“, რომელიც სათავადოს გარე ტერიტორიებსაც (ტაშირი, ლორე...) მოიცავდა. ბარათაშვილის გვარიდან ცნობილნი არიან საეკლესიო მოღვაწენიც (თოფჩიშვილი 2011:46-47).

„ბარათაშვილი“ შუა საუკუნეებში წარმოქმნილი გვარსახელია. შემორჩენილი ქრონიკებიდან და საბუთებიდან ჩანს, რომ იგი გვარ „ქაჩიბაძე“-დან მომდინარეობს და მისი ფუძემდებელია XVI საუკუნის პირველ ნახევარში მოღვაწე ბარათა ქაჩიბასძე - მეფე ალექსანდრე I-ის (1412-1444) სალაროს მოლარე, ცნობილი „დიდი ბარათას“ სახელით. მას ჰყავს თანამეცხედრე თინათინი და შვილები: დავითი, რომელსაც სახელო მამისგან მემკვიდრეობით ერგო, ლაპა და გერმანოზ. დავითის ვაჟებია ლაპა, ბარათა, სურამელ და ქავთარ (პირთა ანოტირებული... 2007: 360). ბარათაშვილების საგვარეულოს ცნობილი წარმომადგენლები არიან პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწენი საჩინო ბარათაშვილი (?- 1587-ის შემდეგ), ქაიხოსრო ბარათაშვილი (?-1636), მიხეილ ბარათაშვილი (1784-1856), სულხან ბარათაშვილი(1821-1866) და სხვ.

XVI-XVII საუკუნეებში ბარათაშვილთა ფეოდალური საგვარეულო რამდენიმე საგვარეულოდ დაიშალა და ბარათაშვილთა გაყრას კიდევ რამდენიმე გვარსახელის (აბაშიშვილები, გერმანოზიშვილები, ქავთარიშვილები, ყაფლანიშვილებ-ორბელიშვილები (ორბელიანები)…) წარმოქმნა მოჰყვა. ბარათაშვილთა მემკვიდრე გვარებში ყველაზე ძლიერნი ორბელიანები იყვნენ. ამ გვარის ვარიანტებია ორბელისშვილი, ორბელიძე, აბაშიშვილი, ქავთარიშვილი, ჯამბაკურ-ორბელიანი და სხვ. XIX საუკუნეში მათ ჯამბაკურ-ორბელიანებად იცნობდნენ და ასევე არიან შეტანილნი გეორგიევსკის ტრაქტატის დანართში (თოფჩიშვილი 2011: 265).

ქართულ ისტორიოგრაფიაში ბარათაშვილთა წარმომავლობა სათანადოდ არის შესწავლილი. ამის შესახებ წერდნენ ვახუშტი ბატონიშვილი და იოანე ბაგრატიონი თავიანთ შრომებში. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზოგი რამ მათ გადმონაცემში ლეგენდარული საბურველით არის მოსილი (ვგულისხმობთ ბარათაშვილ-ორბელიანთა ჩინური წარმომავლობის ვერსიებს) (ბაგრატიონი 1941), (ბაგრატიონი 1997).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბარათაშვილები ქაჩიბაძეების შთამომავალნი არიან. ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით „ბარათაშვილი(…) იტყვიან (...) ჩამომავლობასა ქაჩიბაძისასა, რომელსა აცხადებს გუჯარნი და სიგელნი მათნი მეფეთაგან წყალობისანი“ (ბაგრატიონი 1941: 24).

ვახუშტი ბატონიშვილი, რომლის ერთ-ერთ წყაროს ბეთანიის გუჯარი წარმოადგენს, ბარათაშვილთა და მისი განაყოფი საგვარეულოს წინაპრად აცხადებს „ბირიან აბაშს“, რომელიც თითქოს საქართველოში მოსულა იმ დროს, როცა „ქრისტეს აქეთ გასულიყო წელნი შვიდას სამოცდა რვანი“. ბირიან აბაშის გარდაცვალების შემდეგ მის ჩამომავლებს აბაშიშვილები ეწოდებოდათო. „რამდენი ხანი და ჟამი აბაშიშვილებს გვეძახდნენ. გარდაიცვალა რამდენიმე დრო და ჟამი და დაერქო ქართველ ქაჩიბაძე, რამდენიმე წელიწადი ქართველ ქაჩიბაძე ვიყავით. გარდაიცვალა დრო და ჟამი და დაგვერქვა ბარათიანი. ამ ბარათაშვილობაში ვესახლენით ენაგეთს“ (ჯამბურია 1955: 5-6).

ფუნდამენტური სამეცნიერო ნაშრომი ბარათაშვილთა გვარის გენეზისის შესახებ „ბარათაშვილის გენეალოგიისათვის“ ეკუთვნის სიმონ ჯანაშიას. გამოჩენილი მეცნიერის მიერ ისტორიულ წყაროებსა და ექვთიმე თაყაიშვილისა და სხვა წინარე მკვლევარების ნააზრევზე დაყრდნობით საფუძვლიანად არის დასაბუთებული ბარათაშვილთა გვარის ქაჩიბაძეთაგან წარმომავლობისა საკითხი. მასვე ეკუთვნის მოსაზრება ქაჩიბაძეთა აღმოსავლეთ საქართველოში დასავლეთ საქართველოდან გადმოსვლის თაობაზე (ჯანაშია 2005).

ბარათაშვილთა და შემდგომ ორბელიანთა საძვალის - ფიტარეთის მონასტრის უთარიღო წარწერაში იხსენიება ვინმე „ქავთარი“, რომელიც ყოფილა „ამირეჯიბი თვითმპყრობელისა ძლიერისა მეფედ-მეფისა გიორგისი“. ამ წარწერასა და ცნობილ მამუკა ბარათაშვილის ნათქვამზე - „ვინ ძირად ბარათ, ქავთარის მოძე ქაჩიბაძისა“ - დაყრდნობით ს. ჯანაშიამ ქავთარი ქაჩიბაძე-ბარათაშვილების ერთ უშორეს, ისტორიაში ცნობილ წინაპარად მიიჩნია (ჯანაშია 2005: 258).

ს. ჯანაშიას მიერ კატეგორიულად იყო უარყოფილი ბარათაშვილებთან და შესაბამისად გვიან შუასაუკუნეებში მათგან გაჩენილ ორბელიანების გვართან ძველი ორბელების საგვარეულოს რაიმე კავშირის არსებობა. როგორც ცნობილია, XII-XIII საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოში ერთ-ერთი დიდი ფეოდალური საგვარეულო ორბელთა საგვარეულო იყო, რომელიც ბაღვაშთა საგვარეულოს განშტოებას წარმოადგენდა. გვარსახელი ორბელი მომდინარეობს ორბეთის ციხიდან, რომლის მფლობელებადაც ისინი ითვლეოდნენ. ორბელთა ცნობილი აჯანყება მეფე

გიორგი III-ის (?-1184) წინააღმდეგ ტახტის კანონიერი მემკვიდრის დემნა უფლისწულის გასამეფებლად მარცხით დამთავრდა. ზოგიერთი მემატიანისა და ისტორიკოსის მიხედვით ორბელები გაჟლიტეს, თუმცა მეცნიერთა ნაწილი (ქ. ქუთათელაძე...) ორბელთა გვარის სრულად ამოწყვეტის ფაქტს არ იზიარებს, რადგან ამ გვარის წარმომადგენლები გვხვდებიან შემდგომდროინდელ მატიანეებსა და ქრონიკებში.

აზრი ძველ ორბელთა გვართან ბარათაშვილების არავითარი კავშირის შესახებ დიდხანს ბატონობდა ისტორიულ მეცნიერებაში. ბოლოდროინდელ მეცნიერულ გამოკვლევებში გაჩნდა განსხვავებული მოსაზრება - ვარაუდი იმისა, რომ ქაჩიბაძე-ბარათაშვილები შეიძლება მომდინარეობდნენ ძველ ორბელთა საგვარეულოდან (ალასანია 2002:10-16). იგი ემყარება აჯანყებული ივანე ორბელის ვაჟის გაიგივებას ბარათაშვილთა წინაპარ ქავთართან. ივანე ორბელის ვაჟი, რომელსაც თამარის ისტორიკოსი „ქავთარის“ სახელით მოიხსენიებს, ცოცხალი გადარჩა იმის წყალობით, რომ თავის სახლიკაცებთან ერთად აზერბაიჯანის ათაბაგთან იქნა გაგზავნილი დახმარების სათხოვნელად. გ. ალასანია მიიჩნევს, რომ საქართველოდან გაქცეული ქავთარი, რომელიც ერთხანს ცხოვრობდა თურქულ გარემოში, იქ შეიძლება ცნობილი ყოფილიყო სახელით „გიურჯიუ კასიკ ბეგი (ბა)“, რაც ნიშნავს „ცნობილ ქართველ ლტოლვილს“. მოგვიანებით საქართველოში დაბრუნებისას მან დაირქვა ქაჩიბა (ძე). როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბარათაშვილები ქაჩიბაძეებიდან მომდინარეობენ და მათ თავდაპირველად „ქართველ ქაჩიბაძეებად“ იხსენიებდნენ, რაც ს. ჯანაშიას მართებული დასკვნით „არაქართველი ქაჩიბაძის“ არსებობასაც უნდა გულისხმობდეს (ჯანაშია 2005:260). ამ არაქართველ „ქაჩიბაძედ“ გ. ალასანია ივანე ორბელის ვაჟს მიიჩნევს. მისი ეს თვალსაზრისი არგუმენტირებულად მიიჩნია და გაიზიარა მეცნიერთა ნაწილმა (თოფჩიშვილი 2011: 264).

აქვე გვინდა ისიც აღვნიშნოთ, რომ ორბელიანები ინახავდნენ ცნობებს ძველ ორბელებთან მათი გაიგივების შესახებ. მაგალითად, გრიგოლ ორბელიანი თავის წინაპრად და გვარის მამამთავარად თვლიდა ვინმე ლიპარიტს, სავარაუდოდ XII საუკუნის ცნობილ ფეოდალსა და პოლიტიკურ მოღვაწეს ლიპარიტ სუმბატის ძე ორბელს, ჯერ ამირახორსა და შემდეგ ქართლის ერისთავს გიორგი III-ის (?-1184)

დროს, ძველ ორბელთა ერთ-ერთ დიდ წარმომადგენელს. თავის ახალდაქორწინებულ ძმას - ზაქარიას ის სწერდა: „ახლა ჩემო ზაქარიავ! ვინძლო პირველად ვაჟი გააკეთო, რომელსაც უნდა დაარქვა სახელი ლ ი პ ა რ ი ტ родоначальник нашей фамилии, და უნდა მე გავზარდო, თუ ღმერთი მაღირსებს თქვენს ხილვას!“ (ორბელიანი 1936: 31). საოჯახო გადმოცემებში შემორჩენილი ცნობები კი, ცნობილია, რომ შეიძლება ნამდვილი ამბებისა და ფაქტების ერთგვარი ანარეკლი და გამოძახილი იყოს.

რაც შეეხება ორბელიანებს, ორბელიშვილ-ორბელიანთა გვარის საფუძვლის ჩამყრელი ორბელ ბარათაშვილი (პირთა ანოტირებული...1991: 431) იყო, რომელიც 1536 წელს გაეყარა თავის სახლიკაცს იოთამს (ჯამბურია 1955: 76). ორბელიშვილები XVI საუკუნეში ძლიერი გვარია. ისინი შემდეგ კიდევ უფრო ძლიერდებიან და XVII საუკუნეში სომხით-საბარათიანოში პირველ ადგილს იკავებენ. ყაფლანიშვილები არიან იგივე ორბელიანები, რომელთაც სახელი XVI საუკუნის დასაწყისის მოღვაწის ყაფლანის (?-1671) გამო ეწოდათ. ყაფლანს როსტომ მეფის (1565-1658) კარზე მდივანბეგისა და სახლთუხუცესის თანამდებობები ეკავა. ჰყავდა შვილები: პაპუნა, ვახტანგი, ასლან, თამაზ და გიორგი (პირთა ანოტირებული...1991: 451). შთამომავლები მას „დიდი ყაფლანის“ სახელით მოიხსენიებდნენ. საგვარეულო შუღლის გამო იგი სპარსეთში გადავარდნილა და შემდეგ სამშობლოში დაბრუნებისას უღვაწია ორბელ ბარათაშვილის სამფლობელოს აღდგენისა და სათავადო საყაფლანიშვილოს ჩამოყალიბება-გაფართოებისათვის. ყაფლანის მიერ სათავადოს შექმნის ფაქტი აისახა ახალი გვარსახელის - „ყაფლანიშვილის“ გაჩენაშიც. ორბელიანთა (ყაფლანიშვილთა) სამფლობელო XVIII საუკუნეში ქციისა და დმანისის ხეობათა დიდ ნაწილსა და ტაშირს მოიცავდა. საუკუნის ბოლოს ქვემო ქართლის აოხრებასთან დაკავშირებით ორბელიანები გადასახლდნენ თბილისში, (ჯამბურია 1995: 76-81), (ქავთარია 1987:115-117), სადაც უმთავრესად მდინარე მტკვრის ახლოს, ორბელიანთუბანში, ე. წ . „ორბელიანთ აულში“ ცხოვრობდნენ (მოზდოკელი 1993).

ორბელიანებს ეჭირათ სარდალ-სარდალთუხუცესის, სახლთუხუცესის, ყულარაღასის, მოლარეთუხუცესის, ბაზიერთუხუცესის, მეჯინიბთუხუცესის,

ეშიკაღასბაშის თანამდებობები, ცნობილნი არიან აგრეთვე ამ გვარის სასულიერო პირნი. ორბელიანთა გვარიდან ქართული კულტურის მრავალი მოღვაწე: სულხან-საბა ორბელიანი (1658-1725), პაპუნა ორბელიანი, დავით ორბელიანი (1739-1796) ალექსანდრე („პუპლია“) (1802-1869) და ვახტანგ (1812-1890) ორბელიანები, გრიგოლ ორბელიანი (1804-1883) და სხვ. გამოვიდა.

ბარათაშვილებისაგან გამოყოფილი ორბელიანების გვარის წარმომადგენელი იყო ნიკოლოზ ბარათაშვილის დედაც ეფემია ორბელიანი (1801-1849) - ზემოთხსენებული ყაფლან ორბელიანის ძის ასლანის შთამომავალი.

2. ნ. ბარათაშვილის გენეალოგია და წინაპრები

ნ. ბარათაშვილის გენეალოგიას თავდაპირველად საარქივო დოკუმენტებში მიაკვლია და გამოაქვეყნა პროფესორმა შ. ჩხეტიამ წიგნში „ნიკოლოზ ბარათაშვილი“. იგი წარმოადგენდა პოეტის მამის მელიტონის მიერ რუსულ ენაზე შედგენილ საგვარტომო ნუსხას, რომელსაც წამძღვარებული ჰქონდა სათაური: Родословная роспись о роде князя [Мелитона] Баратова, ბოლოს კი მიწერილი ჰქონდა: Подписал порутчик князь М е л и т о н Б а р а т о в.

ნუსხა სხვა საბუთებთან ერთად მელიტონ ბარათაშვილს წარუდგენია საქართველოს თავად-აზნაურთა სადეპუტატო საკრებულოში თავადის წოდებაში მის დამტკიცებასთან დაკავშირებით. იგი დათარიღებულია 1820 წლის 16 ოქტომბრით (ჩხეტია 1945: 148).

მელიტონ ბარათაშვილისეული ნუსხის ეს ასლი მოყვანილია წინამდებარე ქვეთავის ბოლოს.

შემდგომმა გენეალოგიურმა კვლევებმა ცხადყო, რომ ეს ნუსხა არ იყო ზუსტი - მელიტონ ბარათაშვილს არასწორად ახსოვდა თავისი წინაპრები. გენეალოგიური კვლევების საფუძველზე გენეალოგმა ი. ჩიქოვანმა დააზუსტა ბარათაშვილების გენეალოგიის ეს შტო, რომელიც გამოქვეყნდა მის ნაშრომში (ჩიქოვანი 2009) და პოეტის ცხოვრება-შემოქმედებისადმი მიძღვნილ გამოცემებში (ბარათაშვილი 2005: 265). მკვლევარის მიერ ჩატარებული შემდგომი გენეალოგიური კვლევების

საფუძველზე ეს გენეალოგია კიდევ შეიცვალა და მიიღო საბოლოო სახე, რომელსაც დანართის სახით ვურთავთ სადისერტაციო ნაშრომს (იხ. დანართი 1).

დანართზე 1 წარმოდგენილი სქემის მიხედვით, რომლის ავტორი, როგორც აღვნიშნეთ არის ი. ჩიქოვანი, ნიკოლოზ ბარათაშვილის საბოლოოდ დაზუსტებულ გენეალოგიურ შტოს აქვს შემდეგი სახე:

აბაშ (ჩანს 1600-1611) - მერაბ (ჩანს 1627-1656) - აბაშ (ჩანს 1627-1662) - ქაიხოსრო (სუფრაჯი) (ჩანს 1664-1697) - დავით (სუფრაჯი და ბოქაულთუხუცესი, მეუღლე თინათინ) (ჩანს 1683-1726) - ლუარსაბ (ჩანს 1723-1765) - ნიკოლოზ (ნინია)(?-1803 წლის შემდეგ) - მელიტონ (1795-1860) - ნიკოლოზ (ტატო) (1817-1845).

ბარათაშვილთა მელიტონ ბარათაშვილისეული გენეალოგია, გამოქვეყნებული შ. ჩხეტიას წიგნში „ნიკოლოზ ბარათაშვილი“. ტ. I.

3. ნ. ბარათაშვილის ოჯახური წრე

ნიკოლოზ ბარათაშვილის პირად წერილებში სხვა პირებთან ერთად, ბუნებრივია, იხსენიებიან პოეტის უახლოესი ნათესავები - ოჯახის წევრები: მშობლები, დები, ბიძები, მამიდა და მამიდაშვილები. ისინი გვხვდებიან სხვადასხვანაირად - ქართულ და რუსულ ენებზე, ხან ნათესაობის აღმნიშვნელი სახელით („მამა“), ხან საკუთარი სახელებითა („ილია“, „გრიგოლ“, „ზაქარია“, „გიორგი“, „ალექსანდრე“) და მათი პარალელური, შინაურული თუ საალერსო ფორმებით („ფეფო“, „მაშო“, „ილიკო“, „კატო“, „ბაბალე“, „ნინუცა“, „აპლიპუტილა“...), ხანაც ინიციალებითა და დაქარაგმებულად („ფ“, „გ-გი“, „ქ. ყ-ის ცოლი“). მათ განმარტებას, პირთა ბიოგრაფიებსა და პოეტთან მიმართებისა და საზოგადოებრივი აქტივობის საკითხებს სადისერტაციო ნაშრომის წინამდებარე ქვეთავში განვიხილავთ. უახლოეს ნათესავთაგან სამს - გრიგოლ ორბელიანს, ზაქარია ორბელიანსა და ალექსანდრე საგინაშვილს, როგორც ამავდროულად პოეტის წერილების ადრესატებს, შევეხებით სადისერტაციო ნაშრომის შემდეგ, ადრესატებისადმი მიძღვნილ II თავში.

ქვემოთჩამოთვლილ პირებს მიწერილი აქვთ იმ წერილთა ნომრები, რომლებშიც ისინი იხსენიებიან და ის ფორმა, რომლითაც არიან მოხსენიებულნი, ასევე მათი ნომერი შესაბამის გენეალოგიურ ტაბულებზე.

მამა (წერილები II, IX, XI, XIII („მამა“)) (ტაბ.1, 15) **- მელიტონ ნიკოლოზის ძე ბარათაშვილი** (1795-1860), თავადი, ნ. ბარათაშვილის მამა. მელიტონის მამა ნიკოლოზი (?-1803 წლის შემდეგ) დაახლოებული პირი იყო ერეკლე II-ისა (1720-1798) და გიორგი XII-ის (1746-1800) კარზე. ის მეორე კაცად ირიცხებოდა იმ თერთმეტკაციან ამალაში, რომელიც 1803 წელს რუსეთში, ბელგოროდში (კურსკის გუბერნია) გადასახლებულ მარიამ დედოფალს (1768-1850) გააყოლეს. ნიკოლოზს თან ახლდნენ ოჯახის წევრები, მათ შორის მელიტონიც. რუსეთში გატარებული პერიოდით უნდა აიხსნას ის, რომ მას ჩინებულად შეუსწავლია და სცოდნია რუსული ენა. ქართულის გარდა სცოდნია ასევე სომხური და თურქული ენები (ინგოროყვა 1969:21-22).

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მელიტონმა დაამთავრა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი. 1810 წლიდან ცამეტი წლის მანძილზე მუშაობდა თარჯიმნად საქართველოს მთავარმართებლის ალექსანდრ ტორმასოვის (1752-1819) კანცელარიაში. 1811 წელს, როცა ტორმასოვს ახლდა ახალციხის ექსპედიციაში, მას პრაპორშჩიკის ჩინი ებოძა. 1812-1813 წლებში, როგორც თარჯიმანი, თან ახლდა მაშინდელ მთავარმართებელს მარკიზ ფილიპ პაულუჩის (1779-1849) კახეთის აჯანყების საწინააღმდეგო ექსპედიციაში, მიუღია მონაწილეობა ბრძოლებშიც. მელიტონი მხლებლად გააყოლეს აჯანყებაში მონაწილეობისათვის პეტერბურგში გადასახლებულ გრიგოლ ბატონიშვილს (1789-1830). 1813 წელს მან მიიღო პოდპორუჩიკის, 1816 წელს - პორუჩიკის, ხოლო 1822 წელს - კაპიტნის ჩინი. 1824 წელს დაინიშნა ქალაქ ელიზავეტპოლის (განჯის) პოლიცმეისტერად, ორი წლის შემდეგ კი - ელიზავეტპოლის (განჯის) ოლქის (ყოფილი განჯის სახანოს) უფროსად. ამ თანამდებობაზე ის 1827 წლის 19 ოქტომბრამდე მუშაობდა. 1829-1832 წლებში მონაწილეობას იღებდა სხვადასხვა საზოგადოებრივ საქმიანობაში, ქართული მილიციის ორგანიზებაში, ლეკებზე ლაშქრობაში. 1832 წელს უბოძეს მაიორობა და დაუნიშნეს პენსია. 1832 წლის 17 დეკემბერს მელიტონი აირჩიეს თბილისის მაზრის თავადაზნაურობის მარშლად 1833-1835 წლების პერიოდისათვის, 1835 წლის 27 დეკემბერს ხელახლა აირჩიეს ამ თანამდებობაზე, იმავდროულად ის არჩეული იქნა აღმოსავლეთ საქართველოს თავადაზნაურობის მარშლის პირველ მოადგილედ (ჩხეტია1945: 144-180; ინგოროყვა 1969:19-25).

მელიტონი განათლებული კაცი ყოფილა, კარგი მოქართულე და მცოდნე ქართული ლიტერატურისა, მჭევრმეტყველი, კეთილი, მეტად სტუმართმოყვარე და გულუხვი. გამოირჩეოდა სიფიცხითა და გულზვიადობით - „ჩვენი მელიტონ ისევ ისეა, ანჩხლი, ჭყივანა, მყვირალა, თავის სახლის დამამწარებელი“ - სწერდა გრიგოლ ორბელიანი თავის ძმას ილია ორბელიანს (1815-1853) 1839 წლის 23 დეკემბერს გორიდან (ორბელიანი 1936: 50). „ეფემია როგორ არის თავის შვილებით, მელიტონ კიდევ ჰკივის?“ - ეკითხება ის თავის რძალს ქეთევანს 1848 წლის 26 ნოემბერს თემირხანშურადან გამოგზავნილ წერილში (ორბელიანი 1936: 186).

ნ. ბარათაშვილის დის ბარბარეს (1826-1919) ნაამბობის მიხედვით „მელიტონი ფიცხი, მარამ მეტად კეთილი კაცი იყო, საუცხოვო მოსაუბრე, მჭევრმეტყველი, კარგად იცოდა გარდა ქართულისა რუსული, სომხური და თათრული ენები და ხშირად თარჯიმნობდა მეფის მოადგილესთან. ხელმწიფე რომ ჩამოვიდა ტფილისში, მელიტონს სთხოვეს თარჯიმნობა. მელიტონის სახლის კარი მუდამ ღია იყო, სტუმრობა უყვარდა, ბევრი ხალხი დადიოდა. მარშლის არჩევნებსა და სხვა საზოგადოებრივ საქმეებში მხურვალე მონაწილეობას იღებდა და მის სიტყვას დიდი გასავალი ჰქონდა. მისი კანდიდატი იმარჯვებდა ყოველთვის“ (ბარათაშვილი 1993: 295).

მელიტონ ბარათაშვილს ცოლად ჰყავდა ეფემია ზურაბის (დიმიტრის) ასული ორბელიანი (1801-1849), რომელზეც მან ჯვარი 1816 წელს დაიწერა. ცოლ-ქმარს ეყოლა 16 შვილი, რომელთაგან სრულწლოვანებას მხოლოდ ხუთმა (ნიკოლოზი, ეკატერინე, ბარბარე, ნინო და სოფიო) მიაღწია.

ხელგაშლილმა ცხოვრების წესმა და ხშირმა ავადმყოფობამ მელიტონი გააღარიბა და ვალებში ჩააგდო. 1835 წლის იანვარიდან ის დიდი ხნით ლოგინს მიეჯაჭვა, რამაც ოჯახის მატერიალური მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა და რამაც ხელი შეუშალა იმხანად გიმნაზიადამთავრებულ მის შვილს ნიკოლოზს სწავლა გაეგრძელებინა იმპერიის რომელსამე უნივერსიტეტში. თანამედროვეთა გადმოცემით მამასა და პოეტ შვილს შორის მაინცდამაინც კეთილგანწყობილი დამოკიდებულება არ სუფევდა. მელიტონის დისშვილის ალექსანდრე საგინაშვილის (1808-1887) სიტყვით „ტატოს მამის მიერ აღებული ვალი ბევრჯერ გადაუხდია“ (ცაიშვილი 1940: 386). მელიტონი მთავრობისადმი ლოიალურად ყოფილა განწყობილი, 1832 წლის შეთქმულებაში არ მონაწილეობდა.

მელიტონის ავადმყოფობა შემდეგ წლებშიც გაგრძელდა. მის ოჯახს მატერიალურად მუდმივად შეძლებისდაგვარად ეხმარებოდნენ სამხედრო სამსახურში მყოფი ცოლისძმები - გრიგოლ და ზაქარია ორბელიანები, რისი დასტურიც არის ნიკოლოზ ბარათაშვილისა და მისი ბიძების ეპისტოლური მემკვიდრეობა. შემორჩენილია აგრეთვე მელიტონ ბარათაშვილისა და მისი მეუღლის 1844 წლის 15 აპრილის წერილები ზაქარია ორბელიანისადმი, რომლებშიც ისინი

ფინანსურ შემწეობას სთხოვენ ცოლისძმასა და ძმას უფროსი ქალიშვილის, ახალდანიშნული ეკატერინესათვის მზითევის მომზადებისა და ქორწილის ორგანიზების საქმეში (გრიშაშვილი 1957:492).

მიუხედავად მელიტონის მძიმე, ჭირვეული და ფიცხი ხასიათისა, ის ძალიან ჰყვარებიათ ცოლისძმებს. მათ შორის დიდი პატივისცემა და სიყვარული სუფევდა, რასაც დასახელებული წერილები ცხადყოფენ. „შენ ასეთ რიგათა მწერ, რომ მგონია საწყალი მელიტონ კიდეც მომკუდარა. - ცრემლნი მდიან თვალთაგან ამ წერაში. - საწყალს მელიტონს უყუარდით ჩწენ ძალიან და იყო ჩწენი კეთილის მსურველიცა“ - სწერდა გრიგოლ ორბელიანი თავის ძმას ზაქარიას 1835 წლის 11 აპრილს ბირჟიდან (ორბელიანი 1836:28).

მელიტონ ბარათაშვილს თავზარი დასცა და სიცოცხლე გაუმწარა შვილის უდროო სიკვდილმა. ის სრულ სიღატაკეში აღმოჩნდა და მთავრობას დახმარებას სთხოვდა ხოლმე. გარდაიცვალა სოფელ ოსიაურში (ამჟამინდელი ხაშურის მუნიციპალიტეტი), სადაც ის, იმხანად უკვე ქვრივი, თავის გათხოვილ ქალიშვილს ბარბარე ვეზირიშვილისას (1826-1919) სტუმრობდა. დაკრძალულია იქვე (ინგოროყვა 1969; ბალახაშვილი. 1967; ბარბაქაძე 1998).

დედა (წერილები VI, IX, XI ((„ფეფო“), წერილი XII („ფ“)) (ტაბ.2, 6) - **ეფემია (ფეფო) ზურაბის (დიმიტრის) ასული ორბელიანი** (1801-1849), ნ. ბარათაშვილის დედა და და პოეტ გრიგოლ ორბელიანისა, რომელმაც საყვარელი დის სახება უკვდავყო ლექსში „ჩემს დას ეფემიას“. ეფემია ორბელიანი შვილია მილახვრის, შემდგომში კოლეგიის ასესორის, თბილისის საბაჟოს ზედამხედველის ზურაბ (დიმიტრი) ნიკოლოზის ძე ორბელიანისა (1766-1827) და მეფე ერეკლეს II-ის ასულის ელენეს (1753-1786) ქალიშვილის ხორეშან ზაქარიას ასულ ანდრონიკაშვილისა (1786-1833). ეფემიასთვის დედას სახლში უსწავლებია წერა-კითხვა, სასულიერო და საერო მწერლობა. თხუთმეტი წლისა ის ცოლად გაჰყვა თავად მელიტონ ნიკოლოზის ძე ბარათაშვილს. მზითევში სახლიც გააყოლეს. თანამედროვეთა გადმოცემით ყოფილა ქერა, პირხმელი, მაღალი ტანის ქალი. ახასიათებენ როგორც ღირსეულ, სათნო და მოსიყვარულე მანდილოსანს, რომელიც შვილებს თვითონვე აწოვებდა ძუძუს. ქმრის მძიმე ხასიათის გამო მთელი სიცოცხლე ტანჯული ყოფილა. განსაკუთრებით

ჰყვარებია პოეტ ვაჟიშვილს, რომლის ხასიათის ჩამოყალიბებაში ეფემიას გადამწყვეტი როლი შეუსრულებია. შვილის სიკვდილის შეტყობისთანავე ეფემია გაემგზავრა განჯაში. მისთვის ჩაუბარებიათ ნიკოლოზისგან დარჩენილი მცირე ქონება - ნივთები, რომელიც უვარგისობის გამო იქვე დაუტოვებია. 1848 წლის მიწურულს ეფემია ლოგინად ჩავარდა და მალევე გარდაიცვალა. დაკრძალულია ქაშუეთის ტაძრის გალავანში. ჩვენს მიერ მოძიებული იქნა კალისტრატე ცინცაძის ცნობა პოეტის დედის საფლავის ზუსტი მდებარეობის შესახებ: „ქვემო ეკლესიის კარების წინ არის ექვსი მარმარილოს ფიქალი, რომლებზედაც წარწერა ვერ გავარკვიეთ, ვინაიდან იქ რომ ლოდები ეწყო, იმათზე აღარაფერი ჩანდა. შემდეგ გავიგეთ, რომ ერთ-ერთი ამ ფიქალთაგანი ფარავს მელიტონ ბარათაშვილის მეუღლის ეფემიას საფლავს“ (ცინცაძე 1994: 261).

დები - ეკატერინე, ბარბარე, ნინო, სოფიო.

ეკატერინე (წერილები IX, X, XI, XIII („კატო“), წერილი XII („კ“)) (ტაბ.1, 19) - **ეკატერინე მელიტონის ასული ბარათაშვილი** (1821-1853), ნ. ბარათაშვილის უფროსი დაა. საეკლესიო ჩანაწერების წიგნი გვაუწყებს: „დედათა სქესი? 10. რიცხვი დაბადების დღისა? ვინ ვის დაებადა?, ვინ განათლა სახლი და მონათლა, რა სახელი დაერქვა ახალშობილსა? თვესა სექტემბერსა დაებადა თავადს მელიტონ ბარათოვს ქალი. სახლი გაუნათლა მღვდელმა ეფრემ ფანოვმა, სახელი ეწოდა ეკატერინე და განათლულსა ზედა მისსა იმღვდელმოქმედა დეკანოზმა დიმიტრი ალექსიევმა. რიცხვი მონათვლის დღისა? ნოემბრის 1. ვინ იყვნენ მიმქმელად ანუ ნათლიად? მიმქმელა იყო ღუბერნატორის სვიმონიჩის მეუღლე ბარბარე“ (ბალახაშვილი 1967: 74).

ეკატერინე ბარათაშვილი 1844 წლის 19 ივლისს ცოლად გაჰყვა რევაზ ლუარსაბის ძე ერისთავს (1812-1881). ეყოლა შვილები: ელენე (1845-1892), ნადეჟდა (1847-?), ეფემია (1849-?) და ნიკოლოზი (კოლა) (1850-1915) - ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი, ილია ჭავჭავაძის მეგობარი. ნიკოლოზ ერისთავმა წამოიწყო ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა პირველი აკადემიური გამოცემა, რომელიც 1922 წელს გამოვიდა მისი ქვრივის, ქველმოქმედის, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრის

ეკატერინე მიხეილის ასულ თამამშევას (1857-1937) ხელშეწყობითა და ხარჯით. ეკატერინე ბარათაშვილი-ერისთავისა დაკრძალულია მეუღლის გვერდით სოფელ ოძისის ეკლესიაში. „მის ქვაზე შემდეგი წარწერაა: „ქუჱშე ლოდისა ამის მდებარე არს თავადი რევაზ ლუარსაბის ძის ერისთავის მეუღლე ეკატერინე ასული თავადის მელიტონ ბარათოვისა, შობიდამ კჱ-სა (28) წლისა, გარდაცვალებული ამიერ სოფლით ჩყნგ (1853) წელსა მარტის კ-სა დღესა“. შემდეგ იგივე რუსულად (ხუციშვილი 1961: 25).

ბარბარე (წერილი IX („ბაბალე“)) (ტაბ.1, 20) - **ბარბარე მელიტონის ასული ბარათაშვილი** (1826-1919), ნ. ბარათაშვილის და. 1856 წელს ცოლად გაჰყვა თავადს, პოლკოვნიკს, შემდგომში გენერალ-მაიორს დიმიტრი გიორგის ძე ვეზირიშვილს (1825-1898). „ბაბალეს გათხოვებისათჳის ითხოვთ ჩემს თანხმობას. - ვეზიროვს ცოტად მეც ვიცნობ და როგორც მახსოვს კარგი ყმაწვილი კაცია და ჭკვიანიცა. მე ჩემის მხრით, მიკურთხებია მაგისი გვირგვინი, და საქორწილოდ შემომიწევია ასი თუმანი და შემდეგ რასაც ღთ˜ი შემაძლებინებს ჩემს ბაბალეს არ მოვაკლებ შემწეობასა“ - სწერდა გრიგოლ ორბელიანი 1856 წლის 27 აგვისტოს ახტიდან თავის რძალს ზაქარია ორბელიანის ქვრივს ქეთევანს (ორბელიანი 2015: 32). მას ბარბარეს გათხოვების საქმეში დიდი მონაწილეობა მიუღია: „ბაბალეს დაქორწინება მიამა ძალიან; ღთ˜მან მისცეს მას მშვიდობიანობითი ცხოვრება!მგონია, ბაბალე თავის კეთილის ქცევით და გონებით შეაყვარებს თავისთავსა თავის ქმარსა. - ეს კეთილი საქმე შენა ჰქმენ, ჩემო საყვარელო ძალუავ, და თუ ბაბალე კარგი დედაკაცია, არ დაივიწყებს შენს დედობრივს სიყუარულსა და მზრუნველობასა“ - 1856 წლის 9 ნოემბრის წერილიდან ქეთევან ორბელიანისადმი (ორბელიანი 2015: 44). დიმიტრი ვეზირიშვილი ყირიმის ომისა (1853-1856) და რუსეთ-თურქეთის ომის მონაწილეა. სიცოცხლის ბოლომდე მსახურობდა ქართველ გრენადერთა პოლკში ბათუმში. მისი მოადგილე იყო დავით კლდიაშვილი (1862-1931). მწერალი იხსენებს მას თავის მემუარებში „ჩემი ცხოვრების გზაზე“ (კლდიაშვილი 1988: 404-405). ბარბარე ბარათაშვილი საკმაოდ ხანდაზმული გარდაიცვალა. საეკლესიო ჩანაწერების წიგნი გვაუწყებს: „აღრიცხვა გარდაცვალებულთა მდედრისა? 17. თვე და რიცხვი გარდაცვალებულისა? აგვისტოს 1. თვე და რიცხვი დასაფლავებისა? აგვისტოს 3.

წოდება სახელი, მამის სახელი და გვარი გარდაცვალებულთა? ქვრივი ბარბარე მელიტონის ასული ვეზირიშვილისა. რაისაგან გარდაიცვალა? მოხუცებულებისაგან. ვინ აღუგო ანდერძი და სად არიან დასაფლავებული? დეკანოზმა კალისტრატე ცინცაძემ კრებულითურთ; ვერის იოვანე ღვთის მეტყველის ეკლესიის გალავანში“ (ბალახაშვილი. 1967: 83). საფლავი ამჟამად აღარ ჩანს. ბარბარე ბარათაშვილსა და დიმიტრი ვეზირიშვილს შეეძინათ შვილები ნინო (1859-1893) (ივანე მაჩაბლის (1854-1898) ძმის ვასილის (1845-1918) მეუღლე და ცნობილი პოლიტიკური მოღვაწის გიორგი მაჩაბლის („პრინც მაჩაბლის“ (1885-1935) დედა), ელისაბედი (1861-1918) და გიორგი (1864-1918). მათი ოჯახისა და შთამომავლების შესახებ იხ. (ვ. შუბითიძე…, 2013: 3-7). ბარბარე ბარათაშვილის საყურადღებო მოგონება ძმაზე დაბეჭდილია პოეტის თხზულებათა 1922 წლის გამოცემაში (ბარათაშვილი 1993: 296). ბარბარე ვეზირიშვილთან ინახებოდა პოეტი ძმის ერთი პირადი ავტოგრაფული კრებული (შემდგარი ორი ნაწილისაგან: 1. „ლექსნი“, 2. „ბედი ქართლისა“), რომლის თავდაპირველი მფლობელი ყოფილა ზაქარია ორბელიანის (1806-1847) მეუღლე ქეთევან ორბელიანი (1818-1895). აღნიშნული ხელნაწერთა კრებული ვეზირიშვილისეული ვარიანტის სახელწოდებითაა ცნობილი.

ნინო (წერილები VIII, IX („ნინუცა“) (ტაბ.1, 21) - **ნინო ნიკოლოზის ასული ბარათაშვილი** (1828-1906), ნ. ბარათაშვილის და. 1854 წლის ივლისში დავით ჭავჭავაძის სახლობასთან ერთად ტყვედ წაიყვანეს შამილის ნაიბებმა წინანდლიდან, სადაც ის სტუმრად იმყოფებოდა. ნინო ბარათაშვილი ძალიან ჰგვანებია ძმას. მისი მეუღლე იყო კარის მრჩეველი, გორის „გოროდნიჩი“ (1865), მთარგმნელი, თავადი ლევან (ლეონიდე) გერმანოზის ძე ბარათაშვილი (1826-1874). მათ ჰყავდათ შვილები: ესტატე (1862-?), ეფემია (1864-1865), ილია (1865-?), ნატალია (1866-1917) და ანასტასია (1868-1878). ნინო ბარათაშვილთან ინახებოდა მისი ძმის ერთადერთი დაგეროტიპული ფოტოსურათი, რომელიც მას ილია ჭავჭავაძემ გამოართვა და გასამრავლებლად ფოტოგრაფ დუბელირს გადასცა. აღნიშნული დაგეროტიპი ფოტოატელიაში გაჩენილმა ხანძარმა გაანადგურა. თავის დას წერილებში „ნინუცად“ იხსენიებს პოეტი: „მამამ, ფეფომ, კატომ, ბაბალემ, **ნინუცამ** და აპლიპუტილამ მოგიკითხეს“. როგორც ჩანს, ნინუცა ნინო ბარათაშვილის საალერსო სახელი იყო.

სოფიო (წერილი IX („აპლიპუტილა“)) (ტაბ.1, 22) - **სოფიო მელიტონის ასული ბარათაშვილი** (1841-1916), ნ. ბარათაშვილის უმცროსი და. საეკლესიო ჩანაწერების წიგნი გვაუწყებს: „მდედრობითი სქესი? 20. რიცხვი დაბადების დღისა? დეკემბრის ცამეტი. ვინ ვის დაებადა? ტფილისში მცხოვრებს თავადს მაიორს მელიტონ ნიკოლოზის ძე ბარათოვს და სჯულიერ მეუღლეს ეფემიას თავადის ზურაბ ორბელიანოვის ასულს, ორნივე ბერძენთ-ქართველთ სარწმუნოებისა, დაებადა ქალი სოფია. ვინ იყვნენ მიმქმელად? მიმქმელი იყო სალომე დიმიტრი თარხანოვისა“ (ბალახაშვილი 1967: 87). ვარაუდობენ, რომ საალერსო სახელი „აპლიპუტილა“ „ლილიპუტას“ დამახინჯებაა. ანასტასია მაყაშვილის მოგონებაში ვკითხულობთ: „ძალიან ჰყვარებია ბარათაშვილს თავისი უნცროსი და სოფიო. ყოველ წერილში, რომელსაც კი სახლში ჰგზავნიდა, უსათუოდ ჰკითხულობდა, „როგორ არის ჩემი ლილიპუტაო?“ (ლეონიძე 1940: 425). აქვე გვინდა დავძინოთ, რომ ანასტასია მაყაშვილის ამ მოსაზრებას ვერ გავიზიარებთ შემდეგი მიზეზის გამო. როგორც ცნობილია, ლექსემა „ლილიპუტი“, რომელიც არანორმალურად პატარა ტანის ადამიანს აღნიშნავს, წარმომდგარია ფანტასტიკური ქვეყნის - ლილიპუტიის - ერთი ციცქნა მცხოვრებლების სახელწოდებიდან, რომელთა შესახებ მოთხრობილია ინგლისელი მწერლის ჯონათან სვიფტის სატირულ-ფანტასტიკურ რომანში „გულივერის მოგზაურობა“. აღნიშნული რომანი ქართულად პირველად მხოლოდ გასულ საუკუნეში ითარგმნა. თარგმანი, რომელიც შეასრულა მოსე ქარჩავამ, სრული სახელწოდებით „თავდაპირველად ქირურგისა და შემდგომ რამდენიმე ხომალდის კაპიტნის ლემუელ გულივერის მოგზაურობა სხვადასხვა შორეულ ქვეყანაში“ 1958 წელს გამოსცა გამომცემლობა „საბლიტგამმა“. თარგმანს გამოეხმაურა და წერილი უძღვნა ზვიად გამსახურდიამ (გამსახურდია 1991: 340-343). ამდენად ნ. ბარათაშვილს შეუძლებელია ქართულად წაკითხული ჰქონოდა ეს რომანი და სცოდნოდა ლიტერატურულ ეპონიმ „ლილიპუტის“ მნიშვნელობა. რაც შეეხება წიგნის პირველ რუსულ თარგმანს, რუსეთში ის 1772-1773 წელს გამოჩნდა. ფრანგული გამოცემიდან რომანი თარგმნა რუსმა მწერალმა, მთარგმნელმა და განმანათლებელმა ეროფეი კარჟავინმა (1719-1772). მიუხედავად იმისა, რომ XIX საუკუნეში იგი რუსეთში რამდენჯერმე გამოიცა, მაინც ნაკლებად სავარაუდოა, რომ ამ საუკუნის პირველ

ნახევარში იგი საქართველოში ყოფილიყო გავრცელებული და ნ. ბარათაშვილს საშუალება ჰქონოდა მას გასცნობოდა. პოეტის უმცროსი დის საალერსო სახელი „აპლიპუტილა“, ვფიქრობთ, ქართული წარმომავლობისაა. ამ მოსაზრებას გვიმყარებს ქართლში არსებულ ზედმეტსახელთა ჩამონათვალში ლექსემა „ამპლიპუტა“-ს არსებობა. ოთარ ჩხეიძის მიერ სკრის სასოფლო საბჭოში გავრცელებული ზედმეტი სახელების ჩამონათვალში გვხვდება ლექსემა „ამპლიპუტა“ (ჩხეიძე 2016: 133), რაც გვაფიქრებინებს, რომ სახელი „აპლიპუტილა“ „ამპლიპუტას“ პარალელურ ფორმაზე „აპლიპუტაზე“ მაწარმოებელი ელემენტის „ილა“-ს დართვით უნდა იყოს მიღებული.

სოფიო ძალიან ჰგვანებია ძმას. დიმიტრი ყიფიანის შვილი კოტე ყიფიანი (1849-1921) გადმოგვცემს: „პოეტის და სოფიო ძალიან ჰგავდა თავის ძმას ნიკოს, ისე რომ, სოფიოს ულვაშები რომ დაეხატა თავის ტუჩებზედ, ვერ გაარჩევდით, ეს მართლა სოფიო არის თუ ნიკო ბარათაშვილიო. «Вотъ уговорите кн. Софою сняться въ фотографіи, გვეტყოდა ხოლმე ჩემი დედა (იგულისხმება დიმიტრი ყიფიანის მეუღელე ნინო იაგორის ასული ჭილაშვილი (1827-1902) - მ. ც.), приделайте ей усики и надъньте ей сюртукъ и будет у васъ портретъ поэта» (ბარათაშვილი 1993: 299).

სოფიო ბარათაშვილი 1878 წლის 17 თებერვალს ცოლად გაჰყვა სოფელ ქვიშხეთში მცხოვრებ თავადს, გენერალ ვასილ ალექსანდრეს ძე სუმბათაშვილს (1843-1905), ცნობილი მსახიობისა და დრამატურგის ალექსანდრე ივანეს ძე სუმბათაშვილ-იუჟინის (1857-1927) ბიძას, მამის ძმას. „სოფო გავათხოვეთ; იყო ჩუმი ქორწილი, კარგი ყმაწვილი კაცია, - დათიკოს სუმბათოვის ძმა, - და უფრო ეს მომწონს, რომ არა აქვს ვალი. ამ დროში ეს დიდი ქება არის საქართველოში“ - სწერდა გრიგოლ ორბელიანი თავის ნათესავს ტასო ოკლობჟიოს (1831-1884) (ბალახაშვილი 1967: 88). სოფიოს ჰყავდა შვილები თამარი (თალალე) (1879-?) გიორგი (1882-1960) და ეკატერინე (1887-?). მისი გათხოვებისა და ქმარ-შვილის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის დიმიტრი ყიფიანის ვაჟის კოტეს ცოლისძმა გიორგი ბეჟანის ძე ტატიშვილი (1870-1955) თავის უსათაურო მოგონებაში: „სოფიო საშუალო ტანის ქალი იყო – პატარა თვალებით, მოზრდილი სახით. სუმბათაშვილის ოჯახში მას დახვდა გერი - ნიკოლოზი (1868-1930 - მ. ც.), რომელიც ჰყავდა ვასილს პირველი ცოლისაგან, ციციშვილის ქალისაგან (იგულისხმება სოფიო ივანეს ასული

ციციშვილი (1845-1878) - მ. ც.)... სოფიოს საკუთარი ორი შვილი ჰყავდა: ქალი – კატუშა და ვაჟი – გიორგი. ორივე შვილმა საშუალო სწავლა მიიღო: ვაჟი – გიორგი ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკის ოფიცერი იყო, ქალი კი მუდამ თავის გვერდით შინა ჰყავდა და არავის აკარებდა, უდედოდ რომ რამე საზოგადოებაში გარეულიყო, ყოვლად შეუძლებელი იყო, რის გამოც დაკეტილ გალიაში ქალს არავითარი განვითარება არა ჰქონდა. უკანასკნელ დროს მათთან ოჯახში სიარული დაიწყო ერთმა პოლიციის თანამდებობის ლეკმა, რომელსაც კატუშა ფარულად ცოლად გაჰყვა“. (ჯოლოგუა 2001: 3-7); (ილია ჭავჭავაძის... 2010:628).

მამიდა.

მარიამ (წერილი XII („მ“)) (ტაბ.1, 16) – **მარიამ (მაია, მაშო) ნიკოლოზის ასული ბარათაშვილი** (?-1844 წ.-ის შემდეგ), ნ. ბარათაშვილის მამიდა, მელიტონ ბარათაშვილის (1795-1860) და. გათხოვილი იყო აზნაურ, კაპიტან დიმიტრი ზაქარიას ძე საგინაშვილზე. მათ ჰყავდათ შვილები გიორგი (1792-1800), ალექსანდრე (1808-1887), ბესარიონი, მიხეილი (საქართველოს გრენადერთა პოლკის ოფიცერი, მაიორი (1845)), ივანე, ვასილი და ქეთევანი (?-1844).

მამიდაშვილები - გიორგი, ქეთევანი.

გიორგი (წერილი V, IX, XI, XIII („გიორგი“), წერილი X („Георгий“), წერილი XII („გ-გი“)) (ტაბ. 1,23) - **გიორგი (რუსულ წყაროებში იხსენიება იგორად) დიმიტრის ძე საგინაშვილი** (1792 ან 1800 - 1844), ნ. ბარათაშვილის მამიდაშვილი, მარიამ (მაია, მაშო) ნიკოლოზის ასულ ბარათაშვილისა და აზნაურ, კაპიტან დიმიტრი ზაქარიას ძე საგინაშვილის (?-1834) ვაჟი, პოდპოლკოვნიკი. ჩვენს მიერ მოძიებული იქნა მისი ბიოგრაფიული ცნობები. მან სამხედრო სამსახური დაიწყო 1816 წელს 21-ე საარტილერიო ბრიგადაში ფეიერვერკერად, 1818 წლიდან იუნკერია. 1820 წელს გადაიყვანეს კარაბინერთა მე-7 (შემდგომში ერევნის გრენადერთა) პოლკში. 1821 წელს დაწინაურდა პრაპორშჩიკად, 1825 წელს - პოდპორუჩიკად. 1826-1828 წლებში მონაწილეობს სპარსეთის წინააღმდეგ ლაშქრობაში. 1828 წელს აბას-აბადთან და ერევანთან ბრძოლებისთვის დააწინაურეს პორუჩიკად. შემდეგ მონაწილეობს თურქეთის წინააღმდეგ ლაშქრობაში, ყარსის იერიშში, რისთვისაც დაჯილდოვდა წმ. ანას მე-4 ხარისხის ორდენით. 1829 წელს ახალციხესთან გამოჩენილი მამაცობისთვის

მიიღო წმ. ვლადიმერის მე-4 ხარისხის ორდენი ბაფთით, ხოლო ბაიბურთის იერიშისთვის 1830 წლის 27 იანვარს დააწინაურეს შტაბს-კაპიტნად. 1830 წლიდან განუწყვეტლივ მონაწილეობს კავკასიელ მთიელებთან ბრძოლაში. აულ გიმრისა და საერთოდ 1832 წლის კამპანიისათვის მიიღო წმ. ანას მე-3 ხარისხის ორდენი ბაფთით. 1837 წელს მიენიჭა კაპიტნის, 1839 წელს - მაიორის წოდება და დაინიშნა ერევნის პოლკის მე-3 ბატალიონის უფროსად. 1841 წელს მონაწილეობდა გურიის აჯანყების ჩაქრობაში. ამავე წელს დაჯილდოვდა წმ. გიორგის მე-4 ხარისხის ორდენით. 1842 წელს ზაქარია ორბელიანთან ერთად მსახურობდა დაღესტანში, სამურის რაზმში პოლკოვნიკ მოსე ზაქარიას ძე არღუთინსკი-დოლგორუკოვის (1798-1855) ხელქვეითად და იბრძოდა შამილის წინააღმდეგ. 1843 წელს მიიღო პოდპოლკოვნიკობა. გარდაიცვალა 1844 წლის 30 ნოემბერს. გიორგი საგინაშვილი ნ. ბარათაშვილის წერილის ადრესატის, გენერალ-ლეიტენანტ ალექსანდრე დიმიტრის ძე საგინაშვილის (1808-1870) ძმაა.

ნ. ბარათაშვილის წერილების ზოგიერთ კომენტირებულ გამოცემაში აღნიშნულია, რომ „გიორგიდ“ შეიძლება მივიჩნიოთ გიორგი რევაზის (რუსულ წყაროებში რომანის) ძე ერისთავი (1812-1891), მეფე ერეკლე II (1720-1798)-ის შთამომავალი, მეტსახელად „ატამანი“, გენერალ-ადიუტანტი, ხაზის კაზაკთა ჯარის ატამანი 1852-1853 წლებში, ქუთაისის გენერალ-გუბერატორი 1858-1861 წლებში (იხ. ბარათაშვილი 1972; XIX-XX საუკუნეების... 2011). ვერ გავიზიარებთ ამ მოსაზრებას, რადგან წერილების კონტექსტიდან გამომდინარე „გიორგი“ უახლოეს ნათესავად ჩანს, ამასთან ის, როგორც მისი ბიოგრაფიიდან ვგებულობთ, მონაწილეობდა 1841 წლის გურიის აჯანყების ჩახშობაში და მსახურობდა ზაქარია ორბელიანთან ერთად დაღესტანში, რაც ეთანადება წერილებში აღწერილ ფაქტებსა და ამბებს. ეს კი გვაძლევს იმის საფუძველს, რომ ანთროპონიმ „გიორგით“ მოხსენიებულ პირად დანამდვილებით მივიჩნიოთ ნიკოლოზ ბარათაშვილის მამიდაშვილი გიორგი საგინაშვილი და არა გიორგი რევაზის ძე ერისთავი, რომლის ნ. ბარათაშვილთან ასეთი ახლობლობის ცნობებს ვერ მივაკვლიეთ.

ქეთევან (წერილი XII („ქ. ყ-ის ცოლი“)) (ტაბ.1, 25) - **ქეთევან დიმიტრის ასული საგინაშვილი** (?-1844) ნ. ბარათაშვილის მამიდაშვილი, მელიტონ

ბარათაშვილის დის მარიამ (მაია, მაშო) ბარათაშვილის ქალიშვილი, მწერალ ალექსანდრე ყაზბეგის მამის მიხეილ ყაზბეგის პირველი ცოლი (ლომჯარია 2004: 12). თანამედროვეთა დახასიათებით ყოფილა ჭკვიანი, კეთილი, ლამაზი და იმ დროსათვის ნასწავლი ქალი. ნ. ბარათაშვილი ზაფხულობით მას სტეფანწმინდაში სტუმრობდა ხოლმე და იქ ლექსებიც უწერია. ქეთევანი ნ. ბარათაშვილის დების, ჩვილობაში გარდაცვლილი ორი ელენეს ნათლიაა. 1831 წლის 14 თებერვალს დაბადებული ელენე ბარათაშვილის მეტრიკულ წიგნში ვკითხულობთ, რომ ბავშვის ნათლიად იყო „დუშეთის უეზდის, პორუჩიკის მიხაილ გაბრიალის ძის ყაზიბეგოვის მეუღლე ქეთევან დიმიტრის ასული, სტეფანწმინდას მცხოვრები“. 1836 წლის 11 მარტს დაბადებული ელენე ბარათაშვილის ნათლიაც ასევე „სტეფანწმინდას მცხოვრების პორუჩიკის მიხეილ ყაზიბეგოვის ცოლი ქეთევან“-ია (ბალახაშვილი 1967: 83, 86). 1844 წელს ქეთევან საგინაშვილი ყაზბეგისა სულიერად დაავადდა და გარდაიცვალა. ის ფაქტი, რომ ქეთევან ყაზბეგი ნ. ბარათაშვილის ახლობელია (ნათესავი - მამიდაშვილი და იმავდროულად მისი დების ნათლია) და ისიც, რომ იგი სწორედ 1844 წელს გარდაიცვალა, გვაძლევს საფუძველს ინიციალით „ქ“ აღნიშნულ პირად მკვლევარ-კომენტატორთა ნაწილის მსგავსად სწორედ ქეთევან ყაზბეგი მივიჩნიოთ და არა დიმიტრი ყიფიანის მასზე ოცი წლით უფროსი ძმა ქაიხოსრო, როგორც ეს აღნიშნულია პოეტის პირადი წერილების ზოგიერთი წინა გამოცემის კომენტარებში (იხ. ბარათაშვილი 1972; XIX-XX საუკუნეების... 2011). ინიციალი „ყ“ კი უნდა გავშიფროთ „ყაზბეგად“ და არა „ყიფიანად“ - ქაიხოსრო (ქოჩო) ივანეს ძე ყიფიანისა და მისი ცოლის ეფემიას ნ. ბარათაშვილის ოჯახთან ახლო ნაცნობობის შესახებ რაიმე ხელმოსაჭიდი ცნობა არ მოგვეპოვება.

ბიძა.

ილია (წერილი VI („ილია“, „ილიკო“, „Илико“), წერილები VIII, IX, XI, XIII, XV) (ტაბ.2, 26) - **ილია ზურაბის (დიმიტრის) ძე ორბელიანი** (1815-1853), გენერალ–მაიორი, გრიგოლ ორბელიანის უმცროსი ძმა, ნ. ბარათაშვილის ბიძა (დედის ძმა), თანშეზრდილი და თანაგიმნაზიელი. სწავლობდა თბილისის გიმნაზიაში. 1842 წელს რვა თვე ტყვედ ჰყავდა შამილს. ამ ტყვეობამ, რომლის დროსაც მან განსაცვიფრებელი სიმტკიცე გამოიჩინა, შთააგონა ნ. ბარათაშვილს თავისი შედევრის „მერანის“ დაწერა.

ილია ორბელიანმა თავისი ტყვეობა აღწერა სათავგადასავლო თხზულებაში „რვა თვე შამილის ტყვეობაში“, რომლის დედნისეული სათაურია «Восемь месяцев из моей жизни. Рассказ офицера бывшего в плену у шамиля в 1842 году, 22 марта». პირველად ის მცირეოდენი შემოკლებით 1849 წელს გაზეთში «Кавказ»(##1-5) დაიბეჭდა. 1841 წლის შემოდგომაზე დუელი ჰქონდა თავის დისშვილთან, ნ. ბარათაშვილთან, რომელიც სეკუნდანტთა მეცადინეობითა და წყალობით მშვიდობითა და პოეტის ცნობილი ხუმრობით დამთავრდა (მეუნარგია 2010: 337-338; ჩხეიძე 2011:11-16) ი. ორბელიანი იყო გრენადერთა პოლკის უფროსი, მონაწილეობდა რუსეთ-თურქეთის ომში, სადაც სასიკვდილოდ დაიჭრა ბაშკადიკლარის ბრძოლაში. ილია ორბელიანი ძალიან ჰყვარებია გრაფ მ. ვორონცოვს. ალ. ორბელიანის (1802-1869) გადმოცემით „ილია თავის ყიზილბაშურის ხასიათით, რასაც უნდა, იმას არიგებდა ვარანცოვთან“ (ორბელიანი 2009: 59). „შენი დიდი მაქებარია ღრაფ ვორონცოვი... სადილზე სულ შენს ვაჟკაცობას მიამბობდა ღრაფი, ერთის სიტყვით შენი სახელი გამოვიდა მეიდანზედ“– გახარებული სწერს გრიგოლ ორბელიანი ძმას 1845 წლის 6 აგვისტოს თემირხანშურადან (ორბელიანი 1936: 116). ა. ზისერმანის (1824-1897) გადმოცემით იგი ყოფილა „ჭკვიანი და ერთობ სიმპათიური ყოველმხრივ შემკული ადამიანი“ (Зисерман 1879). რუსი გენერლისა და სამხედრო პედაგოგის ნიკოლოზ ისაკოვის (1821-1891) დახასიათებით ილია იყო „მარჯვე, მაღალი, ლამაზი და გაბედული ოფიცერი“ (Исаков 1917: 1). 1846 წელს ი. ორბელიანი განსაკუთრებულ დავალებათა შემსრულებლად ელიზავეტპოლის (განჯა) მაზრაში გადაიყვანეს. მას იქ საშუალება მიეცა ერთი წლის წინ გარდაცვლილი და განჯის ციხის რუსული ეკლესიის გალავანში დაკრძალული თავისი დისწულის ნ. ბარათაშვილის საფლავისათვის ქვა დაედო. 1852 წელს ილია ორბელიანმა იქორწინა ბარბარე ილიას ასულ ბატონიშვილზე (1831-1884). ცოლ-ქმარს ეყოლა ტყუპი ვაჟი, რომელთაგან ერთი დიმიტრი მაშინვე გარდაიცვალა და მამასთან ერთად დაკრძალეს ქაშუეთის ტაძარში. ილია ორბელიანს დარჩა შვილი გიორგი ორბელიანი (1853-1924), შემდგომში გენერალ-მაიორი, განჯიდან ნ. ბარათაშვილის ნეშტის ჩამოსვენების ერთ-ერთი ორგანიზატორი.

თავი II.

ნიკოლოზ ბარათაშვილის პირადი წერილების ადრესატები

ნ. ბარათაშვილის დღემდე მოღწეულ თვრამეტ წერილს ექვსი ადრესატი ჰყავს. ესენი არიან: გრიგოლ ორბელიანი (რვა წერილი), ზაქარია ორბელიანი (სამი წერილი), მაიკო ორბელიანი (ოთხი წერილი), მიხეილ თუმანიშვილი (ერთი წერილი), ბარბარე საგინაშვილი (ერთი წერილი) და ალექსანდრე საგინაშვილი (ერთი წერილი). სადისერტაციო ნაშრომის წინამდებარე თავი წერილების ადრესატებს ეთმობა.

1. გრიგოლ ორბელიანი

გრიგოლ ორბელიანი ნ. ბარათაშვილის რვა პირადი წერილის - I, II, IV, V, VI, VII, IX და XII წერილების ადრესატია. მისადმი მიმართვის ფორმები ასეთია: «Дражайщий дядя» (წერილი I); „საყვარელო ძიავ!“ (წერილი II); „საყვარელო ძმაო გრიგოლ!“ (წერილები IV, V, IX, XII); „გრიგოლ“ (წერილი VI). გრიგოლ ორბელიანი იხსენიება აგრეთვე წერილებში II („ძია გრიგორი“), X („Григолий“) და XII („გრიგოლ“).

გრიგოლ ზურაბის (დიმიტრის) ძე ორბელიანი (1804-1883) (ტაბ. 2, 20), გენერალ-ადიუტანტი, ქართველი პოეტი, ქართული რომანტიზმის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელი, საზოგადო მოღვაწე, მეფე ერეკლე II-ის (1720-1798) შთამომავალი, მისი შვილიშვილის შვილი (დედამისი ხორეშანი (1786-1833) ელენე ერეკლეს ასულის (1753-1786) ქალიშვილი იყო) ნ. ბარათაშვილის ბიძაა, დედამისის ეფემიას ღვიძლი ძმა. სწავლობდა კეთილშობილთა სასწავლებელში, შემდეგ - საარტილერიო სკოლაში. 1833 წლის მარტში ის ნოვგოროდში დააპატიმრეს 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობის ბრალდებით და სასწრაფოდ თბილისში გამოგზავნეს. ნოვგოროდში ჩხრეკისას მას აღმოუჩინეს ცნობილი რუსი დეკაბრისტის კ. რილეევის (1795-1826) ნაწარმოების „ნალივაიკოს აღსარების“ ქართული თარგმანი. შეთქმულებასთან მისი მჭიდრო კავშირი ეჭვს არ იწვევს, მაგრამ, როგორც ჩანს, გრ. ორბელიანი აქტიურად არ იყო ჩართული მასში, რაც იმით აიხსნება, რომ 1827-1832 წლებში სამსახურეობრივი აუცილებლობის გამო იგი ხშირად იცვლიდა

ადგილსამყოფელს. მას აშკარა დანაშაული არ დაუმტკიცდა და მე-7 კატეგორიის მცირე დამნაშავედ მიიჩნიეს. ავლაბრის ყაზარმებში სამთვიანი პატიმრობის შემდეგ ის საქმის საბოლოო გამოძიების დასრულებამდე გაათავისუფლეს და „კავკასიის ხაზზე“ მოქმედ ჯარში გააგზავნეს, 1833 წლის მიწურულს კი გაამწესეს ქ. ვილნოში (დღევანდელი ვილნიუსი) დაბანაკებულ ნევის საზღვაო პოლკში. გრ. ორბელიანი მონაწილეობდა სამხედრო ოპერაციებში კავკასიელი მთიელების წინააღმდეგ, რუსეთ-სპარსეთის (1826-1828) და რუსეთ-თურქეთის (1828-1829) ომებში. 1859 წელს იგი დაინიშნა კავკასიის სამეფისნაცვლოს საბჭოს თავმჯდომარედ, 1860 წელს - თბილისის გენერალ გუბერნატორად. 1859, 1860-63 და 1865 წლებში კი მეფისნაცვლის მოვალეობასაც ასრულებდა. გრ. ორბელიანის ბრწყინვალე პოეტურ ნიმუშებთან ერთად უაღრესად საინტერესოა მისი პროზა და ეპისტოლური მემკვიდრეობა, რომელიც უხვ მასალას იძლევა ქვეყნის პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ცხოვრებისა და თავად ავტორის პირადი ცხოვრების შესახებ. გრიგოლ ორბელიანი გარდაიცვალა 1883 წლის 21 მარტს. დაკრძალულია ქაშუეთის ტაძარში.

როგორც აღვნიშნეთ, გრ. ორბელიანი ნ. ბარათაშვილის ბიძაა. ამ უკანასკნელის წერილებიდან ნათლად ჩანს, რომ ბიძა-დისშვილის ურთიერთობა არ არის ოდენ ნათესაური. მათ შორის სხვა, უფრო მეგობრული და გულითადი დამოკიდებულება სუფევს. გრ. ორბელიანი ნ. ბარათაშვილისთვის არ არის მარტო ის ნათესავი, რომელიც მას გულით უყვარს და რომლისაც ცხოვრების გზაზე ეიმედება. „სულით ობოლი“ პოეტისათვის ის ის ადამიანიცაა, ვისაც მეტ-ნაკლებად შეიძლება გაუზიაროს თავისი სიხარული თუ ჭირ-ვარამი, ვისთანაც შეიძლება გაამჟღავნოს „შავად მღელვარე“ ფიქრები და „დახსნას გულსა ვაება“. იგი დიდად ენდობა ბიძის ლიტერატურულ გემოვნებას და თავის ლექსებს შესაფასებლად უგზავნის. გრ. ორბელიანთან მიწერილ ბარათებში სრული თუ ფრაგმენტული სახით ჩართულია პოეტის ლექსები: „ძია გ...სთან“, „ღამე ყაბახზედ“, „ვპოვე ტაძარი“, „მერანი“, „სულო ბოროტო“ და „საფლავი მეფის ირაკლისა“. აღსანიშნავია ისიც, რომ ნ. ბარათაშვილი მეტად ლაღი და შეხუმრებულია თავისზე ცამეტი წლით უფროს ბიძასთან. თანამოსაკესავით ხშირად უხსენებს მას მის სატრფოებსა და პოეტურ მუზებს,

ეხუმრება და აჯავრებს უკვე გათხოვილ დანიშნულსა თუ სხვა „მტერ-მოყვარე“ ქალებზე. ნიშანდობლივია ისიც, რომ ადრესანტი დასახელებული რვა წერილიდან მხოლოდ ორ ადრეულ - 1831 და 1837 წლების წერილებში (წერილები I და II) მიმართავს მას, როგორც ბიძას, შემდგომი წლების წერილებში კი მიმართვის ფორმა შეცვლილია: „საყუარელო ძმაო გრიგოლ“, „გრიგოლ“ - ასე იწყება ისინი, ხელს კი შემდეგნაირად აწერს: „შენი მარადის და მარადის იქითაც ნიკოლაოზ“, „მარად შენი ერთგული ნ. ბარათოვი“, „შენი მარად ერთგული ძმა ნიკოლოოზ ბარათაშვილი“...

გრ. ორბელიანის ცხოვრებისა და შემოქმედების ირგვლივ არსებობს აურაცხელი ლიტერატურა. მათ შორის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოკვლევად მივიჩნევთ ი. ევგენიძის სამეცნიერო მონოგრაფიას „გრიგოლ ორბელიანი“ (ევგენიძე 2013), რომელშიც პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლასთან ერთად ავტორი დიდძალ ფაქტოლოგიურ მასალაზე დაყრდნობით საკმაოდ დამაჯერებლად და არგუმენტირებულად უარყოფს იმ „ბრალდებებს“ (ქართველთა სახელმწიფოებრიობის დამთრგუნველი რუსული ხელისუფლების დამცველობა, ლოიალური დამოკიდებულება რუსეთის იმპერატორებისა და რუსი დიდმოხელეების (მ. ვორონცოვი, ა. ბარიატინსკი...) მიმართ, პიროვნული გაორება და ურთიერთსაწინააღმდეგო ნიშნები, გამოხატული მის პოეზიასა და ცხოვრებაში, 1841 წლის გურიის აჯანყების ჩახშობაში მონაწილეობა, 1965 წლის თბილისის ამქართა გამოსვლის დარბევა, სამოციან წლებში ე. წ. ძველსა და ახალ თაობას შორის გამართული კამათის დროს „ძველი თაობის“ ანუ „კონსერვატორებად“ წოდებული „მამათა“ ბანაკის თავკაცობა და სხვ.), **,** რასაც უყენებდა ქართული საზოგადოებრიობა პოეტს და რაც, სამწუხაროდ, დღესაც გრძელდება.

დასახელებულ „ბრალდებებს“ შორისაა გრ. ორბელიანისაგან დაუხმარებლობა თავისი დის ეფემიას მატერიალურად შეჭირვებული ოჯახისა და თავისი ნიჭიერი დისშვილის ნ. ბარათაშვილის მიმართ, აგრეთვე უყურადღებობა უდროოდ დაღუპული პოეტის ლიტერატურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობის საქმეში. ამ საკითხებს ვრცლად შევეხებით გასაგები მიზეზების გამო.

როგორც ცნობილია, ნ. ბარათაშვილმა თბილისის გიმნაზიის კურსი 1835 წელს დაამთავრა. მან ვერ შესძლო მისთვის ასე სასურველ სამხედრო სამსახურში

შესვლა სიკოჭლის გამო და ვერც სწავლის გაგრძელება იმპერიის რომელსამე უნივერსიტეტში ოჯახის დიდი ფინანსური პრობლემების გამო. თავის განცდებს ამასთან დაკავშირებით ის გულახდილად უმხელს ბიძამისს გრიგოლს II წერილში: „ჩემი სურვილი იყო ჯარის-კაცობა, იგი მზრდიდა მე აქამომდენ და ახლაც ხანდისხან კიდევ შთამომეპარება ხუალმე გულში. მაშ რაღამ დამიშალა, თუ კი ჩემი სურვილი იყო? აი, რამ დამიშალა: ჩემთა მშობელთა მიზეზად ეს მომიდეს, რომ კოჭლი ხარო და, თუ არ ინვალიდის კომანდაში, სხუაგან არ მიგიღებენო. მაშინ, როდესაც ფერჯი უკედ მქონდა და კარგადაც მაქვს, ასე, რომ ჩემებურად კიდეც ვჰხტი და კიდეც ვტანცაობ. მაგრამ რადგანც შევიტყე უარი მათი და მით უამოვნობა, ვჰსთხოვე უნივერსიტეტში მაინც გაგზავნა, რომ, თუ შტატსკი ვიყო, ვიყო... … არც ეს შემისრულეს. უბედურებისა გამო, მამაც ამ დროს ავად შეიქნა და ავადმყოფი, ჩემს თხოვნაზე, ასე მეტყოდა: „შჯილო, ხომ ჰხედავ შენის სახლის გარემოებასაო, იქნება მე ვეღარც კი გავაწიო ამ სნეულებასაო, შენს სახლს არ უპატრონებო?“ ამის შემდეგ გული აღარ იყო, რომ კიდევ შემეწუხებინა მამა ჩემის თხოვნით. დავრჩი ისევ ჩემს მამულში; განვჰწესდი სამსახურში და დაუმორჩილდი ჩემს მკაცრს ბედსა, თუმც ხანდისხან ჯავრით დავაპირებ ხუალმე მასთან შებმას: ან ჩემი ბედი და ან ჩემი სურვილის აღსრულება!“ (ბარათაშვილი 2015: 15-16).

ნ. ბარათაშვილის ამ სიტყვებს ხშირად მოიხმობენ ხოლმე გრ. ორბელიანის სასაყვედუროდ, მაგრამ უნდა ხაზგასმით ითქვას, რომ აქ პოეტი თავად არ ემდურის ბიძამისს და თავისი სურვილების აუსრულებლობის მიზეზად მხოლოდ მშობლებსა და შექმნილ გარემოებებს მიიჩნევს. მან, ცხადია, კარგად უწყის ის დიდი მატერიალური გაჭირვება, რაც თავად ორბელიანთა ოჯახს ადგას ამ პერიოდში და რისი დასტურიცაა გრიგოლისა და მისი ძმების ჩვენამდე მოღწეული მიმოწერა. გარდა ამისა, 1837 წელს, როცა ეს წერილი იწერება, გრიგოლ ორბელიანს არ ეკავა ისეთი მნიშვნელოვანი თანამდებობა, რომ მას რაიმეს შეცვლა შესძლებოდა. დიდ ადმინისტრაციულ თანამდებობებზე - კავკასიის სამეფისნაცვლოს საბჭოს თავმჯდომარედ, თბილისის გენერალ გუბერნატორად და მეფისნაცვლის მოვალეობის შემსრულებლად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ის მხოლოდ 60-იან წლებში ინიშნება, როცა მისი დისშვილი უკვე ცოცხალი აღარ არის.

ბიძის მიმართ გამოთქმული ერთადერთი საყვედური გვხვდება ნ. ბარათაშვილის 1843 წლის 12 აგვისტოს წერილში, საიდანაც ჩანს, რომ მას ბიძისთვის უთხოვია შუამდგომლობა დაღესტნის მოქმედი დივიზიის უფროსთან პ. რენენკამპთან სამსახურში მიღებაზე: „ახლა მე იმას ვამბობ, რომ მე შინაგანი ჴმა მიწვევს საუკეთესოს ხვედრისაკენ. გული მეუბნება, რომ შენ არა ხარ ახლანდელის მდგომარეობისათჳის დაბადებულიო, ნუ გძინავსო! მე არა მძინავს, მაგრამ კაცი მინდა, რომ ამ პატარა ღრე-კლდეს გამიყვანოს და დავდგე გაშლილს ადგილს. ოჰ, რა თავისუფლად ამოვისუნთქავ მაშინ, რა ხელმწიფურად გარდავხედავ ჩემს ასპარეზსა!

ჩემი ფიქრი მანდეთ მოჰქრის. ეცადე, რომა რე[ნ]ენკამფთან დამანიშვნინო. ხომ ამ პირობით წახველ, რომ ეს მოგეხდინა ჩემთჳის? ვიცი დაგავიწყდა, მაგრამ არა, არ დაგვიწყებია. ეს იმ სნეულების ბრალია, რომლისა გამოც ქართველი თავისიანს არ გამოადგება... მე ახლავ მიტყობს გული, რომ ამ ჩემს მხურვალეს განჰსჯას გამიტრიზავებ: ემირობა მასხარად აიგდე და მომავალის დიდების ფიქრს რას უზავ? სხვებრ, შენ იცი“ (ბარათაშვილი 2015: 115-116).

შეეძლო თუ არა ასეთი დახმარების გაწევა გრ. ორბელიანს თავისი დისშვილისათვის და რამდენად იყო იგი დამოკიდებული მის სურვილზე, ჩვენთვის უცნობია - დაკარგულია ნ. ბარათაშვილთან მიწერილი მისი წერილები, რომლებშიც შეიძლება ყოფილიყო რაიმე პასუხი დისშვილის ამ საყვედურზე.

რაც შეეხება მატერიალურ დახმარებას სიღატაკეში ჩავარდნილი მელიტონ ბარათაშვილის ოჯახისათვის, ახლობლებს შორის არსებული პირადი მიმოწერა ცხადყოფს გრ. ორბელიანის თავდადებას ამ მხრივ - ის უკიდურესად განიცდიდა უსაყვარლესი დის ეფემიას ოჯახის ამ მდგომარეობას და შეძლებისდაგვარად გამუდმებით ეხმარებოდა მას და მის შვილებსაც არა მარტო მათი დედის სიცოცხლეში, დედის სიკვდილის შემდეგაც. უფროსი დის ეკატერინეს გათხოვებასთან დაკავშირებით ნ. ბარათაშვილის სიტყვებით გრიგოლ ორბელიანთან 1844 წლის 23 მაისს მიწერილ წერილში „ზ[აქარ]ია იწერება, რომ გ[რიგო]ლმა სულ ბღუჯეულად იცისო“ (ბარათაშვილი 2015: 163) ვგებულობთ, რომ მისგან ოჯახი მნიშვნელოვანი თანხის გამოგზავნას მოელის.

გრ. ორბელიანმა მეტად მტკივნეულად განიცადა საყვარელი დისშვილის უდროო სიკვდილი. ეს მისთვის უდიდესი ტრავმა იყო. თემირხანშურადან 1845 წლის 12 ნოემბერს გრიგოლი, რომელსაც ყური მოეკრა ნიკოლოზის ავადმყოფობისთვის, შეწუხებული სწერდა თავის ძმას ილიას: „ჩემი გულით საყვარელის, ტატოს ამბავი მომწერე, ცოცხალია თუ მკვდარი? უცნობლობა მკლავს, შენ მიხაკოსთვის მოგეწერა ტატოს უიმედოდ ავადმყოფობა, ამანაც წიგნი არ მაჩვენა, ისე ზეპირად მითხრა, მაგრამ ასე მითხრა, რომ თითქმის მკვდარი უნდა იყოს. - ახ ეს დამალვა რა არის?... აქაურმა ცხოვრებამ, ძაღლის ცხოვრებამ და ამ უცნობლობამ ტატოსთვის მე ავათ გამხადეს; ეს ექუსი დღეა ვწევარ... თუ ხატი გწამს, მომწერე ტატოს ამბავი სიწრფოებით“ (ორბელიანი 1936: 118). ახლობლები იძულებულნი გახდნენ მისთვის გულსაკლავი ამბავი მალევე შეეტყობინებინათ (ევგენიძე 1995:1-74).

ნ. ბარათაშვილისა და გრ. ორბელიანის ეპისტოლური მემკვიდრეობა იძლევა საფუძველს საიმისოდ, რომ ისინი ერთმანეთის პატივისმცემელ და მოყვარულ ბიძა-დისშვილად ჩაითვალონ. ამასვე ადასტურებს ნ. ბარათაშვილის ბიოგრაფთა ნაწერებიც. ზ. ჭიჭინაძე გადმოგვცემს, რომ ნიკოლოზი „გრ. ორბელიანს ერთობ ჰყვარებია პატარა ნიკოლოზი. საკეთილშობილო სკოლიდამ თითქმის ყოველ დღე გრ. ორბელიანთან დადიოდა. სადილათ მასთან რჩებოდა. სადილის შემდეგ საღამოზედ მიდიოდა თავიანთ სახლში, ანჩისხატის უბანში(...). გრ. ორბელიანსაც ხშირად მიჰყვანდა ხოლმე სასეირნოთ, როცა კი წავიდოდა სადმე სასეიროთ. დღესაც ცოცხალნი არიან ის პირნი, რომელთაც კარგად ახსოვთ ნიკოლოზ ბარათაშვილის მისვლა-მოსვლა თ. გრ. ორბელიანთან.“ (მთაწმინდელი 1885: 6).

მიუხედავად იმისა, რომ არ მოგვეპოვება გრ. ორბელიანისეული რაიმე ჩანაწერი, რომელიც ნათელყოფს მის აზრს ნ. ბარათაშვილის შემოქმედებაზე და მის მაღალ შეფასებას, ამაზე შეიძლება ვიმსჯელოთ პოეტის ახლობლებისა და ბიოგრაფების გადმოცემებითა და სხვადასხვა წერილობითი წყაროებით. ამ მხრივ საინტერესოა ლევან მელიქიშვილის 1846 წლის 19/31 იანვრის წერილი გრ. ორბელიანისადმი, რომელშიც ის ისე ატყობინებს ცოტა ხნის წინ გარდაცვლილი ნ. ბარათაშვილის ნაწერების შეკრებისა და ერთ წიგნად გამოცემის სურვილს ადრესატს,

რომ ეჭვიც არ ეპარება ამ წამოწყების მისეულ დიდ ინტერესსა და აუცილებლობაში. „ეხლა ვკრებთ განსვენებულის ყველა ნაწერებს: ისინი დაიბეჭდება ერთ წიგნად, რომელსაც დაერთვის მისი პორტრეტი“ (ინგოროყვა 1969:11).

ი. ევგენიძეს თავის მონოგრაფიაში მოყვანილი აქვს ზ. ჭიჭინაძის შემდეგი გადმონაცემი: გრ. ორბელიანს საზოგადოების მოწინავე ნაწილმა აცნობა მისი 50-წლიანი სამწერლო მოღვაწეობის საზეიმოდ აღნიშვნის სურვილი, რაზედაც მხცოვანმა პოეტმა შორს დაიჭირა და ასე უპასუხია: „რა გაუგიჟებია ესენიო, რის იუბილეი, რის დღესასწაული და რის ეს მასხარაობაო ... ეს რეებს იგონებენ ბატონოვო... თუ მაინცადამაინც არ იშლიან, აგერ რუსთაველი, გურამიშვილი და ბარათაშვილიო“ (ევგენიძე 1995:69).

ავტორიტეტულ მკვლევართა აზრით (გრ. კიკნაძე, ი. ევგენიძე), მიზეზი იმისა, რომ გრ. ორბელიანმა ვერ გამოიჩინა სათანადო ყურადღება პოეტი დისშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობის პატრონობის საქმეში, არის ის, რომ იგი მხოლოდ „გრძნობდა“ დიდი მგოსნის შემოქმედებას, რომლის სათანადო დაფასებისათვის გარკვეული დრო და ქართული საზოგადოებრივი აზრის მომწიფება იყო საჭირო, რაშიც დიდი წვლილი ი. ჭავჭავაძესა და მის თანათაობელებს ეკუთვნით.

ისიც უნდა ითქვას, რომ მიუხედავად ცნობილი პაექრობისა, ი. ჭავჭავაძემ და ა. წერეთელმა საგანგებოდ აღნიშნეს ქვეყნის წინაშე გრ. ორბელიანის დამსახურება გამოსათხოვარ სიტყვებში და აღმატებული ეპითეტები არ დაიშურეს ამის წარმოსაჩენად. განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი გრ. ორბელიანისა და ი. ჭავჭავაძის ურთიერთდამოკიდებულებას, რომელიც მათ შორის ღრმა ურთიერთპატივისცემის ნიშნით არის აღბეჭდილი. ილია ჭვაჭავაძე დიდად აფასებდა გრ. ორბელიანის პოეტურ ნიჭსა და ღვაწლს. მან ეს მკაფიოდ გამოთქვა თავის წერილებში: „წერილები ქართულ ლიტერატურაზე“ და „იონა მეუნარგიას მომავალი ლექციები გრიგოლ ორბელიანზე“. ეს საკითხი საფუძლიანად შეისწავლა და საგანგებო კვლევა უძღვნა მას ლ. მინაშვილმა. იხ. მისი ნაშრომი „გრიგოლ ორბელიანთან ილია ჭავჭავაძის მიმართებისათვის“ (მინაშვილი 2009: 71-91), რის გამოც აქ ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

2. მაიკო ორბელიანი

მაიკო ორბელიანი ნიკოლოზ ბარათაშვილის ოთხი პირადი წერილის - VIII, , XIV, XV და XVI წერილების ადრესატია. ადრესატისადმი მიმართვის ფორმა ყველგან ასეთია: „საყვარელო დაო მაიკო!“. ის იხსენიება აგრეთვე წერილებში IV („მაიკო“) და XVII („მაიკოს“).

მაიკო ორბელიანთან გაგზავნილი წერილები გამორჩეულია იმით, რომ მათში ტექსტებში პოეტისათვის სახასიათო სიცოცხლის სიყვარულსა, ხალისსა და იუმორთან ერთად მთელი სიმძაფრით არის გადმოცემული მისი სულიერი დრამაც, მსოფლგანცდა, ღრმა ფიქრები და რეფლექსიები. მაიკო ორბელიანს ბარათაშვილი სულიერ მეგობრად და გულის მესაიდუმლედ მიიჩნევდა, დას უწოდებდა და თავის ყველაზე ინტიმურ გრძნობებს ანდობდა. როგორც აღვნიშნეთ, „საყვარელო დაო მაიკო“ - ასე იწყება ოთხივე წერილი, წერილების ბოლოს კი მოწერილია: „შენი მარად ერთგული ძმა ნიკოლოოზ ბარათაშვილი“, „შენი მარადის ერთგული თ. ნ. ბარათაშვილი“, „შენი მარადის უცვალებელი ძმა ტატო“, „შენი მარადის თ. ნ. ბარა[თაშვილი]“.

ნიკოლოზ ბარათაშვილს მაიკოსთვის უჩუქებია ხელნაწერი ლექსების კრებული, რომელიც პოეტის ავტოგრაფულ გამოცემებს შორის მაიკო ორბელიანისეულ ვარიანტად არის ცნობილი. მას გუნიასეულ ვარიანტსაც უწოდებენ - ვალერიან გუნიას ის თბილისის ბაზარში შეუძენია და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისთვის შეუწირავს. უყდო და გვერდნაკლული კრებულის თავფურცელს აწერია: „1841 წელი, ტფილისი“. მის მეორე გვერდზე კი წარწერა-მიძღვნაა: „დაო მაიკო! ეს ლექსები იქონიე ჩემეულად. ვიცი, რომ წამკითხველი მათი მოიგონებ ბევრთა საამოთა დღეთა ყმაწვილობისათა და შემიბრალებ შენსა ყარიბსა ძმასა. თ. – ნ. ბარათოვისაგან“ (ბარათაშვილი 2005: 131).

მაიკო ორბელიანთან ინახებოდა პოეტის სხვა ხუთი ლექსის ავტოგრაფიც. ისინი ნ. ბარათაშვილის იმ წერილებთან ერთად, რომელთა ადრესატიც მაიკო ორბელიანია, მისი გარდაცვალების შემდეგ ინახებოდა ი. ჭავჭავაძის დასთან, ელისაბედ გრიგოლის ასულ ჭავჭავაძესთან (1840-1925), რომელიც დაქვრივების

შემდეგ ცოლად გაჰყვა ნ.ბარათაშვილის მამიდაშვილს, პოეტის ერთი წერილის ადრესატს, გენერალ-მაიორ ალექსანდრე დიმიტრის ძე საგინაშვილს (1808-1887) (ბარათაშვილი 2005: 133-134).

ნ. ბარათაშვილის ზემოხსენებული ოთხი წერილი მაიკო ორბელიანისადმი ი. ჭავჭავაძემ 1872 წლის 9 დეკემბერს კირილე ლორთქიფანიძეს გაუგზავნა ჟურნალ „კრებულში“ დასაბეჭდად. 1873 წელს წერილები აღნიშნული გამოცემის მესამე წიგნში პირველად გამოქვეყნდა ილიასეული შენიშვნით:

„ეს ოთხი წიგნი, ნიკ. ბარათაშვილისაგან ერთ და იგივე პირთან მიწერილი, გადმოგვცა ჩვენ ერთმა პატივცემულმა პირმა, ქართული ენისა და მწერლობის მოყვარემა. ვისაც ესმის, რაგვარი მნიშვნელობა აქვსთ ამგვართა წერილთა ლიტერატურის ისტორიისათვის და თვით მწერლის მიმართულებისა და თვისების ახსნისათვის, ის ჩვენთან ერთად გულითად მადლობას მოახსენებს მაგა წიგნების პატივცემულს გარდმომცემელსა“ (ბარათაშვილი 2005: 8)..

ზემოხსენებული წერილები 1893 წელს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას შესწირა ელისაბედ ჭავჭავაძე-საგინაშვილისამ.

(მარიამ) მაიკო ქაიხოსროს ასული ორბელიანი (1816-1849) (ტაბ. 2, 19), ნ. ბარათაშვილის ნათესავი (დედის ბიძაშვილის შვილი) და მეგობარია, სილამაზითა და სულიერი სიფაქიზით გამორჩეული ქალი. მაიკოს მამა, პრაპორშჩიკი ქაიხოსრო (1792-1852) და ნიკოლოზის დედა ეფემია (1801-1849) იყვნენ ღვიძლი ბიძაშვილები - ძმების გიორგი (?-1819) და ზურაბ (დიმიტრი) (1766-1827) ორბელიანების შვილები. მაიკო დანიშნული იყო ნ. ბარათაშვილის უახლოეს მეგობარსა და თანაგიმნაზიელზე ლევან მელიქიშვილზე (1818-1892).

ჩვენთვის უცნობია მაიკო ორბელიანის დედის ვინაობა. ელისაბედ ელიზბარის ასულ ერისთავის (1864-1949) მოგონების მიხედვით მაიკო ობოლი ყოფილა: „ის იყო გასაკვირველი[,] რომ ლევანმა (იგულისხმება ლევან მელიქიშვილი - მ. ც.) თავის დროზე არ დაიწერა ჯვარი მაიკო ორბელიანზე. მა[გ]რამ მგონია[,] რომ ეს იყო დიდი თავის მოყვარეება[,] **ობოლი** (ხაზგასმა ჩვენია - მ.ც.) და ღარიბი ქალი შეერთო[.] თ[ვ]ითონაც არა ჰქონდა რა და როცა შეიძლო[,] უყიდა ყველასფერი[,] ესე იგი[,] მზითევი და ჯვარიც უნდა დაეწერა[,] მა[გ]რამ თ[ვ]ითონ მაიკომ აღარ

ინდომა[,] უკვე დაა[ვა]თმყოფებული იყო...“ (ცერცვაძე 2011: 37-38). მაიკოს მამა, პრაპორშჩიკი ქაიხოსრო გიორგის ძე ორბელიანი (1792-1852) მაიკოს სიკვდილის შემდეგ გარდაცვლილა, აქედან ცხადი ხდება, რომ მემუარისტი დედით ობლობაზე მიუთითებს. საარქივო საბუთებში ჩანს ქაიხოსრო ორბელიანის მეუღლე, ანასტასია (1807-1867), თავად ბარამ გურგენიძის ასული, მაგრამ ის, სავარაუდოდ, მაიკოს დედინაცვალია (ჩიქოვანი 2012: 6-8).

როგორც ირკვევა, მაიკო ორბელიანი თბილისში მუდმივად არ ცხოვრობდა. ის სახლობდა, სავარაუდოდ, ქვემო ქართლში, ორბელიანების საგვარეულო რომელსამე სოფელში და თბილისში დროდადრო ჩამოდიოდა ხოლმე. „მაიკო, ეს რისაგან არის, რაკი შენ მაგ ქალაქში ჩამოხვალ ქართლითგან, მაშინვე ჭორაობა უნდა გაჩნდეს?“ – ეკითხება ნ. ბარათაშვილი მას ნახჭევანიდან გამოგზავნილ 1845 წლის 9 თებერვლით დათარიღებულ წერილში. თბილისში ჩამოსვლის პერიოდებში მაიკო მტკვრის პირას, ორბელიანთა საცხოვრებელ უბანში, ე. წ. „ორბელიანთ აულში“ ჩერდებოდა ხოლმე. „მაიკო ორბელიანი, ქაიხოსროს ქალი, რომელთანაც პოეტ ნიკოლოზ ბარათაშვილს მიწერ-მოწერა ჰქონდა და რომელიც ადრე გარდაიცვალა, იდგა ამავე ორბელიანების ქუჩაზე. მხოლოდ უფრო მოშორებით, ეხლანდელი ბაზრის პირდაპირ, სომხის ღვდლის სახლში“ (მოზდოკელი 1993: 4).

მაიკო ორბელიანი გარდაიცვალა ჭლექით 1849 წლის 2 თებერვალს. ლევან მელიქიშვილი მას ბოლომდე თავის საცოლედ იხსენიებდა. „ჩემის საცოლის მაიკო ორბელიანის გართულებული ავადმყოფობა არის მიზეზი, რომ აქამდე ვერ მოვახერხე აქედან წამოსვლა. ჩემდა საუბედუროდ მისი ჯანმრთელობა ისეთია, რომ სიზუსტით არ ძალმიძს მოვახსენო თქვენს აღმატებულებას თუ როდის შევძლებ გამოცხადებას ჩემს ადგილზე. უმორჩილესად ვთხოვ თქვენს აღმატებულებას ფორმალურ შვებულების გარეშე დამრთოთ ნება დავრჩე აქ ჩემი საცოლის ჯანმრთელობის გაუმჯობესებამდე. უკეთუ თქვენს აღმატებულებას ეს შეუძლებლად მიაჩნია, მაშინ უბრძანეთ მაცნობონ და მე იმ საათშივე შევიტან თხოვნას შვებულებაში გაშვების შესახებ“ - სწერდა ლევან მელიქიშვილი ბორის ჭილაშვილს 1849 წლის 22 იანვარს (ბალახაშვილი 1967: 251).

მაიკო ორბელიანის სილამაზე, გამორჩეული სულიერება და ტრაგიკული ბედი მრავალ შემოქმედს აღელვებდა და აღელვებს. იგი მისი თანამედროვე პოეტების და მხატვრების მუზა იყო. მას ორი ლექსი: „მ...კო ო-ს“ და „რეცეპტი მ. ო.“ უძღვნა პოეტმა და დრამატურგმა გიორგი ერისთავმა („გლუხარიჩმა“). მას იცნობდნენ და თაყვანს სცემდნენ იმ დროს კავკასიაში მყოფი რუსი მოხელენი და კულტურის მოღვაწენი: ნ. ჟერვე (1808-1841) , ა. ვასილჩიკოვი (1818-1881), ფ. ტორნაუ (1810-1890), მ. ლერმონტოვი (1814-1841), ი. პოლონსკი (19819-1898), ა. დოლგორუკოვი (1793-1868), ა. სტოლიპინი (1816-1858), გრ. გაგარინი (1810-1893), პლ. ჩელიშჩევი (1804-1859). „მაიკო და კატო ორბელიანები ტფილისური მანიაკის ორი უნაზესი მარგალიტია“ - სწერდა ალექსი (მონგო) სტოლიპინი თბილისიდან თავის დას. მაიკოს პოეტური სტრიქონები უძღვნეს რუსმა პოეტებმა იაკობ პოლონსკიმ და ალექსანდრე დოლგორუკოვმა. მხატვარ გრიგორი გაგარინს ეკუთვნის მაიკო ორბელიანის ორი პორტრეტი, რომელთაგან ერთი სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო რუსულ მუზეუმში, მეორე კი - კერძო კოლექციაშია დაცული. მაიკოს ფერწერული პორტრეტი შესრულებული აქვს აგრეთვე გენერალ-მაიორსა და ცნობილ კარიკატურისტს პლატონ ჩელიშჩევს (ბალახაშვილი 1867, 243-252), (ანდრონიკაშვილი 1953, 83-91). იგი ინახება გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში.

მოგვყავს ჩვენს მიერ ახალმოძიებული ბიოგრაფიული ცნობები ივანე მელიქიშვილზე (1840-1877) - მაიკო ორბელიანისა და ლევან მელიქიშვილის შვილზე უკანონო ქორწინებიდან.

ცნობილია 1871 წლის 31 ოქტომბრის უმაღლესი ბრძანებულება, რომლითაც შტაბს-კაპიტან ივან მელიქოვს ნება დაერთო მიეღო თავისი აღმზრდელის, კავალერიის გენერალ თავად ლევან ივანეს ძე მელიქიშვილის გვარი და ტიტული, წოდებულიყო თავად მელიქოვად და შთამომავლობით ესარგებლა შესაბამისი უფლებებით (Думин С... 1998: 176). ლევან მელიქიშვილს, როგორც ვხედავთ, უშვილებია ივანე და გვარიც მიუცია. 1874-1876 წლებში ივანე მელიქიშვილი მაიორის ჩინით მოიხსენიება კავკასიის მეფისნაცვლის განსაკუთრებულ დავალებათა ოფიცრის თანამდებობაზე ქვეით ჯარში. მონაწილეობდა 1877-1878 წლების რუსეთ-

თურქეთის ომში. „მამაცობითა და ვაჟკაცური შემართებით იგი დიდ იმედებს იძლეოდა, როგორც მომავალი მხედართმთავარი. 1877 წელს ივანე უკვე პოდპოლკოვნიკის ჩინით ათასეულს მეთაურობდა. ივ. მელიქიშვილმა განსაკუთრებით ისახელა თავი ყარსის იერიშის დროს, როცა მან თავისი ათასეულით აიღო სუვარის სიმაგრე. აღნიშნული სიმაგრე ყველაზე მთავარი იყო ყარსის საერთო დაცვით ნაგებობათა კომპლექტში და მისი იერიშით აღების გამო იმპერატორის ბრძანებით სუვარის სიმაგრეს მას შემდეგ „თავად მელიქიშვილის ფორტი“ ეწოდა“ (ავალიანი 1967: 125).

ივანე მელიქიშვილი დაჭრილა 1877 წლის 11 ივნისს, რასაც ვგებულობთ გაზეთ „ივერიის“ 1877 წლის 16 ივნისის #16-ში დაბეჭდილი კორესპონდენციიდან „ომის ამბები“ (გვ. 20): „11 თიბათვეს, როდესაც ჩვენი ჯარი ციხის-ძირისკენ მიდიოდა, უეცრად ოსმალები დახვედრიათ და შეტაკება მოსვლიათ. ამ ბრძოლაში ჩვენის მხრით დაუჭრიათ ფლიგელ-ადიუტანტი პოდპოლკოვნიკი ტერიევი, სტრელკოვოი ბატალიონის მაიორი თ. მელიქოვი და პორუჩიკი პოპოვი...“

ივანე მელიქიშვილი გმირულად დაიღუპა ყარსის ძლევამოსილი იერიშის დროს 1877 წელს. ტალინში, ყაზანის ტაძარში დღემდე შემონახულია რამდენიმე მემორიალური დაფა, რომლებზეც ჩაწერილია ნაპოლეონთან და რუსეთ-თურქეთის ომებში დაღუპულ მებრძოლთა სახელები. თეთრი ქვის დაფაზე ვკითხულობთ: „თავადი ივანე მელიქოვი, დაიჭრა 1877 წლის 5–6 ნოემბრის ღამეს ყარსის ციხესიმაგრის იერიშის დროს და გარდაიცვალა ჭრილობებისაგან 1877 წლის 6 ნოემბერს“ (Сурков 1998). ივანე მელიქიშვილი დაკრძალულია მაშინდელი ერევნის გუბერნიის ქალაქ ალექსანდრეპოლის (ამჟამად ქალაქი გიუმრი, ყოფილი ლენინაკანი, სომხეთის რესპუბლიკა) ციხესიმაგრის წმინდა მოწამე დედოფალ ალექსანდრას სახელობის ეკლესიაში. ამ ციხესიმაგრისა და ეკლესიის მშენებლობას სათავე დაუდო რუსეთის იმპერატორმა ნიკოლოზ პირველმა 1837 წელს კავკასიაში სტუმრობის დროს. ეკლესიას, რომლის კურთხევა მოხდა 1842 წელს, იმპერატორმა სახელი თავისი უავგუსტოესი მეუღლის იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასულის ზეციური მფარველის პატივსაცემად უწოდა.

და ბოლოს გვინდა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ ჩვენთვის უცნობია რაიმე წერილობითი დოკუმენტი (დღიური, პირადი წერილი, მემუარები...), რომლითაც დასტურდება დღეს ასე გავრცელებული ამბავი მაიკო ორბელიანისა და 1837 წელს საქართველოში ჩამოსული რუსეთის იმპერატორის ნიკოლოზ I-ის ინტიმური ურთიერთობის შესახებ. იმპერატორისა და მაიკო ორბელიანის ბალზე შეხვედრის ცნობას ვხვდებით მხოლოდ ერთი უცნობი პირი მინაწერში, რომელიც ერთვის სამხედრო პირის, შემდგომში გენერალ-მაიორის სემიონ გრიგორის ძე სტიშინსკის (1803-1883) ბორის გაბრიელის ძე ჭილაშვილთან (1798-1850) 1837 წლის 9 ნოემბერს გაგზავნილ წერილს. წერილში იგი ადრესატს იმპერატორის თბილისში სტუმრობის ამბებს აღუწერს. «Стишинскій описалъ вамъ все что было интереснаго во время пребыванія Царя в Тифлисъ. Какъ не политикъ, не буду касаться происшествій политическихъ, а коснусь происшедствій эстетическихъ. На четвертый день пребыванія его величества в Тифлисъ былъ балъ: Государь былъ въ особенности внимателенъ къ графинъ Симоничъ, Грибоедовой и къ Майко Орбеліановой; последняя была очень интересна и аппетитна, стократъ лучше самаго сочнаго, сладкаго апельсина» (Русский Архив 1904: 131). როგორც მინაწერის მოყვანილი ტექსტიდან ჩანს, იგი მხოლოდ კერძო პირის პირად შთაბეჭდილებას ასახავს და სხვა მნიშვნელობა მას არ შეიძლება მიენიჭოს.

ცნობილია აგრეთვე, რომ ლევან მელიქიშვილი სიკვდილამდე უდიდეს პატივს სცემდა თავის დანიშნულს და ბოლომდე საცოლედ იხსენიებდა მას (იხ. ზემოთმოყვანილი მისი წერილი ბორის ჭილაშვილისადმი).

შესაბამისად ამ ისტორიას ჩვენ ეჭვით ვუცქერით და მის სინამდვილეს ვერ დავადასტურებთ.

3. ზაქარია ორბელიანი

ზაქარია ორბელიანი ნ. ბარათაშვილის სამი პირადი წერილის - X, XI და XIII წერილების ადრესატია. მისადმი მიმართვის ფორმები ასეთია: «Любезный брат Захарій!» (წერილები X, XI); „უსაყვარლესო ძმაო ზაქარიავ!“ (წერილი XIII). ზაქარია ორბელიანი იხსენიება აგრეთვე წერილებში III («с Захаріем Орбеліановымъ»), VI („ზაქარია“), XII („ზ-ია“).

აღნიშნული წერილები ზაქარია ორბელიანისადმი მათი რუსულად ნაწერი ფრაგმენტების ქართული თარგმანით პეტრე უმიკაშვილის მიერ გადაწერილი პირების მიხედვით, რომლებიც მკვლევარს 1873 წლის თებერვალ-მარტში, სავარაუდოდ, პუბლიკაციის მიზნით შეუსრულებია, პირველად დაიბეჭდა გაზეთ „კვალის“ 1893 წლის მე-7 ნომერში. იგივე წერილები თარგმანის გარეშე ე. თაყაიშვილმა და დ. კარიჭაშვილმა ორი წლის შემდეგ შეიტანეს წიგნში: ნ. ბარათაშვილის ლექსები და წერილები, გამოცემა მეხუთე, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამოცემა, #25, ტფ. 1895 (ბარათაშვილი 2005: 8).

დასახელებულ წერილთა ავტოგრაფებს, რომლებიც ამჟამად გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმშია დაცული, კ. მეძველიამ 1945 წელს მიაკვლია. წერილების პეტრე უმიკაშვილისეული ასლები სადღეისოდ ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება.

ზაქარია დიმიტრის (ზურაბის) ძე ორბელიანი (1806-1847) (ტაბ. 2, 24), პოლკოვნიკი, ნ.ბარათაშვილის ბიძაა, დედის ეფემიას ძმა. სამხედრო სამსახური დაიწყო ცხენოსანი არტილერიის #8 როტაში, 1826 წელს იმავე არტილერიის ლეიბ-გვარდიაში გადაიყვანეს. 1828 წელს მონაწილეობდა რუსეთ-თურქეთის ომში, 1831 წელს იბრძოდა პოლონეთში. 1833 წლიდან კავკასიის გრენადერთა ბრიგადის პირველ ბატარეაშია, 1839 წელს ებრძოდა კავკასიელ მთიელებს, 1841 წელს მსახურობდა ჩრდილოეთ დაღესტანში, 1842 წელს გადაიყვანეს ყოფილ სამურის ოლქში, 1835 წელს მიიღო პორუჩიკის, 1838 წელს შტაბს-კაპიტნის, 1844 წელს - პოლკოვნიკის წოდება. 1846 წელს დაინიშნა აფშერონის პოლკის მეთაურად.

დაჯილდოებული იყო წმ. ანას მე-4 ხარისხის და წმ. გიორგის მე-4 ხარისხის ორდენებით.

ზაქარია ორბელიანს უყვარდა ნინო ჭავჭავაძე (1812-1857), რომლის ტრფობა ქორწინების შემდეგაც არ განელებია. 1835 წლის 10 თებერვალს ნ. ბარათაშვილის მშობლების ეფემიასა და მელიტონის რჩევითა და მეცადინეობით იქორწინა ანჩისხატის დეკანოზის, აზნაურ დიმიტრი ალექსი-მესხიშვილის (1778-1862 წ.) ასულზე ქეთევანზე (1818-1895) (იხსენიება წერილში XI - „შენი გამარჯვება **ქეთევანს** აქ გადავახდევინეთ. ხომ არ დაიჯერებ და შამპანსკებს თვლა აღარა ჰქონდა. ამისთანა წუწკმა ხანდისხან ასეც იცის“). ახლობელთა დახასიათებით ქეთევანი კარგი მეურნე და მეოჯახე, ყაირათიანი ქალი ყოფილა. „შენი რძალი ქეთევან არათუ გამბნეილი იყოს, ძალიან კუწურახიც არის. ისემც კარგად ხარ, როგორც კარგის ხასიათის და ზნის ქეთევანი იყოს“ – სწერდა ზაქარია ორბელიანი თავის ძმას გრიგოლს 1837 წლის მარტში (ბალახაშვილი: 21-27). 1836 წელს ზაქარია ორბელიანს შეეძინა ვაჟი. «У меня родился сын, коего предполагаю назвать Дмитрием при крещении... Черты лица его очень хороши» - სწერდა გახარებული მამა თავის ძმას გრიგოლს 1836 წლის 15 ოქტომბერს (ბალახაშვილი 1968: 21). მისი პირმშო დიმიტრი გარდაიცვალა ჩვილობაში 1837 წელს.

შემორჩენილია ნ. ბარათაშვილის მშობლების 1844 წლის 15 აპრილის პირადი წერილები ზაქარია ორბელიანისადმი, სადაც ისინი მას უფროსი ქალიშვილის ეკატერინეს ნიშნობასთან დაკავშირებით მზითევისა და ქორწილის მომზადების საქმეში მატერიალურ შემწეობას სთხოვენ (გრიშაშვილი 1957: 491-492). ზაქარია, რომელიც სასიძოს მეგობარი და ამ ქორწინების მოთავეც ყოფილა, მართლაც გულუხვად დახმარებია დის ოჯახს, როგორც ეს ნ. ბარათაშვილის გრიგოლ ორბელიანთან მიწერილი წერილიდან (წერილი XII) ირკვევა.

ზაქარია ორბელიანი გარდაიცვალა 1847 წლის 11 ივნისს ქოლერით დაღესტნის სოფელ ხოჯალმალქში. დაკრძალულია ქაშუეთის ტაძარში. მას დარჩა ერთი ვაჟიშვილი ალექსანდრე (სანდრიკო) (1839-1856).

4. მიხეილ თუმანიშვილი

ნ. ბარათაშვილის III წერილის ადრესატია მიხეილ თუმანიშვილი. მისადმი მიმართვის ფორმა ასეთია: «Милий другъ!»

მიხეილ ბირთველის ძე თუმანიშვილი (ფსევ. ხელთუბნელი, მოლაყბე) (1818-1875), პოეტი, კრიტიკოსი, პუბლიცისტი, მთარგმნელი, თეატრის ისტორიკოსი, საზოგადო მოღვაწე, მეფე გიორგი XII-ის (1846-1800) მდივნის ბირთველის (1760-1836) და ანა მირიმანოვას ვაჟიშვილი, მწერალ ანასტასია თუმანიშვილ-წერეთლისას (1849-1932) და საზოგადო მოღვაწის, პუბლიცისტ გიორგი თუმანიშვილის (1854-1920) მამა, ნ. ბარათაშვილის თანაგიმნაზიელი და გულითადი მეგობარია. მასთან ერთად გიმნაზიაში რედაქტორობდა მოსწავლეთა ხელნაწერ ჟურნალს „თბილისის გიმნაზიის ყვავილი“ («Цветок Тифлисской гимназии») და ხელმძღვანელობდა ლიტერატურულ წრეს. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ მსახურობდა სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებაში, მონაწილეობდა მრავალ საზოგადოებრივ წამოწყებაში. იყო ქართული თეატრისა და ჟურნალის აღორძინებისა და თბილისის კერძო ბიბლიოთეკის დაფუძნების ერთი ინიციატორთაგანი. მის ლექსებს ემჩნევა ქართველ და რუს რომანტიკოსთა გავლენა. ითვლება პუშკინის ნაწარმოებთა („ბაღჩისარაის შადრევანი“, „კ-სადმი“, „ადელს“...) ერთ-ერთ პირველ მთარგმნელად. მიხეილ თუმანიშვილი ადრესატია ილია ჭავჭავაძის პამფლეტების „კიდევ გამოცანები“ ერთი გამოცანისა, რომელშიც ავტორი მას ალექსანდრ გრიბოედოვის კომედიის „ვაი ჭკუისაგან“ პერსონაჟის სახელს - „ქართველ მალჩალინს“ უწოდებს:

„...ჩინოვნიკობაში იგი/თურმე გამოქნილი არი,/ისე როგორც უღლის ქვეშა/ჩვენი გლეხიკაცის ხარი./ეს უსახო და უხამი/ქართული მალჩალინია,/თავი მოჰსწონს მხოლოდ მით, რომ/ ზედიზედ მოსდის ჩინია...“(ჭავჭავაძე 1987: 137).

მიხეილ თუმანიშვილი გატაცებული ყოფილა პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის (1786-1846) ქალიშვილით ეკატერინეთი (1816-1882). 1838 წელს მიხეილმა მას უძღვნა ლექსი „კ. ჭ. ალბომზე“. „მშვიდობით, ალაზნის ველის მეუდაბნოევ! მაუწყე ხოლმე რამე შენი ველის ქალწულისა“ (დედანშია რუსულად - «Прощай, пустынникъ Алазанской долины! Поведай мне что нибуть о деве твоей долины») - ამ სიტყვებით ასრულებს ნ. ბარათაშვილი მიხეილ თუმანიშვილისადმი 1838 წლის 6 აგვისტოს

მიწერილ წერილს. ამ წერილს ადრესატის ხელით მიწერილი აქვს: «10 августа, Цар. Колодцы». როგორც ჩანს, ბარათის მიღების დროს ის კახეთში, ახლანდელ დედოფლისწყაროში (ძვ. რუს. Царские Колодцы, საბჭოთა პერიოდში 1991-მდე წითელწყაროში) ისვენებდა. მეუდაბნოეს კი, ალბათ, უწოდებს იმის გამო, რომ იგი ავტორია ელეგიური, ღრმა ტრაგიზმით გამორჩეული ლექსისა „უდაბნო“ (1838):

„ვის არ გიხილავთ უდაბნო ბნელი,
სად თვალნი მზისა შუქსა ვერ სჭვრეტენ,
სად ვერანადა მოჰსჩანს ყოველი
და ქარიშხალი ხმიანობს ოდენ?
ვის არ გიხილავთ იქა ხე, მწარედ
გულ-ჩამომწვარი ციურის ცეცხლით
და მაღალს კლდეზედ მარტოდ, მწუხარედ
გარდმოკიდული დამჭკნარ შტოებით!
ეს არს, მოყვასნო, გლახ ჩემი ბედი!
მეც ეგრეთ ვიქმენ დღეგანამწარი:
ვერღა მეახლოს ტკბილი იედი,
ვერღა აღყვავდეს მით გული მჭკნარი!“

(ქართული...1978: 152).

ავტორის შენიშვნით ლექსი ჯ. ბაირონის (1788-1824) მიბაძვაა. ზოგიერთი მკვლევარის აზრით კი იგი ა. პუშკინის (1799-1837) «Анчар»-ის უშუალო გავლენითაა დაწერილი. ლექსის განწყობილებას ამსგავსებენ აგრეთვე მ. ლერმონტოვის (1814-1841) უსათაურო ლექსს: «На темной скале, над шумящим Днепром», სადაც ასეთივე დაპირისპირებაა მოცემული განწირული ადამიანის ბედსა და ობლად მდგარ ხეს შორის (ბურჯანაძე 1992: 94).

„შენი ველის ქალწულში“ წერილის ადრესანტი, სავარაუდოდ, ეკატერინე ჭავჭავაძეს გულისხმობს. თავად ნ. ბარათაშვილის ტრფობა ეკატერინესადმი, როგორც ირკვევა, 1838-1839 წლებში დაწყებულა. პოეტის მიერ თავისი სატრფოსადმი მიძღვნილი პირველი ლექსები: „თავადის ჭ(ავჭავა)ძის ასულს ეკ(ატერი)ნას“ და „საყურე“ თარიღდება 1839 წლით. ნიკოლოზისა და ეკატერინეს სასიყვარულო

ისტორია და მისი პერიპეტიები დეტალურად აქვს გამოკვლეული პავლე ინგოროყვას (ინგოროყვა 1969: 70-84).

1840 წელს, ეკატერინე ჭავჭავაძის გათხოვების შემდეგ მიხეილ თუმანიშვილმა ცოლად შეირთო ცნობილი დიპლომატის, ერევნის მელიქისა და ქალაქისთავის, პოლკოვნიკ (1829) მირზა-აბრამ (მირზა-აფრიამა) მირზა-გურგენის ძის ქალიშვილი სოფიო ენიკოლოფაშვილი. მიხეილ თუმანიშვილი მრავალშვილიანი ოჯახის მამა იყო. მისი შვილები ბარბარე (1846-1873), გიორგი (1854-1920), ვასილი (1857-1912) და კონსტანტინე (1859-1921) თუმანიშვილთა გვარის მწიგნობრული ტრადიციების გამგრძელებელნი და საზოგადო მოღვაწეები იყვნენ. დაკრძალეს იგი ავლაბარში, ხოჯავანქის სასაფლაოზე (ვახანია 2012: 563-588).

მიხეილ თუმანიშვილის სახელს უკავშირდება ნ. ბარათაშვილის ესკიზური პორტრეტის არსებობა, რომელიც თავად მას შეუსრულებია და რომელიც მამის არქივში მოიძია მისმა შვილმა გიორგიმ. ეს ესკიზური პორტრეტი პირველად დაიბეჭდა ნ. ბარათაშვილის თხზულებანის 1922 წლის გამოცემაში, რომლის რედაქტორი იყო სამსონ ფირცხალავა. დასახელებულ გამოცემაში ვკითხულობთ: „ამ რამდენისამე წლის წინად განსვენებულმა გ. თუმანიშვილმა თავის მამის მიხეილის ქაღალდებში აღმოაჩინა სქელ საწერ ქაღალდის ნახევარ ფურცელზე ორი სურათი, კარანდაშით დახატული. ერთს უწერია ქვეშ რუსულად Н Б. (...) გ. თუმანიშვილი ფიქრობდა, რომ პირველი უნდა იყოს ნ. ბარათაშვილი (...) ამასთანავე ამბობდა: მამაჩემმა საკმაოდ კარგად იცოდა ხატვა და ნაპოვნ ესკიზში ალბად დაცულია საერთო მოხაზულობა ნ. ბარათაშვილის სახისაო“ (ბარათაშვილი 1993: 294). პ. ინგოროყვას აზრით, მისივე სიტყვები რომ გავიმეოროთ, „ამ სურათის დოკუმენტალობა ვერ ჩაითვლება დამტკიცებულად. ბევრი რამ საცილობელია ფანქრით შესრულებულ ამ დილეტანტურ ესკიზში“ (ინგოროყვა 1969:12). „თუმანიშვილისეული სურათი“ ჯერ კიდევ 70–იანი წლების ბოლოს ხელთ ჰქონ ია ილია ჭავჭავაძეს. ჩანახატს გაუვლია ავტორიტეტული ექსპერტიზა და მისთვის არ მიუციათ ვიზა დასაბეჭდად. მიუხედავად ამისა, თუმანიშვილისეულ ჩანახატს ნ. ბარათაშვილის სახის აღდგენის საქმეში მაინც განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, რადგან პოეტის დას ბარბარეს ამ ესკიზში თავისი ძმა უცვნია და გარკვეული

შენიშვნებიც გამოუთქვამს. ეს ჩანახატი, რომლის დედანი მისი პირველად გამოქვეყნების დროისთვის მიხეილ თუმანიშვილის ქალიშვილს ანასტასია თუმანიშვილ-წერეთლისას ეკუთვნოდა, ამჟამად საქართველოს სახელმწიფო მუზეუმშია დაცული (თაქთაქიშვილი 2005: 241,273).

5. ბარბარე საგინაშვილი

ბარბარე საგინაშვილი ნიკოლოზ ბარათაშვილის XVII წერილის ადრესატია. მისადმი მიმართვის ფორმა ასეთია: „საყვარელო დაო ბაბალე!“ იხსენიება აგრეთვე წერილში XVIII („ბაბალესი“).

ბარბარე საგინაშვილი, ქალიშვილობაში ორბელიანი, ნ. ბარათაშვილის დედის ბიძაშვილია. **ბარბარე (ბაბალე) სამარაგდონის ასული ორბელიანი** (1825-1870) (ტაბ. 2.9) და პოეტის დედა ეფემია ძმების – სამარაგდონ (1786-1838) და ზურაბ (დიმიტრი) (1766-1827) ორბელიანების ქალიშვილები არიან. ბარბარეს მამა იყო პრაპორშჩიკი, ბამბახის დისტანციის მთავარი პრისტავი, რომელმაც პირველად 1820 წელს თავად ყორხმაზ მელიქიშვილის დაზე იქორწინა. ბარბარეს დედა - ელისაბედ სოლომონის ასული ავალიშვილი (1798-1856) მისი მეორე მეუღლეა (ჩიქოვანი, 2012: 6).

ბარბარეს ოჯახი ცხოვრობდა თბილისში, მტკვრის პირას, ორბელიანთუბანში, ე. წ. „ორბელიანთ აულში“, ორბელიანის ქუჩის #12-ში მდებარე სახლში, რომელიც სამარაგდონს აუშენებია. იგი შეძლებული თავადი იყო და ბევრგან ჰქონდა ქონება, მათ შორის სოფელ კოდაში (მოზდოკელი 1993: 4).

ბარბარე ორბელიანით გატაცებული ყოფილა პოეტი და დრამატურგი გიორგი ერისთავი (1813-1864), რომელმაც მას უძღვნა თბილისში 1839 წლის 1 მაისს დაწერილი ლექსი „კ. ბაბ. ორბე[ლ]“ და კომედია-პოემა „შეშლილი“ (პირველი რედაქცია 1939) (ერისთავი, 1966: 34 50, 470-471). აღნიშნული პოემის ხელნაწერის ბოლოს ვკითხულობთ: „ეს თუ იკითხო, სამარაღდოს ყაფლანის შვილის ქალზედ გახლავსთ გამოთქმული, როსტომ ერისთვის შვილის ძმისა,

ბეგლარისაგან, თვითონ ჰყვარებია და დანიშნულიც ჰყოლია“ (კოტეტიშვილი, 1959: 188).

დასახელებულ ლექსში პოეტი გულცივობასა და უსიყვარულობას საყვედურობს ქალს:

„შენ ვერა მიხვდი მომღერლის გულსა
და მისსა სულსა აღმაღლებულსა;
შენში არ არის ციურის ტრფობის
ნაბერწკალიცა მცირედის გრძნობის!
ვცანი, არა ხარ დაბადებული
ღვთიურის ნიჭით განშვენებული,
რომლის ბუნება ქალს განაბრწყინებს
და მის ცხოვრებას დააგვირგვინებს.
ვაი მას ჭაბუკს გამოუცდელსა,
ვინცა მიიღებს შენს ცივსა ხელსა!
ნაცვლად ტრფობისა რა ხვდეს მას წილად?
ვინ სიყვარულსა ჰრაცხავ სიცილად.
ვნახამ მალიად, თუ ვარ ცოცხალი,
ვითა ოქროთი განგიძღეს თვალი.
ქალი თუ არ ჰგრძნობს ტრფიალებასა,
მაში რას ვპოებთ სხვა ღირსებასა?
იქნებ, ჩემებრივ სხვაც შეაცდინო,
კავშირით მყარით დაიგვირგვინო,
მაგრამ გრწმენოდეს, თვით შენ შესცდები,
უსიყვარულიდ ვერ აღმაღლდები“ (ერისთავი 1966: 34).

ბარათაშვილ-ორბელიანებთან ბარბარესა და მისი ოჯახის ახლო მეგობრული ურთიერთობის შესახებ უხვ მასალას გვაძლევს თანადროული მემუარული და ეპისტოლური მემკვიდრეობა.

როგორც ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილის ტექსტიდან ჩანს, პოეტი მეგობრობდა ნათესავ ქალთან და საკმაოდ შეხუმრებულიც ყოფილა მასთან.

„საყვარელო დაო ბაბალე! შენ თვითონ მწერ, რომ ახლა ჩამოხველ ბორჯომიდან და არ ვიცი, ვისთან მამეწერა აქამდისინ წიგნი. ნუ ხარ ავყია, სულ მაგას გიშლი და არ იქნა, ვერ დაგაშლევინე. აბა, ვისთვის მომიწერია წიგნი, რაც წამოვსულვარ? თქვენმა მზემ, თქვენ რომ ნათესავები მყევხართ! განა არა, მოგაგონდებით! მე მაგისთანა მოკლე წიგნებისა არა ვიცი რა: თუ მწერ, რაც იცი და არ იცი, სულ მამწერე. ხომ იცი, აქ ძნელად შევიტყობ მანდაურს ჭორებს. თუმცა შენ ჭორი არ გიყვარს, მაგრამ ჩემის გულისთვის, ვიცი, რომ გაიგონებ განგებ და მასიამოვნებ ამ უდაბურს ადგილს“ (ბარათაშვილი, 2015: 225).

სწორედ ბარბარეს ოჯახში იხილა ნ. ბარათაშვილმა ერთხელ თავისი სატრფო ეკატერინე ჭავჭავაძე და მისი საყურის რხევით მოხიბლულმა იმავე საღამოს დაწერა ლექსი „საყურე“. „ბარათაშვილი იყო თურმე მიწვეული საგინაშვილის სიდედრთან (იგულისხმება ბარბარეს დედა ელისაბედი - მ. ც.) და იქიდან შემოვარდა ყაფლან ორბელიანთან, სადაც დაუხვდა იმას ლევან მელიქიშვილი. – „ლევან, ლევან, გავგიჟდი! მეტი აღარა ვარ! ეკატერინა იქ არის და მისმა საყურეს თამაშმა გადამრია. ღვთის განაჩენი კაცი ვერ ნახავს ვერაფერს უკეთესს“ (მეუნარგია 2010: 352) .

ბარბარე მაშინდელი დროისათვის განათლებული მანდილოსანი ყოფილა, საუბრობდა რუსულ და ფრანგულ ენებზე. ცნობილია, რომ გრ. ორბელიანმა ბარბარეს ათხოვა ნიკოლოზ ბარათაშვილის მიერ თარგმნილი ი. ლაიზევიცის „იულიუს ტარენტელის“ ხელნაწერი, რომელიც, სამწუხაროდ, მისი გარდაცვალების შემდეგ ვეღარ იპოვეს.

ბარბარე ყოფილა არც თუ ლამაზი, შავგვრემანი ქალი. „ჩემს საყუარელს, საკუთარს დას ბაბალეს სიყუარულით მოვიკითხავ, და ჩავკოცნი შავგვრემანს შუბლზედ...“ - ასე იხსენიებდა მას გრ. ორბელიანი თემირხანშურადან გამოგზავნილ 1854 წლის 22 ოქტომბრის წერილში (XIX-XX საუკუნეების.. 2014: 139).

ბარბარე ორბელიანის ფერწერული პორტრეტი შესრულებული აქვს მხატვარ პ. პ. კოლჩინს (1838-1890).

ბარბარე ორბელიანი, დედამისი და მისი მეუღლე ალექსანდრე დიდი სიყვარულით იხსენიებიან გრ. ორბელიანის პირად წერილებსა და მოკითხვის ბარათებში. მათ ერთმანეთში ხშირი მიმოსვლა და მიმოწერა ჰქონიათ. თავად

ბარბარეც მისი ბევრი წერილის ადრესატია. სანიმუშოდ მოვიხმობთ რამდენიმე ამონარიდს:

„ჩემო საყვარელო დაო ბარბარე! ამ ერთს კვირაზედ მომიხდება წასვლა დაღესტნისაკენ და ვინ იცის, როდისღა მეღირსევა ხილვა შენი. – ვინძლო, ჩემო ბაბალე, არ დამივიწყო და ხშირად შენის წერილით და შენის ამბითა გამახარებდე. – ალექსანდრემ (იგულისხმება ალექსანდრე საგინაშვილი, ბარბარეს მეუღლე - მ. ც.) ასეთი ვალი დასდვა ჩვენს ოჯახზედ, რომ ამის სამაგიეროს ღთ~ი გადაუხდის. – ძალუა ელისაბედ სიყვარულით მომიკითხე.

შენი ძმა გრიგოლ ორბელიანი“ (XIX-XX საუკუნეების... 2014: 84).

„შენი წერილი, ყვედრებით სავსე, მომივიდა. ხომ იცი მიყუარხარ გულით, სულით; მაშა რაღათ მყვედრი, რომ ხანდახან ვერა გწერ ისე ხშირად, როგორც მინდა მე, ანუ როგორც გჰსურს შენ? – შენ გენაცუალნენ ყოველნი ბარბარები... სხუანი კიდევ, სოფიებიცა, ტასოებიცა... შენ თავს შემოგევლნენ; შენმა ციებ-ცხელებამ ისინი აცხელ-აკანკალოს! – სხუა რაღა გინდა? -... ძალუა, ჩემი საკუთარი ძალუა ელისაბედ, და ჩემი საყუარელი ალექსანდრე გულით, სულით მომიკითხე. -

შენი ერთგული ძმა გრიგოლ ორბელიანი“ (XIX-XX საუკუნეების... 014: 194-195).

ბარბარეს გარდაცვალების შემდეგ მთელი მისი ქონება დარჩა მის ქვრივს ალექსანდრე საგინაშვილს, რომელსაც იგი 1840 წლის 11 თებერვალს გაჰყვა ცოლად.

6. ალექსანდრე საგინაშვილი

ალექსანდრე საგინაშვილი ნ. ბარათაშვილის XVIII წერილის ადრესატია. მისადმი მიმართვის ფორმა ასეთია: „ძმაო ალექსანდრე!“ .

გეორგიევსკის ტრაქტატის დანართით „საგინაშვილები იყვნენ კახეთის თავადები და ქართლის სახასო აზნაურები. იოანე ბაგრატიონი თავად საგინაშვილებზე წერს: „ამათნი შთამამავლობანი არიან სპარსთ საგად წოდებულისა, რომელიც საგ მთავარი დაადგინა ხალილ არაბმან ამირად წოდებულმა. ესე საგ დაადგინა ტფილისსა შინა გამგედ წელსა ქრისტეს აქეთ

787-სა დროსა აშოტ მეფისასა და მერე ამ საგის დაშთომილნი შთამამავალობანი იწოდნენ საგინა შვილად თავადად მეფეთაგან და არიან ორად: 1. სომხითსა შინა მოსახლენი, 2. კახეთსა შინა“ (ბატონიშვილი 1997: 44). რაც შეეხება აზნაურ საგინაშვილებს, „აზნაური საგინაშვილები არიან მონათესავენი თავადის საგინაშვილისა, ვითარცა ზემორე აღვწერეთ გვარი მისი და ესენიცა ესახლნენ სიმხითსა ნაწილსა შინა და იწოდებიან აზნაურად ძველადვე“ (ბატონიშვილი 1997: 49).

თავდაპირველად საგინაშვილები ბარათაშვილთა აზნაურები ყოფილან. პირველად ისინი მოხსენიებულნი არიან 1523 წლით დათარიღებულ დავით X-ის განჩინებაში ბარათაშვილთა გაყრის საქმეზე. 1721 წლის აღწერით საგინაშვილები ყმა-მამულს ფლობდნენ ქვემო ქართლის სოფლებში: ბოგვი, ხოპისი, წრია, აბულბაგი, ჩხიკვთა, მაწევანი, არდისუბანი. 1850 წლის ნუსხაში აზნაურ საგინაშვილების გვარის მხოლოდ ერთი ოჯახი იყო შეყვანილი.

ალექსანდრე დიმიტრის ძე საგინაშვილი (1810-1887) (ტაბ. 1, 24) აზნაურია, მელიტონ ბარათაშვილის (1795-1860) დის მარიამის (მაია, მაშო) (?-1844 წლის შემდეგ) შვილი, გენერალ-ლეიტენანტი, რუსეთის იმპერიის ომების მონაწილე, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დამფუძნებელი წევრი, ნ. ბარათაშვილის მამიდაშვილი. დაამთავრა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი. 1829 წლიდან ოფიცერია, 1847 წლიდან - მაიორი, 1853 წლიდან - პოდპოლკოვნიკი, 1860 წლიდან - პოლკოვნიკი. 1844-1850 წლებში მსახურობდა გენერალურ შტაბში, ტოპოგრაფების კორპუსში. 1860 წლიდან იყო ამიერკავკასიის მხარის ადგილობრივი ჯარების უფროსი. 1873 წლიდან ჯარების უფროსის მოადგილეა თბილისის, ელიზავეტპოლის, ბაქოსა და ერევნის გუბერნიებში.P1869 წლის 30 აგვისტოს მიენიჭა გენერალ-მაიორის ჩინი, 1877 წლიდან გენერალ-ლეიტენანტია. მიღებული ჰქონდა მრავალი სამხედრო ჯილდო: პირველად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1840 წლის 11 თებერვალს, იქორწინა ნ. ბარათაშვილის ნათესავზე, პოეტის დედის ბიძაშვილზე ბარბარე სამარაგდონის ასულ ორბელიანზე (1825-1870), ხოლო დაქვრივების შემდეგ 1872 წლის 20 თებერვალს _ ელისაბედ

(ლიზა) გრიგოლის ასულ ჭავჭავაძეზე (1840-1925), ილია ჭავჭავაძის დაზე. შვილი არ დარჩენია (ჩიქოვანი 2012:7, ჩიქოვანი 2002:34).

მოგვყავს ჩვენს მიერ ახალმოძიებული ბიოგრაფიული ცნობები ალექსანდრე საგინაშვილსა და მის შთამომავლებზე. ალექსანდრე საგინაშვილს ჰყავდა ძმები გიორგი, ბესარიონი, მიხეილი, ვასილი და ივანე და და ქეთევანი. მისი ძმა გიორგი და და ქეთევანი ნ. ბარათაშვილის წერილებში იხსენიებიან (იხ. თავი I-ის მე-3 ქვეთავი).

უშვილო ალექსანდრე საგინაშვილმა იშვილა თავისი ძმისშვილი, შემდგომში გენერალ-მაიორი, თბილისის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლი ივანე ბესარიონის ძე საგინაშვილი (1825-1909). ივანე საგინაშვილი მრავალი ორდენის - მათ შორის წმ. ვლადიმერის მე-3 და მე-4 თანრიგის, წმ. ანას მე-2 ხარისხის და წმ. სტანისლავის 1-ლი თანრიგის ორდენების კავალერია. გადადგომის შემდეგ 1897-1903 წლებში იყო თბილისის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლი. იქორწინა ეკატერინე რევაზის ასულ ვაჩნაძეზე (?-1876). ჰყავდა ოთხი შვილი, მათ შორის ნიკოლოზი (1876-1915). ნიკოლოზმა 1895 წელს დაამთავრა თბილისის კადეტთა კორპუსი, შემდეგ იყო კამერ-იუნკერი, თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლი. დაქორწინებული იყო თავისსავე მოგვარეზე, აზნაურ ნინო ალექსანდრეს ასულ საგინაშვილზე (Думин С... 1998: 198). მათ ჰყავდათ ორი ვაჟიშვილი: ალექსანდრე (სანდრო) (1904-1976), ცნობილი იურისტი, საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის წევრი და ივანე (1907-1932). ალექსანდრეს ქალიშვილია ქალბატონი ნინო საგინაშვილი (დაბ.1937), ფიზიკოსი. მისი შვილები არიან: ცნობილი ნევროლოგი, პროფესორი ალექსანდრე (სანდრო) (დაბ. 1964) და აღმოსავლეთმცოდნე ირინე (დაბ. 1968) ცისკარიძეები (ლომიძე 2011).

ალექსანდრე საგინაშვილის ოჯახში დაცული იყო ნ. ბარათაშვილის წერილები, რომლებიც მისმა მეორე მეუღლემ, ი. ჭავჭავაძის დამ შესწირა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას. ასევე გრ. ორბელიანის რამდენიმე წერილი. ალექსანდრე საგინაშვილის ფერწერული პორტრეტი შესრულებული აქვს მხატვარ იოჰანსონს.

აღსანიშნავია, რომ შემორჩენილია ალექსანდრე საგინაშვილის მცირე საგულისხმო მოგონება ნ. ბარათაშვილის მამაზე:

„მელიტონი, ტატოს მამა, ტფილისში მაზრის მარშლად იყო, აგრეთვე გუბერნიის წინამძღოლადაც. ფართოდ გაშლილი ოჯახი ჰქონდა. მისი სუფრა მუდამ დატვირთული იყო და მთელს ტფილისში ნაქები სიუხვით. მაგრამ მალე სიღარიბეში ჩავარდა. ტატოს მამის მიერ აღებული ვალი ბევრჯერ გადაუხდია“ (ცაიშვილი 1940: 386).

შემორჩენილია აგრეთვე ალექსანდრე საგინაშვილისა და გრ. ორბელიანის ერთი მცირე მიმოწერის ავტოგრაფი, რომელიც ინახება ზემოხსენებული ქალბატონის ნინო საგინაშვილის საოჯახო არქივში. იგი წარმოადგენს ალექსანდრე საგინაშვილის წერილობით თხოვნას გრ. ორბელიანისადმი და მასზე გრ. ორბელიანის პასუხს. ალექსანდრე საგინაშვილის სამოქალაქო სამსახურში მოწყობას სთხოვს წერილის ადრესატს. ქალბატონი ნინოს ნებართვით აღნიშნული მიმოწერა გამოვაქვეყნეთ და ჩავრთეთ სამეცნიერო მიმოქცევაში (ცერცვაძე 2017: 62-72).

ალექსანდრე საგინაშვილმა მარტო ორსართულიანი სახლი უანდერძა თავის მეუღლეს ელისაბედ (ლიზა) ჭავჭავაძეს, დანარჩენი ქონება კი დარჩა მის ნაშვილებ ძმისწულს ივანე ბესარიონის ძე საგინაშვილს. მემკვიდრეებს შორის ამტყდარა დავა. ბოლოს ელისაბედს უარი განუცხადებია ნაანდერძევ სახლზე და საგინაშვილებისაგან მიუღია საქვრივო 40 000 მანეთი. ამ თანხით ილია ჭავჭავაძემ უყიდა მას სახლი ნიკოლოზის ქუჩაზე, სადაც მეუღლესა და დასთან ერთად ის თავადაც ცხოვრობდა 1889-1901 წლებში. ამავე სახლში მოთავსებული იყო გაზეთ „ივერიის“ რედაქცია და სტამბა (მოზდოკელი 1993: 4).

შემორჩენილია ი. ჭავჭავაძის წერილები დისა და სიძისადმი, რომლებშიც მათი გულითადი ნათესაური ურთიერთდამოკიდებულების ამსახველ ეპიზოდებსა და ცნობებს ვხვდებით. სამაგალითოდ მოვიყვანთ რამდენიმე ფრაგმენტს:

„ბატონო ალექსანდრე დიმიტრიჩ!

მინისტრმა ხვალ ათს საათზედ დაგვინიშნა დეპუტაციის მიღება. ცხრა საათზედ სრულის ფორმით მობძანდით ლონდონის გასტინიცაში ნიკო

ჭავჭავაძესთან და იქიდამ ყველანი ერთად წავალთ. იმედი გვაქვს, არ დაიზარებთ და მობძანდებით...

თქვენი მარად ერთგული ილია ჭავჭავაძე 3 ოკტომბერი“ (ჭავჭავაძე 2010:198)

„ლიზო, ხვალ დილის თერთმეტს საათზედ გრიგოლ ორბელიანთან შეიყრებიან ლევან მელიქოვი, გიორგი ერისთავი – ატამანი, ივანე მუხრანსკი და ბევრნი სხვანი ერთის დიდის საქმის თაობაზედ. დღეს ამ საქმის დამწყობი ჩემთან შემოვიდა და მთხოვა, რომ სიძე ალექსანდრეს ვჰსთხოვო, რომ უსათუოდ ისიც დაესწრას და მიბძანდეს დანიშნულ საათს გრიგოლ ორბელიანთან. სიძეს ჰსთხოვე ჩემმაგიერათაც, რომ არ დაიზაროს და უსათუოდ წაბძანდეს...

შენი ერთგული ძმა ილია ჭავჭავაძე“ (ჭავჭავაძე 2010:198).

ალექსანდრე საგინაშვილი დაკრძალეს სოფელ კოდაში მის მიერვე აშენებულ ეკლესიაში. ეკლესიის კედელზე წარწერაა: „იმპერატორის ალექსანდრეს II სახელზე აღვაშენე ეკლესია ესე საკუთარი სახსრებითა საგებელთა ჩემით სახელსა ზედა ალექსანდრე ნეველისა დიდის რუსეთის იმპერატორის გენერალ მაიორმა ალექსანდრე დიმიტრის ძე საგინაშვილმან სადღეგრძელოდ ჩემდა მეუღლისა ჩემისა ელ. ჭავჭავაძის ასულის და შესანდობლად პირველისა მეუღლისა ვარვარა სამარაგდონ ორბელიანის ასულისა და მშობელთა ჩემთა. სრულ ქმნა სექტემბრისა სოფელი კოდა. 1878 წ. Церковь сия построен собственным иждивением ген. Майора Алекс. Сагиновым 1878 г. Ныне гененр. лейт. 1879“. წარწერის ტექსტი ჩაიწერა ქალბატონმა ნინო საგინაშვილმა. მის საოჯახო კოლექციაში ინახება ალექსანდრე და ბარბარე საგინაშვილის ჩვენს მიერ ზემოთნახსენები ფერწერული პორტრეტები (ლომიძე, 2011: 12).

თავი III.

ნიკოლოზ ბარათაშვილის პირად წერილებში მოხსენიებულ პირთა იდენტიფიკაციის საკითხები

1. ნ. ბარათაშვილის თანაგიმნაზიელი და სხვა მეგობრები

ნიკოლოზ ბარათაშვილის გიმნაზიელ მეგობართაგან მის პირად წერილებში ვხვდებით **მიხეილ თუმანიშვილს, ლევან მელიქიშვილს, დიმიტრი ყიფიანს, გარსევან ვარლამოვს, იასე ანდრონიკაშვილს და მიხეილ ორბელიანს.**

მიხეილ თუმანიშვილი, როგორც აღვნიშნეთ, ბარათაშვილის ერთი წერილის ადრესატია. მისი ბიოგრაფია და რომანტიკოს პოეტთან ურთიერთდამოკიდებულების საკითხები უკვე განვიხილეთ სადისერტაციო ნაშრომის წერილების ადრესატებისადმი მიძღვნილ II თავში. დიმიტრი ყიფიანს, როგორც 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთ მონაწილეს, ყურადღებას დავუთმობთ დისერატაციის V თავის შეთქმულებისადმი მიძღვნილ ქვეთავში.

წერილებში მოხსენიებულნი არიან აგრეთვე ნიკოლოზ ბარათაშვილის სხვა მეგობრებიც - **ივანე ორბელიანი, მამუკა ორბელიანი, გიორგი ერისთავი** (უკანასკნელ ორს, როგორც 1832 წლის შეთქმულების მონაწილეთ, ასევე შევეხებით დისერატაციის შესაბამის თავში), **დიმიტრი ჯორჯაძე.**

ლევან მელიქიშვილი (წერილები IX („ჩვენი ლევან“), XI („ლევან“), XIV („უფალმა ნაჩალნიკმა“), XV(„ლევანიც“)).

ექვთიმე თაყაიშვილის ცნობით „მელიქიშვილის გვარი ორი იყო საქართველოში. ერთი საქართველოს სომხითის ხელისუფალის მელიქისაგან იყო წარმომდგარი. ამ გვარის წევრები თავადები იყვნენ. მეორე სამცხიდან იყო, ქართველი კათოლიკების გვარი იყო“ (თაყაიშვილი 1991: 7).

იოანე ბატონიშვილი ასე გადმოგვცემს პირველი გვარის მელიქიშვილთა წინაპრების ისტორიას: „ესენი პირველ იყვნენ სომეხნი ლორის მელიქთა ნათესავთაგანი აზნაურნი და ოდეს მოვიდა შააბაზ ყაენი ერევანს მხედრობითა დიდითა და მუნ იხილა მეფე გიორგი ქართველთა და ალექსანდრე მეფე კახთა და

ბრძვეს ოსმალთა ერევანს და აღიღეს ციხე ერევნისა და განდევნეს ოსმალნი. შემდგომად შააბაზმან გამოართო მეფეთა ლორე თვისთა ხეობითა და დაადგინნა ხედრობანი თვისნი, მაშინ მუნებური მელიქი მივიდა წინაშე შააბაზისა და მიიღო მამადიანობა, რომლისთვის ჯილდოდ შააბაზმა გაათავადა და მისცა გვარად მელიქობაი და მამული ლორის ხეობასა შინა სახასოთაგან მეფისა წელსა ქრისტეს ასეთ 1601. და მუნიდგან იწოდებიან თავადად მელიქის შვილებად" (ბატონიშვილი 1997: 34)

მათი სამშობლო – სომხითი, ქვემო ქართლის უკიდურეს სამხრეთ ნაწილში მდებარეობს. „სომხითი" ქართულ ენაში თავდაპირველად ნიშნავდა ადგილს, სადაც სომხები ცხოვრობენ, თუმცა ეს ტერმინი ხშირად იხმარება ქართლის სამეფოს ერთ-ერთ რეგიონთან მიმართებაში, რომელიც XV-XIX საუკუნეებში ქვემო ქართლის ერთ-ერთ მხარეს შეადგენდა. სომხითის მმართველი ოჯახის წევრები, რომლებიც მელიქის წოდებას ატარებდნენ, XVII საუკუნეში მირიმანიძეებად იწოდებოდნენ. ისინი, მართალია, ეთნიკურად სომხები იყვნენ, მაგრამ ქართლის სამეფო კარზე წარმოადგენდნენ ერთ-ერთ დიდებულ ოჯახს. ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნში XVIII საუკუნის დასაწყისში მირიმანიძეები დიდებულ თავადთა შორის არიან. რუსეთის იმპერიამ სცნო ამ საგვარეულოს თავადური წარმომავლობა. ისინი მელიქიშვილებად იხსენიებიან.

რუსეთის არმიის კავალერიის გენერალი, გენერალ-ადიუტანტი **ლევან ივანეს ძე მელიქიშვილი** (1817-1892) მელიქიშვილთა ამ სომხური წარმომავლობის ქართული სათავადო სახლის წარმომადგენელია. იგი პრაპორშჩიკ ივანე (ნინია) მელიქიშვილის (?-1830) და მართა (მაია) ამილბარის ასულ მაღალაშვილის (1796-?) ვაჟია (Думин С... 1998: 174). ნ. ბარათაშვილთან ერთად სწავლობდა თბილისის გიმნაზიაში და იყო მისი ახლო მეგობარი. მან სამხედრო სამსახური დაიწყო პრაპორშჩიკის ჩინით 1835 წელს. 1837-1869 წლებში მონაწილეობდა ექსპედიციებში კავკასიელ მთიელთა წინააღმდეგ. 1844 წელს მსახურობდა ნახჭევანის მაზრის უფროსად და მოადგილედ თან ჰყავდა წაყვანილი ნ. ბარათაშვილი. 1844 წელს მეთაურობდა ცალკე ცხენოსან მილიციას. 1945 წელს დაინიშნა იმერული მილიციის თბილისის ქვეითთა დრუჟინის მეთაურად. 1849 წელს სათავეში ჩაუდგა 1-ლ ქართულ ქვეითთა პოლკს. იმავე წელს

მიიღო გენერლის წოდება. 1854 წელს მისი სარდლობით აიღეს ღუნიბის ციხე, რისთვისაც გენერალ-ლეიტენანტის ჩინი მიეკუთვნა. 1863 წელს მიენიჭა კავალერიის გენერლის წოდება. 1877 წელს დაინიშნა დაღესტნის ოლქის უფროსად და ოლქის ჯარების სარდლად, 1880 წელს – კავკასიის არმიის ჯარების მთავარსარდლის მოადგილედ და დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის არყოფნის დროს ასრულებდა მის მოვალეობებს. ამ თანამდებობაზე დაჰყო სიცოცხლის ბოლომდე. 1882 წლის 1 იანვარს დაინიშნა სახელმწიფო საბჭოს წევრად. მიღებული ჰქონდა მრავალი სამთავრობო ჯილდო. ლევან მელიქიშვილი გარდაიცვალა 1892 წლის 23 თებერვალს თბილისში. დაკრძალულია მთაწმინდაზე, მამადავითის ეკლესიაში.

რუსეთისათვის ლევან მელიქიშვილი კავკასიური ომების თვალსაჩინო ფიგურა და „კავკასიის სკოლის ერთი უწარჩინებულესი გენერალია“, როგორც მას სამხედრო ენციკლოპედიაში უწოდეს. მას მიიჩნევდნენ დახელოვნებულ დიპლომატადაც, რომელმაც ბევრი გააკეთა მშვიდობიანი გზით ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა რუსეთისადმი დამორჩილებისათვის. „თავადმა ბარიატინსკიმ გენერალ მელიქიშვილში დაინახა ისეთი პიროვნება, რომელიც პირველ რიგში შეეცდება მშვიდობიანი გზით წესრიგის დამყარებას და გენერალი მელიქიშვილი მთავარსარდლის იდეით თავს არიდებდა სისხლის ღვრას, სადაც იყო ამისი საშუალება, ზოგავდა ჯარისკაცის სისხლს“ (журнал «Кавказский сборник» 1880: 289).

გაზეთ „ივერიის“ 1892 წლის 28 თებერვლის #44-ში დაბეჭდილია ლევან მელიქიშვილის დაკრძალვის ცერემონიალის ამსახველი ვრცელი რეპორტაჟი. იგი თვალსაჩინოდ წარმოაჩენს იმ უდიდეს პატივს, რასაც მას რუსეთის იმპერია მიაგებდა:

„გუშინ, 27 თებერვალს, დაასაფლავეს განსვენებული სახელმწიფოს საბჭოს წევრი, გენერალ-ადიუტანტი თავ. ლევან ივანეს ძე მელიქიშვილი. ჯერ გუშინ-წინვე, 26 თებერვალს, საღამოზედ განსვენებულის სადგომში თავი მოიყარეს დეპუტაციებმა და დაფნის გვირგვინით შეამკეს კუბო: ტფილისის თავად-აზნაურობისამ, ქ. ტფილისისამ, ქ. ქუთაისისამ, ქ. ბაქოსამ, დაღისტნისამ, გორისამ, თემირ-ხან-შურისამ და სხ. განსვენებულის მეუღლეს მიუსამძიმრეს თ. არსენ ბებუთაშვილმა თემირ-ხან-შურის თანამოსამსახურეთაგან, ტფილისის გუბერნიის თავად აზნაურის

წინამძღოლმა, ტფილისის ქალაქის თავმა, ბაქოსა, ქუთაისისა, გორისა და სხ. ქალაქის წარმომადგენელთ. ჭირისუფალი, განსვენებულის ქვრივი, კნ. ალექსანდრა მაკარის ასული, სულ ყველას პასუხს აძლევდა. მეორე დღეს დილის რვა საათზედვე დაიწყეს თავის მოყრა ნათესავებმა და ნაცნობებმა. 9 საათზედ მობრძანდა დიდი მთავარი ნიკოლოოზ მიხეილის ძე, სამღვდელოება, მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა საქართველოს ექსარხოსი პალლადი, ეპისკოპოსები ალექსანდრე და ბესარიონი. იქვე გადაიხადეს პანაშვიდი და შემდეგ პროცესია დაიძრა. კუბო სახლითგან ხელით მიჰქონდათ. ერთს მხარეს კუბო თვით დიდს მთავარს ეჭირა. პროცესია სწორედ იმ წესით მოდიოდა, როგორც ჩვენა გვქონდა გუშინწინვე გაზეთში გაცხადებული. დიდ-ძალი ხალხი დაესწრო დასაფლავებას, ასე რომ პროცესია თითქმის ვერს ნახევარზედ იყო გაჭიმული. წინ მიდიოდნენ ჟანდარმები, მერე ამქარი ოც-და-ექვის დროშით და სამღვდელოება და მათ უკან განსვენებულის პატივსაცემლად მოსულნი სომეხთა სამღვდლოებანი არქიმანდრიტი ამზასპი და სამი წევრი კონსისტორიისა. მას გარდა ქვაშუეთის ეკკლესიაშივე დახვდნენ შიიტისა და სუნიტის მოძღვრების სამღვდელოება. სამღვდელოების შემდეგ ცხედარი მოსდევდა და უკან მოჰყვებოდნენ განსვენებულის ქალიშვილნი, ვაჟიშვილნი, რძალი და ნათესავები. შემდეგ ამფოანი მოდიოდა, გვირგვინებით შემკული. ამფოანს განსვენებულის ცხენი მოსდევდა, სამგლოვიარო ყაჯარ-გადაფარებული. სულ გვირგვინი ოც-და-ხუთამდე იყო, მათ შორის ორი ვერცხლისა, ქ. ტფილისისა და ქართლ-კახეთის თავად-აზნაურთაგან, და ორიც მძივისა, იმერეთის თავად-აზნაურთაგან და ბაქოს ქალაქისაგან. მოვიხსენიებთ ზოგიერთს, უფრო შესანიშნავს გვირგვინებს: „ღირსეულს უფროსს დაღესტნელ ხელქვეითთაგან“. „სახელი თქვენი არ მოკვდება, ვიდრე ცოცხალია კუმუხის ერი“. „წერა-კითხვის საზოგადოებისაგან“. „ებრაელთა საზოგადოებისაგან კაცთ-მოყვარე თ. ლ. ი. მელიქიშვილს“. „დაუვიწყარს უფროსსა და მასწავლებელს ი.ს. ჭავჭავაძისაგან“. „დაუვიწყარს თ. მელიქიშვილს. დიმიტრი სიმონის ძეს სტაროსელსკის ქვრივისა და შვილებისაგან“. „კავკასიის საიმპერატორო საგეოგრაფიო საზოგადოებისაგან. უხუცეს წევრს 1860 წლიდგან და თავჯდომარეს 1880-83 წწ. საუკუნოდ იყოს ხსენება შენი“. ეკლესიაში წირვა გადაუხადეს და ანდერძი აუგეს ექსარხოსმა და ეპისკოპოსებმა. სამღვდელოებისაგან სულ დაესწრო. ამათ გარდა, კიდევ ოთხი არხიმანდრიტი და

ოც-და-ხუთამდე მღვდელი. ჰგალობდა ორი ხორო - ხორო ექსარხოსისა და სასახლისა. ორი ხორო სამხედრო მუსიკა უკრავდა. დასაფლავებას დაესწრნენ დიდი მთავარი, მთავარ-მართებლის თანაშემწე გენ. ტატიშჩევი, გუბერნატორი და მთელი გენერალიტეტი. თვით მთავარ-მმართებელი გენერალ ადიუტანტი ს.ა. შერემეტოვი ვერ დაესწრო ავადმყოფობის გამო.

საათის ორის ნახევარზედ პროცესია გაემგზავრა მამა-დავითის ეკკლესიისაკენ, სადაც უნდა მიებარებინათ მიწისათვის განსვენებულის გვამი. სასახლის წინ გამწკრივებულნი იდგნენ კლასიკურ გიმნაზიის მოწაფენი თოფებითა და მუსიკის ხოროთი. გიმნაზიის მუსიკის ხორომ სამგლოვიარო მარში დაუკრა. ასევე იდგნენ გამწკრივებულნი ლაბორატორიის ქუჩაზედ სათავადაზნაურო სასწავლებლის მოწაფენი თოფებით. განსვენებულს სასახლის ქუჩაზედ „შეგვიწყალენი“ უთხრეს და ექსარხოსი საქართვლოსი აღარ გაჰყოლია. დანარჩენნი ყველანი ჯარითურთ უკან გაჰყვნენ. ასე იარეს მამა-დავითის ეკკლესიამდე. მთელი ქუჩები, ბალკონები, ფანჯრები და მთაწმინდის გორა ხალხით სავსე იყო. პროცესიამ მიაღწია მამა-დავითის ეკკლესიას. სამარე ეკკლესიაშივე იყო გათხრილი. ეპისკოპოსმა გორისამ ალექსანდრემ აქ მცირე სიტყვა უთხრა განსვენებულს, მოიხსენია მისნი მამაცობანი და დასასრულ თქვა: „საქებურ-სადიდებელი და პატივ-საცემი კაცი იყავ, მაგრამ უფრო მეტად სადიდებელი იქნებოდი, ეკკლესიისა და მონასტრებისათვისაც რომ მიგეხედნა და ამათთვისაც გეწყალობებინა რამე, ისე, როგორც სომეხთა შეძლებულნი კაცნი სჩადიანო“. ჩაუშვეს განსვენებულის გვამი საფლავში და ჯარმა სამჯერ ზედიზედ დასცალა თოფები და ამავე დროს არსენალის მთაზედ ზარბაზნები გაისროლეს. სამ საათზედ ხალხი დაიშალა. ფიზიკოსმა კრუზემ ათამდე სურათი გადაიღო პროცესიისა და განზრახვა აქვს თავის 2 მარტის წარმოდგენაზედ აჩვენოს საზოგადოებას.

გუშინ დილით იმერეთის თავადაზნაურობის დეპუტაციამ მიუსამძიმრა განსვენებულის გენერალ-ადიუტანტის ქვრივს და განსვენებულის კუბო მშვენიერის მძივის გვირგვინით შეამკო“.

ქართველი სამოციანელებისათვის ლევან მელიქიშვილი „მამათა“ თაობის ტიპიური წარმომადგენელი და ეპიგრამების ადრესატია. მას ეხება ილიას ,,კიდევ

გამოცანების“ მეორე გამოცანა: ,,ერთი არის ტანად მომცრო,/კარგად ჩასხმულ მხარ–ბეჭია...“ (ილია ჭავჭავაძე 1987: 136).

ა. წერეთელი ქილიკით იხსენიებს მას თავის „მესტვირულში“: ,,ერთხმად აქებენ ყველანი:/კარგი არის ლევანიო,/ქართული ყურძნის ვაზია.../სანაქებო მტევანიო,/მხოლოდ იმას აშორდება/ქვრივ–ობლების წყევანიო,/თვით ბრძენია, რაღად უნდა/იმას ჩვენი რჩევანიო?.“(წერეთელი 1988: 198).

ლევან მელიქიშვილის სახელი გვხვდება ა. წერეთლის პოემაშიც „ვარანცოვი“: „ვნახე: გრიგოლ, პლატონი,/გლუხარიჩი, ლევანი/და სხვანი. გავამჟღავნეთ/ ჩვენ ჩვენი გულისთქმანი“ (წერეთელი 2014: 303).

საკმაოდ მკაცრია ლევან მელიქიშვილის შეფასებაში იაკობ მანსვეტაშვილი. მისი გიმნაზიელი მეგობრის ლუკა ისარლიშვილის (1817-1893) ცენზორად დანიშვნასთან დაკავშირებით მწერალი წერდა: „რომელ არხივში გამონახეს და გამოამზევეს ეს არაკაცი, არ ვიცი. ის კი ყველამ ვიცოდით, რომ ეს წყალობა მოიღო და ამით ქართული მწერლობა გააბედნიერა ლევან მელიქიშვილმა, იმ დროს მთავარმართებლის თანაშემწემ და წინად დაღესტნის ბატონ-პატრონმა, ე. ი. გენერალ-გუბერნტორმა: ამბობდნენ, ვითომ ლუკა ისარლოვიც იქ, დაღესტანში, პოლიციის რაღაც დაბალ მოხელედ ყოფილიყოს, და აი, ჩვენმა წარჩინებულმა თავადმა, ღენერალმა ლ. მელიქოვმა ამაზე უკეთესი არა გამოიმეტა რა ქართველებისათვის. მაგრამ ან კი რა მოეთხოვება გადაგვარებულ დიდ მოხელეს: კარგი რამ გჭირდეს, გიკვირდეს, ავი რა საკვირველია“ (მანსვეტაშვილი 1936: 88–89). „გარდაიცვალა დიდი თავადი ლევან მელიქიშვილი, კავკასიაში ხელმწიფის მოადგილის თანაშემწე ... დასაფლავების წესი, რასაკვირველია დიდის ზარით და ზეიმით იყო გადახდილი. ქება-დიდებას უხვად უძღვნიდნენ, საკმეველს უკმევდნენ მის დიდსულოვნებას, მის დიდ ჭკუას. გამოვიდა ბოლოს ეპისკოპოსი ალექსანდრე. კაცი მართალი, პირში მთქმელი, მოურიდებელი და ასეთი სიტყვით მიჰმართა მიცვალებულს, რასაკვირველია, ცოცხლების გასაგონად: დიდი გვარის კაცი იყავ, სამსახურშიაც დიდ წარჩინებას მიაღწიე, მდიდრულად ფუფუნებაში სცხოვრობდი, შენს ოჯახს არას აკლებდი, მხოლოდ რა მიგაქვს თან? რა სიკეთე დასთესე ამ ქვეყნად, რა შესძინე შენს სამშობლოს, საქართველოს? დიდი სიმდიდრე გქონდა შეძენილი და

ფიქრადაც არ მოგივიდა, რომ ამ სიმდიდრისაგან ცოტაოდენი წვლილი მაინც გამოგეღო შენს გაჭირვებულ, ღატაკ სამშობლოსათვის, ქველმოქმედობის სახელი გამოგეჩინა და კიდევ ამისთანა მართალი და მწარე სიტყვები უძღვნა მიცვალებულს“ (მანსვეტაშვილი 1936: 112).

ლევან მელიქიშვილს ახლო ურთიერთობა ჰქონდა ნიკოლოზ ბარათაშვილთან, გრიგოლ ორბელიანთან, კონსტანტინე მამაცაშვილთან, დიმიტრი ყიფიანთან, მიხეილ თუმანიშვილთან და სხვა გამოჩენილ ქართველ მოღვაწეებთან.

კონსტანტინე მამაცაშვილის მოგონებებში ლევან მელიქიშვილი წარმოდგენილია საქართველოს წარსულსა და აწმყოზე მოფიქრალ, მოაზროვნე პატრიოტ ახალგაზრდათა წრის წევრად (მამაცაშვილი 2005: 214). იგი იხსენიება ქართველი ინტელიგენციის მცირე ჯგუფში, რომელმაც დიმიტრი ყიფიანის მეთაურობით მე-19 საუკუნის ორმოციან წლებში კერძო ბიბლიოთეკა დააარსა. ბიბლიოთეკისთვის თითოეულ დამაარსებელს 30 მანეთი ვერცხლით უნდა შეეწირა. თბილისის გიმნაზიის რუსული ლიტერატურული ჟურნალის «Цветок Тифлисской Гимназии» მეოთხე ნომერში დაბეჭდილია ლევან მელიქიშვილის „წერილები საქართველოდან“. იგი იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ნამდვილი წევრი.

ლევან მელიქიშვილს დიდი სიყვარული აკავშირებდა გრ. ორბელიანთან, რომელიც პირად წერილებში მისთვის არ იშურებს ალერსსა და საქებარ ეპითეტებს. „ლევან კარგად და კარგად ჩამიპროშტე“ (ორბელიანი 1936: 63-64); „ლევან უცხოდ დაშვენდებოდა სულაღის პირებზე“ (ორბელიანი 1936: 95); „ჩემო საყვარელო ლევან! დღეს ძლივს მოვაღწიე სოფელს ოღლის. გაციებულ-დათოვლილი, მოკანკალ-მობუზვილი. შენ მანდა გწუავს ზაქათალის მზე, მე აქა სიცივით ვიყინები. მახლაზ, აზია! რა დროს თოვლია, 27 აგვისტოსა?–.... შენი და და პატარა ცოლი სიყუარულით მომიკითხე“ (ორბელიანი 1937: 137).

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ლევან მელიქიშვილის მეგობრობა ნ. ბარათაშვილთან. „ჩვენი ლევან“ -ასე თბილად მოიხსენიებს ძმასავით თანშეზრდილ გიმნაზიელ მეგობარსა და თავისი დობილის მაიკო ორბელიანის სატრფოს პოეტი.

1845 წლის ნოემბერში მოქმედი ჯარიდან თბილისს დაბრუნებული ლევან მელიქიშვილი და მიხეილ თუმანიშვილი განჯას გაემგზავრნენ, რათა ადგილობრივ გაეგოთ მეგობრის სიკვდილის დაწვრილებითი ამბავი და ენახათ მისი საფლავი. მან ცხარე ცრემლით დაიტირა ის გრიგოლ ორბელიანთან მიწერილ 1846 წლის 19 იანვრის წერილში:

«Любезный Григорій, какъ описатъ тебе то ужасное чувство, которымъ исполнено сердце мое смертою беднаго Баратова. В немъ потерялъ я не одного школьнаго товарища, но друга, которому съ самого детства открывалъ я все изгибы сердца своего и дружественною взаимностью котораго я пользовался. Тяжело, мой Григорій, тяжело потерятъ человека, который теплымъ сердцемъ и теплою душею мирилъ насъ съ людьми, съ этими созданиями ничтожными, слабыми, черными и злобными. Тяжело осиротеть душою! И не одинъ я понесъ эту ужасную потерю, Грузия потеряла въ немъ человека любящаго ее всею поетическую душою и ставившаго эту любовъ выше всехъ обязанностей своихъ; молодаго человека съ прекрасными и блестящими способностями, отъ котораго ожидала более, чем от кого либо изъ нынешныхъ своихъ молодихъ сыновъ. Родители лишились въ немъ единственной подмоги своей старости и всего ихъ семейства, родственники его, добраго родственника; грузины однаго изъ своихъ лучшихъ соотечественниковъ.

Может быть я грешу, но не могу не сказать, где эта справидливость свыше, о которой ежедневно толкуютъ, - зачемъ было отнимать преждевременно у людей друга, _ у родины вернаго и любящаго ее сына и съ блестящими способностями, у родителей _ сына въ цветущихъ летахъ и последную подпору, - скажи же мне, где тутъ видна справедливость?» (მეუნარგია 2010: 343-344).

ლევან მელიქიშვილი ეცადა თავი მოეყარა ნ. ბარათაშვილის ლექსებისათვის. „ილიკო, აქაც გთხოვე და კიდევაც გთხოვ, საწყალი ტატოს ლექსები რომ გაქვს მანანას ქალისაგან წაღებული, გამომიგზავნე, რჩება დაუბეჭდველი და ბედი ქართლისაც შენ გაქვს. ფულებს კი აღარ ვგონებ, ეგენი მაინც გამომიგზავნე“ - სწერდა ის ილია ორბელიანს 1846 წლის 27 ივლისს განჯაში. გრ. ორბელიანსაც ასევე სთხოვდა გაეგზავნა მისთვის, რაც კი ლექსები ჰქონდა ბარათაშვილისა და დაეწერა არა მარტო

წინასიტყვაობა თხზულებათა კრებულისათვის, არამედ ეპიტაფიაც ძეგლისათვის (ხელთუბნელი 1940: 378).

ლევან მელიქიშვილმა მონაწილეობა მიიღო პოეტის ნათესავებსა და ნაცნობ-მეგობრებში ფულის შეგროვებაში, რომლითაც ვარაუდობდა ნ. ბარათაშვილის ლექსების გამოცემას და მის საფლავზე ეპიტაფიის გაკეთებას.

ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცულია იონა მეუნარგიას ჩანაწერი ლევან მელიქიშვილის ნაამბობისა, რომელიც ბარათაშვილისა და მისი ბიძის – ილია ორბელიანის დუელის აღწერას შეიცავს.

როგორც ვხედავთ, „მამათა“ თაობის წარმომადგენლები და ახლო მეგობრები ერთხმად მიუთითებენ ლევან მელიქიშვილის გულისხმიერებაზე, პიროვნულ მომხიბვლელობასა და სხვა საუკეთესო თვისებებზე. ასევე ახასიათებს მას ელისაბედ ელიზბარის ასული ერისთავიც (1864-1949) თავის ხელნაწერ მოგონებაში, რომელსაც რამდენიმე წლის წინ ვუძღვენით პუბლიკაცია (ცერცვაძე 2011:23-49).

გარსევან ვარლამოვი - გარსევან სტეფანეს ძე ვარლამოვი (წერილი III, („к Варламову“)), თბილისელი კათოლიკე, ნ. ბარათაშვილის თანაგიმნაზიელი. გარდაცვლილი აზნაურის სტეფანე ვარლამოვის ვაჟიშვილი გარსევან ვარლამოვი ნ. ბარათაშვილთან ერთად გიმნაზიასთან არსებულ პანსიონშიც ირიცხებოდა. გააჩნდა ლიტერატურული ინტერესები. იხსენიება 40-იანი წლების ლიტერატორთა მიხეილ თუმანიშვილის, ლუკა ისარლიშვილის, პოლონელი პოეტის თადეუშ ლადა ზაბლოცკის (1811-1847) წერილებში. გიმნაზიის რუსულ ხელნაწერ ჟურნალში „თბილისის გიმნაზიის ყვავილი“ («Цветок Тифлисской гимназии») მოთავსებულია მისი ლექსები „ელეგია“, „ძილი“ და პროზაული თხზულება „ფურცელი კახეთზე”. ცდილობდა გაწაფულიყო თარგმანშიც. იონა მეუნარგია (1852-1919) გადმოგვცემს ლუკა ისარლიშვილისაგან გაგონილს: „ერთ შეგირდს, გვარად ვარლამოვს, გადაეთარგმნა პუშკინის „ევგენი ონეგინიდან“ რამდენიმე კარი. მოგეხსენებათ, ეს პოემა დიდი პოეტისა იწყება ასე:

Мой дядя самых честныхъ правилъ,

Когда не в шутку занемогъ:

ვარლამოვს არავისთვის ეჩვენებინა ჯერ, თუმცა არ მალავდა, რომ სთარგმნიდა პოემას, და თავისი რვეული ცხრაკლიტულში ჰქონდა შენახული. ბარათაშვილს იმდენი უცდია, რომ მოუპარავს რვეული და ერთ დღეს, როდესაც მასწავლებელი ჯერ კლასში არ შემოსულიყო, წამოდგა და დააჩუმა ამხანაგები: _ სუთ, ყური დამიგდეთ, ევგენი ვთარგმნე და მინდა წაგიკითხოთ. ვარლამოვმა ყურები გამოცქვიტა და ბარათაშვილმა დაიწყო ხმამაღლა:

„ბიძა ჩემი დიდთა პატიოსანთა კანონთა:

როდესაც ხუმრობა გაშობით ავად გახდა“...

თქმა არ გაეთავებია, რომ ვარლამოვი მივარდა მკითხველს. რომ მასწავლებელი არ შემოსულიყო ამ დროს კლასში და სიჩუმე არ ჩამოეგდო, იმ ხარხარში, რომელიც ატყდა ამის კითხვის დროს, ვარლამოვი ცემას უპირებდა ეშმაკ პოეტს“ (მეუნარგია 2004: 239-240).

გიმნაზიის დამთავრების შემდეგ 1837 წლის 7 დეკემბრიდან გ. ვარლამოვი საქართველო-იმერეთის სასამართლოს სამოქალაქო და სისხლის სამართლის პალატაში ნ. ბარათაშვილთან ერთად მსახურობდა ჯერ კანცელარისტად, ხოლო 1840 წლის 31 დეკებრიდან - მაგიდის უფროსის თანაშემწედ. მიღებული ჰქონდა კოლეგიის რეგისტრატორის ჩინი. 1845 წლის 9 თებერვალს მას გუბერნიის მდივნის ჩინი მიენიჭა (ჩხეტია 1945: 250, 288, 310).

იასე ანდრონიკაშვილი (წერილი VIII („იასემ“)) - **იასე ადამის ძე ანდრონიკაშვილი** (1814-1892), სახელმწიფო მოხელე, ნ. ბარათაშვილის თანაგიმნაზიელი. მონაწილეობდა თბილისის გიმნაზიის მოწაფეთა ხელნაწერი ჟურნალის „თბილისის გიმნაზიის ყვავილი“(«Цветок Тифлисской гимназий») გამოცემაში, სადაც დაბეჭილია მისი მცირე ზომის თხზულებები: „წერილებიდან კახეთზე“, „მოხუცის ნაამბობი“, „ფრანგული ანეგდოტები“. გიმნაზია დაამთავრა 1836 წელს (ბარათაშვილზე ერთი წლის შემდეგ). მსახურობდა სხვადასხვა თანამდებობაზე - თბილისის სასამართლო პალატაში ჯერ წევრად, შემდეგ - მეორე სამოქალაქო დეპარტამენტის თავმჯდომარედ. იყო სიღნაღის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლი, თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საადგილმამულო ბანკის ერთ-ერთი დამფუძნებელი და მისი საზედამხედველო კომიტეტის წევრი სიღნაღის

მაზრიდან, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დამფუძნებელი წევრი. იასე ანდრონიკაშვილი ავტორია მცირე მოგონებისა ბარათაშვილზე (ცაიშვილი 1940: 385). იასე ანდრონიკაშვილი თელავის მაზრის უფროსის თანაშემწედ მსახურობდა 1845 წელს, როცა განიხილებოდა ნ. ბარათაშვილის ამ თანამდებობაზე დანიშვნის, ხოლო მისი საგანგებო დავალებათა უფროსი მოხელის თანამდებობაზე გადაყვანის საკითხი (ჩხეტია 1945: 327-337). 1887 წლის თებერვალში მოღვაწეობის 50 წლისთავთან დაკავშირებით იასე ანდრონიკაშვილს გულმხურვალე სიტყვა უძღვნა ილია ჭავჭავაძემ: „იმისი მიუდგომელი პირუთვნელი სიმართლე, მისი გულმოდგინება საქმისა, დაუღალავი შრომა, მისი საქმეში სულით და გულით ჩახედვა, მისი გულშემატკივარობა, კაცთმოყვარეობა, სითბო და სიტკბო, - ყველამ იცის, ყველას ენაზედ აკერია. საცა მართალია, იქ თ. იასე ანდრონიკაშვილისათვის სხვა არა არის-რა მართლის მეტი; არც ნათესაობა, არც მეგობრობა, არც თხოვნა-ვედრება არა სჭრის-რა, ერთხელ მის მიერ აღიარებულ მართლის მეტი. არა ერთხელ და ორჯერ ჩვენის ყურით გაგვიგონია: მადლობა ღმერთს, დღეს თ. იასე ანდრონიკაშვილი იქნება ჩემის საქმის მსაჯულადა, სხვათა შორის, და იმედია, მართალს მოსარჩლე ეყოლება და სამართლის სასწორს - მფარველი განაჩენის დადგენის დროსაო. ვინც იცის, რა დიდი განძი უნდა ზნეობისა, რომ კაცმა საზოგადოდ და მსაჯულმა საკუთრივ ამისთანა ნდობა მოიპოვოს, ის ჩვენ აღარ მოგვიკითხავს ქებასა და დიდებასა თ. ანდრონიკაშვილისას, როგორც სასიქადულო კაცისას და ყოვლად პატიოსან მსაჯულისას. სახელმწიფო სამსახურში მყოფსა, არც საზოგადოების სამსახური დაჰზარებია ოდესმე თ. იასე ანდრონიკაშვილს. ათი წელიწადი ემსახურა ჩვენის ბანკის საქმესა უანგაროდ, უსასყიდლოდ, იმავე სიყვარულით, გულმხურვალეობით და გულმოდგინეობით, როგორც ცნობილია ყველგან და ყველასაგან. არც ერთი სამადლო საქმე არა კეთდება ჩვენში, რომ იქ თ. იასე ანდრონიკაშვილის წვლილი და ხელი არ ერიოს. ამისათვის არა ხარჯს, არა გარჯას და შემწეობას არ მოჰრიდებია თვისდა სასახელოდ და უმწეთა სასიხარულოდ. ასეთია იგი კაცი, რომელსაც უპირებენ დღეს ორმოც-და-ათის წლის მოღვაწეობისა პატივისცემით გადუხადონ“ (http://www.gdi.ge/uploads/other/0/392.pdf).

ანდრონიკაშვილი დაკრძალეს ვერაზე, იოანე ღვთისმეტყველის ეკლესიაში. მის საფლავს ვერ მივაკვლიეთ.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ანთროპონიმი „იასე“ გვხვდება აგრეთვე ნ. ბარათაშვილის კიდევ ერთ წერილში (წერილი VI) – „იასეც იქ არის, ელისოს მილიციით“.

ნ. ბარათაშვილი წერილების წინარე გამოცემების უკლებლივ ყველა კომენტატორი ამ წერილებში ნახსენებ „იასეებს“ ერთ პირად მიიჩნევს - ჩვენს მიერ ზემოთ ნახსენებ იასე ადამის ძე ანდრონიკაშვილად.

საკითხის საგულდაგულო კვლევისა და წყაროების შესწავლის შედეგად ჩვენს მიერ დადგენილია, რომ ორ სხვადასხვა წერილში ერთი ანთროპონიმით აღნიშნული „იასე“ ორი ერთმანეთისგან განსხვავებული პირია. კერძოდ, VI წერილში ნახსენები „იასე“ არის არა ნ. ბარათაშვილის თანაგიმნაზიელი, სამოქალაქო პირი იასე ადამის ძე ანდრონიკაშვილი, რომლის ბიოგრაფიული ცნობებიც ზემოთ მოვიყვანეთ, არამედ სამხედრო პირი **იასე იოსების ძე ანდრონიკაშვილი** (1798-1863), პოლკოვნიკი (1842 წლიდან), გენერალ-მაიორი (1846 წლის შემდეგ), გენერალ-ადიუტანტი, ქიზიყისა და სიღნაღის მოურავის, პოლკოვნიკ იოსებ მელქისედეკის ძე ანდრონიკაშვილის (1765-1830 წლის შემდეგ) ვაჟი. მამამისი იოსები იყო ილია ჭავჭავაძის ბებიის პელაგია (მარიამ) ანდრონიკაშვილის (1771-1830) ძმა (ჩიქოვანი 2002/ თანდართული ტაბულა). მსახურობდა კავკასიის ჯარების კორპუსში. დათხოვნილ იქნა სამსახურიდან 1851 წლამდე. დაქორწინებული იყო ჯერ ნინო ზაქარიას ასულ ანდრონიკაშვილზე (?-1841), შემდეგ - სალომე ქაიხოსროს ასულ წერეთელზე (1810-1889). ჰყავდა შვილი ზაქარია (1829-1905) (Думин С... 1998:122).

ეს შეცდომა აუცილებლად უნდა გასწორდეს ნ. ბარათაშვილის წერილების შემდგომ გამოცემებში.

მიხეილ ორბელიანი (წერილები XIII („მიხაკო“) და XIV („შენი ქაჩალი ძმა“)) – **მიხეილ (მიხაკო) ქაიხოსროს ძე ორბელიანი** (1814-1846) (ტაბ. 2,13), მაიკო ორბელიანის ძმა, ნიკოლოზ ბარათაშვილის მეგობარი და თანაგიმნაზიელი. 1836 წელს მიიღო ოფიცრობა, 1838 წელს - პორუჩიკობა. ცხოვრების ბოლო წლები გაატარა სამხედრო სამსახურში დაღესტანში, სადაც ინფანტერიის გენერალ ვასილ

ბებუთაშვილის (1789 ან 1791-1858) ადიუტანტად მსახურობდა და სადაც გარდაიცვალა აღდგომა დღეს, ცხენიდან გადმოვარდნისას. დაკრძალეს იქვე პატივით. მისი სიკვდილისა და დაკრძალვის ამბებს გრ. ორბელიანი უყვება თავის ძმებს ზაქარიას და ილიას და რძალს ქეთევან ორბელიანს დაღესტნიდან გამოგზავნილ წერილებში (ორბელიანი 1937: 121, 123); (ბალახაშვილი 1967: 266-267).

მიხეილ ორბელიანი წერდა ლექსებს, ეპიგრამებს. მისი ერთ-ერთი ანაკრეონტული შინაარსის უსათაურო („ქეიფთა ლხენას“) გიორგი ლეონიძემ 1840 წელს გამოაქვეყნა „ლიტერატურის მატიანეს“ 1-2 წიგნში. ქართულ ხელნაწერებში შემორჩენილია მისი სხვა ლექსებიც, მათ შორის პასუხი ერთ ავტორდაუდგენელ ლექსზე - „არაფერია, არაფერია, მეტად ძველია თქვენი ლექსია“.

ივანე ორბელიანი (წერილები XIV („ივანეს“) და XVI(„ივანეს“)) სავარაუდოდ, **ივანე დავითის ძე ორბელიანი** (1824-1893) (ტაბ.2, 12), მანანა ორბელიანის (1807-1870) ვაჟიშვილი, მეტსახელად „მანანიჩი“, გენერალ-მაიორი. 1846-1848 წლებში მსახურობდა დაღესტანში გრიგოლ ორბელიანთან, რომელიც მას ხშირად ახსენებს თავის პირად წერილებში. 1858 წლიდან მთავარმართებელ ა. ი. ბარიატინსკის (1815-1875) ადიუტანტია. ცოლად ჰყავდა სოფიო შალვას ასული ერისთავი (1832-1887). ცნობილი მოღვაწე ქალი მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანი (1852-1941) თავის მემუარებში ასე იგონებს და ახასიათებს ივანე ორბელიანს: „დარდიმანდი, მუდამ გარშემორტყმული მხიარული მოქეიფე ახალგაზრდობით, სმა-ჭამისა და უფრო კი ომის მოყვარული; იგი ყოველთვის უდროო დროს ბრუნდებოდა შინ და სულ შეზარხოშებული იყო. მიუხედავად ამისა ის კარგი კაცი იყო, მაგრამ თავის ცოლთან არაფერი ჰქონდა საერთო. ცოლს კი უყვარდა იგი, როგორც ქმარი, და ძალიან ხშირად ტიროდა, ვინაიდან ივანე ორბელიანის ჯანმრთელობა და სიცოცხლე მუდამ საფრთხის წინაშე იდგა“ (ჯამბაკურ-ორბელიანი 2009: 85). მეუღლესთან ერთად დაკრძალულია ქაშუეთის ტაძრის გალავანში. შესაძლებელია, თუმცა ნაკლებსარწმუნოდ მიგვაჩნია „ივანეში“ ვიგულისხმოთ ივანე კონსტანტინეს ძე ორბელიანი (1833-?), „ვანკა პაჟარნად“ წოდებული, მეტად მოქეიფე და მხიარული კაცი, რის გამოც შერქმევია მას ეს მეტსახელი („პაჟარნი“ - გავარდნილი, აშაღლარა, გარყვნილ-გაქსუებული – გრიშაშვილი 1997: 175). მას ცოლად ჰყავდა გარუსებული

გარსევანიშვილის ქალი, რომელსაც კარგი შეძლება ჰქონია. უკანასკნელი მოსაზრება წერილში ნახსენებ „ივანედ“ ივანე კონსტანტინეს ძე ორბელიანის მიჩნევისა ეკუთვნის ნ. ბარათაშვილის წერილების ერთ-ერთ კომენტატორს გიორგი ლეონიძეს.

დიმიტრი ჯორჯაძე (წერილი V(„დ.ჯ“)), **დიმიტრი დავითის ძე ჯორჯაძე** (1821-1883), თავადი, საიდუმლო მრჩეველი, კავკასიის მეფისნაცვლის საბჭოს წევრი და თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საადგილმამულო ბანკის ერთ-ერთი დამფუძნებელი, გრ. ორბელიანის მეგობარი და წერილების ადრესატი. იყო უფროსი მოხელე ჭარ-ბელაქანის ოლქის სამმართველოში, 1850-1853 წლებში მსახურობდა გრ. ორბელიანთან ზაქათალაში, ხოლო 1854-1872 წლებში - დაღესტანში, ქ. თემირხანშურაში (ამჟამინდელი ქალაქი ბუინაკსი) სამოქალაქო საქმეთა მმართველად მასთან და ლევან მელიქიშვილთან საოლქო კანცელარიის გამგედ. დაღესტნიდან თბილისში გადმოყვანის შემდეგ 70-იან წლებში მონაწილეობდა საკანონმდებლო პროექტების შედგენაში. დაკრძალულია გრემის ტაძარში. გრ. ორბელიანი მას ხუმრობით ნაპოლეონის მდივნის სახელით „ბურიენად“ იხსენიებდა და მიმართავდა. „ჩემო საყვარელო დიმიტრი, ანუ ჩემო ბურიენო“; „ჩემო ბურიენო, ბატონო დიმიტრი!“; „ჩემო ბურიენო დიმიტრი“... (ორბელიანი 1937: 143, 157, 158). დიმიტრი ჯორჯაძე იხსენიება ქართველი ინტელიგენციის მცირე ჯგუფში, რომელმაც დიმიტრი ყიფიანის მეთაურობით მე-19 საუკუნის ორმოციან წლებში თბილისში კერძო ბიბლიოთეკა დააარსა. დიმიტრი ჯორჯაძეს ეძღვნება ილია ჭავჭავაძის „გამოცანების“ ერთ-ერთ გამოცანა: „თეთრ-წითელი ვაშლსავითა/,ხაშხაშლოყა, მსუქანია,/რაც ნახირში გაერია,/არც ისე დიდი ხანია... (ილია ჭავჭავაძე 1987: 136). დაკრძალულია გრემის ტაძარში. ტაძრის ეზოში, მივაკვლიეთ გალავანზე მიყუდებულ მისი საფლავის გადამტყდარ ქვას და ჩავიწერეთ მისი წარწერა. ამოვიკითხეთ მხოლოდ: „ტაინი სოვეტნიკი თავადი დიმიტრი დავითის ძე ჯორჯაძე... აგვისტოს 1821 წ.“

პლატონ იოსელიანი - პლატონ ეგნატეს ძე იოსელიანი (1809-1875) (წერილი V („ჩვენს დიდს პ[ლატონ]ს“)), ქართველი ისტორიკოსი, მეფე გიორგი XII (1846-1800)-ის კარის მოძღვრის ეგნატე იოსელიანის შვილი. 1835 წელს ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით პეტერბურგის სასულიერო აკადემიის დამთავრების შემდეგ

მუშაობდა თბილისის სემინარიაში ფილოსოფიისა და ფიზიკის მასწავლებლად. 1845-1856 წლებში რედაქტორობდა თბილისში გამომავალ რუსულ პერიოდულ გაზეთს «Закавказский Вестник». ამ გაზეთში გამოაქვეყნა მან თავისი გამოკვლევები. 1849 წელს საბერძნეთში მოგზაურობის დროს მოინახულა ათონის ივერთა მონასტერი და შეისწავლა ქართული კულტურის ძეგლები. პლატონ იოსელიანი იყო ათენის არქეოლოგთა საზოგადოების ნამდვილი წევრი. აქტიურად თანამშრომლობდა და კორესპონდენციებს გზავნიდა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიაში. მჭიდროდ იყო დაკავშირებული აკადემიკოს მარი ბროსესთან. 1860-1875 წლებში გამოსცა მრავალი ათეული ქართველოლოგიური ნაშრომი. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა საქართველოს ქალაქების ისტორიის შესწავლას, მათი წარმოშობის პრობლემებს. მას მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლების შესწავლასა და გამოცემაში. მონაწილეობდა მე-19 საუკუნის სამოციან წლებში გამართულ ე. წ. ძველსა და ახალ თაობას შორის გამართულ ცნობილ პოლემიკაში. ილია ჭავჭავაძემ თავის „გამოცანებში“ (1871) სხვა პირთა შორის იოსელიანიც ამხილა. პლატონ იოსელიანს ახალგაზრდობა დაცინვით „ფილოსოფოსს“ უწოდებდა. იგი დიდად აფასებდა ნ. ბარათაშვილს. გრიგოლ დადიანის (1814-1902) გადმოცემით „პლატონ იოსელიანს ძალიან მოსწონდა ნიჭიერი ნ. ბარათაშვილი და წინასწარმეტყველის ნიშნით სულ იმას გაიძახოდა, ეს კარგი გამოვაო.“ პოეტისათვის კი ის ხშირად გამხდარა ჩვეული ოხუნჯობის საგანი. დიმიტრი ყიფიანის (1814-1887) მოგონების მიხედვით ყმაწვილკაცთა ერთ შეკრებაზე, რომელსაც ნიკოლოზ ბარათაშვილიც ესწრებოდა, უკითხავთ „ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ე ბერძნებს რომ ყველაფრის ღმერთი ჰყოლიათ, ნეტავი ვირების ღმერთიცა ჰყავდათ? ტატო ბარათაშვილმა სხარტულად მიუგო: ეს პლატონს უნდა ჰკითხოთ, ის არის ბოღ-ასლოვიო და პლატონ იოსელიანისკენ მიუთითა“ (ცაიშვილი 1940: 385-386-387). 1840 წლის დეკემბერში პლატონ იოსელიანი დაქვრივდა. მეორედ ის დაქორწინდა ანა ნიკოლოზის ასულ ბაგრატიონ-მუხრანელზე (1839-1913), ნიკოლოზ ბაგრატიონ-მუხრანელის (ნიკო ბურის) (1865-1933) მამიდაზე.

პლატონ იოსელიანი ბაკენბარდებს ატარებდა. ის თვალტანადობით არ გამოირჩეოდა და მის გარეგნობაზე ხშირად ქილიკობდნენ თანამედროვენი. იაკობ

მანსვეტაშვილი გადმოგვცემს: „მე ჯერ პატარა ვიყავი, პლატონ იოსელიანი პირველად რომ მანახვეს, და სამუდამოდ ჩამრჩა მისი გარეგანი შეხედულობა: მაღალი, უშნო, ახმახი ტანი, წელში ცოტა მოხრილი, უზომოდ ჩამოგრძელებული პირის სახე, დაბღენძილი მოდიდო თვალები, მოგრძო წვერი, ნიკაპში გამოპარსული, როგორც მაშინ მოხელეებს წესად ჰქონდათ მიღებული, გრძელი ხელები, მოდიდო ფეხები, რომლითაც ისე აბიჯებდა, გეგონებოდათ სპილოაო. ნამდვილ ორანღუტანგს წარმოიდგენდით იმის დანახვაზე“. (მანსვეტაშვილი 1936: 10). ი. ჭავჭავაძის „გამოცანებში“ იგი ასეა დახასიათებული: „ცხვირდიდა და თვალდიდრონა,/მსუნაგი და ტრაბახია,/ერთი უშნოდ აწოწვილა,/ერთი რაღაც ახმახია...„“ (ჭავჭავაძე 1987:132). დაკრძალული იყო მის მიერ 1851 წელს სოლოლაკში აშენებულ ამაღლების ეკლესიაში, შემდეგ გადაასვენეს დიდუბის პანთეონში.

სათარა (წერილები XIII („სათარას“) და XIV(„სათარასა“, „სათარასათვის“)). სახელგანთქმული მომღერალი, ხანენდე, წარმოშობით ირანის აზერბაიჯანიდან. დაიბადა არდებილში მე-19 საუკუნის 20-იან წლებში. ბავშვობიდანვე ჰქონდა მისწრაფება სიმღერისაკენ. თავდაპირველად სასულიერო საქმიანობას მისდევდა, მაგრამ ორიოდე წლის შემდეგ თავი მიუნებებია და სიმღერების შესრულება დაუწყია. ზეიმებსა და ქორწილებში ასრულებდა საადის, ჰაფეზის, ფიზულის და სხვათა მუღამებს, თასნიფებსა და ყაზალებს. რამდენიმე წელიწადი შაჰ მუჰამედ მირზას სასახლეში ყოფილა, სადაც მისი ნიჭით მოხიბლულ შაჰს მიუწვევია. 19-20 წლის საჰარა თბილისში ჩამოსულა. ის ნ. ბარათაშვილის ახლო მეგობარი ყოფილა. მას სათარა შეხვედრებსა და ზეიმებზე დაჰყავდა. „ყოველ ლხინზე სათარას მოიყვანდა“ - იხსენებს პოეტის და ბარბარე ბარათაშვილი-ვეზირიშვილისა. (ბარათაშვილი 1993: 296). მისი მეუღლის დიმიტრი ვეზირიშვილის (1825-1898) ცნობით, ნიკოლოზ ბარათაშვილს „ქართლში სადღაც ეკლესიის კარზედ დაუწერია ამ მომღერლის ქება“ (მეუნარგია 2010: 339). სათარა სიმღერის დროს დაირას ან დოლს არ ხმარობდა, ჩაუჯდებოდა თავის დასტას და ჯოხით ხელში თავისი ტკბილი ხმით აჯადოებდა მსმენელს. მის გამოსვლებს ესწრებოდნენ თბილისში მცხოვრები რუსი და იტალიელი მუსიკოსები და მუსიკის მოყვარულები და თავიანთ კონცერტებზე იწვევდნენ. ბევრჯერ მიუღია მონაწილეობა საქველმოქმედო ღონისძიებებში. ცნობილი

აზერბაიჯანელი მწერალი ფირუდინ შუშინსკი ერთ-ერთ თავის წერილში სათარას შესახებ წერს: „აზიურ სიმღერებში და კერძოდ სათარას სიმღერაში იმალება რაღაც პირველყოფილი სილამაზე ხმის ჭრელებით, რომელთაც ვერ მიუდგება ვერავითარი მუსიკალური გასაღები. ამ ჭრელებში, გოდებაში, ქვითინსა და სიხარულში არის რაღაც დამატყვევებელი, სულში ჩამწვდომი, რაც აღაგზნებს ადგილობრივ მკვიდრთ“ (ბარნოვი 1974: 16). ქალაქის ერთ-ერთ ქარვასლაში სათარას სიმღერაზე ცნობას ვხვდებით თბილისში 1837-1855 წლებში გამომავალ საგუბერნიო გაზეთ «Закавказский Вестник»-ის 1845 წლის #10-ის ერთ-ერთ წერილში. წერილში აღწერილია ცერემონიალი თბილისში 1845 წლის 18 აპრილს კავკასიის მეფისნაცვლის, გრაფ მიხეილ ვორონცოვისა და მისი მეუღლის საზეიმო დახვედრისა, რომელიც მათთვის ქალაქის ვაჭართა წრეს გაუმართავს: „შადრევნის მარჯვენა მხარეს ისხდნენ სპარსელი მუსიკოსები და ტამბურინების რიტმული ცემისა და ჩანგურის ხმის ფონზე ცნობილი სპარსელი მომღერალი, შაჰის კარზე სახელგანთქმული სათარა ასრულებდა სიმღერას აღმოსავლელი პოეტის საადის ლექსზე, რომლის დასაწყისი დაახლოებით ასე ითარგმნება: „მართლა შენა ხარ ჩემს წინაშე თუ ის, ოცნება? არა, არ მჯერა მე იმისა, რომ ბედმა ასე გამანებივროს“. სათარა დაუხატავს ცნობილ რუს მხატვარს გრიგორი გაგარინს (1810-1893), რომელმაც თვალსაჩინო როლი შეასრულა მე-19 საუკუნის შუა ხანების საქართველოს კულტურული ცხოვრების ისტორიაში. მისი სურათი „სახალხო მომღერალი სათარა ტფილისში“ ამჟამად სანკტ-პეტერბურგის რუსულ მუზეუმში ინახება. რუსმა მწერალმა, გაზეთ «Закавказский Вестник»-ის რედაქტორის მოადგილემ იაკობ პოლონსკიმ (1819-1898), რომელიც 1846-1851 წლებში თბილისში ცხოვრობდა და რომელმაც თავის შემოქმედებაში ასახა ქართული თემატიკა, 1851 წელს სათარას უძღვნა ლექსი «Сатар» (ცერცვაძე 2014: 20-22).

ნიკოლოზ ბარათაშვილი სათარას იმდროინდელ თბილისში პოპულარულ მომღერალს, ხანენდე **ჯაფარას** უპირისპირებს და მას ამ უკანასკნელთან შედარებით ბევრად აღმატებულად წარმოგვიდგენს. „ილაჯი წაიღეს მაგ ჯაფარას ქებით. ვისიც წიგნი მოგვივიდა, მაგის ქება ეწერა. ნეტა ყველასათჳის აგრე მალე როგორ გაგიჟდებით? მაგის ამბავი ჩვენა გვკითხოთ: ეგ სულეიმან ხანმა გარდმოიყვანა

სპარსეთიდგან, ორი დღე და ღამე აქ ჩვენთან იდგნენ, რაც ჰუნარები ჰქონდა, სულ აქ დაასრულა.

ეგ რომელი ამბობს, რომ სათარასა სჯობსო? ეტყობა, კარგი სმენა ჰქონია! მე გეტყვით: ეგ უფრო ნაკითხია სათარაზედ, მაგრამ სათარასათჴის ღმერთს ხმა მიუცია და თანაც დაუტანებია, რომ მაგისთანა ხმა აღარავის ექნებაო! ერთი, ორივეს სახე ნახეთ, ერთი კაცია, მეორე - ჯოჯოხეთის მაშხალა“ (წერილი XIV).

2. ნ. ბარათაშვილის ნათესავი და მეგობარი ქალები

ნ. ბარათაშვილის პირად წერილებში ნახსენებია მისი ნათესავი და მეგობარი ქალები, რომელთა სწორად იდენტიფიკაცია, ბიოგრაფიული ცნობების მოძიება-დაზუსტება და თავმოყრა პოეტის ეპისტოლური მემკვიდრეობის კვლევის ერთ-ერთ აქტუალურ საკითხს წარმოადგენს. რამდენიმე ასეთ პირს, როგორც 1832 წლის შეთქმულების მონაწილეთ (მანანა ორბელიანი, ელენე ორბელიანი, მელანია ერისთავი) ყურადღებას დავუთმობთ შესაბამისად სადისერტაციო ნაშრომის V თავში. წინამდებარე პარაგრაფში კი ადრესანტთან დაახლობული სხვა მანდილოსნებსა და მათთან მისი დამოკიდებულების ასპექტებს წარმოვაჩენთ.

თავდაპირველად მოგვყავს ჩვენს მიერ ჩატარებული ერთ-ერთი კვლევა, რომელიც მიეძღვნა XVI წერილში ნახსენები ქალბატონების - „პატარძალ სოფიოსა“ და „მეორე სოფიოს“ იდენტიფიკაციის საკითხებს.

გამოკვლევის მიზნებისათვის სპეციალურად შედგენილ ორბელიანთა გენეალოგიურ ტაბულაზე მონიშნულნი გვყავს როგორც სამი სოფიო ორბელიანი, ასევე სამი სოფიო, დედით ორბელიანები (იხ. ტაბულა 3).

მურუტიდან 1845 წლის 10 აგვისტოს მაიკო ორბელიანისადმი გამოგზავნილ ნ. ბარათაშვილის წერილში ვკითხულობთ:

„ახალ-დანიშნულს თუ **პატარძალს სოფიოს** მოახსენე, თუ შეგვხვდეს: ჩემი ზონარი რა უყო? ქმარი არას დაუშლის. **მეორე სოფიოსაც** უთხარ: ჩქარა გამიკეთოს, ვინც მე ზონარს მომიქსოვს, აგრე ჩქარა გათხოვდება!“ (ბარათაშვილი 2015: 2010) (ხაზგასმა ორივეგან ჩვენია - მ.ც).

1922 წლის გამოცემაში ნ. ბარათაშვილის მიერ მოხსენიებული ორი სოფიოს შესახებ აღნიშნულია: „ერთი სოფიო პოეტის და უნდა იყოს, მეორე შეიძლება ალექსანდრე ჭავჭავაძის ქალია, რომელიც შემდეგ ბარონ ნიკოლაის მისთხოვდა“ (ბარათაშვილი 1993: 219). აღნიშნული დებულება სიმართლეს მოკლებულია, რადგან როგორც სავსებით მართებულად აღნიშავს ნ. ბარათაშვილის ერთ-ერთი მკვლევარი და წერილების კომენტატორი აკ. გაწერელია: „სოფიო ჭავჭავაძე დაიბადა 1834 წელს (ე. ი. 1845 წელს ის 11 წლის იყო და ნიკოლაის ის არ ჰყავდა შერთული (სოფიო ჭავჭავაძე (1833-1862) ბარონ ალექსანდრე პავლეს ძე ნიკოლაის (1821-1899) მისთხოვდა 1850 წელს), ხოლო ბარათაშვილის და სოფიო 1845 წელს 3 წლის იყო (დაიბადა 1842 წელს). წერილის ტექსტში კი იგულისხმებიან – ერთი ქმრიანი სოფიო, მეორე კი გასათხოვარი“. ამის შემდეგ კომენტატორი გამოთქვამს ვარაუდს: „პირველი სოფიო შეიძლება არის სოფიო ორბელიანი-ბეზაკისა“ (ბარათაშვილი 1972: 230). ეს ვარაუდი გაზიარებულია სხვა კომენტატორთა მიერაც (XIX-XX საუკუნეების... 2011: 274). გამოთქმულია ასევე ვარაუდი, პირველ სოფიოდ ვიგულისხოთ სოფიო შალვას ასული ერისთავი (ბარათაშვილი 1954: 144). რაც შეეხება „მეორე სოფიოს“, გასათხოვარს, ზოგიერთ გამოცემაში ის დაუდგენელია, ზოგიერთში მეორე სოფიოდ დასახელებულია სოფიო თარხნიშვილი ბიოგრაფიული ცნობების მითითების გარეშე (ბარათაშვილი 1954: 144) და აღნიშნულია მხოლოდ ის, რომ თითქოს პოეტი ეტრფოდა მას ან სოფიო შალვას ასული ერისთავი (XIX-XX საუკუნეების... 2011: 274-275).

ბუნებრივია, წერილში ნახსენები სოფიოები პოეტის საახლობლო წრეში, მის ნათესავ-მეგობრებში უნდა ვეძიოთ, ხოლო წერილის სათანადო ადგილის შინაარსიდან გამომდინარე ყურადღება უნდა მიექცეს მათ მატრიმონიალურ ცნობებს.

თუ თვალს მივადევნებთ ზემოთნახსენებ კომენტატორთა სავარაუდო სოფიოების – სოფიო ბარათაშვილისა (ტაბ. 3, 2) და სოფიო ჭავჭავაძის (ტაბ.3, 1) ბიოგრაფიებს, მართლაც დავრწმუნდებით, რომ პირველი სოფიო არ შეიძლება იყოს რომელიმე მათგანი.

პოეტის უსაყვარლესი უმცროსი და სოფიო, რომელსაც ის შინაურული სახელით „აპლიპუტილა“ ახსენებს თბილისიდან გრიგოლ ორბელიანისადმი გაგზავნილ 1843 წლის 21 აგვისტოთი დათარიღებულ წერილში, უფრო სწორად, მისი პირველი გვერდის არშიაზე მინაწერში („მამამ, კატომ, ბაბალემ, ნინუცამ და აპლიპუტილამ მოგიკითხეს“), დაიბადა 1841 წელს. მისი ბიოგრაფიული ცნობები მოყვანილი გვაქვს სადისერტაციო ნაშრომის თავის მე-3 ქვეთავში, რომლის გაცნობის შემდეგ დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ პირველი სოფიო არ შეიძლება იყოს პოეტის და.

შეუძლებელია პირველ სოფიოდ ვიგულისხმოთ სოფიო ჭავჭავაძეც (1833-1862) – პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძისა და ნ. ბარათაშვილის შორეული ნათესავის სალომე ორბელიანის (1795-1847) უმცროსი ასული. სოფიოს დაბადებას ეხმიანება გრ. ორბელიანი 1935 წლის 23 მარტით დათარიღებული წერილით სალომესადმი, ამავე ფაქტს ის უძღვნის ლექსს „სალომეს ბეჟანა მკერვალის მაგიერ“: „ეს მესამე დღეა, რაც მოველ რიღიდამ აქა, სადაცა დამხვდა წერილი თქუენი, რომელშიაც მწერთ მესამე ქალის ყოლას, ესე იგი მესამე გრაციას. – მოგილოცავთ, მაგრამ, რა გინდა სალომევ! აქამდის ორი ქალი გყუანდა და თითქმის პეტრებუღითგან ისპაანამდის გაგიჟებულნი იყვნენ ხალხნი, ახლა ეგ მესამეც ... ეს ლექსი ბეჟანასაგან ნათქვამი ახალს სოფიკოს ძეობისათვის მომირთმევია. – (ორბელიანი 1936: 25). 1945 წლისთვის სოფიო ჭავჭავაძე თორმეტი წლისაა. იგი მისთხოვდა კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის დირექტორს, შემდგომში (1852-1859) კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს ბარონ ალექსანდრე პავლეს ძე ნიკოლაის (1821-1899) 1850 წლის იანვრის პირველ დღეებში. „ჩუენი სოფიკო ჭავჭავაძის ქალი, გიშერ თვალა გათხოვდა და ბარონესა ნიკოლაი შეიქმნა. ბარონ ნიკოლაი რომ არი კნიაზ ვარანცოვთან იმან შეირთო“ – სწერდა ამავე წლის 14 იანვარს ილია ორბელიანი თავის ძმას გრიგოლს (ბალახაშვილი 1966: 247). საპასუხო წერილში გრიგოლი სთხოვდა ძმას, დაწვრილებით მოეთხრო ქორწინების ამბები: „სოფიკოს გათხოება ძალიან მიამა, მეტად კარგი კაცი შეურთავს. რატომ არ მომწერე დაწვრილებით როგორ მოხდა ეს საქმე, და ანუ სად იყო ქორწილი“ (იხ. გრ. ორბელიანის წერილი ილია

ორბელიანისადმი. 1850წ. 25 იანვარი. თემირ-ხან-შურით) (ორბელიანი 1936: 201). სოფიო ჭავჭავაძე მეტად ახალგაზრდა, 29 წლის ასაკში გარდაიცვალა კიევში. დაკრძალულია მეუღლის გვერდით ქ. ვიბორგის განაპირას შუა ტბაში, პატარა მომაღლო კუნძულზე (გრიშაშვილი 2012: 108-113). სოფიო ჭავჭავაძეს დარჩა ერთი ქალიშვილი ბარონესა მარიამ ალექსანდრეს ასული ნიკოლაი (1858-1919), რომელიც გათხოვდა გიორგი დიმიტრის ძე შერვაშიძეზე (1846-1918).

ამდენად არც სოფიო ჭავჭავაძე შეიძლება იყოს პირველი სოფიო, რადგან 1845 წლისათვის ის ჯერ არ არის გათხოვილი.

ჩვენი მხრივ კი შეგვიძლია დავუმატოთ ისიც, რომ არასწორია მკვლევართა ვარაუდიც პირველ სოფიოდ სოფიო ორბელიანი-ბეზაკისას (ტაბ. 3, 6) მიჩნევისა. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს ამ უკანასკნელის ბიოგრაფიული ცნობები.

იმ სოფიო ორბელიანის შესახებ, რომელიც მისთხოვდა 30-იან წლებში კავკასიის მთავარმართებლის კანცელარიის მმართველს, ხოლო 40-იანი წლების დასაწყისში – საქართველო-იმერეთის სახაზინო პალატის თავმჯდომარეს ნიკოლოზ პავლეს ძე ბეზაკს (1804-1979), ცნობილია შემდეგი: იგი არის მაიორის, სიღნაღის კომენდანტის, თავად ყაფლან (ივანე) ზაალის ძე ორბელიანის (1780-1820) ასული, გრ. ორბელიანის აკვანში დანიშნული და ადრესატი პოეტის სატრფიალო ლექსებისა „გამოსალმება“, „სო... ორ ...“. სოფიოს დედაა ანა ოთარის ასული ამილახვარი (1800-1866) თეიმურაზ ბატონიშვილის (1782-1846) ცოლისდა, რომელიც დაქვრივების შემდეგ ცოლად გაჰყვა წარმოშობით დალმაციელ გრაფს, გენერალ-მაიორ ივანე ოსიპის ძე სიმონიჩს (1793-1851), რუსეთის სრულუფლებიან ელჩს სპარსეთში 1832-1838 წლებში. ანა ამილახვარი დაკრძალულია მოსკოვის ალექსის ქალთა მონასტერში (ბერძნიშვილი 1983: 175).

სოფიო ნინო ჭავჭავაძესა და სხვა აღსაზრდელებთან ერთად იზრდებოდა გენერალ-მაიორ თევდორე ისაის ძე ახვერდოვის (1774-1820) ქვრივ პრასკოვია ახვერდოვას პანსიონში. ალ. გრიბოედოვი იქ მისთვის და სხვა უმცროსი თაობის აღსაზრდელებისათვის როიალზე ცეკვებს ასრულებდა. „სოფიკო ორბელიანმა იცოდა ხოლმე კლავიშებთან ახლო მისვლა, ეს აღიზიანებდა

გრიბოედოვს და იგი ფინალური აკორდის შემდეგ სოფიკოს წინწამოწეულ მუცელში საჩვენებელ თითს მიარტყამდა, რაც გოგონას გაანაწყენებდა ხოლმე და ისიც გაექცეოდა“ – იხსენებს პრასკოვია ახვერდოვას ქალიშვილი დარია ხარლამოვა თავის მოგონებაში „კიდევ რამდენიმე სიტყვა გრიბოედოვზე“ (ანდრონიკაშვილი 1953: 245). 1827 წლის 28 ივნისს ნახჭევანიდან თბილისში გამოგზავნილ წერილში ალ. გრიბოედოვი სთხოვს პრასკოვია ახვერდოვას „ნაზად აკოცეთ ჩემს მაგიერ დაშენკას და პატარა სონია ორბელიანს...“ (ბალახაშვილი 1966: 97). თანამედროვენი სოფიო ყაფლანის ასულს უმშვენიერეს ქალად მოიხსენიებენ: „ვის არ ხიბლავდა გრაფინია სიმონიჩის ასული სოფიო“ – იგონებს ბარონი თედორე ტორნაუ (1810-1890), ხშირი სტუმარი საქართველოს მთავარმართებლის გრიგოლ როზენის (1782-1814) მეუღლის ელისაბედ როზენის სალონისა, სადაც ის სოფიოს ხვდებოდა.

გრ. ორბელიანის წერილების მიხედვით ირკვევა მისი გათხოვების სავარაუდო თარიღი. სალომე ორბელიანისადმი (1795-1847) ბირჟიდან 1835 წლის 23 მარტს გაგზავნილ წერილში პოეტი თავის დანიშნულთან შეხვედრას ნატრობს: „ახ, ჩემი სოფიკო! სად არის ნეტავ, ვახსოვარ თუ, შარშანდელს თოვლსავით არღა ვჰმყოფობ იმისთვის. – ბედს უყურეთ, მე ვარ დასავლეთს, ის აღმოსავლეთს; როდისღა უნდა შევიყარნეთ!“ (ორბელიანი 1936: 25). მარიამ დედოფლისადმი (17..-1841) რიგიდან 1835 წლის 16 აგვისტოს გაგზავნილ წერილში პოეტი შესჩივის დედოფალს: „ჩემი სოფიკო თავრიზშია, მე რიღაში, როდის უნდა შევხდეთ, თმებიც ყოველდღე მითეთრდება უმეტეს და უმეტეს. ვაი! ვაი! ესე არა მცირედ მაწუხებს. – ძნელია დედოფალო სახით და გულით უდროოდ დაბერება. – და ამისათვისა მეშინიან ვა თუ ბოლოს ქოქოლა მომაყაროს და მითხრას მეხი კი დაგეცაო“ (ორბელიანი 1936: 35). მაშასადამე წერილის დაწერის დროისათვის სოფიო ჯერ არ არის გათხოვილი და პოეტი მის ცოლად შერთვას ნატრობს. მარიამ დედოფლისადმი გაგზავნილ გრ. ორბელიანის 1836 წლის 1 ოქტომბრით დათარიღებული წერილით კი ვგებულობთ სოფიო ორბელიანის გათხოვების ამბავს: „ვაპირებ საქართველოში წასვლას, მაგრამ სოფიო გამითხოვდა, ბეზაკმა შეირთო, რომელიც არის პრივატელი კანცელარიისა, რაი

ვჰყო? მეც ვანუგეშებ თავსა ჩემსა მით, რომ არა მარტო მე ვარ ამ სოფელში მოტყუებული“ (მეუნარგია 2004: 53), ე. ი სოფიო ორბელიანი 1936 წელს უკვე გათხოვილია, ამდენად ის 1945 წელს, ე. ი. ნ. ბარათაშვილის წერილის თარიღისათვის ახალგათხოვილად ვერ ჩაითვლება, როგორც ამას ადრესანტი აღნიშნავს.

სოფიო ორბელიანი-ბაზაკისას ნ. ბარათაშვილი ახსენებს სხვა წერილში, კერძოდ, თბილისიდან გრ. ორბელიანისადმი გაგზავნილ პირად წერილში, რომელიც დათარიღებულია 1843 წლის 21 აგვისტოთი. პოეტი ბიძას სხვა ამბებთან ერთად მარტყოფში გამართულ ჯვარობაზეც უყვება და ყოფილ სატრფოზეც თავისებურად ეხუმრება: „კნიაზი ჭავჭავაძე თავისი კნეინათი მარტყოფს იყვნენ ჯვარობას. ამათ დასტაში იყვნენ სავარსამიძის ცოლი, სივრიჩის ცოლი და ბეზაკის ცოლი; ეს კი მუხროვანიდგან გადმოვიდა, ამ ზაფხულს იქ იდგა უქრმოდ. არ გინდა, რომ ერთს საათს მაგ მთებში გამომძვრალიყავ და მუხროვანში, იმისი ოთახში შუაღამისას დაბადებულიყავ?“ (ბარათაშვილი 2015 :116). როგორც ჩანს, დანიშნულის გათხოვების შემდეგ გრ. ორბელიანს მაინც შერჩენია სოფიო ორბელიანისადმი თბილი გრძნობები. ნ. ბარათაშვილის ამ წერილის გარდა ამის თქმის საფუძველს გვაძლევს ეკატერინე ჭავჭავაძის (1816-1882) გრ. ორბელიანთან 1835 წლის 22 მაისს წინანდლიდან გაგზავნილი წერილი: „შენი სოფიოს წიგნი მამივიდა ამას წინად თავრიზიდამ. საწყალი ძალიანა სწუხს, ბეზაკს მოსვლია იქ ცხოვრება. მეც მივწერე წიგნი, რომელშიაც მივწერე, გრიგოლი გახსოვს თუ დაივიწყე მეთქი. ახლა რასაც მომწერს, შეგატყობინებ. ნუ გეშინიან. შენ დაგრჩება შენმა გაზდამა“ (გრიშაშვილი 1957: 76-77). ამ დროისათვის, სავარაუდოდ, სოფიო ორბელიანი ან უკვე გათხოვილია ბეზაკზე ან დანიშნული მაინც.

ჩვენი აზრით, ბარათაშვილის მიერ ნახსენები პირველი სოფიო არის მისი გარე ბიძაშვილი **სოფიო (ხორეშან) კონსტანტინეს ასული ორბელიანი** (27.08.1827-07.01.1884) (ტაბ. 3, 4). პოეტის დედა ეფემია (1801-1849) და სოფიოს მამა კონსტანტინე (1798-1861) არიან ღვიძლი ბიძაშვილები, ძმების ზურაბ (დიმიტრი) (1766-1827) და იოსებ ორბელიანების (?-) შვილები. სოფიოს დედაა ხორეშანი

(1805-1874), კარდენახელი თავადის ვასილ ვაჩნაძის ასული. სოფიო ორბელიანი დაა ცნობილი ტასო ორბელიანისა (1931-1884), ჩერნიგორელი გენერალ-ლეიტენანტის ივანე დიმიტრის ძე ოგლობჟიოს (1818-1880) მეუღლისა, „ვანკა პაჟარნად“ ცნობილი ივანე ორბელიანისა (1833-?) და ასევე ცნობილი პორუჩიკის გრიგოლ (გიგო) ორბელიანისა, პოეტისა და მსახიობის ნინო სიმონის ასულ აბაშიძე-ორბელიანის (1831--1919) მეუღლისა. პირველ სოფიოდ მისი მიჩნევის საფუძველს იძლევა ის ფაქტი, რომ სოფიო კონსტანტინეს ასული გათხოვდა ზაქარია (საბუთებში ზოგჯერ იხსენიება ზურაბის ან ზაალის სახელით) დიმიტრის ძე ჩოლოყაშვილზე (1802-1851) 1845 წლის 29 ივლისს. (ჩიქოვანი 2012: 9) ე. ი. წერილის გამოგზავნის დროისთვის ის ახალგათხოვილია. მისი მეუღლეა თიანეთ-ფშავ-ხევსურეთის მოურავის, 1804 წელს მოკლული დიმიტრი ჩოლოყაშვილისა და გიორგი XII-ის ასულის რიფსიმე ბატონიშვილის (1780-1847) ვაჟიშვილი, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე ძმასთან ალექსანდრესთან (1803-1833) ერთად, შემდგომში პოლკოვნიკი (1846). ამ ქორწინების შესახებ იმავე წლის 24 აგვისტოს ფარნაოზ ბატონიშვილი პეტერბურგიდან სწერს დას თეკლეს: „ზაქარიას ცოლის შერთვა გებძანათ. – დიახ მიამა. ღმერთმან ბედნიერად წარუმართოს. ჩემთან მოგეწერათ რომ თქვენს ძმისწულს რივსიმას თქვენ მაგიერ მიულოცო. კარგა ხანია, მე ის აღარ მინახავს. ასე გავიგონე, თურმე წყინობს ზაქარიასაგან ცოლის შერთვასა“. ზ. ჩოლოყაშვილი 1851 წლის 26 მაისს გარდაცვლილა. მათი ვაჟი ილია ზურაბის ასული 1860-იან წლებში რუსეთის იმპერატორის ამალაში ჩანს. იგი, სავარაუდოდ, ილიას იანიჩარის პროტოტიპია (ბერძნიშვილი 1980: 241-243). ზაქარიას ქვრივ სოფიო ორბელიანს ახსენებს გრ. ორბელიანი თავისი რძლის ქეთევან ორბელიანისადმი (1818-1895) თემირხანშურადან გამოგზავნილ წერილებში: „თქვენი ამბავი სულ წვრილად შევიტყე: როგორ წაბძანებულხართ ალავერდს სოფიოსთან ერთად, მითომ სალოცავად, მაგრამ ხალხი კი სხუა მიზეზს ამბობენ; როგორც შექცეულხართ, როგორც ღამე გითევიათ და სხუანი და სხუანი. – ამის ანგარიშს მერე მოგთხოვთ“ (ორბელიანი 1937: 51); „ჩემო საყვარელო ძალუავ ქეთევან! თქვენი ალავერდში წასვლა, მითომ სალოცავად – შევიტყვე, კარგად დაწვრილებით

შევიტყე. მაგრამ ორნი სტარუხა ქვრივები, რომ ცხენებს მიაჭენებდით და მიეშურებოდით, მითომ ვინ უნდა გაგეხარებინათ თქვენის იქ მისვლითა, თქვენის ლოცვაში ტყუილის ოხრვითა და გულში ცემითა? კარგი; ამის ანგარიშს, როცა მოვალ, მაშინ მოგთხოვ“ (ორბელიანი 1937: 51). სოფიო კონსტანტინეს ასულის მოკითხვა გვხვდება გრ. ორბელიანის სხვა წერილებშიც.

რაც შეეხება წერილში ნახსენებ მეორე სოფიოს, ჩვენი ვარაუდით ის შეიძლება იყოს სამი სოფიოდან ერთ-ერთი: **სოფიო იაკობის ასული ორბელიანი** (ტაბ. 3, 5), **სოფიო ალექსანდრეს ასული ჭავჭავაძე** (ტაბ. 3, 1) ან **სოფიო შალვას ასული ერისთავი** (ტაბ. 3, 3).

სოფიო იაკობის ასული ორბელიანი (1829-1879) პოეტის დედის ბიძაშვილია. ეფემია ორბელიანი (1801-1849) სოფიოს მამის იაკობის (1784-1843) ძმისშვილია. სოფიოს დედაა თავად ალექსანდრე მაყაშვილის ასული ნინო (1801-1865) (იხსენიება წერილში XVII –„**ძალუა ნინო** მომიკითხე“). მისი ქმარია გენერალ-მაიორი დიმიტრი ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკი (1825-1899) (ჩიქოვანი 2012: 10), ინფანტერიის გენერალი, კავკასიის ომების მონაწილე, ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი (1863-1867), კავკასიის მეფისნაცვლის (დიდი მთავრის – მიხეილ ნიკოლოზის ძის) თანაშემწე (1875), სახელმწიფო საბჭოს წევრი (1880). წყვილი დაქორწინებულა 1850 წლის 14 მაისს (საფლავის ქვის წარწერის მიხედვით), ძმის ილიასადმი მიწერილი გრიგოლ ორბელიანის ერთი ბარათიდან კი ჩანს, რომ 1849 წლის დეკემბერში სოფიო უკვე გათხოვილია ან დანიშნული მაინც: „ძალუა ნინოს სიძე, კნიაზი მირსკი, მოვიდა დღეს ჩემთან. მიკვირს, როგორ მომხდარა ეს საქმე? კნიაზი მირსკი უცხო, ჭკვიანი, ყმაწვილი კაცია, და ძალიანაც მიხარის სოფიკოსათვის“ (ორბელიანი 1936: 199). სოფიო იაკობის ასულ ორბელიანს, აგრეთვე მის დებს თამარს (1816-1861), ბაბალეს (1820-?) და ეკატერინეს (1824-1875) მეუღლეებითურთ ხშირად განსაკუთრებული სიყვარულითა და სითბოთი ახსენებს და მოკითხვას უთვლის პირად წერილებში გრ. ორბელიანი: „მომწერე შენი ამბავი, ჩემო თვალის ჩინო, ძალუა და შენი შვილები მომიკითხე; აგრეთვე კეკლუცი კოკეტკა სოფიო მისის ქმრითა“ (ორბელიანი 1937: 209). „კრასავიცა ბაბალე, წელნაზი თამარ, ცუგრუმელა კატო, მინაზებული სოფიო მომიკითხე

სიყუარულით“ (ორბელიანი 1937: 110). „სწორედ ამ მინუტში მომიტანეს ამბავი, რომ სევასტოპოლის სიახლოეს მომხდარა დიახ დიდი ომი, სადაცა სხუათაშორის ძალიან მძიმედ არის დაჭრილი ჩვენი საბრალო კნიაზ დიმიტრი მირსკი. ღ-მან დაიფაროს იმის ცოლშვილი უბედურებისაგან... ახ, რა კარგი ყმაწვილი კაცი იყო და რა ძლიერ მიყუარდა“ (ორბელიანი 1937: 129).

სოფიო იაკობის ასულ ორბელიანსა და მის ქმარს ჰყავდათ შვილები: ნინა (1852-1926), მარია (1853-1889), ოლგა (1855-1898) და პეტრე (1857-1914).

სოფიო იაკობის ასული ორბელიანი, დედამისი ნინო (ნ. ბარათაშვილისგან ნახსენები „ძალუა ნინო“), მისი მეუღლე და ქალიშვილი მარია, რომელიც გათხოვილი იყო დიმიტრი ივანეს ძე ორბელიანზე (1875-1922), დაკრძალულნი არიან ქაშუეთის ეკლესიაში. ჩავიწერეთ სოფიო ორბელიანის საფლავის ქვის წარწერა, რომელიც იუწყება: „Княгиня Софья Яковлевна Святополкъ Мирская, рожденная княжна Орбелиіани. Род.1-го декабря 1929 г. Венчалось 14-го мая 1950 года. Сконч. 26-го ноября 1879 г. Оставивъ мужа, четерехъ детей и семерыхъ внучятъ. Вечная память“. მისი ქალიშვილის საფლავზე წარწერაა: „Княгиня Марья Дмитріевна Джамбакуріанъ-Орбелиіани, рожденная княжна Святополкъ Мирская. Род.10-го августа 1953г. Сконч. 13-го апреля 1889 г.“.

სოფიო ჭავჭავაძის შესახებ ზემოთ ვისაუბრეთ.

რაც შეეხება **სოფიო ერისთავს** (1832-1887), იგი შალვა ერისთავისა (1798-1849) და ეკატერინე ორბელიანის (1802-1877) ასულია. ნ. ბარათაშვილის დედა ეფემია და სოფიოს დედა ეკატერინე არიან ღვიძლი ბიძაშვილები, ძმების ზურაბის (დიმიტრის) (1766-1827) და ასლანის (1767-1835) ქალიშვილები. ეკატერინე ცნობილი ყაფლან ორბელიანის (1809-1878) დაა, ხოლო სოფიო შალვას ასული ბარათაშვილის მეგობრისა და ნათესავის, იმ ქეთევან ერისთავის ღვიძლი და, რომელსაც პოეტმა უძღვნა ლექსი „ქეთევან“ და რომელიც 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი მეთაურს ელიზბარ ერისთავს (1810-1871) გაჰყვა ცოლად. 1855 წლის 24 აპრილს სოფიო გათხოვდა ივანე დავითის ძე ორბელიანზე (1824-1893), მანანა ორბელიანის (1807-1870) შვილზე (ივანე ორბელიანის შესახებ იხ. სადისერტაციო ნაშრომის II თავის პირველი ქვეთავი). სოფიო ორბელიანისადმი გიორგი ერისთავს მიძღვნილი აქვს ლექსი „კნიაჟნა

სოფიო ერისთავისას“, რომელიც დაბეჭდილია ჟურნალ „ცისკრის“ 1852 წლის თებერვლის ნომერში სათაურით „კნეიჟნა სოფ... ერ...“. პოეტი ხოტბას ასხავს მის მშვენიერებას: „ნეტარ მას ჭაბუკს, ვისცა გულსა გაუბრწყინდები/და მასთან ღვთისგან კურთხევითა დაგვირგვინდები“.

სოფიო ერისთავს და მის ქმარს დიდი სიყვარულით იხსენებს და ახასიათებს ცნობილი მოღვაწე ქალი მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანიც (1852-1941) თავის მოგონებებში: „ჩვენთვის ყველაზე მახლობლები იყვნენ ივანე ორბელიანი (მანანას ვაჟი) და მისი მეუღლე – ერისთავის ქალი, რომელიც მე მთელი ჩემი ახალგაზრდული გრძნობით შევიყვარე. მას ქართული კაბა ეცვა, მოხდენილად ატარებდა ტანსაცმელს, ღრმა, ხავერდოვანი თვალები, მომხიბლავი ღიმილი და დამატყვევებელი საუბარი სიმშვენიერეს ჰმატებდნენ და იგი თანდათანობით ხდებოდა ჩემი იდეალი. ხოლო ის მელანქოლია, რომელიც გამოკრთოდა მასში, კიდევ უფრო მეტად მხიბლავდა მე. მას თავდავიწყებით უყვარდა თავისი ქმარი“ (ჯამბაკურ-ორბელიანი 2009: 85).

სოფიო ერისთავი სუსტი აგებულების ქალი ყოფილა, საკმაოდ განათლებული. მისი დისწული, ქეთევანის უმცროსი ქალიშვილი ელისაბედი (1864-1949) თავის მემუარებში იხსენებს: „პეტერბურღიდამ მოზდის გაზეტები და იმაზე ერთობაო“; „დეიდა ჩემი სოფიო ყოველ ზაფხულს მობ[რ]ძანდებოდა ხოლმე, ჩვენთვის დიდი სიხარული და ბედნიერება იყო ხოლმე[.] ვმართამდით თეატრებს[,] ცოცხალ სურათებს ხან სახლში და ბახში თხილებ[ს] ქვეშ. ისე იყო მშვენივრათ მომართული[,] თითქოს ნამდვილი სცენა იყო. დეიდა[+]ჩემი სოფიო სულ ავათმყოფობდა ან ქვეშაგებში ან კუშეტკაზე წამოწოლილი იყო ხოლმე[.] ჩვენ ოთხივ[ე] ბიძაშვილები და ჩვენი მასწავლებელი იქავე ძირს ხალიჩაზე იმის საწოლწინ დავსხდებოდით და [ვ]უგბებდით [ყურს] იმის ტკბილ და ჭკვიან[ურ] საუბარს. ბევრი ეკითხნა და ბევრი იცოდა“.

მემუარისტი სხვა საინტერესო ცნობებსაც გვაწვდის დეიდამისზე:

„მანანას არ უყვარდა თავისი რძალი[,] ვერასფრით ვერ გავიგე[,] რის მიზეზით[.] მე ვგონებ[,] რომ მიზეზი თუ ეს იყო[,] რომ მანანას ძალიან უყვარდა თავის მაზლისწულები[,] რომლებთანაც ერთათ შეთქმულებაში ერია[.] დიმიტრი

ბიძა[+]ჩემის (იგულისხმება ელიზბარ ერისთავის ძმა დიმიტრი შანშეს ძე ერისთავი (1811-1854), არტილერიის პრაპორშჩიკი, შემდგომ შტაბს-კაპიტანი, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე – მ. ც.). სიკვდილმა შეაძულა დეიდა[+]ჩემი[,] რომელსაც სიყმაწვილით უყვარდათ ერთმანეთი და უნდოდათ ჯვარ[ი] დაეწერათ[,] მა[გ]რამ ნება არ მისცა ეგზარხო[ს]მა[.] ბევრისაგან ბევრი ეცადნენ ნათესავები[,] მამა[+]ჩემი ეგზარხოს ევს[ე]ვისთან[,] მა[გ]რამ ნება არ მისცა[,] ორ ძმას ორი დის შერთვა არ შეიძლებაო. ბიძა[+]ჩემი ძალიან ლამაზი ყოფილა და ძალიან განვითარებული[.] მისი საყვარელი მწერალი იყო ბაირონი[,] სულ სტოლზე ედო. მამა[+]ჩემს ძალაინ უყვარდა დიმიტრი[,] განუყრელად ცხოვრობდნენ და დიდი მწუხარე იყო[,] როდესაც ნება არ მისცეს დეიდა ჩემზე ჯვარის წერის და ავათ გახდა და მალე მოესწრაფა სიცოცხლე... მერე დეიდაჩემი გათხოვდა მანანას შვილზე[,] მამიჩემის ბიძაშვილზე[.] მე მგონია[,] რომ მანანამ ეს არ მიუტევა და თავის[ი] რძალი არ შეიყვარა[,] თორემ სხვა მიზეზი არა იყო რა[,] მე ვგონებ. დეიდა[+]ჩემი იმისთანა სულით მაღალი და მშვენიერი ადამიანი იყო[,] რომ მიზეზი არა იყო რა. დეიდა[+]ჩემიც ჯერ კიდევ ყმაწვილი იყო[,] რომ გარდაიცვალა სიჭლექით. ჩემთვის და ჩემი ბიძაშვილებისთვის პირველი დიდი მწუხარება იყო მისი გარდაცვალება“ (ცერცვაძე 2012: 41-42).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სოფიო ერისთავი მეუღლესთან ერთად დაკრძალულია ქაშუეთის ტაძრის გალავანში.

დასახელებული სამიდან „მეორე სოფიოდ“ ნაგულისხმევი პირი დიდი ალბათობით უნდა იყოს **სოფიო იაკობის ასული ორბელიანი**, რომელთანაც, როგორც გრ. ორბელიანის წერილებიდან ირკვევა, უფრო ახლომეგობრული ურთიერთობა ჰქონიათ მას და მისი დის ოჯახს. იაკობ ორბელიანის სახლობა თბილისში, ორბელიანთუბანში ბინადრობდა (მოზდოკელი 1993: 4). სოფიო შალვას ასული მისი დისშვილის ელისაბედ ელიზბარის ასულ ერისთავის მოგონებების მიხედვით გათხოვებამდე ქართლში, სოფელ კარალეთში ცხოვრობდა და თბილისში სტუმრად თუ ჩამოდიოდა. რაც შეეხება სოფიო ჭავჭავაძეს, მართალია, პოეტი მის ოჯახში დიდად მიღებული და დაფასებული გახლდათ და სოფიოს დას ეკატერინესაც შესტრფოდა, მაგრამ ნაკლებსარწმუნოა, ამ ფრიად

პატივცემული, ელიტური ოჯახის უმცროს ქალიშვილს ისე გაკადნიერებოდა, რომ თუნდაც ხუმრობით მისთვის ზონარის მოქსოვა ეთხოვა.

ასეთია ჩვენი მოსაზრებანი ბარათაშვილის ზემოხსენებულ წერილში ნახსენები ორი სოფიოს ირგვლივ: პირველ მათგანად მივიჩნევთ **სოფიო კონსტანტინეს ასულ ორბელიანს,** ხოლო მეორედ – სამ სავარაუდო სოფიოთაგან **სოფიო იაკობის ასულ ორბელიანს**. განსხვავებით პირველისაგან მეორე სოფიოსთან მიმართებაში ამის დაბეჯითებით მტკიცება ჩვენს ხელთ არსებული წყაროების გათვალისწინებით კვლევის ამ ეტაპზე მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია, ამასთან ვთვლით, რომ ზემოთმოყვანილი არგუმენტაციის გათვალისწინებით მხოლოდ რომელიმე მათგანის გამოყოფა და მისთვის უპირატესობის მინიჭებაც არამართებულია.

ნ. ბარათაშვილის წერილებში გვხვდება აგრეთვე ორბელიანთა სხვა ქალებიც - მათ შორის ზემოთნახსენები სოფიო იაკობის ასულ ორბელიანის დები - ეკატერინე და თამარი.

ეკატერინე (კატო) ორბელიანი (წერილები XIVდა წერილი XVI (ორივეგან „კატო“)) - **ეკატერინე იაკობის ასული ორბელიანი** (1824-1875) (ტაბ. 2, 17), იაკობ ნიკოლოზის ძე ორბელიანის (1784-1843) ქალიშვილი, ნ. ბარათაშვილის მეგობარი და ნათესავი, დედის ბიძაშვილი. ეკატერინე ორბელიანი მეტად მომხიბვლელი ქალი ყოფილა. მისი და მაიკო ორბელიანის სილამაზეზე აღტაცებით იწერებოდა მ. ლერმონტოვის ნათესავი და მეგობარი ალექსი არკადის ძე სტოლიპინი (1816-1858), ცნობილი მეტსახელით „მონგო“, 1840 წელს თბილისიდან და მათ „თბილისური მანიაკის ორ უნაზეს მარგალიტს უწოდებდა“ (ანდრონიკაშვილი 1953:87).

ეკატერინე ორბელიანი გათხოვილი იყო გენერალ-ლეიტენანტზე, ეროვნებით რუს **ნიკოლოზ აღაპოს ძე ივანოვზე** (1810-1873) (იხსენიება წერილში XVI ფორმით „ნიკოლაი აღაპიჩი“). იგი იყო გენერალ-ლეიტენანტი, კავკასიური ომების მონაწილე, ქუთაისის გუბერნატორი. 1830 წელს დაამთავრა პავლოვსკის კადეტთა კორპუსი და სამსახური დაიწყო პრაპორშჩიკად. მონაწილეობას ღებულობდა 1831 წლის პოლონეთის კამპანიაში. 1837 წლიდან მსახურობდა კავკასიის განცალკევებული კორპუსის ჯარებში და რეგულარულად იბრძოდა კავკასიელ

მთიელთა წინააღმდეგ. 1849 წელს დაინიშნა კავკასიაში სამხედრო დასახლებების ინჟინერთა მე-7 ოლქის უფროსად. 1852 წლიდან პოლკოვნიკია. ამავე წელს დაინიშნა ქუთაისის სამოქალაქო გუბერნატორად. 1858 წლიდან გენერალ-მაიორი („კონსტანტინე თარხანოვი და ნიკოლაი აღაპიჩი ივანოვი, ესე იგი ჩვენი ბატონი სიძე, შეიქმნენ იანარლები“ - სწერდა გრ. ორბელიანი დიმიტრი ჯორჯაძეს 1858 წ. 28 აპრილს (ორბელიანი 1937: 238-239)) და ყუბანის ოლქის ჯარების მთავარსარდლის მოადგილეა, ხოლო 1861 წლიდან - ყუბანის კაზაკთა ჯარების დამსჯელი ატამანი. 1863 წლიდან კავკასიის არმიაში მსახურობს თანამდებობის გარეშე, 1866 წლიდან გენერალ-ლეიტენანტია. მიღებული აქვს სამხედრო ჯილდოები.

მოვიძიეთ ცნობები ეკატერინე ორბელიანისა და მისი მეუღლის ნეკროპოლის შესახებ. ისინი დაკრძალულნი არიან ქაშუეთის ტაძარში (ცინცაძე 1994: 113). ჩავიწერეთ ეკატერინე ორბელიანის საფლავის ქვის წარწერა, რომელიც, სამწუხაროდ, სადღეისოდ მხოლოდ ნაწილობრივ იკითხება: «ЕКАТЕРИНА ЯКОВЛЕВНА ИВАНОВА УРОЖДЕННАЯ КНЯЖНА ОРБЕЛІАНИ»

თამარ ორბელიანი (წერილები XVI და XVII (ორივეგან „თამართან“))- **თამარ იაკობის ასული ორბელიანი** (1816-1861) (ტაბ.2, 8), იაკობ ნიკოლოზის ძე ორბელიანის (1784-1843) ქალიშვილი, ნ. ბარათაშვილის მეგობარი და ნათესავი, დედის ბიძაშვილი, ეკატერინე და სოფიო ორბელიანების და. მათი დედაა ამავე - XVII წერილში მოხსენიებული „ძალუა ნინო“ - ნინო ალექსანდრეს ასული მაყაშვილი (1801-1865), რომელმაც იაკობ ორბელიანზე 1814 წელს იქორწინა. თამარ ორბელიანი გათხოვილი იყო გენერალ-მაიორ, კავკასიური ომების მონაწილე **ანდრია სტეფანეს ძე სანკოვსკიზე** (1799-1859) (იხსენიება წერილში XVII ფორმით „სენკოვსკი“). მისი მეუღლე იყო უკრაინული წარმოშობის გენერალ-მაიორი, კავკასიური ომების მონაწილე, წარმოშობით აზნაური პოლტავის გუბერნიიდან.1814 წელს იწყებს სამოქალაქო სამსახურს პოლიციაში კოლეგიის რეგისტრატორად, 1815 წელს ღებულობს გუბერნიის მდივნის, 1818 წელს - კოლეგიის მდივნის ჩინს. 1829 წლიდან სამხედრო სამსახურშია, კერძოდ ირიცხება იუნკერად ლეიბ-გვარდიის მე-2 საარტილერიო ბრიგადაში. 1821 წელს ხდება პრაპორშჩიკი, 1824 წელს - პოდპორუჩიკი, 1826 წელს - პორუჩიკი. იმავე წელს იწყებს სამსახურს კავკასიის

გრენადერთა საარტილერიო ბრიგადაში, მონაწილეობს სპარსეთის წინააღმდეგ ომში. 1827 წელს ხდება შტაბს-კაპიტანი. 1829 წელს რუსეთ-თურქეთის ომში გამოჩენილი სიმამაცისათვის ღებულობს კაპიტნისა და პოდპოლკოვნიკის ჩინებს. შემდეგ აგრძელებს მუშაობას კავკასიის გრენადერთა საარტილერიო ბრიგადაში და მონაწილეობს კავკასიის მთიელთა წინააღმდეგ ლაშქრობებში. 1837 წელს გადაჰყავთ შეტყობინებათა გზების ინჟინერთა კორპუსში, შემდეგ განსაკუთრებულ დავალებათა კავკასიის განცალკევებითი კორპუსის მეთაურად, 1838 წელს ხდება პოლკოვნიკი. მიღებული ჰქონდა სამთავრობო ჯილდოები. სიცოცხლე დაასრულა გენერალ-მაიორის ჩინით. ანდრია სანკოვსკი ძმაა ალექსანდრ პუშკინის (1799-1937) მეგობრის, ჟურნალისტის და პუბლიცისტის, გაზეთ «Тифлисские Ведомости»-ის რედაქტორის პავლე სანკოვსკისა (1798-1832), რომელიც 1823-1832 წლებში თბილისში ცხოვრობდა და აქვე გარდაიცვალა.

თამარ ორბელიანი მეუღლესთან ერთად დაკრძალულია ქაშუეთის ტაძარში (ცინცაძე 1994: 113).

ტასო ორბელიანი (წერილები VIII („ტასოს“), XIII („თავისი ქალით“) და XIV („ტასოს“)) - **ანასტასია დავითის ასული ორბელიანი** (1825-1907) (ტაბ. 2, 18), მანანა მირმანოზის ასულ ორბელიანის (1807-1870) ქალიშვილი. ცოლად გაჰყვა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს, ქვრივ თავადს ალექსანდრე ივანეს ძე გაგარინს (1801-1857), რომელიც ქუთაისში სასიკვდილოდ დაჭრა სვანეთის მთავარმა კონსტანტინე დადეშქელიანმა (1826-1857). დაქვრივების შემდეგ გადასახლდა ყირიმში, იალტაში, ქუჩუკ-ლამბათში, დამკვიდრდა გარდაცვლილი ქმრის მამულში და სიკვდილამდე იქ ცხოვრობდა. შვილი არ ჰყოლია. იშვილა თავისი ბიძაშვილი, იაკობ (კონა) ერისთავის (1817-1896) ასული ელენე თარხან-მოურავი (1852-1922). ყირიმში ააშენა ევროპული (გოტიკური) სტილის სასახლე. მისდევდა ქველმოქმედებას. გახსნა პატარა, კომფორტული საავადმყოფო, რომლის მედპერსონალს თავად ინახავდა. დაკრძლულია ყირიმშივე, კარის ეკლესიის გვერდით. იქვე მარხია ელენე თარხან-მოურავიც. თანამედროვეთა გადმოცემით დედას ბევრად ჩამოუვარდებოდა სილამაზით (Зиссерман 1879). 1851 წელს ანასტასია ორბელიანი დახატა პეტერბურგიდან საქართველოში ჩამოსულმა მხატვარმა ლევ ლაგორიომ (1827-1905).

აკვარელით შესრულებული ეს პორტრეტი ინახება შ. ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების მუზეუმში. „სანდომიანი სახის ახალგაზრდა ქალი სავარძელში ზის თავისუფალ პოზაში. მოხურული აქვს მოვარდისფრო მოსასხამი, რომლის ტონიც ჰარმონიულ გამას ქმნის ქალის დიდრონ შავ თვალებთან. პორტრეტი მე-19 საუკუნის შუა ხანების ტრადიციული მანერითაა დაწერილი“ (ფერაძე 1964: 67).

ტასო ორბელიანი. წერილებში VIII და XIV ანთროპონიმ „ტასო“-თი მოხსენიებულ პირად შეიძლება ვიგულისხმოთ აგრეთვე ნ. ბარათაშვილის სხვა ნათესავი ქალიც - **ანასტასია კონსტანტინეს ასული ორბელიანი** (1831-1884) (ტაბ. 2, 21) - ნ. ბარათაშვილის გარე ბიძაშვილი. პოეტის დედა და ანასტასიას მამა კონსტანტინე (1799-1861) იყვნენ ბიძაშვილები - ძმების ზურაბ (დიმიტრი) (1766-1827) და იოსებ (?-1816) ორბელიანების შვილები. ანასტასია კონსტანტინეს ასულ ორბელიანი გათხოვილი იყო გენერალ-ლეიტენანტზე, ჩერნიგორელ ივანე დიმიტრის ძე ოკლობჟიოზე (1818-1880). მეუღლესთან ერთად დაკრძალულია ქაშუეთის ტაძრის გალავანში (ცინცაძე 1994: 113).

ნინო ჭავჭავაძე (წერილები XII („ნ. ალ-ნა“) და XVII („ნინა ალექსანდროვნა“) ნინო ალექსანდრეს ასული ჭავჭავაძე (1812-1857), პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის უფროსი ასული, ცნობილი რუსი დიპლომატისა და მწერლის ალექსანდრ სერგის ძე გრიბოედოვის (1795-1829) მეუღლე, გრ. ორბელიანის პოეტური მუზა და ლექსების ადრესატი. ნინო ჭავჭავაძემ და ალექსანდრე გრიბოედოვმა ჯვარი თბილისში, სიონის ტაძარში 1828 წლის 22 აგვისტოს დაიწერეს. გარდაიცვალა თბილისში ქოლერით. დაკრძალულია მთაწმინდაზე, მეუღლის გვერდით. (ბალახაშვილი 1966); (ბიბილეიშვილი 2006: 46-48).

მკვლევარი ა. აბრამიშვილი ამ წერილებში მოხსენიებულ პირად მიიჩნევს არა ნინო ჭავჭავაძეს, არამედ ნინა ალექსანდრეს ასულ ეილერს (1818-1871), შემდგომში ნ. ბარათაშვილის სიყრმის მეგობრის რევაზ ანდრონიკაშვილის მეუღლეს. იგი ასევე თვლის, რომ ნინა ეილერი ბარათაშვილის პირველი ტრფობის ობიექტია და ასევე ადრესატი ლექსისა „...ნა ფორტეპიანოზედ მომღერალი“ ნაცვლად ეკატერინე ჭავჭავაძისა, როგორც ეს ტრადიციულად არის მიჩნეული (აბრამიშვილი 1968: 86-91). ნინა ეილერის შესახებ ვრცლად ვისაუბრებთ სადისერტაციო ნაშრომის წინამდებარე

თავის შემდეგ ქვეთავში - „ბარათაშვილის ტრფობის ობიექტები და პოეტური მუზები“, აქ კი აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ ვერ გავიზიარებთ მკვლევარის ამ მოსაზრებას დასახელებულ წერილებში (ყოველ შემთხვევაში XII წერილში) მოხსენიებულ პირთან მიმართებაში შემდეგი მიზეზის გამო: ნ. ბარათაშვილი სწერს ბიძას: („ახალი ამბავი ანუ ჭორი ხომ გიყვარს. ამ ხელად ეს არის, რომ ნ[ინა] ალ[ექსანდროვ]ნა ოდესაში მიდის 9 ივნისს. შენ მანდ გაჯავრდი“). ნინო ჭავჭავაძის ბიოგრაფიის დატალურად შესწავლამ ცხადყო, რომ იგი მართლაც გაემგზავრა ოდესაში ცოტა მოგვიანებით, იმავე 1843 წლის შემოდგომაზე (ის წერილის დაწერის დროისათვის თავის დასთან ეკატერინესთან სტუმრად იმყოფებოდა ზუგდიდში და მისი მცირეწლოვანი შვილების სიკვდილმა შეაგვიანა). გარდა ამისა, როგორც ცნობილია, რომ გრ. ორბელიანი ეტრფოდა ნინო ჭვაჭვაძეს და ამის გამო ეხუმრება ბიძას დისშვილი ასე - „შენ მანდ გაჯავრდი“ (ბარათაშვილი 2015: 168-169).

ჯორაკის ქალი ბარბარე (წერილი XVII). ამ პირთა ირგვლივ მკვლევართა მიერ მხოლოდ ვარაუდებია გამოთქმული. მაგალითად, ა. გაწერელია ფიქრობს, რომ ესენი შეიძლება იყვნენ დავით ჯორჯაძე და მისი ქალი ბარბარე (ბარათაშვილი 1972: 230), ხოლო გიორგი ლეონიძის აზრით ეს ბარბარე არის „ბარბარე ჯორჯაძე (დ. 1839 წ.) გათხოვდა 12 წლისა ზაქარია ჯორჯაძეზე, რომელიც იმჟამად განჯაში მსახურობდა“ (ბარათაშვილი 1954: 145). მ. ხელთუბნელის (თუმანიშვილის) ცნობით „განჯასა და განჯის მაზრაში თბილისელების პატარა კოლონიაც იყო. მას, ნიკ. ბარათაშვილისა და მამუკა ორბელიანის გარდა, ეკუთვნოდნენ ელისავეტპოლის „გოროდნიჩი“ **შტაბს-კაპიტანი ჯორჯაძე** (ხაზგასმა ჩვენია - მ.ც.), რომელიც 1845 წლის 20 ივლისს ილია იაკობის ძე სავარსამიძემ შეცვალა, ჰაირუმის უბნის „ზასედატელი“ ალექსანდრე იოსების ძე მელიქოვი, შამშადინის უბნის „ზასედატელი“ პეტრე აბესალომის ძე ბებუთოვი, მისი თანაშემწე მიხ. იოსების ძე მელიქოვი, ყაზახის უბნის „ზასედატელი“ არკადი მიხეილის ძე ღამაზოვი. ნიკ. ბარათაშვილის ხელქვეითნი იყვნენ აგრეთვე სხვა ქართველი მოხელენიც, როგორც მაგალითად, სამაზრო სამმართველოს **არქივარიუსი ჯორჯაძე**“ (ხაზგასმა ჩვენია - მ. ც.) (ხელთუბნელი 1940: 358-359). სამწუხაროდ, ვერც ჩვენ ვასაბუთებთ, ვინ შეიძლება იყვნენ წერილში ნახსენები ეს პირები - ჯორაკი და მისი ქალი ბარბარე. მხოლოდ

ვაზუსტებთ და მოგვყავს მწირი ბიოგრაფიული ცნობები სავარაუდო პირთა შესახებ, როგორც საყურადღებო მასალა, რომელიც შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს სამომავლოდ, კვლევის შემდგომ ეტაპზე.

დავით ივანეს ძე ჯორჯაძე (1810-1866) არის შტაბს-კაპიტანი, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე, ნ. ბარათაშვილის სიძის რევაზ ლუარსაბის ძე ერისთავის (1812-1881) სიძე, მისი დის მარიამის (1816-?) ქმარი. სწავლობდა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში. 1825 წელს, მე-4 კლასში სწავლისას გააგზავნეს სასწავლებლად პეტერბურგის მეორე კადეტთა კორპუსში. პეტერბურგში ცხოვრობდა ლუარსაბ (1789-1850) და დიმიტრი (1803-1845) ბატონიშვილებთან. 1830 წელს საქართველოში დაბრუნდა და სამსახური დაიწყო სასწავლო ბატალიონში პრაპორშჩიკად. შეთქმულების საგამოძიო კომისიამ მიიჩნია მე-6 კატეგორიის დამნაშავედ და კავკასიის ხაზზე მე-5 ფეხოსანთა პოლკში სამსახურად გაგზავნა მასზე მეთვალყურეობის დაწესებით. რამდენიმე ნაწარმოები დაბეჭდილი აქვს 60-იანი წლების ქართულ პრესაში. დავით ჯორჯაძე დაინიშნა ელიზავეტპოლის ქალაქისთავად („გოროდნიჩად“) 1845 წლის 19 მარტს («Закавказский вестник» 1845 г. №15), ხოლო იმავე წლის 20 ივლისს ის შეცვალა პოლკოვნიკმა ილია იაკობის ძე სავარსამიძემ («Закавказский вестник» 1845 г. №32) (ხელთუბნელი 1940:358-359).

გიორგი ლეონიძის „ბარბარე“ კი ცნობილი მწერალი ქალი ბარბარე ჯორჯაძეა (1838-1895), ქალიშვილობაში ერისთავი (არაგვის), რაფიელ ერისთავის (1824-1901) და. ის გათხოვილი იყო თავად ზაქარია ნოშრევანის ძე ჯორჯაძეზე (1818-?) (სოფელი გრემი), სამხედრო კარიერაში ხელმოცარულ კარის მრჩეველზე, ლეჩხუმის მაზრის პოლიციის უფროსის თანაშემწეზე. შეიძლება ის იყოს ნახსენები „არქივარიუსი ჯორჯაძე“. გადაჭრით თქმა გვიძნელდება - ზაქარია ჯორჯაძის განჯაში სამსახურის ცნობებს ჯერჯერობით ვერ მივაკვლიეთ.

რახელი წერილი VIII („რახაელს“).

გავიზიარეთ მოსე ბოლქვაძის მოსაზრება ანთროპონიმ „რახაელით“ მოხსენიებული პირის იდენტიფიკაციის თაობაზე.

რახელის სახელით ციციშვილების საგვარეულო საარქივო საბუთებში მრავალი მანდილოსანი გვხვდება. ნ. ბარათაშვილის თანამედროვე და წერილში მის

მიერ ნახსენები რახელი არის **რახაელ ელიზბარის ასული ციციშვილი** (1806-25.05. 1845), რომელიც 1922 წლის 10 ივნისს ცოლად გაჰყვა პოდპოლკოვნიკ ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ციციშვილს (1805-18.10. 1860). მათი ერთადერთი ვაჟი კონსტანტინე დაბადებულია 1823 წელს. მისი შვილები არიან ელიზბარი, მალხაზი, ნიკოლოზი, რახელი, თომა, მარიამი (ბოლქვაძე 2016: 14).

3. ნ. ბარათაშვილის ტრფობის ობიექტები და პოეტური მუზები

ნ. ბარათაშვილის სატრფოსა და პოეტურ მუზაზე ეკატერინე ჭავჭავაძეზე (1816-1882) მინიშნება გვხვდება პოეტის მხოლოდ ერთ წერილში (წერილი III), რაზეც უკვე ვისაუბრეთ სადისერტაციო ნაშრომის II თავის ქვეთავში - მიხეილ თუმანიშვილი.

ნინო (წერილი II, „პირველ დამასო გულს კაეშანი“). მკვლევარები ფიქრობენ, რომ აქ პოეტი საუბრობს თავის პირველ სიყვარულზე - არა უგვიანეს 1836-1837 წლების გატაცებაზე. ბარათაშვილოლოგიურ ლიტერატურაში მიჩნეულია, რომ მას ერქვა ნინო. ერთადერთი დასაყრდენი პოეტის სატრფოდ „ნინოს“ მიჩნევისა გახდა ლევან მელიქიშვილის (1817-1892) 1846 წლის 19 იანვრის წერილი გრ. ორბელიანისადმი, რომელიც პოეტის სიკვდილსა და მისი ნაწერების გამოცემას ეხება და რომელშიც ადრესანტი იხსენებს რევაზ ანდრონიკაშვილთან სტუმრობას მისი მეუღლის სახელობის დღეს. რევაზ ივანეს ძე ანდრონიკაშვილი (1818-1878) ნ. ბარათაშვილის ბავშვობის მეგობარია, გენერალ-ლეიტენანტი, გენერალ-ადიუტანტი, კავკასიური ომების მონაწილე, თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი (1871), ერთ-ერთი მეთაური რეაქციონერთა დასისა და ი. ჭავჭავაძის „გამოცანების“ ადრესატი. იგი დაქორწინებული იყო ნინა ეილერზე, არტილერიის გენერლის ალექსანდრ ქრისტოფერის ძე ეილერის (1773-1849) ქალიშვილზე, ცნობილი შვეიცარიელი მეცნიერის, მათემატიკოსის, მექანიკოსის და ფიზიკოსის ლეონარდ ეილერის (1707-1783) შვილთაშვილზე. როგორც ცნობილია, ლეონარდ ეილერმა ცხოვრების თითქმის ნახევარი რუსეთში გაატარა და დიდი წვლილი შეიტანა რუსული მეცნიერების განვითარებაში. მისმა შვილებმა მიიღეს რუსეთის

ქვეშევრდომობა. ლ. ეილერის შთამომავლების დიდი ნაწილი ცხოვრობდა საბჭოთა კავშირში. ნინა ეილერი ლეონარდ ეილერის უმცროსი ვაჟის, გენერალ-ლეიტანანტ ქრისტოფერ ეილერის (1743-1808) შვილიშვილია. ლევან მელიქიშვილის რუსულ ენაზე დაწერილი ზემოთხსენებული წერილის პეტრე უმიკაშვილისეული თარგმანი გამოქვეყნებულია ჟურნალ „მნათობის“ 1938 წლის #12-ში. ლ. მელიქიშვილი სწერს გრ. ორბელიანს: „ახლა გაგახარებ იმ ამბით რა პატივის გრძნობა აქვთ განსვენებულისა და მისი ნიჭისა მის ყველა მცნობებსა. 14 იანვარს (კნეინა ნინოს დღეობას) ჩვენ რამდენიმე ყმაწვილი ქართველები რევაზ ანდრონიკაშვილთან ვიყავით სადილად: ჩვენთან ყაფლანიც (იგულისხმება ყაფლან ორბელიანი - მ. ც.) იყო, რომელსაც ვთხოვეთ „სულო ბოროტო“ ემღერა. მაგრამ წარმოიდგინე, არც იმან და არც ერთმა ჩვენთაგანმა არამც თუ ზეპირად არ იცოდა ეს მშვენიერი ლექსი -არც კი ვისმე ჰქონდა გადანაწერი და ყველანი გულით შევწუხდით, რომ განსვენებულის ნაწერები იკარგებოდა“. ჩვენს მიერ ხაზგასმულ სიტყვებს - კნეინა ნინოს - აქვს განმარტება სქოლიოში: „არ ვიცი, იცი თუ არა, პირველი სიყვარული საწყლისა იყო ნინო; არც ის ვიცი, იცი თუ არა, რომელი ნინო იყო“. ი. მეუნარგია თავის მონოგრაფიაში ნ. ბარათაშვილზე წერს: „პირველი მისი სიყვარული იყო ნ. ო. (ხაზგასმა ჩვენია _ მ. ც.), რომელსაც უძღვნა ლექსი: „მიყვარს თვალები მობნედილები...“ (მეუნარგია 2005: 227). ამ ნინოს ამავე ნარკვევში ავტორი ერთგან ორბელიანად მოიხსენიებს ყოველგვარი ბიოგრაფიული ცნობების გარეშე (მეუნარგია 2005: 237). სამწუხაროდ, ბიოგრაფოსი არ განმარტავს, არ ასახელებს წყაროს, რის საფუძველზე მიიჩნევს პოეტის სატრფოს გვარის ინიციალად ასო „ო“-ს და რატომ შიფრავს მას მაინცდამაინც „ორბელიანად“. ორბელიანთა სათავადო სახლის ბოლოდროინდელ გენეალოგიურ ტაბულებში, რომელიც საგულდაგულო კვლევების საფუძველზე შედგენილია ცნობილი მკვლევარ-გენეალოგის ი. ჩიქოვანის მიერ და რომელთაც ყურადღებით გავეცანით, არ ჩანს არც ერთი ნინო ორბელიანი, რომელიც შეიძლება ნ. ბარათაშვილის თანამედროვედ და სატრფოდ ვიგულოთ. ამ გვარ-სახელის ქალები ან პოეტის ნათესავები არიან ან მისი სიყვარულისთვის შეუფერებელნი წლოვანების გამო. ამიტომ, ვფიქრობთ, სანამ მეტად ხელშესახები საფუძველი არ გვექნება, ნ. ბარათაშვილის პირველი სატრფო მხოლოდ სახელით

უნდა მოვიხსენიოთ. როგორც უკვე აღვნიშნეთ წინა ქვეთავში, მკვლევარი ა. აბრამიშვილი ნ. ბარათაშვილის პირველ სატრფოდ მიიჩნევს ნინა ეილერს (აბრამიშვილი 1968: 86-91). მისი ეს ვერსია დასაშვებად მიგვაჩნია და გამოვთქვამთ ფრთხილ ვარაუდს პოეტის პირველი სატრფოს იდენტიფიცირების საკითხზე. ჩვენი ყურადღება მიიპყრო იმან, რომ „კნეინა ნინოს“ ხსენებისთანავე ლევან მელიქიშვილს გაახსენდა ნ. ბარათაშვილის პირველი სიყვარული და ამაზე გადაუგდო სიტყვა გრ. ორბელიანს. იგი თითქოს რაღაც უხერხულობის გამო ბოლომდე ვერ უმხელს მას პოეტის სატრფოს ვინაობას. ხომ არ არის პოეტის პირველი სატრფო თავად წერილში ნახსენები „კნეინა ნინო“, შემდგომში რევაზ ანდრონიკაშვილის მეუღლე? ასეთივე ვარაუდი გამოთქმული აქვს ი. ბალახაშვილს 1968 წელს თავის პუბლიკაციაში „ღამე ყაბახზე“, თუმცა რ. ანდრონიკაშვილის მეუღლედ ის შეცდომით ასახელებს ნინო ივანეს ასულ ორბელიანს (ბალახაშვილი 2017: 486). ცხადია, საკითხი სიღრმისეულ, საფუძვლიან კვლევასა და მკაცრ დასაბუთებას მოითხოვს, რასაც სამომავლოდ ვაპირებთ. ჯერჯერობით კი გამოთქმული მოსაზრება მხოლოდ ჩვენს ვარაუდად რჩება.

ნიკოლოზ ბარათაშვილის პირველი სატრფოს შესახებ უკანასკნელ ხანს გამოითქვა კიდევ ერთი მოსაზრება. საყურადღებო არგუმენტაციაზე დაყრდნობით ზ. ლომჯარიამ შემოგვთავაზა ვერსია პოეტის პირველ სატრფოდ მივიჩნიოთ ყაფლან ორბელიანის (1813-1878) პირველი მეუღლე. როგორც მკვლევარი სამართლიანად აღნიშნავს, ახალი მასალების გამომზეურებამდე მის „თვალსაზრისს, რომ ნინო თამაზის ასული ქობულაშვილი-ორბელიანისა (1815-12.02.1839) არის ნიკოლოზ ბარათაშვილის „სანატრი ქალი“, არსებობის უფლება აქვს“ (ლომჯარია 2017:10).

ლაბიელი (წერილი III). **დელფინა ლაბიელი,** ნ. ბარათაშვილის ადრეული გატაცების საგანი, მისი დაკარგული ლირიკული ლექსის „ასტრას“ (ასტრე - (ფრ. astre [astr]), ციური სხეული, ციური მნათობი, მნათობი) ადრესატი. ეს ლექსი პოეტს 1838 წლის ივლისში დაუწერია და ფრანგი მეგობარი ქალიშვილის, იმხანად მისი ყმაწვილური გატაცების საგნის დელფინა ლაბიელისადმი მიუძღვნია. პოეტის გატაცება ამ ფრანგი ქალიშვილით მხოლოდ ორ წელს - 1837-1838 წლებს მიეწერება.

დელფინას ეძღვნება პოეტის 1837 წელს დაწერილი ლირიკული ლექსიც „ჩემს ვარსკვლავს“.

დელფინა ლაბიელის დედა ფრანგი ქალი მადამ ლაბიელი პროვანსიდან ყოფილა. იგი ჩამოსულა თბილისში მეუღლესთან ივანე ლაბიელთან ერთად, რომელიც მალე გალოთებულა და 1831 წელს უმუშევრად დარჩენილა. მადამ ლაბიელს ჯერ საფრანგეთის კონსულ ჟ. გამბას (1763-1833) მიერ საქართველოში ჩამოყვანილ ნეგოციანტ მოიჯარადრე კასტელლოს აბრეშუმსახვევ ფაბრიკაში უმუშავია ფეიქრად, ხოლო 1839 წელს, როცა ფაბრიკა დაკეტილა, უმუშევრად დარჩენილს თბილისში, ერევანსკის მოედნისა და შუაბაზრის კუთხეში პირველი გასტრონომიული მაღაზია გაუხსნია. იქ იყიდებოდა როგორც ნამცხვარი, ისე რძისა და ხორცის პროდუქტი, მაგარი და ტკბილი ევროპული სასმელები. დელფინას გარდა მას მეორე ქალიშვილიც ჰყოლია. ისინი ორივენი რუს სამხედრო პირებსა და მოხელეებზე გათხოვილან. ქალიშვილთა დაბინავებით მადამ ლაბიელს თბილისის უმაღლეს არისტოკრატიაში გაუკვალავს გზა.

ნ. ბარათაშვილის ამ სტუმრობას წყნეთში ლაბიელებთან და უშუალოდ დელფინას ეძღვნება გიორგი ლეონიძის (1999-1966) ლექსი „წყნეთური ვარდი“ (1938წ.)(http://www.nplg.gov.ge/ebooks/authors/giorgi_leonidze/leqsebi/ckneturi%20vardi.pdf).

როგორც ირკვევა, ლექსი „ასტრა“ ნ. ბარათაშვილს ჩვენამდე არმოღწეულ ერთ წერილთან ერთად გაუგზავნია მიხეილ თუმანიშვილისათვის 1838 წელის ივლისის პირველ ნახევარში. წერილის ადრესატს იგი ძალიან მოსწონებია, თუმცა ვერ მიმხვდარა რას ნიშნავდა სათაური „ასტრა“ და ვის ეძღვნებოდა იგი. მიხეილ თუმანიშვილს მალევე, იმავე წლის 15 ივლისს წინანდალში საპასუხოდ დაუწერია ლექსი-შეკითხვა „ასტრას“:

„ასტრავ, ასტრავ, უცნაურო კაცთათვის,
სადაური სად მოსულხარ, ან რისთვის?
უსულო ხარ, სულიერი, ვინ იცის,
ეს სახელი არ სმენია არავის!
ნუთუ შენ ხარ ანგელოსი ციური,

ან ყვავილი უსახელო ველური,
ანუ თვალი უძვირფასესი ზღვისა?
მკითხველთათვის ხარ მარად უცნაური.
მოფრენილო შორეულისა ქვეყნით,
კარგის სიტყვით, კარგის სტიხით, კარგის ხმით,
ვერავისგან შეწყნარებას ვერ ჰპოვებ,
მიუხვედრო, ასტრავ, შენის წოდებით.
გაისარჯე, წარვედ შენსა დამწერთან,
ოდესცა ვსცნობ შენსა სახელსა მისგან,
მაშინ გაქვნდეს უეჭველი იმედი,
რომ იქნები წაკითხული ყველასგან“ (ბალახაშვილი 1967:195).

ეს ლექსი მის ავტორს წერილთან ერთად გამოუგზავნია მეგობარი პოეტისთვის. განსახილავ წერილში დასმულ კითხვებზე ნ. ბარათაშვილი ერთგვარი ქარაგმებით პასუხობს მ. თუმანიშვილს. „იგი აღებულია ფრანგულიდან „astre“, რა ჩვენებურად (...) ნიშნავს: მთიები“ - სწერს იგი მიხეილ თუმანიშვილს (მთიები – 1. ცისკრის ვარსკვლავი. 2. (პოეტ.) ვარსკვლავი საერთოდ (ქეგლ. ტ.)). თუ რატომ დაშიფრა ბარათაშვილმა დელფინას სახელი მაინცდამაინც ვარსკვლავ-ასტრათი, ამ საკითხზე გამოთქმულია მოსაზრება, რომლის თანახმად დელფინა ჩრდილოეთის თანავარსკვლავედს ნიშნავს (ბალახაშვილი. 1967: 204). მართლაც, დელფინი, ლათინურად Delphinus, სპეციალურ ლექსიკონში განმარტებულია, როგორც ცის ჩრდილოეთი ნახევარსფეროს მცირე თანავარსკვლავედი (https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%94%D0%B5%D0%BB%D1%8C%D1%84%D0%B8%D0%BD_(%D1%81%D0%BE%D0%B7%D0%B2%D0%B5%D0%B7%D0%B4%D0%B8%D0%B5).

ნ. ბარათაშვილის „ასტრას“ უძღვნა ვარლამ ჟურულმა (1908-1965) თავისი „დაკარგული ლექსი“ (1945) (ქართული...1984: 186-188).

გონჩა ბეგუმი (წერილები XIV („გონჩა-ბეგუმ“) და XV („ცოლ-ქმარი“)). **გონჩაბეიიმ** (აზერბ. *Qönçəbəyim*), აზერბაიჯანელი პოეტი ქალი (1827-?), ნახჭევანის უკანასკნელი ხანის ექსან-ხან ნახჭევანელის (კენგერლი) - (აზერბ. *Ehsan xan Kəlbəli*

Xan oğlu Naxçıvanski (Kəngərli) (1789-1846) ქალიშვილი. მამამისი ექსან-ხანი იყო ნახჭევანის სახანოს მმართველი (1820-1828), რუსეთის საიმპერატორო არმიის გენერალ-მაიორი, რუსეთის გენერლების ისმაილ-ხან და ქელბალი-ხან ნახჭევანელების მამა. ახალგაზრდობაში ჩამდგარი იყო სპარსეთის სამსახურში. მონაწილეობდა სპარსეთ-თურქეთის 1821-1823 წწ. ომში, რომელშიც თავის გამოჩენისათვის მიენიჭა ხანის ტიტული. 1822-1827 წლებში შაჰის არმიის სერგენკია (პოლკოვნიკია). 1826-1828 წლის რუსეთ-სპარსეთის ომის დროს რუსეთის სარდლობასთან შეთანხმებით რუსულ ჯარებს გადასცა ციხესიმაგრე აბას-აბადი და ჩადგა რუსეთის სამსახურში. ექსან-ხანს მიანიჭეს რუსეთის არმიის პოლკოვნიკის ჩინი და დანიშნეს ნახჭევანის სახანოს ნაიბად. 1831 წლის მაისში დააჯილდოვეს წმ. ანას მე-2 ხარისხის ორდენით. 1837 წლის ოქტომბერში ექსან-ხანს გენერალ-მაიორის ჩინი უბოძეს. 1839 წელს კავკასიის მთავარმართებლის გენერალ ე. ა. გოლოვინის (1782-1858) ზეწოლით ის იძულებული გახდა უარი ეთქვა ნაიბის თანამდებობაზე. კომპენსაციის სახით დანიშნეს კენგერლის ჯარების, მოგვიანებით კი ამიერკავკასიის მუსულმანური ჯარების სალაშქრო ატამანად https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%9D%D0%B0%D1%85%D0%B8%D1%87%D0%B5%D0%B2%D0%B0%D0%BD%D1%81%D0%BA%D0%B8%D0%B9,_%D0%AD%D1%85%D1%81%D0%B0%D0%BD_%D0%A5%D0%B0%D0%BD.

გონჩაბეიიმი 1837 წელს შევიდა ქალაქში გახსნილ რუსულ სკოლაში, სადაც შეისწავლა რუსული ენა და ფარსი (სპარსული ენა). მონაწილეობა მიიღო პოეტური კრებულის „გონჩეიი-ულფატის“ შედგენაში. საკუთარ ლირიკულ ლექსებს წერდა ფსევდონიმით „ბეიიმ“. გონჩაბეიიმის თქმით, მისი შექმნილია ლექსების ნაწილი დასტანისა „პრინცი იბრაჰიმ“ (https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%93%D0%BE%D0%BD%D1%87%D0%B0%D0%B1%D0%B5%D0%B9%D0%B8%D0%BC).

როგორც XIV წერილიდან ჩანს, ნ. ბარათაშვილს მოსწონებია გონჩაბეიიმი, იგი მის პოეტურ ნიჭსაც მოუხიბლავს და თანაც შესცოდებია პირადი დრამის გამო. წერილში XV ის იმასაც ატყობინებს მაიკო ორბელიანს, რომ ქალი ქმართან შეარიგა. სავარაუდოდ, ნ. ბარათაშვილმა გონჩაბეიიმს უძღვნა 1845 წლის 10 იანვარს

დაწერილი ლექსი „მადლი შენს გამჩენს“. იგი ნ. ბარათაშვილის ერთ-ერთ პოეტურ მუზად შეიძლება ჩაითვალოს.

4. ნ. ბარათაშვილის სიძის ოჯახი

ნ. ბარათაშვილის ეპისტოლური მემკვიდრეობისა და საახლობლო წრის შესწავლისათვის მნიშვნელოვნად გვესახება მისი დის ეკატერინეს (1821-1853) მეუღლის რევაზ ლუარსაბის ძე ქსნის ერისთავის (1812-1881) ოჯახის შესახებ ახალი ბიოგრაფიული ცნობების მოპოვება და არსებულის დაზუსტება. ამასთან, ვინაიდან ამ ოჯახის ზოგიერთი წევრი და ნათესავი (ლევან ერისთავი, დავით ჯორჯაძე, ბარძიმ ამილახვარი...) 1832 წლის შეთქმულების მონაწილეცაა, კვლევა ამ თვალსაზრისითაც საყურადღებოა.

ნ. ბარათაშვილის უფროსი და ეკატერინე მელიტონის ასული ბარათაშვილი, რომლის ბიოგრაფიული ცნობებიც მოყვანილი გვაქვს სადისერტაციო ნაშრომის I თავის მე-3 ქვეთავში, 1944 წლის 6 აპრილს დაუნიშნავთ გორის მაზრის მემამულეზე, პრაპორშჩიკ **რევაზ ლუარსაბის ძე ერისთავზე** (ტაბ. 4, 21). ჯვრისწერა იმავე წლის ივნისში მომხდარა. საეკლესიო ჩანაწერში ვკითხულობთ: „1844 წელი. ივნისის 29-სა. პრაპორშჩიკმა თავად რევაზ ლუარსაბის ძე ერისთავმა ქართველთ სარწმუნოებისა და მაიორის თავადის მელიტონ ბარათოვის ასულ ეკატერინემ ქართველ სარწმუნოებისა, იქორწინეს პირველთა ქორწინებითა. იყვნენ თავდებნი: სასიძოს მხრით თავადი გივი ბარამის ძე ამილახვარი, თავადი ალექსანდრე ჩოლოყოვი და სასიძოს მხრით თავადი ლუარსაბ ბიძინას ძე ქსნის ერისთავი, თავადი დავით ერისთავი“ (ბალახაშვილი 1967: 75-76).

სიძესა და მის ნათესავებს - რევაზ ერისთავის ძმებს - ლევანს და დავითს და მათ მეუღლეებს, რევაზის დებს, დედას და დედის ძმას - ნ. ბარათაშვილი ახსენებს ოთხ პირად წერილში (წერილები X, XI, XII და XIII).

დასახელებულ ბარათებში სხვა ამბებთან ერთად პოეტი დის ნიშნობასა და ქორწილზეც მოუთხრობს თავის ბიძებს. იგი აღფრთოვანებულია სიძითა და სიძის სახლეულით და წერილის ადრესატებს თავის სიხარულს უზიარებს. 1844 წლის 15

აპრილის წერილში ზაქარია ორბელიანს პოეტი წერს: „კატო დავნიშნეთ წარსულს კვირას რევაზ ერისთავზედ და ქორწილსაც საამაღლებოდ ვაპირებთ. დიდად მიხარიან. ბიჭიც კარგია და ოჯახიც კარგი აქვს. ათასი რომ ვიჩანჩალოთ, ისევ საქართველოში უნდა დავაბოლოოთ ჩვენი ცხოვრება და ამისთჳს ჩემი ჰაზრი ეს არის, რომ, რაც უნდა ვიფრანცუცოთ, მაინც ძველი ოჯახი და კარგი დამოკიდებულება რაც უნდა წახდეს, ახალთან კიდევ მოვა!" (ბარათაშვილი 2015: 148).

რევაზ ერისთავი თავისი დროისათვის შეძლებულ თავადად ითვლებოდა, რაც განსაკუთრებით უხარებდა გულს მატერიალურად შეჭირვებულ ბარათაშვილებს. ამავე წლის აგვისტოში ნიკოლოზი ბიძამისს სწერდა: „ზაქარიავ, სწორეს გულით გეტყვი, რომ კატო თავის მოსაწონს, ეხლანდელს დროში სანატრელს ოჯახშია. ძმების უმაგალითო თანხმობა, სიმდიდრე სახლისა და უვალობა!" (ბარათაშვილი 2015: 172).

მიუხედავად ოჯახის უსახსრობისა, ბარათაშვილებს ეკატერინესთვის ქორწილიც კარგი გადაუხდიათ და მზითევიც მდიდრული გაუტანებიათ, რასაც იმავე წერილიდან ვიგებთ: „კარგი ქორწილი გარდვიხადეთ", „მზითევი გაშინჯეს... მრთელს ქართლში გაითქვა" (ბარათაშვილი 2015: 171-172). მზითევის გაწყობაში დიდი მონაწილეობა მიუღიათ პატარძლის ბიძებს ზაქარიას, რომლის ბავშვობის მეგობარიც ყოფილა სასიძო, და გრიგოლს. შემორჩენილია ნ. ბარათაშვილის მშობლების ეფემიასა და მელიტონის 1844 წლის 15 აპრილის წერილები ზაქარია ორბელიანისადმი, რომელიც იმხანად სამხრეთ დაღესტანში მსახურობდა. აღნიშნულ წერილებში ისინი ოჯახის მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში ყოფნის გამო ფულად შემწეობას სთხოვენ მას ამ საქმეში. ეფემია წერდა ზაქარიას: „ჩემი ქალი კატო გავათხოვე, შენი დისწული მივეცი რევაზ ერისთავისშვილს, აპრილის ექვს დავწიდე როგორც რიგი არის, თუმცა ქორწილიც უნდოდათ, მაგრამ მე მზათ არ ვიყავ და ამისათვის დარჩა, რომელიც უნდა მივცე ასი თუმანი ფულად და ასი თუმნის მზითევი. ს[ა]ამაღლებოთ მაშურებენ ჯვარის წერას, როგორც ღმერთი შეგვეწევა ისე უნდა მოვახერხოთ ჩვენი საქმე ... ძმაო, ჩემი დაბრკოლება მოუმზადებლობა არის, რასადროს მზათ ვიქნები ჯვარს დაიწერს. ეხლა შენ იცი, ძმაო, რაღა ჩემი მოწერა გინდა, უნდა შეეწიო. ეგების გრიგოლს მანდედამ შეატყობინო ეს ამბავი... შენმა

გაზდამ, ზაქარიავ, დიახ კარგი საქმე მოხდა. ყველას უკვირს. მაინც მიზეზი შენა ხარ ამ საქმისა და თუ ღმერთიც შემეწია და ჩქარა დავაბოლოვე. ამ წიგნის პასუხს ჩქარა მოველი შენგან. შენი და ეფემია კნეინა ბარათოვისა“. იგივეს სთხოვდა ცოლისძმას მისი სიძე მელიტონიც:… „ძმაო, კატუა გავათხოვეთ და ჯვარსაც საამაღლებოდ ვწერთ... აბა, ხომ ჰპირდებოდი, დროც ეს არის თუ მოგვაშველებ რასმეს. ხომ იცი ჩემი მდგომარეობა როგორც არის, შენმა გაზდამ დიდად გაჭირვებაში ვარ ეხლა ამ შემთხვევისთვის, შენგან ტყუილი არ მწამდა და ეხლა ჩემზედ აღასრულე... თუ დროზე მომეშველები კატუას მზითვისთვის შენ იცი, თუ არა და გაჭირდება საქმე. შენი მელიტონ ბარათოვი“ (გრიშაშვილი 1957: 491-492). ზაქარია ორბელიანი მართლაც დახმარებია დის ოჯახს: „ზ[აქარ]იას და გ[იორგ]ის (იგულისხმება მელიტონის დისშვილი გიორგი საგინაშვილი (1792-1800) - მ.ც.) კარგი საქორწილო გამოეგზავნათ. ზ[აქარ]ია იწერება, რომ გ[რიგო]ლმა სულ ბღუჯეულად იცისო. - კ[ატო]მ შემოგითვალა: ახლა შენ იციო, ეგეც დიდ-კაცობა, ესეც შემთხვევა გამოდგომისაო, თუმცა კი სულ ერთია: თუნდ შენსა ჯიბეში და თუნდ ჩემს ჯიბეშიო“ - ნ. ბარათაშვილი იმავე წლის 23 მაისის წერილიდან გრ. ორბელიანისადმი (ბარათაშვილი 2015: 163). „დიდი ამბები გადამხდა ჩემის ქალის გათხოვებაზედ, ღვთის მოწყალებით კარგი მზითევი მივეცით, რაც ჩემისთანას თავადის შვილს შეეფერებოდა, ასი თუმნის თამასუქი გამოვართვი ერთი წლის ვადით, მაგრამ, ძმაო, თუ ეს თამასუქი არ ყოფილიყო, საქმე ავათ მიდიოდა. ძმაო ჩემო სიცოცხლევ. ასეთ დროს მომივიდა შენგან ფული, შენმა სიცოცხლემ, ის ოცი თუმანი ასი თუმნის ალაგას მოვიხმარე. იმდენი სიცოცხლე მქონდეს, ზაქარიავ, რამდენი კატოს წაყვანაზე შენა გნატრობდა, მალ-მალ მეტყოდა ჩემი კატო - ნეტავის ერთი ზაქარიას ნახვა მღირსებოდა” - ეფემია ორბელიანის წერილიდან ძმისადმი (ბალახაშვილი 1967: 77).

ეკატერინეს მეუღლე რევაზ ერისთავი შვილია კაპიტან ლუარსაბ გიორგის ძე ქსნის ერისთავისა (ჩანს 1771-1812) და მარიამ ფარნაოზის (ფარნას) ასულ წულუკიძისა (ჩანს 1817-1852 წლებში). ნ. ბარათაშვილის 1844 წლის აგვისტოს წერილში იხსენიება „არქიერი წულუკიძე, კატოს დედამთილის ძმა“; „არქიერი ეზოში იდგა, კარავში, ჭანდრებს ქვეშ. იმ დღეს ამობძანდა კატოს სანახავად, დალოცა და ერთი ოქროთ მოჭედილი ღვთისმშობლის ხატი აჩუქა“ (ბარათაშვილი 2015: 171-172).

ვფიქრობთ, ეს უნდა იყოს ნიკორწმინდელი ეპისკოპოსი სოფრომ წულუკიძე, რომელსაც 1821 წლის 19 ნოემბრის ბრძანებით შექმნილი იმერეთის ეპარქიის მმართველობა ჩააბარეს იმპერატორის ნება-სურვილით და რომელსაც რუსეთის სინოდმა არქიეპისკოპოსის წოდება მიანიჭა. სოფრომი იმერეთის ეპარქიას 1845 წლამდე განაგებდა https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%A5%E1%83%A3%E1%83%97%E1%83%90%E1%83%98%E1%83%A1E1%83%92%E1%83%90%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%94%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A5%E1%83%98%E1%83%90. მკვლევართა ნაწილის აზრით, წერილში ნახსენები არქიერი არის ექვთიმე წულუკიძე, რომელიც 1844 წლის 29 ივნისს დანიშნეს გურიის ეპისკოპოსად (XIX-XX საუკუნეების...21: 268).

რევაზ ერისთავს ჰყავდა ორი ძმა: ლევანი (ტაბ. 4, 8) და დავითი (ტაბ. 4, 26).

ნ. ბარათაშვილის წერილებიდან ჩანს, რა დიდ პატივს სცემდნენ და ანებივრებდნენ ისინი მის უფროს დას, პატარძალ ეკატერინეს:

„ლევანისა ხომ სულია კატო და დავით ხომ იმის ნებივრობაშია! მე ეს მიამა, რომ მტერი ვერ გაიხარე[ბ]ს“ (წერილი XIII) (ბარათაშვილი 2015: 172).

რევაზის უფროსი ძმა ლევან ლუარსაბის ძე ერისთავი (1805-?) პრაპორშჩიკია, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე. პირველად ის 1822 წელს ქეთევან ბაგრატის ასულ ბაგრატიონ-მუხრანელზე (1807-?), მეორედ 1838 წელს თამარ გრიგოლის ასულ ჩოლოყაშვილზე დაქორწინდა (ჩიქოვანი 2010: 22).

1832 წლის შეთქმულების საგამოძიებო მასალებში ვხვდებით საგულისხმო ცნობებს ლევან ერისთავის შესახებ. კერძოდ, მის ჩვენებაში ვკითხულობთ: „მქვიან ლევან, მამი ჩემისა სახელი არის ლუარსაბ, ჩინი მაქვს პრაპორჩიკობა. მე ვარ ოცდა ხუთის წლისა. ცოლიანი ვარ ჯვარდაწერილი მუხრან ბატონის ბაგრატის ქალზე სამი ვაჟი მყავს პატარები, დედა მყავს და ორი უასაკო ძმები. მე მყავს ყმა და მამული გორის უეზდში და დუშეთის უეზდში ას ოთხმოცი კომლი დამრჩა და ას სამოცი კომლი ჩამომართვეს, წლის შემოსავალი რაც დამჭირდებოდა და ფულათ არ ჰქონდა გადაჭრილი ჩემის ყმიდამ და მამულიდამ ვცხოვრობდი. მე აღვიზარდე ჩემს მშობლებთან. მე ვიყავ წინაპირველათ რომ ყიზილბაშში ომი იყო მაშინ ღენარალ

მაიორ დავიდოვთან და ვიმსახურე ოთხი თვე, მასუკან ვიყავ გრაფ პასკევიჩთან ოსმალოს ომში, ყარსისათვის მომეცა პრაპორჩიკობა და ახალციხისათვის ჩეთვერთი სტეპენი ანა ზახრაბროსტი მასუკან ოსებში ვიყავ პახოდში ღენარალ რეინკაფთან და ვიმსახურე და არ დავჭრილვარ. არა ვყოფილვარ არც პეტერბურხს და არც მოსკოვს. ქრისტიანობრივის მოვალეობით დავიარები მე ეკლესიაში და ყოველწლივ მიმიღია წმინდა საიდუმლო“ (გოზალიშვილი 1935: 350).

ლევან ერისთავი მკაცრად არ დაუსჯიათ. „სამსახურის გარეშე მყოფი თავადი ლევან ერისთოვი, დაჭერილ იქნას ციხეში ექვსი თვის განმავლობაში და მერე დარჩეს საქართველოში პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ“ - სწერდა სამხედრო მინისტრი ჩერნიშევი მთავარმართებელ როზენს (გოზალიშვილი 1976: 429).

ლევან ერისთავს იმერეთში ჰყოლია ბიძები დედის მხრიდან: „მე აქ ქართლში არავისგან გამიგონია თუ იმერეთში იცოდა ვინმე ეს საქმე. მე მყავს ორი ბიძა იმერეთში ბაჭა და ყარამან, მაგრამ ამ საქმეზე არც კაცი გამიგზავნია, არა იცოდნენ რა იმათ ჩემგან. პრაპორშჩიკი თავადი ლეონ ერისთავი“ (გოზალიშვილი 1970: 375-376).

რევაზ ერისთავის უმცროსი ძმაა **დავით ლუარსაბის ძე ერისთავი** (1814-1889), პოდპორუჩიკი, სახელმწიფო მრჩეველი. პირველად მან 1845 წელს სალომე შალვას ასულ ერისთავზე (1826-1854), მეორედ კი 1858 წელს ანა გრიგოლის ასულ ბებუთოვაზე (1839-1918) იქორწინა (ჩიქოვანი 2010). დავით ერისთავის შვილია ნიკოლოზ (კოლა) ერისთავი (1866-1929), პრაპორშჩიკი, ცნობილი დეკლამატორი, ილია ჭავჭავაძის მეგობარი (ჩიქოვანი 2010: 22).

დავითის ქალიშვილი, თავად ქაიხოსრო გიორგის ძე ჯავახიშვილის (1869-1928) მეუღლე დარია (1873-1962) თავის მოგონებაში იხსენებს:

„მამაჩემის, დავით ლუარსაბის ძე ერისთავის ოჯახი ცხოვრობდა დუშეთის მაზრაში, სოფელ ახალგორში (ეხლანდელი ლენინგორი). მამაჩემს ჰყავდა ხუთი შვილი. მათში უფროს ვაჟს ერქვა ნიკოლოზი ანუ კოლა, როგორც მას იცნობდა ქართველი საზოგადოება. კოლას ბავშვობიდანვე უყვარდა სცენა და გატაცებული იყო ხელოვნებით. იგი 8 წლისა იყო მხოლოდ, როდესაც პირველად მიიღო მონაწილეობა მოლიერის პიესაში, რომელშიც ასრულებდა ბავშვის როლს. როდესაც კოლა წამოიზარდა, მან მოინდომა მსახიობად გახდომა, მაგრამ მამამ ამის ნება არ მისცა და

კოლაც ძალაუნებურად დაემორჩილა მამის სურვილს. მან თავი გაანება სცენას და ხელი მიჰყო მხატვრულ კითხვას. ამ ნიადაგზე იგი დაუახლოვდა ცნობილ ქართველ მწერალს ილია ჭავჭავაძეს და მიუხედავად იმისა, რომ ილია ბევრად უფროსი იყო მასზე, მისი გულითადი მეგობარი გახდა. როდესაც ჩემს ძმას შეეძინა უფროსი ვაჟიშვილი (იგულისხმება გიორგი ერისთავი (1890-1897), გარდაიცვალა ქუნთრუშით - მ. ც.), მან გადასწყვიტა რომ იგი ილიას მოენათლა, მართლაც ზაფხულში მოაწყო ნათლობა და ნათლიად ილია ჭავჭავაძე მოიწვია. ილია სიამოვნებით დათანხმდა და ნათლობის დღე დანიშნეს. ეს მოხდა დაახლოებით 1890 წელს“.

„ჩვენი სასახლე წარმოადგენდა სამსართულიან შენობას, რომლის ფართო აივანი ეყრდნობოდა 8 მაღალ სვეტს. აივნიდან თვალწინ იშლებოდა დიდი ბაღი და ქსნის მთელი ხეობა. თვალწარმტაცმა ბუნებამ მოხიბლა ილია, რომელმაც გამოსთქვა თავისი აღტაცება. ბაღში ილიამ დაინახა უშველებელი, მაღალი ჭადრის ხეები და მათ ქვეშ დიდი ქვის მაგიდა. ილია მიუბრუნდა კოლასა და ჰკითხა: „ეს ქვებია, რომელზედაც სწერდა ნიკოლოზ ბარათაშვილი”-ო?“ (ერისთავი-ჯავახიშვილისა 1987: 157-158).

კოლა ერისთავს და მის მეუღლეს ანასტასია გიორგის ასულ ციციშვილს (1864-?) გიორგის გარდა კიდევ სამი შვილი ჰყავდათ: თამარი (1893-1980), ნინო (1895-1928), (გათხოვილი იყო სიმონ მიხეილის ძე აშხაცავაზე (1886-1937), გარდაიცვალა ახალგაზრდა ტუბერკულოზით) და შალვა (1897-1921), იუნკერი, ერთ-ერთი პირველი ფეხბურთელი, კოჯორთან ბრძოლებში გმირულად დაღუპული. მამა სამი შვილის სიკვდილს შეესწრო.

რევაზ ერისთავს ჰყვდა ორი და: ანასტასია (ტაბ.4, 14) და მარიამი (ტაბ. 4, 29).

რევაზის უფროსი და **ანასტასია ლუარსაბის ასული ერისთავი** (1809-1886) 1827 წელს ცოლად გაჰყვა 1832 წლის შეთქმულების მონაწილის ბარძიმ ამილახვრის (1781-1861) ვაჟს გივი ამილახვარს (1810-1877), შემდეგ კი - დავით ეგნატეს ძე თუმანიშვილს (1783-1827) (ჩიქოვანი 2010: 22). ანასტასია ერისთავისა და გივი ამილახვრის ვაჟია ცნობილი გენერალი ივანე (ნიკო) გივის ძე ამილახვარი (1829-1905), გენერალ-ადიუტანტი, კავალერიის გენერალი. ივანე ამილახვარი 1850-იდან მსახურობდა ჩრდილოეთ კავკასიაში ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკში. 1853-იდან

იბრძოდა შამილის წინააღმდეგ. ყირიმის ომის (1853-1856) დროს კავკასიის ფრონტზე ოსმალეთის წინააღმდეგ მონაწილეობდა სოფელ ბაინდურის, ბაშკადიკლარის და ყარსის ბრძოლებში. ამილახვარმა განსაკუთრებით გამოიჩინა თავი რუსეთ-ოსმალეთის ომში (1877-1878). მისმა ცხენოსანმა დივიზიამ აიღო ბაიაზეთი, დიადინი, ალაშკერტი, ჰასან-კალე, არზრუმი და სხვა. 1893 წლიდან მეთაურობდა კავკასიის საარმიო კორპუსს. დაჯილდოებული იყო ოქროს ხმლით „მამაცობისათვის“ და მრგვალი საბრძოლო ორდენითა და მედლით. გამოქვეყნებული აქვს დღიურები და მოგონებები (журнал «Кавказский сборник», 1908-1909, т. 26-29). ეს ჩანაწერები საინტერესო ცნობებს შეიცავს ეპოქისა და იმ ბრძოლების ირგვლივ, რომლებშიც მის ავტორს მიუღია მონაწილეობა. ივანე ამილახვარი იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დამფუძნებელი წევრი, ქართულ სიძველეთა რესტავრატორი. 1898 წელს მან თანხა გაიღო სათავადაზნაურო სკოლისათვის ადგილის შესაძენად და შენობის ასაშენებლად. თანამედროვენი ახასიათებენ, როგორც დიდ პატრიოტს, კეთილ, ლმობიერ, უბრალო და თავმდაბალ ადამიანს, ღარიბ-ღატაკთა ქომაგსა და გამკითხავს. ცოლად ჰყავდა ანა (ანეტა) ალექსანდრეს ასული ერისთავი (1848-1934), გორის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლის ალექსანდრე ერისთავის (1812-1883) ქალიშვილი. დაკრძალულია ქაშუეთის ეკლესიაში. მის შესახებ საინტერესოდ მოგვითხრობს ელისაბედ ელიზბარის ასული ერისთავი (1864-1949) თავის მემუარებში (ცერცვაძე 2012: 40-71).

რევაზის უმცროსი დაა **მარიამ ლუარსაბის ასული ერისთავი** (1816-?). 1831 წელს ის ცოლად გაჰყვა ენისელელ თავადს, 1832 წლის შეთქმულების მონაწილეს, შტაბს-კაპიტან დავით ივანეს ძე ჯორჯაძეს (1810-1866) (ჩიქოვანი 2010: 22). ცნობები მისი ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ მოყვანილი გვაქვს სადისერტაციო ნაშრომის წინამდებარე თავის მე-2 ქვეთავში.

ეკატერინე ბარათაშვილსა და რევაზ ერისთავს ეყოლათ შვილები: ელენე (1845-1892), ნადეჟდა (1847-?), ეფემია (1849-?) და ნიკოლოზი (კოლა) (1850-1915) (ჩიქოვანი 2010: 21). ნიკოლოზ ერისთავი, რომელსაც სახელი უდროოდ დაღუპული პოეტი ბიძის პატივსაცემად დაარქვეს, იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი. მის შესახებ საგულისხმო ცნობებს გვწვდის

იოსებ გრიშაშვილი: „მეტად საინტერესო მოღვაწე იყო ბარათაშვილის ...დისწული ნიკოლოზ ერისთავი, ან როგორც მისმა მეგობრებმა ხუმრობით შეარქვეს: „ცუნცულაძე“. იგი არ იყო მწერალი, მაგრამ თავისებურ საზოგადო მოღვაწედ ითვლებოდა, იცოდა გატაცებული ბაასი, ეხმაურებოდა ყოველგვარ ქართულ საქმეს, კამათობდა, ბობოქრობდა, პატრიოტობდა. მან სომხის მდიდარი ქალი შეირთო (ნიკოლოზ რევაზის ძე ერისთავი დაქორწინებული იყო ქველმოქმედზე ეკატერინე მიხეილის ასულ თამამშევაზე (1857-1937) - მ. ც.), (შვილი არა ჰყავდა) და ფულითაც ეხმარებოდა ქართულ კულტურულ საქმიანობას. მან 1909 წელს კარგი ნაწარმოებისთვის პრემიაც დანიშნა და მეთვალყურეობა სიტყვაკაზმულ საზოგადოებას მიანდო. იგი, სხვათა შორის, გავლენიანი პირი იყო მაშინდელი მაღალი მოხელეების წრეში და ძალიან დიდი მეგობარი დავით ერისთავისა (იგულისხმება დრამატურგი დავით გიორგის ძე ერისთავი (1847-1890) - მ. ც.) და განსაკუთრებით ილია ჭავჭავაძისა. ამას ნათლად ამტკიცებს დავით ერისთავის გამოუქვეყნებელი ბარათები და ილიას კერძო წერილები... აი ეს კოლა ერისთავი... იყო ინიციატორი ბარათაშვილის ლექსების გამოცემისა. მისი მოულოდნელი სიკვდილის გამო, ეს საქმე მისმა მეუღლემ განაგრძო საკუთარი საფასით. ამ მუშაობის შედეგი იყო 1916 წელს დაბეჭდილი „ბედი ქართლისა“ (მთელი წიგნი პოეტის ავტოგრაფისაგან შესდგებოდა, დაურიგდა მხოლოდ ხელისმომწერლებს, გასასყიდად არ გამოსულა) და ბარათაშვილის ნაწერების პირველი აკადემიური გამოცემა, რომელსაც ექვსი წლის ბეჭდვის შემდეგ მხოლოს 1922 წელს ეღირსა გამოსვლა“ (გრიშაშვილი1957: 495-496).)

ეკატერინე ბარათაშვილი-ერისთავისა 1853 წლის 20 მარტს გარდაიცვალა.

დაქვრივების შემდეგ რევაზ ერისთავმა 1856 წლის 12 თებერვალს მეორედ იქორწინა მართა ნიკოლოზის ასულ ბაგრატიონ-მუხრანელზე (1836-?) (ჩიქოვანი 2010: 22). „ყაფლან (იგულისხმება თავადი ყაფლან ასლანის ძე ორბელიანი (1813-1878) -მ. ც.) დაბრუნდა რევაზის ქორწილიდამ, თუ ისეც იქ არის?“ – ეკითხება თავის რძალს ქეთევან ორბელიანს გრიგოლ ორბელიანი 1856 წლის 1 მარტს თემირხანშურადან გამოგზავნილ წერილში (ორბელიანი 1937: 161). ნიკო ბური (1868-1933), რომლის ალალი მამიდაც იყო მართა ბაგრატიონ-მუხრანელი, თავის მემუარებში იხსენებს: „14

წლის ლამაზი მართა განსაკუთრებით მოეწონა ვორონცოვის მეუღლეს და ერთხელ წაიყვანა თავის ნადიმზე. ნადიმზე ყველაზე უკეთესი შთაბეჭდილება მართამ მოახდინა. მისმა შესანიშნავმა სილამაზემ მიიპყრო იქ მყოფი მთელი ახალგაზრდობის ყურადღება. მაგრამ მართას ასეთმა მოწონებამ მამამისი საგონებელში ჩააგდო, - პაპაჩემს სიძედ გარდა ქართველისა, არავინ უნდოდა, ამიტომ მან მართას გათხოვება დააჩქარა და ცოტა ხნის წინათ დაქვრივებულ თავად რევაზ ერისთავს გაატანა ცოლად. რევაზი ძალიან მდიდარი, მაგრამ საცოლეზე თითქმის 40 წლით უფროსი (რევაზ ერისთავი მეუღლეზე 24 წლით იყო უფროსი - მ. ც.), მეტისმეტად ეჭვიანი კაცი გამოდგა. რევაზმა ახალგაზრდა ცოლი ჩაკეტა თავის თეთრ სასახლეში; ეს სასახლეც ისეთივე ლამაზი და სვეტებიანი იყო, როგორც თბილისში არჩილ მუხრანელის (იგულისხმება არჩილ თეიმურაზის ძე ბაგრატიონ-მუხრანელი (1824-1862-მდე), მართას სიძე, მისი უფროსი დის, სალომეს (1825-?) ქმარი - მ. ც.) სახლი; ის მდინარე ქსნის ნაპირზე მდებარეობდა, საცხოვრებელი ადგილებიდან სრულიად განცალკევებულად. რევაზის პირველი ცოლი ეკატერინე პოეტ ნიკოლოზ ბარათაშვილის მკვიდრი და იყო, რომელთანაც ხშირად და დიდიხნობით სტუმრობდა ხოლმე პოეტი“ (ბაგრატიონი 1951: 18).

მეორე ქორწინებიდან რევაზ ერისთავს შეეძენა შვილები: თამარი (1859-?), არჩილი (1860-?), ანასტასია (1862-1880წ.-ის შემდეგ), სოფიო (სონია) (1865-?) (აზნაურ გიორგი ანდრიას ძე კობიაშვილის (1860-?) მეუღლე) და ივანე (1868-?) (ჩიქოვანი 2010: 21-22).

რევაზ ერისთავი და მისი პირველი მეუღლე ეკატერინე ბარათაშვილი-ერისთავისა დაკრძალულნი არიან გვერდიგვერდ სოფელ ოძისის ეკლესიაში. ეკატერინეს საფლავის „ქვაზე შემდეგი წარწერაა: „ქუჩშე ლოდისა ამის მდებარე არს თავადი რევაზ ლუარსაბის ძის ერისთავის მეუღლე ეკატერინე ასული თავადის მელიტონ ბარათოვისა, შობიდამ კჩ-სა (28) წლისა, გარდაცვალებული ამიერ სოფლით ჩყნგ (1853) წელსა მარტის კ-სა დღესა“. შემდეგ იგივე რუსულად (ქართველ მოღვაწეთა... 1961: 25).

ასეთია ბიოგრაფიული ცნობები რევაზ ლუარსაბის ძე ერისთავის ოჯახის წევრთა - ნ. ბარათაშვილის ახლობელთა ერთ წრისა და მისი კერძო წერილების

პერსონაჟებისა. ისინი ბოლოდროინდელი ისტორიულ-ლიტერატურული კვლევების გათვალისწინებითაა წარმოდგენილი.

5. IX და XIII წერილებში მოხსენიებული პირები

მოხსენიებულ პირთა სიმრავლით ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილებში გამოირჩევიან IX (1843 წლის 21 აგვისტოს წერილი გრიგოლ ორბელიანისადმი) და XIII ([1844 წლის 15 აგვისტოს შემდეგ] წერილი ზაქარია ორბელიანისადმი) (ამ უკანასკნელი წერილის ახლებურ დათარიღებას შევეხებით სადისერტაციო ნაშრომის IV თავში) წერილები. მათი ნაწილი დისერტაციაში განხილულია სხვადასხვა თავებსა და ქვეთავებში.

წინამდებარე ქვეთავი ეძღვნება ამ წერილების ფიგურანტ სხვა პირებს.

IX წერილში ადრესანტი სხვა ამბებთან ერთად ბიძას მარტყოფში გატარებული ჯვარობის ამბებსა და მის მონაწილეებზეც მოუთხრობს:

„კნიაზი ჭ[ავჭავაძე] თავისი კნეინათი მარტყობს იყვნენ ჯვარობას. ამათ დასტაში იყვნენ ს[ავარსამი]ძის ცოლი, ს[ივრი]ჩის ცოლი და ბ[ეზა]კის ცოლი; ეს კი მუხრავანიდგან გადმოვიდა, ამ ზაფხულს იქ იდგა უქმროდ. არ გინდა, რომ ერთს საათს მაგ მთებში გამომძვრალიყავ და მუხრავანში, იმის ოთახში შუაღამისას დაბადებულიყავ? იქიდგან კალასკაში კნიაზი და ს[ივრი]ჩის ცოლი ერთად ისხდნენ წინ და კნეინა და ს[ავარსამი]ძის ცოლი ერთად - უკან. Довольно подробно!“.

წერილის მოყვანილი ფრაგმენტიდან დავახასიათოთ შემდეგი პირები:

„კნიაზი ჭ[ავჭავაძე] თავისი კნეინათი“ - იგულისხმებიან პოეტი ალექსანდრე ჭავჭავაძე (იხ. თავი V-ის 1-ლი ქვეთავი) და მისი მეუღლე **სალომე იოანეს ასული ორბელიანი** (1795-1847) (ტაბ. 2, 4). სალომე ორბელიანი მეფე ერეკლე II-ის შთამომავალია, მისი ქალის თამარ ბატონიშვილისა (1747-1786) და სარდალ დავით ორბელიანის (1739-1796) შვილიშვილი, სარდალ იოანე ორბელიანის (1765-1808) ასული, ნ. ბარათაშვილის შორეული ნათესავი დედის ეფემიას მხრიდან. სალომე ორბელიანს ეძღვნება გრიგოლ ორბელიანის სახუმარო, ფრივოლური ხასიათის ლექსი: „მუხამბაზი (არავისთვის მე დღეს არა მცალიან)“ (1833), რომელშიც მისი მომხიბვლელობაა აღნიშნული: („მისი სახე, ვით მთვარე გაბადრული, ბროლის

მკერდზე მზის შუქი მოფენილი...“). შემორჩენილია სალომე ორბელიანის ფერწერული პორტრეტი, შესრულებული XIX საუკუნეში სომეხი მხატვრის ა. ოვნათანიანის (1806-1886) მიერ, რომელიც შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმშია დაცული (დრიაშვილი 1981: 97-98). სალომე ორბელიანი გარდაიცვალა ქოლერით. დაკრძალულია მთაწმინდაზე, მამადავითის ეკლესიაში. საფლავის ქვაზე, რომელიც მის სიძეს, სამეგრელოს მთავარს დავით დადიანს (1812-1853) დაუდია, შემდეგი წარწერაა: „მარად საუვიწყოჲსა სიდედრისა სამარესა დავსდევ ფიქალი ესე მთავარმა დავით დადიანმა“ (ხუციშვილი 1961: 25).

ამავე ფრაგმენტში ნახსენებია „ს[ავარსამი]ძის ცოლი“, „ს[ივრი]ჩის ცოლი“ და „ბ[ეზა]კის ცოლი“. მოვიძიეთ ამ წყვილთა ბიოგრაფიული მონაცემები:

„ს[ავარსამი]ძის ცოლი“ - იგულისხმება თავადის, გენერალ-მაიორი **ლეონტი იაკობის ძე სავარსამიძის** (1778-1838) მეუღლე სიდონია.

სიდონია ზაალის ასული გურამიშვილი (?-1863), ი. ჭავჭავაძის სიმამრის თადეოზ გურამიშვილის (1800-1875) და, ილიას მეუღლის ოლღა გურამიშვილის (1842-1929) გამზრდელი მამიდა, თავადის, გენერალ-მაიორ ლეონტი იაკობის ძე სავარსამიძის (1778-1838) მეუღლე. 1863 წლის ივლისიდან მის სახლში იყო განლაგებული ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ რედაქცია (ილია ჭავჭავაძის... 2010: 203). ქმრის სიკვდილის შემდეგ დაუნიშნეს პენსია წელიწადში 1500 ვერცხლის მანეთის ოდენობით. მოვიძიეთ მისი საფლავი. იგი დაკრძალულია მთაწმინდაზე, მამადავითის ეკლესიაში. ჩავიწერეთ საფლავის ქვაზე რუსულ ენაზე შესრულებული წარწერა: «ЗДЕСЬ ПОКОИТСЯ ПРАХЪ ВДОВЫ ГЕНЕРАЛЪ-МАЙОРА КНЯГИНИ СИДОНІЙ ЗАХАРОВНЫ САВАРСАМИДЗЕ СКОВНЧАВЩІИСЯ 20 ФЕВРАЛЯ 1863 ГОДА».

ორიოდე სიტყვა ლეონტი სავარსამიძის შესახებ. იგი დაიბადა ჩრდილოეთ კავკასიაში, ქ. მოზდოკში. სამსახური დაიწყო 1793 წელს კავკასიის ეგერთა ბატალიონში. 1804 წლიდან ყაბარდოს პოლკის კაპიტანია, 1818 წლიდან – პოლკოვნიკი, 1927 წლიდან - გენერალ-მაიორი. მონაწილეობდა რუსეთ-სპარსეთის (1826-1828) და რუსეთ-თურქეთის (1828-1829) ომებში, 1828 წლიდან მსახურობს კავკასიის არმიაში. 1836 წლიდან ასრულებდა ჭარ-ბელაქანის ოლქის უფროსის

მოვალეობას. მიჩნეულია ერთ-ერთ უმამაცეს და გამოცდილ მხედართმთავრად მე-19 საუკუნის 1-ლი ნახევრის კავკასიაში, მიუხედავად იმისა, რომ სპეციალური განათლება არ მიუღია.

„ს[ივრი]ჩის ცოლი“ - იგულისხმება რუსი სამხედრო პირის – **აპოლონ სტეფანეს ძე სივრიჩის მეუღლე მარიამი,** გენერალ-ლეიტენანტ დიმიტრი ზაალის (ზაქარიას) ძე ორბელიანის (1763-1827) გერი, რომელიც მის მეუღლეს ანა ქაიხოსროს ასულ ჩოლაყაშვილს სეკუნდ-მაიორ ისაი ახვერდოვთან პირველი ქორწინებიდან ჰყავდა. ისაი ვასილის ძე ახვერდოვი იყო წარმოშობით სომეხი ცხინვალელი აზნაური, გენერალ-მაიორ თევდორე ახვერდოვის (1774-1820) მამა. 1747 წელს ქართველ ჰუსართა პოლკის ქრონიკებში იგი ვახმისტრად მოიხსენიება, 1757 წელს ასტრახანის გუბერნიის ყიზლარის მაზრაში ებოძა მამული. სივრიჩის მეუღლეს „მარია ივანოვნად“ მოიხსენიებს გრ. ორბელიანი დიმიტრი ჯორჯაძესთან (1821-1883) 1859 წლის 11 აპრილს თბილისიდან გაგზავნილ წერილში: „საწყალი მარია ივანოვნა სივრიჩისა კინაღამ არ გაგიჟდა მწუხარებითა, რა სცნო შვილის სიკვდილი პეტერბურღს. - საკვირველი ეს არის, რომ მეორესვე დღეს სიდამონოვ-ერისთავი დაინიშნა ამის უმცროსს ქალზედ (იგულისხმებიან პოდპორუჩიკი (1856), შემდგომში შტაბს-კაპიტანი დიმიტრი გიორგის ძე სიდამონ-ერისთავი (1829-1902) და ანა აპოლონის ასული სივრიჩი - მ. ც.), რომლისთვისაც აქამომდის არავინ გამოჩნდა” (ორბელიანი 1937: 266). მარიამ სივრიჩისა დეიდაშვილია სალომე ორბელიან-ჭავჭავაძისა (1795-1847). მათი დედები - ატატო-ანასტასია და ანა იყვნენ ღვიძლი დები, სახლთუხუცეს ქაიხოსრო გრიგოლის ძე ჩოლაყაშვილის (17..-1805) ქალიშვილები (ბერძნიშვილი 1883: 229-230).

ორიოდე სიტყვა აპოლონ სივრიჩის შესახებ. იგი მსახურობდა აფშერონის პოლკში. 1828 წ. კაპიტნის ჩინით მეთაურობდა ყვარელში მდგარ ქართველთა პოლკის როტას. 1831 წლიდან მაიორია. 1840 წლის 11 დეკემბერს დაჯილდოვდა წმინდა გიორგის მე-4 თანრიგის ორდენით. იგი რამდენჯერმე იხსენიება გრ. ორბელიანის 1831 წლის დღიურში, ხან როგორც „სივრ…“ („ტრახტირში ვჭამეთ სადილი მე და სივრ.“), ხან „მაიორი სი…“(„პოლიცმეისტერმა მიგვიპატიჟა ჩაიზედ მე და მაიორი სი…“) ან უბრალოდ „მაიორი“ („მაიორმაც ღიტარაზე დაუკრა“ და სხვ.).

როგორც დღიურის ფურცლებიდან ჩანს, მაიორი სივრიჩი მეთაურობდა რაზმს, რომელთანაც ერთად გრ. ორბელიანი პეტერბურგისკენ მიდიოდა და თავად ამ მაიორის თანაშემწის მოვალეობას ასრულებდა (ორბელიანი 1959: 182, 183, 185, 186, 524).

„ბ[ეზა]კის ცოლი“ - იგულისხმება რუსი მოხელის - ნიკოლოზ პავლეს ძე ბეზაკის (1804-1979) მეუღლე, გრიგოლ ორბელიანის ყოფილი დანიშნული **სოფიო ყაფლანის ასული ორბელიანი** (ტაბ. 2, 2). ნიკოლოზ ბეზაკი 30-იან წლებში იყო კავკასიის მთავარმართებლის კანცელარიის მმართველი, ხოლო 40-იანი წლების დასაწყისში - საქართველო-იმერეთის სახაზინო პალატის თავმჯდომარე. სოფიო ორბელიანის შესახებ ვრცლად ვისაუბრეთ დისერტაციის წინამდებარე თავის მე-2 ქვეთავში და აქ მის შესახებ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

ამავე წერილში ნახსენებია „გრიგოლ წერეთელი“: „ჩვენი ლევან (იგულისხმება ლევან მელიქიშვილი - მ. ც.) ქუთაისში გააგდეს პორუჩენიით (...) გრიგოლ წერეთელი ინაზებოდა, არ უნდოდა მილიციის მიღება და მთავარმმართებელმა ლევან გაუგზავნა, ასი ოქრო გზის ხარჯად და დაიბარა. იმასაც ეს უნდოდა. რა საკურველია, რომ უარი აღარა ჰსთქვა“.

გრიგოლ (გიორგი) სვიმონის ძე წერეთელი (1804-1861 წლის შემდეგ) იყო თავადი, პოდპოლკოვნიკი, ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი, კავკასიური ომებისა (1817-1864) და რუსეთ-თურქეთის ომების (1828-1829, 1853-1856, 1877-1878) მონაწილე, იმერეთის სახლთუხუცესის ზურაბ ქაიხოსროს ძე წერეთლის (1847-1823) შვილიშვილი, მისი შვილის სვიმონის (1773-1855) და იმერეთის ბატონიშვილის მზეხათუნ დავითი II-ის ასულის (1783-1829) შვილი. სამხედრო სამსახური დაიწყო 1827 წელს უნტერ-ოფიცერად ყოფილ 44-ე ეგერთა პოლკში, 1830 წლიდან პრაპორშჩიკია, 1834 წლიდან - პოდპორუჩიკი, 1839 წლიდან - პორუჩიკი, 1851 წლიდან - კაპიტანი, 1855 წლიდან - მაიორი. პოდპოლკოვნიკობა ებოძა 1861 წელს. 1847 წელს დაამტკიცეს ქუთაისის სათავადაზნაურო კომისიის წევრად, 1852 წელს აირჩიეს შორაპნის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლად, 1853 წელს დანიშნეს იმერეთის მილიციის რაზმის უფროსად. 1858-1861 წლებში ქუთაისის

გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლია. დაჯილდოვებული იყო წმ. ანას მე-2, მე-3 და მე-4 ხარისხის ორდენებით და სხვა ჯილდოებით.

ნიკოლოზ ბარათაშვილის XIII წერილში პოეტი უმთავრესად თავისი უფროსი დის ეკატერინეს ქორწილისა და ქორწილისშემდგომ ამბებს მოუთხრობს ბიძას. ადრესანტი იხსენიებს მრავალ პირს, რომელთა შორის არიან:

ქაიხოსრო მუხრანსკი – სავარაუდოდ, თავადი **ქაიხოსრო ბაგრატის ძე ბაგრატიონ-მუხრანელი** (1799-1857), პრაპორშჩიკი. 1830 წელს დაქორწინდა ბარბარე ალექსანდრეს ასულ აბესაძეზე (ჩანს 1830-1851წწ). ქაიხოსრო ბაგრატიონ-მუხრანელი ნახევარძმაა ეკატერინე ბარათაშვილის მაზლის ლევან ერისთავის პირველი მეუღლის ქეთევან ბაგრატის ასულ ბაგრატიონ-მუხრანელისა (1807-?).

ალექსანდრე სუმბათოვი – სავარაუდოდ, **ალექსანდრე ივანეს ძე სუმბათაშვილი** (1801-1847), შტაბს-კაპიტანი, ცოლად ჰყავდა სოფიო გიორგის ასული ბაგრატიონ-მუხრანელი (1809-1847).

წერილში ვკითხულობთ „ნათლობა ჰქონდათ ელიზბარის (იგულისხმება ელიზბარ ერისთავი, იხ. თავი V) სახლებში, ესტატე ერისთავის შვილისა. იქიდგან ატენში გადავედით. კნიაზი ძალიან კარგად დაგვიხვდა“.

ნახსენები ესტატე ერისთავი არის **ესტატე მირმანოზის ძე ერისთავი** (1810-1882) (ტაბ.4,19), მანანა ორბელიანის ნახევარძმა, ცნობილი რევაზ შალვას ძე ერისთავის (1828-1899) სიმამრი, პრაპორშჩიკი. ცოლად ჰყავდა ეკატერინე ლუარსაბის ასული სუმბათაშვილი (1820-1847).

„ესტატე ერისთავის შვილი“ არის მისი ქალიშვილი **ანა ესტატეს ასული ერისთავი** (1844-1920) (ტაბ.4, 24), დაბადებული 1844 წლის 5 ივლისს, შემდგომში მიხეილ გივის ძე ამილახვრის (1833-1883) მეუღლე. მოვიძიეთ მისი საფლავი. იგი დაკრძალულია ქაშუეთის ტაძარში (ცინცაძე 1994: 112). საფლავის ქვაზე ამოვიკითხეთ მხოლოდ: „ანნა ესტატეს ასული ამილახვარი... 1920“

„კნიაზში“ იგულისხმება ცნობილი გენერალი **გიორგი იესეს ძე ერისთავი** (1760-1863) (ტაბ. 4, 10), „სენატორად“ წოდებული, რუსეთის ომების აქტიური მონაწილე. ქართლში მას გიორგი კნიაზს, „დიდ კნიაზს“ ან შემოკლებით „კნიაზს“ უწოდებდნენ. გამოირჩეოდა ორატორული ნიჭით, წერდა ლექსებს. თავრიზის აღების

შემდეგ მისცეს სენატორობა საქართველოში ცხოვრების უფლებით. შემორჩენილია მისი მისალმება გიორგი XII-ისადმი იმპერატორ პავლე I-ისაგან (1754-1801) სამეფო რეგალიების მიღების გამო, რომელიც პლატონ იოსელიანმა რუსულად გამოაქვეყნა «Русская старина»-ში 1894 წელს“. დასაფლავებულია იკორთაში.

წერილის ბოლოს ნახსენები „იაკი[ნ]ტე“ არის **იაკინთე დიმიტრის ძე ალექსი-მესხიშვილი (1805-1878),** აზნაურის, ანჩისხატის დეკანოზის დიმიტრი სოლომონის ძე ალექსი-მესხიშვილის (1779-1862) ვაჟი, ნ. ბარათაშვილის ბიძის ზაქარია ზურაბის (დიმიტრის) ძე ორბელიანის (1806-1847) ცოლისძმა. 1821 წელს დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია და იქვე დაინიშნა მასწავლებლად. სხვადასხვა დროს მუშაობდა საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორაში მთარგმნელად, თბილისის სამხედრო გუბერნატორის კანცელარიაში, ახალციხისა, ქუთაისისა და თელავის მაზრების უფროსებად, თბილისის გენერალ-გუბერნატორის კანცელარიის მმართველად. 1862 წელს გახდა ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი. 1847 წელს თანხა შესწირა ნიკოლოზ ბარათაშვილის ძეგლისათვის. დაკრძალულია სამთავისის ტაძარში.

6. რუსი და სხვა უცხოელი პირები და მათი ოჯახის წევრები

ნ. ბარათაშვილის პირად წერილებში გარდა პოეტის ქართველი ნაცნობ-მეგობრებისა, სხვადასხვა კონტექსტში იხსენიებიან რუსი და სხვა უცხოელი პირნიც - კავკასიის მთავარმართებლები და მათი ოჯახის წევრები, საიმპერატრო კარის წევრნი, კავკასიაში მომსახურე იმპერიის სამსახურში მყოფი სამხედრო და სამოქალაქო პირები. თვალი გავადევნოთ მათ და შევეცადოთ მათ იდენტიფიკაციასა და ბიოგრაფიული ცნობების დაზუსტებას, აგრეთვე წერილების ადრესანტისა და მისი თანამედროვე ქართველების მათთან ურთიერთობისა და პოლიტიკურ-საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში მათი მონაწილეობის საკითხების გარკვევას.

ბალაშოვი (წერილი IV, **„ბალაშოვის“**) **ივანე ალექსანდრეს ძე ბალაშოვი** (1816-1841) დაიბადა პეტერბურგის მაზრაში. მამამისი ალექსანდრე დიმიტრის ძე

ბალაშოვი (1770-1837) იყო რუსეთის პოლიციის მინისტრი (1810 წ.), 1812 წლის ომის გმირი, სახელმწიფო საბჭოს წევრი, 1819 წლიდან ვორონეჟის, ორიოლის, რიაზანის, ტამბოვისა და ტულის გუბერნიების გენერალ-გუბერნატორი, ინფანტერიის გენერალი (1823 წ.). 1832 წელს მიაბარეს სამხედრო სასწავლებელში. 1833 წელს მისცეს იზმაილის პოლკის პრაპორშჩიკობა, 1834 წელს გადაიყვანეს კავალერგარდად, 1835 წელს- პორუჩიკად, 1839 წელს - შტაბროტმისტრად. 1839 წლის 27 მარტს დაინიშნა სამხედრო მინისტრის ადიუტანტად. 1841 წელს მივლინებული იქნა კავკასიაში. 1841 წლის 8 მაისს მოკლეს თავში ნასროლი ტყვიით დაზვერვის ოპერაციის განხორციელებისას მდინარე სულაკის გადალახვისას სოფელ ახატლის მახლობლად. წერილში ნ. ბარათაშვილი, როგორც კონტექსტიდან ჩანს, მის სიკვდილს ეხმიანება, რომელსაც დიდი გლოვა გამოუწვევია: „ბალაშოვის სიკვდილს აქ ასე გლოვობენ, რომ ეს არის შავები არ აცვით, თორემ სხვა აღარ აკლიათ რა“.

მთავარმართებელ გოლოვინის ცოლი (წერილები VI (**„გოლოვინის ცოლმაც** კი თქვა, რომ მე ყოველთვის იმედი მქნდა, რომ ქართველი მაგისთანა პასუხს მისცემდაო“) და VII (**„გოლოვინის ცოლი** წავიდა და დარჩნენ ჩვენი ქალები მოწყენილნი. ხანდისხან ოხვრით მოიგონებენ იმის სახლში განტარებულს დროებს“) ნახსენებია ევგენი ალექსანდრეს ძე გოლოვინის (1782-1858) მეუღლე. ინფანტერიის გენერალი, რუსეთის საიმპერატორო არმიის გენერალ-ადიუტანტი ევგენი ალექსანდრეს ძე გოლოვინი 1837-1842 წლებში იყო საქართველოს მთავარმართებელი და კავკასიის განცალკევებული კორპუსის მეთაური. 1918 წლამდე მისი სახელი ეწოდებოდა თბილისის მთავარ ქუჩას, ამჟამინდელ რუსთაველის პროსპექტს.

ევგენი გოლოვინი დაქორწინებული იყო **ელიზავეტა ფონვიზინაზე** (1792-18?), სენატორის, მოსკოვის უნივერსიტეტის დირექტორის, ლიტერატორ პავლე ივანეს ძე ფონვიზინის (1746-1803) ქალიშვილზე. ელიზავეტა ფონვიზინას უცდია თბილისში ქალთა საქველმოქმედო საზოგადოების დაარსება. დიმიტრი ყიფიანის (1814-1887) ცნობით „მთელს რუსეთს მოედო საბავშვო თავშესაფართა დაარსების იდეით გატაცება და ამის მიხედვით გენერალ გოლოვინის მეუღლემ მოინდომა ტფილისში ქალთა საქველმოქმედო საზოგადოების დაარსება. მე თავიდანვე ამ

საზოგადოების მდივნად ვიყავი დანიშნული, მაგრამ სხვადასხვა შემთხვევათა გამო ვერც საზოგადოებამ მოიკიდა ფეხი გენ. ნეიდგარტის მოსვლამდე, ვერც საბავშვო თავშესაფარნი განვითარდნენ საკმარისად“ (ყიფიანი 2003: 126).

ელიზავეტა ფონვიზინას ახლომეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ნ. ბარათაშვილის მეგობარ ქართველ არისტოკრატ ქალებთან, რასაც წერილის ზემოთმოხმობილი ფრაგმენტიც ცხადყოფს. პოეტის თანამედროვეთა პირადი წერილებიდან ასევე ირკვევა, რომ ისინი ხშირად ერთად ისვენებდნენ და ატარებდნენ დროს, გოლოვინებთან იმართებოდა ბალები: „გოლოვინის ცოლი თავის ქალით ბორჯომის წყალზედ არის... აგრეთვე ნინა (ნინო ჭავჭავაძე – მ. ც.), მანანა (მანანა ორბელიანი - მ. ც.) და ელენე (ელენე ორბელიანი-ერისთავისა – მ. ც.) - ამათ ფერდები სტკივათ“ - გრიგოლ ორბელიანის 1842 წლის 1 აგვისტოს წერილიდან ზაქარია ორბელიანისადმი; „...იმ სოფლის ახლოს, სადაც მე გავატარე 10 დღე, იწყება ბორჯომის ხეობა, რომელიც განთქმულია მინერალური წყლებით. ამ წყლებით ისარგებლეს გოლოვინმა თავის ოჯახით, ნინო ალექსანდრეს ასულმა გრიბოედოვმა, თავადის ქალმა მანანამ თავისი ქალიშვილით, ელენე ერისთავმა. მე მინდოდა ვსტუმრებოდი მათ ერთი-ორი დღით, მაგრამ ისინი ცხოვრობდნენ თითქმის კარვებში“ - ლიტერატორისა და ჟურნალისტის ზაქარია ფალავანდიშვილის (1818-145) 1842 წლის 26 ოქტომბრის წერილიდან გიორგი (იური) ახვერდოვისადმი (1818-1861) (ბალახაშვილი 1966: 226-227); „ქალაქის ამბავი აქ არავიცირა, მხოლოდ ამის მეტი, რომ მინისტრი მობრძანდა, და უნდა ბალები ყოფილიყო: ერთი ღოლოვინისას, და მეორე კეთილშობილებისაგან ბაღში მთავარმართებლისას“ - გრ. ორბელიანის 1842 წლის 4 ივლისის წერილიდან ზაქარია ორბელიანისადმი (ორბელიანი 1936: 61). ჩანაწერი ცნობილი გერმანელი მოგზაურის, გეოგრაფისა და ბუნებისმეტყველის მორიც ვაგნერისა, რომელიც 1843-1846 წლებში იმყოფებოდა შავიზღვისპირა ქვეყნებში, კავკასიაში, ქურთისტანსა და სპარსეთში, გვამცნობს: „ფუფუნების მოყვარე გოლოვინის მთავარმართებლობისას, რომელიც განსაკუთრებით კეთილად იყო განწყობილი გართობის, თანაზიარობისა და ქალებისადმი, ყოველწლიურად იზრდებოდა მდედრობითი სტუმრების რიცხვი საღამოებსა და ბალებზე. აქ შესაძლებელი იყო პირბადის გარეშე ხილვა თავადური ანდა აზნაურული

წარმოშობის მშვენიერი ქართველი და სომეხი მანდილოსნების უმეტესობისა. მათი ერთი ნაწილი ფრანგულ კოსტიუმში იყო გამოწყობილი“ (ვაგნერი 2002: 37-38).

დიმიტრიევსკი (წერილი IV („**დიმიტრიევსკის** ლექსები გეთხოვა, მთელი ქალაქი სულ შევაჯერე და ვერსად ვერ ვიშოვნე. ნოტები ხომ თავის დღეშიც არ ყოფილა“)). მიხეილ ვასილის ძე დიმიტრიევსკი, თბილისელი ჩინოვნიკი, საქართველოს მთავარი სამმართველოს სამოქალაქო კანცელარიის მდივნის უფროსი თანაშემწე 1837-1841 წლებში, შემდგომში კავკასიის ოლქის ვიცე-გუბერნატორი, პოეტი-დილეტანტი (1842 წელს იბეჭდებოდა ჟურნალში «Сынъ Отечества»). დაახლოებული იყო გადასახლებულ დეკაბრისტებთან. მჭიდრო მეგობრობა ჰქონდა ა. ბესტუჟევთან (1797-1837), ნ. ლორერთან (1794-1873). იცნობდა მ. ლერმონტოვს (1814-1841), რომელიც დიდად აფასებდა მის სატრფიალო ლირიკას და რომელსაც თან ახლდა ის დუელის წინადღეს. თბილისში დიდად მიღებული იყო თავისი უფროსის, ამიერკავკასიის მხარის მთავარი სამმართველოს საბჭოს წევრის, პოეტ ალ. ჭავჭავაძის ოჯახში. დიმიტრიევსკი იხსენიება თანამედროვეთა მემუარულ ლიტერატურაში. ნ. ლორერი წერს მის შესახებ 1877 წელს ჟურნალ «Русский Архив»-ში გამოქვეყნებულ თავის მოგონებებში. წერილის მოხმობილი ფრაგმენტიდან ჩანს, რომ გრ. ორბელიანს დისშვილისთვის დიმიტრიევსკის ლექსებისა და მათზე შექმნილი სიმღერების ნოტების შოვნა უთხოვია.

მატუხოვის ცოლი (წერილი XVII („ნინა ალექსანდროვნა ჩემ მაგიერ მოიკითხე და ასე უთხარ: **მატუხოვის ცოლმა** მოგიკითხა-თქო“)). მკვლევართა ვარაუდით, ვინმე წვრილმოხელე მატუხოვის ცოლი უნდა იყოს. ვერ ვაზუსტებთ მის ვინაობას, თუმცა მოგვყავს ცნობები პროფესორ შ. ჩხეტიას მიერ გამოქვეყნებული საქართველოს ცენტრალურ არქივში დაცული საბუთებიდან: 1843 წლის იანვრის 26. - მმართველ სენატის ბრძანებულება საქართველო-იმერეთის საგუბერნიო სამმართველოსადმი იმავე გუბერნიის მოხელეთა, მათ შორის ნიკოლოზ ბარათაშვილის შემდეგ ხარისხში დამტკიცების შესახებ, #12225 და 1845 წლის თებერვლის 9. - მმართველ სენატის ბრძანებულება საქართველო-იმერეთის საგუბერნიო სამმართველოსადმი იმავე გუბერნიის მოხელეთა, მათ შორის ნიკოლოზ ბარათაშვილის შემდეგ ხარისხში დამტკიცების შესახებ, #20952, რომლებშიც

მოხსენიებულნი არიან მაგიდის უფროსის თანაშემწე ალფიხ მატიოხოვი, ქალაქის პოლიციის ყოფილი საქმისმწარმოებელი ივანე მატიუხოვი, მაგიდის უფროსის თანაშემწე გიორგი მატიუხოვი და გადამწერი თომა მატიუხოვი (ჩხეტია 1945: 273, 312, 315).

ნეიდჰარტი (წერილები IX (**„მთავარმართებელმა“**), XIII (**„მთავარმართებელსაც“**), და XV (**„ნეიდგარდს**“)). **ალექსანდრე ივანის ძე ნეიდგარდტი** (1784-1845), ინფანტერიის გენერალი, რუსეთის საიმპერატორო არმიის გენერალ-ადიუტანტი, საქართველოს მთავარმართებელი და კავკასიის განცალკევებული კორპუსის მეთაური 1842-1844 წლებში. დაქორწინებული იყო თავადის ასულ ანა ბორისის ასულ ჩერკასკაიაზე (1800-1863). ა. ნეიდგარდტს ასე ახასიათებს დიმიტრი ყიფიანი: „1842 წელს გოლოვინის ადგილზე დაინიშნა მთავარ-მართებლად გენ. ნეიდგარტი, კაცი უაღრესად სამართლიანი, მაგრამ იქამდე სასტიკი და პუნქტუალი, რომ არავის არაფერში არ აპატიებდა ოდნავ საქმის შეშვებას, არავის არ აჩუქებდა არც ერთი წუთის დროს და ყველა ცახცახებდა მის წინაშე“ (ყიფიანი 2003: 123-124). ა. ნეიდჰარდტისა და მის ოჯახის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის ზემოხსენებული მორიც ვაგნერი: „გენერალ ნაიდჰარდტის მმართველობაში მთავრობის სასახლის სალონებში შემცირდა მშვენიერი სქესის მოზღვავება. ამ კაცის მკაცრი, ოდნაც პედანტური, ნამდვილი გერმანული ხასიათი ვერ ეგუებოდა ფუფუნებასა და ხმაურიან ზეიმებს (ქეიფებს). ის უბრალოდ ცხოვრობდა თავისი მრავალრიცხოვანი ოჯახის წრეში და არ აწყობდა დიდებულ ნადიმებს (არ ამჟღავნებდა უზომო სტუმართმოყვარეობას), რასაც ტფილისში შეჩვეულები იყვნენ. ადგილობრივმა დიდებულებმა, რომელთა სულშიც ძველი ამპარტავნობა მთლად განელებული არ იყო, ეს უყურადღებობა იწყინეს და როცა ახალმა ნაცვალმა აღდგომის ზეიმზე ჩვეულებრივი დიდებული ნადიმი და ბრწყინვალე ბალი მოაწყო, ამაყმა ქართველმა მანდილოსნებმა იმით გადაუხადეს, რომ დაგვიანებული მოწვევა ჩვეულებრივ კვირის-საღამოზე არ მიიღეს“... „ბატონ ფონ ნაიდჰარტს არც განსაკუთრებული სიყვარული აქვს თანაზიარობისადმი, არც თავაზიანობის ნიჭი თავისი სტუმრების მიმართ. მისი მეუღლე ძველი რუსული თავადური გვარიდანაა. იგი, მართალია, სილამაზითა და ჭკუით არ გამოირჩეოდა,

მაგრამ ამ ნაკლს ავსებს ერთგვარი გერმანული მყუდროებით (კომფორტით) და თავისი უპრეტენზიო ოჯახური ინტერესით (გრძნობით). მან მე ერთხელ ნაღვლიანად შემომჩივლა, რომ ის ამ ქვეყანაში ცხოვრებას ვერასდროს შეეჩვეოდა. იმპერატორის კეთილგანწყობის სწრაფმა შეცვლამ იგი უფრო ადრე გაათავისუფლა მისთვის მიუღებელი ადგილსაცხოვრებლისგან, ვიდრე თვით ფიქრობდა“ (ვაგნერი 2002: 38, 57-58). ნეიდგარდტის საუკეთესოდ მიჩნეული კარიკატურა შესრულებული აქვს გენერალ-მაიორ პლატონ ივანეს ძე ჩელიშჩევს (1804-1859), რომელიც მე-19 საუკუნის ორმოციან წლებში მსახურობდა ქართულ გრენადერთა პოლკში და რომლის კარიკატურებიც დაბეჭდილია „ლიტერატურის მატიანეს“ 1-2 ნომრებში.

ცნობილი გერმანელი მეცნიერი, ეთნოგრაფი, ბარონი აუგუსტ ჰაქსჰაუზენი (1792-1866), რომელიც რუსეთის მთავრობის დაფინანსებით ქვეყნის გუბერნიებში მოგზაურობის დროს 1843 წლის აგვისტო-სექტემბერში საქართველოსაც სწვევია, ასე აღწერს მთავარმართებელ ა. ნეიდჰარდტს, სპარსეთის ელჩსა და თბილისში მისი დახვედრის ამბავს: „მას (ნეიდჰარდტს – მ. ც.) ჰქონდა სახელი ჭკვიანი, ენერგიული და პირდაპირი კაცისა; იყო ნიჭიერი გენერალი, მაგრამ, საუბედუროდ, მომდევნო წელს უკან გაიწვიეს და შეცვალეს თავადი ვორონცოვით. ნეიდჰარდტმა მეორე დღეს (13 აგვისტოს – მ. ც.) მიმიწვია განსაკუთრებულ ზეიმზე თბილისში, კერძოდ, სპარსელი ელჩის მიღებაზე. კავკასიის გენერალ-გუბერნატორს („გენერალ-გუბერნატორს“ ა. ჰაქსჰაუზენი მთვარმართებლის მნიშვნელობით ხმარობს - მ. ც.) უკავია ვიცემეფის თანამდებობა (ადგილი), რაც აზიელ მეგობრებზე – თურქებსა და სპარსელებზე ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, რომ მას უყურებენ და უკავშირდებიან როგორც მმართველს. ახლად მოსული გენერალ-გუბერნატორი ყოველთვის გზავნის ოფიცრებისაგან შემდგარ პატარა ელჩობას თეირანში, რათა სპარსეთის შაჰს აცნობოს თავისი დადგინება. შაჰიც საპასუხოდ თავის პირად ელჩს გზავნის თბილისში, რათა ახალ გენერალ-გუბერნატორს მიულოცოს; ამასთან არ ავიწყდება, რომ გამოუგზავნოს სპარსული „მზის“ ორდენი. აღნიშნულ დღეს 12 საათზე ჩვენ ყველა შევიკრიბეთ გენერალ-გუბერნატორის სასახლის დიდ დარბაზში; გარეთ, მოედანზე იდგნენ რაზმები თავისი მუსიკოსთა გუნდით. როცა ელჩი მოვიდა, გენერალ-გუბერნატორი მას შეხვდა დარბაზის კართან, რომელიც სავსე იყო გენერლებით, ოფიცრებითა და

ქართველი დიდებულებით. სპარსელი იყო მაღალი, გამხდარი, მაგრამ კუნთიანი აღნაგობის კაცი მკვეთრი სახის ნაკვთებით. მისი მუქი ყავისფერი სახე მაღალი შავი ქუდით ქმნიდა საოცარ კონტრასტს გრძლად ჩამოშვებულ თოვლივით თეთრ სამოსთან. ის თავისუფლად ლაპარაკობდა ფრანგულად და თავი ეჭირა ზრდილობიანად და თამამად. ის იჯდა გენერალთან ერთად დივანზე და ესაუბრებოდა თამამად“ (ჰაქსჰაუზენი 2011: 98). მორიც ვაგნერის ცნობით სპარსეთის შაჰს ა. ნეიდჰარტის ვაჟი ხლებია მამის მთავარმართებლად დანიშვნასთან დაკავშირებით. „მისი (ნეიდჰარდტის – მ. ც.) უფროსი ვაჟი, ელეგანტური ოფიცერი, ის იყო დაბრუნდა თეირანიდან, სადაც ის შაჰს თავისი მამის სახელით მიესალმა, და აცნობა მისი დანიშვნა (დამკვიდრება) მეზობელ სამფლობელოში, წაუღო საჩუქრები და თვითონაც ასევე მიიღო“ (ვაგნერი 2002 : 58).

ადლერბერღის შვილები (წერილი V („ცოტას ხანს დაჰყვეს აქ **ადლერბერღის შვილებმა** და რაღა განგიმარტო, შენ მიჰხვდები, რაც **ადლერბერღის შვილები** აქ იქნებოდნენ“)) იგულისხმებიან ვლადიმერ თევდორეს ძე ადლერბერგის (1791-1884) შვილები. ვლადიმერ ადლერბერგი იყო წარმოშობით შვედი გრაფი, გენერალ-ადიუტანტი, ინფანტერიის გენერალი, საფოსტო დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საიმპერატორო კარისა და საუფლისწულო მამულის მინისტრი. 1829 წლიდან თან ახლდა ხელმწიფეს ყველა მოგზაურობაში და ეჭირა მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის სალაშქრო კანცელარიის უფროსის თანამდებობა.

წერილში ნახსენები „ადლერბერღის შვილები“ არიან: **ალექსანდრე ვლადიმერის ძე ადლერბერგი** (1818-1888), რუსი ინფანტერიის გენერალი, იმპერატორის კარისა და საუფლისწულო მამულის მინისტრი, რუსეთის საიმპერატორო და სამეფო ორდენების კანცლერი და გრაფი **ნიკოლოზ ვლადიმერის ძე ადლერბერგი** (1819-1892), რუსი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, გენერალ-ადიუტანტი (1857), ინფანტერიის გენერალი (1870), კავკასიის დამორჩილების მონაწილე, ფინეთის გენერალ-გუბერნატორი (1866-1881).

ალექსანდრე ვლადიმერის ძე ადლერბერგი 1841 წელს უმაღლესი ბრძანებულებით მივლინებული იქნა კავკასიაში შამილის წინააღმდეგ ბრძოლებში მონაწილეობისათვის. კავკასიის განცალკევებული კორპუსის მეთაურის,

ინფანტერიის გენერალ ე. გოლოვინის (1782-1858) მეთაურობით მან მონაწილეობა მიიღო დაღესტნის ლაშქრობაში. შემდეგ იბრძოდა გენერლების კ. ფეზისა (1795-1848) და პ. გრაბეს (1789-1875) სამხედრო ნაწილებში. კავკასიაში ბრძოლისათვის 1842 წელს დაჯილდოვდა წმ. ანას მე-3 ხარისხის ორდენით ბაფთით. 1845 წელს მისცეს კაპიტნის ჩინი. 1850 წელს უკვე პოლკოვნიკის ჩინით თან ახლდა ტახტის მემკვიდრეს კავკასიაში მოგზაურობის დროს. მისი ქალიშვილი მარიამ ალექსანდრეს ასული ადლერბერგი (1849-1926) ცოლად ჰყავდა სამეგრელოს უკანასკნელ მთავარს ნიკოლოზ დავითის ძე დადიანს (1847-1866).

გრაფი ნიკოლოზ ვლადიმერის ძე ადლერბერგი 1841 წელს მეთაურობდა კავკასიის განცალკევებულ კორპუსს და მონაწილეობდა კავკასიის დამორჩილების საბრძოლო ოპერაციებში. იბრძოდა გენერლების ფეზის (1795-1848), ე. გოლოვინის (1782-1858), პ. გრაბეს (1789-1875) და გენერალ-ლეიტენანტ ი. ლაბინცევის (1802-1883) რაზმებში. 1842 წლის 19 აპრილს დაწინაურდა პორუჩიკად და შემდეგ მივლინებული იქნა რუსეთის ცენტრალურ გუბერნიებში საგარნიზონო ბატალიონებიდან უმცროსი ჩინის სამხედროების შესაგროვებლად კავკასიის ხაზის ბატალიონის ფორმირებისათვის. 1842-1843 წლებში დაკავებული იყო რეკრუტთა შეკრებით პოლონეთის სამეფოსა და ტულის გუბერნიაში. 1844 წლის თებერვალში კვლავ გამოემგზავრა კავკასიაში და გენერალ ა. ნეიდგარტის (1784-1845) მიერ მცირე რაზმით გაიგზავნა მთებში საინჟინრო სამუშაოების დასაცავად, შემდეგ თანმიმდევრობით ირიცხებოდა გენერლების რ. ფრეიტაგის (1802-1851), ი. ლაბინცევის (1802-1883), ა. ლიდერსის (1790-1874) და დ. პესეკის (1808-1845) რაზმებში. კავკასიელ მთიელებთან ბრძოლებში თავის გამოჩენისათვის დაწინაურდა შტაბს-კაპიტნად. 1844 წლის 22 ივნისს თემირხანშურადან გაიგზავნა სანკტ-პეტერბურგში პატაკის წარსადგენად, რის შემდეგაც მისცეს ერთწლიანი შვებულება. 1845 წლის სექტემბრიდან ხელმძღვანელობდა სამხედრო სამინისტროს კანცელარიას. 1847 წელს გახდა კაპიტანი. კავკასიურ ლაშქრობებში მონაწილეობისათვის დაჯილდოებული იყო წმ. ანას მე-3 ხარისხის ორდენით ბაფთით (1842) და ოქროს ხმლით „მამაცობისთვის“ (1844).

პოლკის კამანდერი და **ჩილაევი** (წერილი V („**პოლკის კამანდერი** გამოგიცვალეს, მაგრამ ეს განკარგულება მოხდა უწინარეს, ვიდრე გამოიძიებდენ ჩილაევის სიმართლეს, რომელიც ვგონებ არ დადუმდეს“). იგულისხმება რუსეთის საიმპერატორო არმიის ქვეითთა სამხედრო ნაწილის - ცესარევიჩის სახელობის ქართველ გრენადერთა მე-14 პოლკის მეთაური. 1838 წლის 26 აგვისტოდან ქ. გორში მდგარ ამ პოლკში ოფიცრად მსახურობდა რუსეთიდან დაბრუნებული გრ. ორბელიანი. 1841 წლის 28 მაისს ნ. ბარათაშვილის მიერ ბიძასთან გორში გაგზავნილი წერილის მეოთხე გვერდზე მიწერილია მისამართი: Его Сиятельству, Милостивому Государю Григорию Дмитриевичу, Князю Орбелиани, Капитану Грузинского гренадерского полка и Кавалеру. В Гори. 1835-1840 წლებში პოლკს მეთაურობდა გენერალ-მაიორი (1840), კავკასიური ომების მონაწილე **ალექსანდრე კარლის ძე ოპერმანი** (1803-1847 ან 1855), რომელიც 1840 წლის 14 აპრილს ბორის ჭილაშვილმა შეცვალა. გრ. ორბელიანი ოპერმანის ოჯახთან დაახლოებული ყოფილა. „ილიკო! პოხოდისათვის ცხენები მოგვინდება. ... ოღონდ ცხენები იშოვნე და ფულს, ღმერთი მოწყალეა, - ღრაფს გამოვართმევ“; „გრაფი ოპერმანი უწინდელსავით მწყალობელი და მეგობარია ჩემი, უჩებნის კამანდა მაბარია პოლკში და ვარ ასრე. დილით უჩენიე, სადილათ ღრაფთან, საღამოზედაც ან იქვე და ან აქეთ იქით“- გრ. ორბელიანის 1839 წლის 11 მარტს და 23 დეკემბერს გორიდან გაგზავნილი წერილები ილია ორბელიანისადმი (ორბელიანი 1936: 48, 50). შემორჩენილია გრ. ორბელიანის 1839 წლის 30 აგვისტოს წერილი გრაფ ა. ოპერმანისადმი, რომელიც რამდენიმე წლის წინ პირველად გამოქვეყნდა (XIX-XX საუკუნეების... 2012:124). ა. ოპერმანის მეუღლეს ეძღვნება 1840 წლის 5 მაისს გორში დაწერილი გრ. ორბელიანის ლექსი „ალბომში ღრ[აფინია] ო[პერმანისას]“.

აქვე გვინდა შევეხოთ წერილის ამავე ფრაგმენტში ნახსენებ „ჩილაევს“. იგი არის **ბორის (ქართულად ბაბანა) გაბრიელის ძე ჭილაშვილი** (1798-1850), გენერალ-მაიორი (1848), კავკასიური ლაშქრობების მონაწილე, ვახტანგ (ალმასხან) ბატონიშვილის (1761-1814) მილახვრის, აზნაურ გლახა (გაბრიელ) ბაბანას ძე ჭილაძის (ჭილაშვილის) (1762-1818) ვაჟიშვილი და პროკურორ გიორგი (იაგორ) ჭილაშვილის (დიმიტრი ყიფიანის (1814-1887) სიმამრის) (1790-1838) ძმა. სამხედრო

სამსახური დაიწყო 1816 წელს იუნკერად ფინეთის პოლკის ლეიბ-გვარდიაში, 1818 წლიდან პრაპორშჩიკია, 1820 წლიდან - პოდპორუჩიკი. 1823 წელს გახდა პორუჩიკი. დიდხანს მსახურობდა კავკასიის კორპუსში. 1828 წელს დაინიშნა საქართველოს სამხედრო გზის მიდამოებში მცხოვრები მთიელების მმართველად, ხოლო 1839 წელს - თბილისის პოლიცმეისტერად პოდპოლკოვნიკის ჩინით. 1840-1841 წლებში იყო ქართველ გრენადერთა პოლკის უფროსი, 1847-1849 წლებში - თბილისის პოლკის უფროსი. 1849 წელს დაინიშნა ჭარ-ბელაქანის სამხედრო ოლქის უფროსად. ცოლად ჰყავდა ნინა იაგორის ასული ქედხუდოვა. 1841 წლის ბოლოსთვის ჩვენთვის უცნობი მიზეზით ბაბანა ჭილაშვილი გაათავისუფლეს ქართველ გრენადერთა პოლკის მეთაურობიდან, მაგრამ დატოვეს არმიაში და დანიშნეს ქართული ფეხოსანი მილიციის უფროსად, 1843 წელს კი - სამეგრელოს გრენადერთა პოლკის უფროსად. წერილის ტექსტიდან ირკვევა, რომ ჭილაშვილის გათავისუფლებასთან დაკავშირებით გამოძიება წარმოებდა. „ჩილაევი პოდსუდში მისცეს"- სწერდა 1842 წლის 11 ივნისს მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვს გრ. ორბელიანი (XIX-XX საუკუნეების... 2012:124).

ორლოვის ცოლი (წერილი XIV („ხანის ქალია, ძალიან ლამაზი და მარილიანია; ბევრში წარმოგიდგენთ **ორლოვის ცოლს**"). იგულისხმება ივანე ორლოვის მეუღლე. ივანე ალექსის ძე ორლოვი (1795-1874) იყო გენერალ-ლეიტენანტი, გენერალ-ადიუტანტი, ატამანი დონის კაზაკთა პოლკებისა (1838 წლიდან), რომლებიც კავკასიის განცალკევებულ კორპუსში შედიოდნენ. მონაწილეობას ღებულობდა სამხედრო ლაშქრობებში მთიელთა წინააღმდეგ. კავკასიურ საზოგადოებაში პატივისცემა და სიმპატია ჰქონდა დამსახურებული. მას უნდა იხსენიებდეს გრ. ორბელიანი თავის ძმასთან - ილია ორბელიანთან 1843 წლის ორ, 22 აპრილს ყუბიდან და 6 მაისს ხუნძახიდან გამოგზავნილ წერილებში (ორბელიანი 1936: 63, 67). ივანე ორლოვი დაქორწინებული იყო **ელიკონიდა პეტრეს ასულ მუსინ-პუშკინაზე** (1810-1896), ნაპოლეონთან ბრძოლების ეპოქის რუსი სარდლის, გენერალ-ლეიტენანტ პეტრე კლავდის ძე მუსინ-პუშკინისა (1765-1834) და ანა ივანეს ასულ შტერიჩის ქალიშვილზე. არსებობს მოსაზრება, რომ ივანე ორლოვი (1795-1874) სამეგრელოს მთავრის დავით დადიანის (1812-1853) ის ადიუტანტია,

რომლის მომხიბვლელ ცოლსაც გაარშიყებია მთავრის კანცელარიის მწერალი ანდრი გეგეჭკორი (XIX-XX საუკუნეების... 2011: 270). ამ ამბავს, რომელიც სალაპარაკო გამხდარა საზოგადოებაში და რის გამოც ორლოვის ცოლს წერილის ამ კონტექსტში უნდა ახსენებდეს ნ. ბარათაშვილი, ი. მეუნარგია ასე გადმოგვცემს: „იმ დროებში, რომელზედაც ჩვენ ვლაპარაკობთ, ანდრი გეგეჭკორი იყო, თუ არა ერთად-ერთი, იშვიათი მეგრელი, რომელმაც რუსული წერა-კითხვა იცოდა. ამის გამო ამ საჩინო კაცის თავ-გადასავალი დღემდის არ დავიწყნია სამეგრელოს. დავით დადიანმა რაღაც შემთხვევისა გამო ის გალახა, გაროზგა. საზოგადოდ დავით დადიანი ყოველ ხელობას და სწავლას დიდად აფასებდა თავის სამთავროში და რა იყო მიზეზი მთავრის ამ ზომამდის გულის წყრომისა ვერ შევიტყე. თუ მიდგომაში არ ჩამოერთმევა მის ძმას გრიგოლ დადიანს, იმან მიამბო: „ანდრი გეგეჭკორი წაეკიდა ერთს მწერალს, მის ამხანაგს და დავითმა ამის გამო ის დატუქსა. მან თურმე იუკადრისა შენიშვნა და სიტყვა შეუბრუნა მთავარს, „დედა შეაგინაო“ და მთავარმა ამის გამო ის დასაჯაო“. ბესარიონ ხოფერიას, გეგეჭკორის დასჯის მიზეზად ის გაუგონია, რომ ის გაარშიყებია მთავრის ადიუტანტის არლოვის ცოლს, რაც უნდა ყოფილიყო მიზეზი გეგეჭკორის დასჯისა. ანდრი გეგეჭკორი იმდენად შეაძრწუნა მთავრის ძალადობამ, რომ ის ჭკუიდან შეირყა. რომ დადიანი გონს მოეყვანა, როზგის ქვეშ მწოლარე ანდრიმ დაუძახა თურმე მთავარს: - ვისა სცემ? დავით? - ანდრისო, დაუძახა თურმე გულმოჯერებულმა, მაგრამ შეუბრალებელმა მთავარმა“ (მეუნარგია 1939: 33)

რენენკამპფი (წერილი IX („ეცადე, რომა **რე[ნ]ენკამფთან** დამანიშვნინო“)). **პავლე (პავლე-ანდრეი) იაკობის ძე რენენკამპფი** (1790-1857), ბარონი, ესტონური წარმომავლობის რუსი გენერალი, რუსეთ-სპარსეთის (1826-1828), რუსეთ-თურქეთის (1828-1829), ყირიმის ომის (1853-1856) მონაწილე. 1815 წელს მსახურობდა ახლადდაარსებულ გვარდიის გენერალურ შტაბში, 1816 წელს მივლინებულ იქნა სპარსეთში ა. პ. ერმოლოვთან (1777-1861). 1824 წლიდან პოლკოვნიკია. სპარსეთის კამპანიაში მსახურობდა გრაფ ი. პასკევიჩთან (1782-1856). 1829 წლის აპრილიდან გენერალ-მაიორია. 1829 წლის მაისში თან ახლდა სპარსეთის პრინცს ხოსრევ-მირზას (1813-1875), რომელიც პეტერბურგში მიემგზავრებოდა ა. ს. გრიბოედოვის (1795-1829)

მკვლელობასთან დაკავშირებული „მობოდიშების“ მისიით. ალ. პუშკინი (1799-1837) თავისი ნარკვევის „მოგზაურობა არზრუმში“ პირველ თავში, სადაც ის საქართველოს სამხედრო გზაზე ხოსრევ-მირზასთან შეხვედრას აღწერს, პ. რენენკამპფს იხსენიებს სპარსეთის პრინცის თანმხლებ რუს ოფიცრად («Тут я встретил русского офицера, провожающего персидского принца»). მან რუსი პოეტი მისი თხოვნით წარუდგინა სპარსეთის სამეფო კარის პოეტს, ფაზილ-ხან-შეიდას, რომელიც პრინცთან ერთად მგზავრობდა. 1842 წელს პ. რენენკამპფი გადაყვანილი იქნა კავკასიაში მე-19 ფეხოსანი დივიზიის მეთაურად, 1843-1844 წლებში ებრძოდა მთიელებს დაღესტანში. ამ დროს დაღესტნის (ავარიის) მმართველი იყო გრ. ორბელიანი. იგი რენენკამპფს ყოველმხრივ სუსტ პიროვნებად ახასიათებს: „ღენერალ რეინკამფი იყო აქა და გუშინ წავიდა. - კნიაზო! ნუ გამიწყრებით, და ეს ვერც სულით, ვერც სხეულით ვერ გამოდგება აქა. მეტად სუსტია ორივეში“ - სწერდა გრ. ორბელიანი 1843 წლის 14 ივლისს მოსე არღუთინსკი-დოლგორუკოვს ხუნძახიდან (ორბელიანი 1936: 75). რეინკამპფს 1843 წლის 11 აპრილს მიენიჭა გენერალ-ლეიტენანტის წოდება.

Фор**стен** (წერილი XIV („ ეს ერთი კაცი გვყვანდა პოლკოვნიკი **Ф**ор**стен**, ეს წამოვიდა და შენი მტერი, რომ ჩვენ მარტო დავრჩით!“)). **კარლ გუსტავის ძე ფორსტენი,** წარმოშობით შვედი სამხედრო პირი, პოლკოვნიკი, 1842 წელს დაჯილდოვდა წმინდა გიორგის IV კლასის ორდენით. წერილის შინაარსიდან გამომდინარე ფორსტენი ბარათაშვილისთვის საინტერესო ადამიანი ყოფილა. მის შესახებ გიორგი ლეონიძე კითხულობდა: „ხომ არ იყო იგი ცნობილი ლიტერატურული ინტერესებით?“ (ლეონიძე 1940: 424). კარლ ფორსტენისა და მისი ძმის გუსტავის შესახებ ცნობებს გვაწვდის მიხეილ თუმანიშვილი (1818-1875), რომელიც 1842-1847 წლებში განსაკუთრებულ მინდობილობათა უმცროს მოხელედ საქართველო-იმერეთის სამოქალაქო გუბერნატორთან მუშაობისას ნახჭევანში იმყოფებოდა სარევიზიოდ: „პოლკოვნიკი კარლ გუსტავის ძე ფორსტენი კავკასიაში მყოფ მთავარ შტაბთან ირიცხებოდა. იგი დროებით ნახჭევანში ცხოვრობდა, ალბათ ადგილობრივი გარნიზონისა და საზღვრის ახლო მდებარე პუნქტების გარნიზონთა საინსპექციოდ: ნახჭევანში ერთ-ერთი ქართული სახაზო ბატალიონის ასეული იდგა, ხოლო ფორსტენი მალე კავკასიის სახაზო ბატალიონების მე-2 ბრიგადის

კომანდირად დაინიშნა, იგი კულტურული ოჯახიდან იყო: მისი ძმა პოლკოვნიკი გუსტავ გუსტავის ძე ფორსტენი, რომელიც აგრეთვე კავკასიის ჯართა შტაბთან ირიცხებოდა, გენერალური შტაბის ოფიცერი იყო, გარნა მაშინ გენერალური შტაბის აკადემიაში მხოლოდ კარგად განათლებულ ოფიცრებს იღებდნენ. ნიკ. ბარათაშვილი, მართლაც ჰპოვებდა ფორსტენის პიროვნებაში საინტერესო მოსაუბრეს, რომლის წასვლაც მას ასე სწყენია“ (ხელთუბნელი 1940: 350-351).

Фезе (წერილიVI («По офиціальному донесенію **Фезе** известно только то, что адьютантъ его, Князь Орбеліани, 20-го марта былъ посланъ в Андалалъ съ порученіем и его взяли тамъ въ пленъ»)). **კარპე კარპეს ძე ფეზი (ფეზე)** (1797-1848) – რუსი გენერალი, გენერალ-ლეიტენანტი (1838), რუსეთ-კავკასიის ომების მონაწილე. დაიბადა ციურიხში, სამხატვრო სკოლის პროფესორისა და უზენაესი სასამართლის მდივნის ოჯახში. სამსახური დაიწყო შვეიცარიულ ჯარებში და 1814 წელს ნაპოლეონის წინააღმდეგ კოალიციურ ომში უკვე მაიორის ჩინი ჰქონდა. იმპერატორ ალექსანდრე I-თან წარდგენის შემდეგ შევიდა რუსეთის სამსახურში - 1816 წელს შტაბს-კაპიტნის ჩინით ჩაირიცხა ფინური პოლკის ლეიბ-გვარდიაში, რის შემდეგაც მონაწილეობას იღებდა რუსეთის იმპერიის მიერ წარმოებულ სხვადასხვა ომში. 1831 წელს პოლონეთის აჯანყების ჩახშობის მონაწილეა. მეთაურობდა მე-20 და მე-19 ქვეით დივიზიებს, მონაწილეობდა 30-იანი წლების ბოლოსა და 40-იანი წლების დასაწყისის მრავალ სამხედრო ექსპედიციაში ჩეჩნეთსა და დაღესტანში, განსაკუთრებით გამოიჩინა თავი სოფლების აშილტას და ტილიტლოს შტურმით აღების დროს.

პოზინი, მინისტრი - (წერილი VI („ძლივს საქართველოს მოუვიდა რუსი, რომელსაც ეყურება აქაურობისა . იმედია, რომ **პოზინი** კეთილად წარმართავს ჩვენ გარემოებას. **მინისტრს** შვიდს მაისს მოველით ერევანზედ“)) .

მიხაილ პავლეს ძე პოზენი (1798-1871), რუსი სახელმწიფო მოღვაწე, 1861 წლის საგლეხო რეფორმის მონაწილე, სტატს-მდივანი (1836), საიდუმლო მრჩეველი (1842), მსხვილი მემამულე, წარმოშობით აზნაური პოლტავის გუბერნიიდან. სახელმწიფო სამსახურში (სახალხო განათლების, სახელმწიფო ქონების, სამხედრო სამინისტროებში) ირიცხებოდა 1817 წლიდან. მონაწილეობდა „სამხედრო კანონების

კრებულის“ შედგენაში. 40-იანი წლებიდან იყო ამიერკავკასიის მხარის მოწყობის კომიტეტის წევრი. 1845 წელს სამსახურიდან გადადგა. 1856 და 1857 წლებში იმპერატორს წარუდგენდა ბატონყმობის თანდათანობითი გაუქმების პროექტებს მემამულეებისათვის გლეხურ სანადელო მიწებზე საკუთრების შენარჩუნების პირობით. 1859-61 წლებში პოლტავის საგუბერნიო კომიტეტის წევრია, ასევე სარედაქციო კომისიების წევრ-ექსპერტი, სადაც კონსერვატორულ პოზიციას გამოხატავდა და გამოდიოდა გლეხების მიერ ნადელების გამოსყიდვის წინააღმდეგ. 1842 წელს საქართველოში სხვადასხვა დაწესებულებების სარევიზიოდ საგანგებო დავალებით მოვლინებულ მ. პოზენს შეუმოწმებია საქართველო-იმერეთის სასამართლოს სისხლისა და სამოქალაქო სამართლის პალატაც, სადაც იმხანად მუშაობდა ნ. ბარათაშვილი და ისე მოსწონებია მისი საქმის წარმოება, რომ საგანგებო ბრძანებაც გამოუცია (ინგოროყვა1969: 57).

„მინისტრში“ იგულისხმება **ალექსანდრე ივანის ძე ჩერნიშოვი** (1785-1857), რუსეთის სამხედრო მინისტრი, რუსული არმიისა და დაზვერვის მოღვაწე, გენერალ-ადიუტანტი, კავალერიის გენერალი, უგანათლებულესი თავადი (1841), წარმოშობით აზნაური. იგი სენატორის, გენერალ-პორუჩიკ ივანე ლევის ძე ჩერნიშოვისა (1736-1791) და ეკატერინე II-ის (1729-1796) ფავორიტის, გენერალ-ადიუტანტ ალექსანდრე დიმიტრის ძე ლანსკოის (1758-1784) დის ევდოკიას (1760-ის შემდეგ - 1816) უმცროსი ვაჟია. პირველდაწყებითი განათლება მიიღო შინ, შემდეგ ჩარიცხულ იქნა კამერ-პაჟად უმაღლეს კარზე, მსახურობდა კავალერგარდერთა პოლკში. მისი საბრძოლო ნათლობა მოხდა აუსტერლიცთან ბრძოლაში, მონაწილეობდა 1807 წლის კამპანიის მეოთხე კოალიციის საბრძოლო მოქმედებებში. 1808 წელს გაემგზავრა დავალებით იმპერატორ ნაპოლეონ I-თან (1769-1821) პარიზსა და ბაიონში. მეხუთე კოალიციის ომის (1809) დროს იმყოფებოდა საფრანგეთის იმპერატორთან. შონბრუნის ზავის შემდეგ დარჩა პარიზში რუსეთის იმპერატორის ნდობით აღჭურვილი პირისა და სამხედრო-დიპლომატიური აგენტის რანგში, მოიპოვა უამრავი საიდუმლო დოკუმენტი და ცნობა. 1812 წლის 14 თებერვალს დატოვა პარიზი. შინისკენ მიმავალმა გზად სტოკჰოლმში შეასრულა მნიშვნელოვანი დიპლომატიური დავალება. ამავე წელს გაგზავნეს ფელდმარშალ მ. კუტუზოვთან (1745-1813) და

ადმირალ პ. ჩიჩაგოვთან (1767-1849) მათთვის სამხედრო დავალებების გასაცხადებლად. მონაწილეობას იღებდა პარტიზანულ ბრძოლებში, მეთაურობდა მცირე თუ დიდ რაზმებს. თავი ისახელა ქალაქ კასელის აღებაში 1813 წელს, რომელსაც ფრანგები გენერალ ალიკსის მეთაურობით იცავდნენ. 1819 წელს ის დაინიშნა დონის ჯარების მოწყობისა და დაჭრილთა კომიტეტების წევრად. 1821 წელს ჩააბარეს მსუბუქი კავალერიის დივიზია. იმპერატორ ალექსანდრე I-ის (1777-1825) გარდაცვალების დროისათვის მასთან ერთად ტაგანროგში იმყოფებოდა. 1826 წლის იანვარში შეიყვანეს დეკაბრისტების საქმის საგამოძიებო კომისიაში. იქ მუშაობით იმპერატორის მოწონება დაიმსახურა. ნიკოლოზ I-ის კორონაციის დღეს უბოძეს გრაფობა. 1827 წელს დაინიშნა მისი უმაღლესობის მთავარი შტაბის მმართველის ამხანაგად, ხოლო იმავე წლის 26 აგვისტოს - სამხედრო მინისტრის მოვალეობის შემსრულებლად. 1848 წელს დაინიშნა რუსეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარედ. იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა თავადობა უბოძა და სანკტ-პეტერბურგის ულანთა 1-ლი და ყაბარდოს ეგერთა პოლკების მეთაურობა მიანდო. ჯანმრთელობის გაუარესებისა და ასაკის გამო 1852 წლის 26 აგვისტოს სამხედრო მინისტრობიდან გადადგა. სახელმწიფო საბჭოს წევრად კი სიკვდილის ბოლომდე დარჩა. გარდაიცვალა იტალიაში, ნეაპოლის ახლოს, ქალაქ კასტელამარე-დი-სტაბიაში. დაკრძალეს მოსკოვის მაზრის სოფელ პეტროვსკოეში. თბილისში ჩამოსულ ა. ჩერნიშევს ქართველმა თავადაზნაურობამ მოუწყო გულითადი შეხვედრა. გრ. ორბელიანის იმდროინდელ კერძო წერილებში ვხვდებით ცნობებს საქართველოში ალ. ჩერნიშევის დახვედრისა და გამგზავრების შესახებ: „ქალაქის (იგულისხმება თბილისი - მ.ც.) ანბავი ეს არის, რომ მინისტრი მიიღეს ხალხმა ისე, როგორც ხელმწიფე. ბანები, ქუჩები, სავსე ი[ყო] თურმე ხალხითა, ასე რომ ძლივს ადგილი ჰქონდა მინისტრსა გავლისა... სწორედ გითხრა, სა[ქარ]თველო დიდი ბედნიერი არის, რომ ხელმწიფემ ინება გამოგზავნა ამ კაცებისა, ესე იგი ჩერნიშოვისა და პოზენისა, რომელთაცა გულით ჰსურთ კეთილდღეობა ამა მხარისა“; „აქაური ანბავი. მინისტრის დროს დიდი ბალები და ვეჩერები ყოფილა და ძალიანაც მოსწონებია აქაური საზოგადოება. ერთს საღამოს ღენერალ ერისთავთანაც (იგულისხმება ინფანტერიის გენერალი გიორგი იესეს ძე ერისთავი (1759-1864) - მ. ც.) იყო და ძალიან მხიარულად

განატარა. ახლა კიდევ მოელიან და მთავარმართველს ექნება ბალი და (ცალკე კიდევ თავადაზნაურულ) საზოგადოებას სადილი შუშხუნებითა და ჩირაღდნებითა“; „ქალაქის ანბავი აქ არავიცირა, მხოლოდ ამის მეტი, რომ მინისტრი მობრძანდა, და უნდა ბალები ყოფილიყო: ერთი ღოლოვინისას (იგულისხმება ევ. გოლოვინი (1782-1858)- მ. ც.), და მეორე კეთიშობილებისაგან ბაღში მთავარმართებლისას. - მგონია, მალე წავა მჟავე წყალზე (იგულისხმება ქ. კისლოვოდსკი -მ. ც.), სადაც უცდის პოზენი და იქ ორნი ერთად დააწყობენ [...] პრეობრაზოვანიის პროეკტსა საქართველოსათვის“; „მინისტრი უნდა გასულიყო 2-ს ამ თვეს ქალაქიდამ მჟავე წყალზე და იქიდან პეტერბურღს“ - გრ. ორბელიანის 1842 წლის 20 მაისის, 11 ივნისის, 4 ივლისის წერილებიდან ზაქარია ორბელიანისადმი (XIX-XX საუკუნეების... 2012: 130, 133, 137, 138). 11 ივლისს მოსე არღუთინსკი-დოლგორუკოვს გრ. ორბელიანი სწერდა: „აქაურს ამბავს მოიხსენებთ: მინისტრი ძალიან მადრიელი დარჩა ჩუენის ხალხისა; ჰსურს ბედნიერება ამა მხარისათვის, და რა საკურველია, რომ კიდეც მოუვლენს“ (XIX-XX საუკუნეების...2012:134). ალ. ჩერნიშოვის ბრძანებით ქუთაისში გაუთავისუფლებიათ გურიის 1841 წლის აჯანყებაში მონაწილეობისათვის დაჭერილები: „ქუთაისში მინისტრის ბრძანებით განათავისუფლეს გურულები, ბუნტისათვის დაჭერილნი, უნდა გენახა ამათი ტირილი და სიხარული, პირჯვრის წერა და დალოცვა. მხოლოდ ერთი გაგზავნეს ციმბირში შალიკაშვილი, რომელიც უწინდელს ბუნტებშიაც ერია“ - სწერდა ქუთაისიდან 1842 წლის 20 მაისს გრ. ორბელიანი თავის ძმას ზაქარიას. ალ. ჩერნიშევი, რომელიც ქალთა დიდი თაყვანისმცემელი ყოფილა, განსაკუთრებით მოხიბლულა ქართველი ქალების სილამაზით. კავკასიაში მოღვაწე რუსი მოხელის ანდრეი ფადეევის (1789-1867) მოგონების მიხედვით ვიგებთ, რომ: „1842 წელს ტფილისში ჩამოსული სამხედრო მინისტრი ალექსანდრე ჩერნიშევი, ჭავჭავაძეებთან საღამოებზე ახალგაზრდული გატაცებითა და დიდის ხელოვნებით ცეკვავდა ლეკურს სილამაზითა და გრძელი ნაწნავებით განთქმულ მართა სოლოღაშვილთან“ (ბალახაშვილი 1967: 301-302). მ. პოზენისა და ალ. ჩერნიშევის საქართველოში ჩამოსვლისა და საქმიანობის შესახებ იხ. აგრეთვე (კაკაბაძე 200: 115).

პრინცი (წერილი XVII („**პრინცს** მოველოდი გატეხილს ხიდზედ , აღარ მოვიდა და იქ შევბრუნდი“).

„პრინცში“ იგულისხმება **ალექსანდრე ჰესენ-დარმშტადტელი** (1823-1888), ჰესენის პრინცი, რუსეთის კავალერიის გენერალი, ჰესენის დიდი ჰერცოგინიას ვიჰელმინა ლუიზა ბადენელისა (1788-1836) და მისი კამერჰერის ბარონ სენარკლენ დე გრანსის უკანონო შვილი. ვილჰელმინას მეუღლემ ლუდვიგ II ჰესენელმა (1777-1848) სკანდალის თავიდან აცილების მიზნით და ვილჰელმინას და-ძმის ზეწოლით მეუღლის უკანონო შვილები ალექსანდრე და მარია (პრინცესა მაქსიმილიანა ვილჰელმინა ავგუსტა სოფია მარია ჰესენ–დარმშტადტელი, შემდგომში რუსეთის იმპერატრიცა მარია ალექსანდრეს ასული (1824-1880)) საკუთარ შვილებად აღიარა. პრინცმა ალექსანდრემ გააგრძელა ოჯახური ტრადიცია და 1840 წელს სამსახური დაიწყო რუსულ არმიაში როტმისტრის ჩინით. 1845 წლიდან იბრძოდა კავკასიის მთიელთა წინააღმდეგ. 1845 წლის მაის-ივლისში მონაწილეობას იღებდა შამილის რეზიდენციის დარღოს წინააღმდეგ მ. ვორონცოვის სარდლობით მოწყობილ სისხლიან ლაშქრობაში. 1845 წლის 6 ივლისს მიენიჭა წმ. გიორგის მე-4 ხარისხის ორდენი. შემდგომში დაინიშნა ვოზნესენსკის ულანთა მე-8 პოლკის მეთაურად. 1859 წლის 20 ივლისს დაჯილდოვდა წმ. გიორგის მე-3 ხარისხის ორდენით. 1849 წლიდან გენერალ-მაიორია, 1859 წლიდან - გენერალ-ლეიტენანტი, 1869 წლიდან - კავალერიის გენერალი. შეუყვარდა და 1851 წელს ქ. ვროცლავში საიდუმლოდ იქორწინა თავისი დის, რუსეთის იმპერატრიცას სეფექალზე, სტატუსით ბევრად დაბლა მდგომ გრაფინია იულია ტერეზა სალომეა ფონ ჰაუკზე (1825-1895). ეს კავშირი მეზალიანსად იქნა განხილული.

შაჰის ელჩი, მირზა-სალი, граф Чичероне (წერილი IX („გუშინ შაჰის ელჩი შემოვიდა, თუ გახსოვს, მირზა-სალი, ევროპიის ენებზედ მოლაპარაკე, განვითარებული კაცი. მაზეგ რომ სამშაფათია, დიდს ბალს უკეთებს მთავარმმართებელი. მაგრამ, ვინც შენ გეგულება, არც ერთი ჩვენი ქართველი ქალი აქ არ არის და გაიხარე, რომ ბალში არ იქნებიან. Но и тутъ оне выигриваютъ; будь вместо **Мирза-Сали граф Чичероне**, оне тотчас бы приехали на балъ“).

1834-1848 წლებში სპარსეთის შაჰი იყო **მუჰამედ შაჰ ყაჯარი** - ირანის სახელმწიფო მოღვაწის, ირანის შაჰის ფათალი-შაჰის (1772-1834) მემკვიდრისა და ძის, აბას მირზას (1789-1833) შვილი.

მირზა-სალი იყო ირანის პრინცის ხოსრევ-მირზას (1813-1875) მდივანი. აბას მირზას (1789-1833) მე-7 ვაჟი, ტახტის მემკვიდრე ხოსრევ-მირზა ფათალი-შაჰის მიერ გაგზავნილი იქნა პეტერბურგში 1829 წელს თეირანში ალ. გრიბოედოვის მკვლელობასთან დაკავშირებით ბოდიშის მოსახდელად. ნიკოლოზ I-ს მან მიართვა ძვირფასი საჩუქრები, მათ შორის ალმასი „შაჰი“. ხოსრევ-მირზას, რომელიც პეტერბურგს თბილისის გავლით გაემგზავრა, თან ახლდა მისი მდივანი მირზა სალი. ჩანს, ბ. ბარათაშვილი მაშინდელ დროს ახსენებს გრ. ორბელიანს.

граф Чичероне – ჩიჩერონე (იტ. *cicerone*, ორატორ ციცერონის სახელის მიხედვით), ძველად სწავლული, რომელსაც შეეძლო განემარტა ყოველგვარი სიძველენი და იშვიათობანი, შემდგომში თარჯიმანი, გიდი, გამყოლი, რომელიც უცხოელთ ადგილობრივ ღირშესანიშნაობებს უჩვენებს. მკვლევართა მიერ გამოთქმულია მოსაზრება, რომ ნ. ბარათაშვილი „გრაფ ჩიჩერონეში“ მიხეილ ვორონცოვს (1782-1856) გულისხმობს, რომ „ჩიჩერონე“ დიდად განსწავლული და საოცარი პიროვნული ხიბლის მქონე გრაფის, 1844-1854 წლებში კავკასიის მთავარმართებლის მეტსახელად იყო ქცეული (XIX-XX საუკუნეების... 2011: 261). აღნიშნულ მოსაზრებას ამყარებს რუსულ პერიოდიკაში ჩვენს მიერ მოძიებული ზოგიერთი ცნობა მ. ვორონცოვის (1782-1856) შესახებ, კერძოდ, 1887 წელს რუსულ ისტორიულ-ლიტერატურულ ჟურნალში «Русский архив» გამოქვეყნებულია ტახტის მემკვიდრის ალექსანდრეს მდივნის ს. ა. იურევიჩის (1798-1865) „სამგზავრო წერილები“ («Дорожные письма»), რომლებშიც აღწერილია 1837 წელს იმპერატორ ნიკოლოზ I-ის (1796-1855) რუსეთის გუბერნიებში ცესარევიჩთან ერთად მოგზაურობის ამბები. სექტემბერში ისინი ყირიმს სწვევიან. წერილების ავტორი გადმოგვცემს: „ვორონცოვი, მხარის აქაური მმართველი და სამხრეთ ყირიმის მთავარი მემამულე, აცილებს ყველგან მის უდიდებულესობას და როგორც ჩიჩერონე წინ უძღვის სამეფო ოჯახს... ხელმწიფე ვერც კი ასწრებს გაიკვირვოს და საკმარისად

გაიხაროს ცვლილებებით, ყირიმში რომ მომხდარა მისი უწინდელი 1816 წლის მოგზაურობის შემდეგ“.

სინაქსაროვი, ყაზიყუმიხის ხანი (წერილი V(„ილიკო რომ დაუჭერიათ, **სინაქსაროვი** და **ყაზიყუმიხის ხანი** დაჭერილები ყოფილან“)).

სინაქსაროვი – **სნაქსარევი ანტონ ივანეს ძე**, პოდპოლკოვნიკი, წმ. გიორგის ორდენის კავალერი (17 დეკემბერი, 1844). ტყვედ ჩაუვარდა იმამ შამილს 1842 წლის მარტში ილია ორბელიანთან ერთად. თავის თხზულებაში ი. ორბელიანი მას სამურის ოლქის უფროსად მოიხსენიებს. ტყვეობას გაქცევით დააღწია თავი.

ყაზიყუმუხის ხანი – რუსული ვიკიპედიის მიხედვით 1841 წელს ყაზიყუმუხის მმართველად არჩეულ იქნა აბდურაჰმან იბნ უმარი (1820-1849). მას ცოლად ჰყავდა ყაზიყუმუხის ხანის (1836) ნუცალ აღა ხანის (1810-1836) ქალიშვილი შამაი ბიქე. აბდურაჰმან ხანი ყაზიყუმუხს მართავდა 1847 წლამდე, როცა მმართველობა გადასცა თავის ძმას, რუსული არმიის შტაბ-როტმისტრს, ჭაბუკობიდან პეტერბურგში მძევლად მყოფ აგლარ ბეგს (1817-1859). ი. ორბელიანი ყაზიყუმუხის მმართველად მაჰმუდ-ბეგს ასახელებს.

თავი IV.

წერილებში მოხსენიებული პირები და წერილთა დათარიღება

1. „ლუარსაბის ცოლი ანნა“ და ნ. ბარათაშვილის XIII წერილის დათარიღების საკითხი

ნიკოლოზ ბარათაშვილის ჩვენამდე მოღწეულ თვრამეტ პირად წერილს შორის არის 1844 წლის ზაფხულის წერილი პოეტის ბიძის ზაქარია ორბელიანისადმი რომელსაც თარიღი არ აქვს მიწერილი. წერილში უმთავრესად პოეტის უფროსი დის ეკატერინეს (1821-1853) ქორწილისა და მისი შემდგომი ამბებია ხატოვნად აღწერილი.

აკაკი გაწერელიას და ივანე ლოლაშვილის რედაქტორობით მომზადებულ პოეტის თხზულებათა 1872 წლის აკადემიურ გამოცემაში აღნიშნულია, რომ წერილი დაწერილი უნდა იყოს 1844 წლის სექტემბრის დასაწყისში.

წერილის ბოლო სავარაუდო დათარიღება - 1844 წლის 15 აგვისტოს შემდეგ - ეკუთვნის ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ მარიამ ნინიძეს (XIX-XX საუკუნეების... 2011: 267-268). დათარიღება უმთავრესად დაეფუძნა წერილში ნახსენებ „ალევობას“ - ღვთისმშობლის მიძინების რელიგიურ დღესასწაულს, იგივე მარიამობას, რომელიც ძველი სტილით 15 აგვისტოს იმართებოდა ქსნის ხეობაში, ისტორიულ სოფელ ალევში და რომელსაც მამასთან ერთად დასწრებია პოეტი: „მე და მამა ალევობას, რომ ამ თთჳს თხუთმეტს იყო, ვეწვივენით კატოს“ - წერს ნ. ბარათაშვილი.

ნ. ბარათაშვილის ეპისტოლური მემკვიდრეობისა და სანაცნობო წრისადმი მიძღვნილი უახლესი კვლევების მონაცემების გათვალისწინებით, ვფიქრობთ, შესაძლებელია აღნიშნული დათარიღების კიდევ უფრო დაზუსტება.

წერილში ვკითხულობთ: „ლუა[რ]საბის ცოლი ანნა ძალიან ავად არის, საწყალი!“

მოხსენიებული „ანნა“ არის **ანა თამაზის (თომას) ასული ორბელიანი** (1796-1844), (ტაბ. 2, 1) პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის ცოლისძმის, 1832 წლის შეთქმულების მონაწილის, მაიორი ლუარსაბ (იოველ) იოანეს ძე ორბელიანის (1793-1835) მეუღლე.

იგი დაა ცნობილი თავადის, ასევე 1832 შეთქმულების მონაწილის მამუკა (მაკარ) თამაზის (თომას) ძე ორბელიანისა (1800-1871) (ლუარსაბ და მამუკა ორბელიანების შესახებ იხ. სადისერტაციო ნაშრომის V თავის 1-ლი ქვეთავი).

ანა ორბელიანი სილამაზით ცნობილი მანდილოსანი ყოფილა. გრიგოლ ორბელიანი მას იმ მშვენიერ ბანოვანთა რიცხვს აკუთვნებდა, რომელთა ამქვეყნიდან გასვლა საქართველოს დაბნელებად ესახებოდა. 1882 წელს ეკატერინე ჭავჭავაძის (1816-1882) გარდაცვალების გამო გულდაწყვეტილი თავის ბიძაშვილს ტასო ოკლობჟიოს (1831-1884) პოეტი სწერდა: „...ესეთნი იყვნენ: **ანნა** (ხაზგასმა ჩვენია - მ. ც.), მანანა, მაია, ჩვენი ეკატერინა, ყაფლანის და, ნინა გრიბოედოვისა, მისი და სოფიო, ჩუენი მაიკო, ყაფლანის ელენე, მართა ერისთავისა და მრავალნი სხუანიცა! აბა, ახლა თვალი გადაავლე ჩუენს საზოგადოებას, ვინ არის მათი მაგიერი? - ჩემო ტასო, ბნელდება საქართველო“ (გრიშაშვილი 1957: 78).

ანა ორბელიანის სილამაზეს აღნიშნავს ალექსანდრე (პუპლია) ორბელიანიც (1802-1869): „მე იმისი მსგავსი მშვენიერი ქალი არ მინახავსო“ (ბერძნიშვილი 1983:152).

ანა და მანანა ორბელიანების სახელებს ვხვდებით ალ. ჭავჭავაძის ერთსტროფიან მაჯამურ ლექსში „სვემ მიწვიმა მანანა“: „სვემ მიწვიმა მანანა,/მომივლინა მან ანნა,/მას თან მოჰყვა მანანა,/მინანავა მან ნანა“ (ქართული...1975: 113)

ანა ორბელიანი დედაა ნ. ბარათაშვილის მეგობარი ქალების - ელენე ორბელიან-ერისთავისა (1815-1888), მეტსახელად „ცაკალოსი“ და მარიამ ორბელიან-ფალავანდიშვილისა (1817-1851). მათ ეძღვნება ნ. ბარათაშვილის სახუმარო ეპიგრამა „ელენეს და მაროს“, სხვა რედაქციით „ელენეს და მარიამს“. აქვე გვინდა ისიც აღვინიშნოთ, რომ ზოგიერთი მკვლევარი ეპიგრამას ბარათაშვილისეულად არ მიიჩნევს (ნანიტაშვილი 2010: 37-45).

სწორედ ამ ანა ორბელიანის გარდაცვალების თარიღი გვაძლევს საფუძველს დავაზუსტოთ ნ. ბარათაშვილის აღნიშნული წერილის სავარაუდო დათარიღების ზედა ზღვარი.

ნ. ბარათაშვილის ერთ-ერთი ბიოგრაფოსისა და წერილების კომენტატორის გიორგი ლეონიძის ცნობით ანა ორბელიანი გარდაიცვალა 1844 წლის 21 აგვისტოს. მკვლევარი ეყრდნობა მისი საფლავის ქვის ეპიტაფიას. იგი მას გადმოუწერია ორბელიანთა საგვარეულო სამარეში, სოფელ კუმისის წმ. სამების ტაძარში, სადაც დაუკრძალავთ ანა ორბელიანი (ბარათაშვილი 1968: 215).

გენეალოგ იური ჩიქოვანის ბოლოდროინდელი კვლევებისა და დაზუსტებული ტაბულების მიხედვით, ანა ორბელიანის გარდაცვალების თარიღია 1844 წლის 20 აგვისტო. ვფიქრობთ, ეს უკანასკნელი უფრო სწორია, რადგან ეფუძნება მკვლევარის მიერ არქივში მოძიებულ მეტრიკულ ჩანაწერებს (ჩიქოვანი 2012:17).

აღნიშნულ თარიღს დიდი მნიშვნელობა აქვს განსახილავი წერილის სავარაუდო დათარიღების დაზუსტებისათვის, რადგან იმ დროს, როცა ნ. ბარათაშვილი ამ ბარათს სწერდა ზაქარია ორბელიანს, ანა ორბელიანი, როგორც ეს მისი ტექსტიდან ჩანს, ჯერ კიდევ ცოცხალია: „ანნა ძალიან ავად არის, საწყალი!“ - ატყობინებს იგი ბიძამისს.

მაშასადამე, ნიკოლოზ ბარათაშვილის აღნიშნული წერილი დაწერილი უნდა იყოს 1844 წლის 15-დან 20 აგვისტომდე. ამასთან პოეტი რელიგიურ დღესასწაულს წარსული დროით მოიხსენიებს - „ალევობას, რომ ამ თთჳს თხუთმეტს იყო“, ე. ი. იგი ჩატარდა წერილის დაწერამდე რამდენიმე დღით მაინც ადრე. წინააღმდეგ შემთხვევაში პოეტი აღნიშნავდა, რომ ალევობა იყო „გუშინ“, ან „გუშინწინ“, „ორი დღის წინათ“. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, განსახილავი წერილი უნდა დათარიღდეს 1844 წლის 18-დან 20 აგვისტომდე პერიოდით.

2. „კნიაზ ბარათოვი“ და ნ. ბარათაშვილის VII წერილისა და ლექსის „საფლავი მეფის ირაკლისა“ დათარიღების საკითხი

გრიგოლ ორბელიანისადმი მიწერილ ნიკოლოზ ბარათაშვილის შემორჩენილ პირად ბარათებს შორისაა ერთი ფრაგმენტული სახის წერილი, უფრო სწორად მისი მეორე ფურცელი, რომელსაც ახლავს პოეტის ლექსი „საფლავი მეფის ირაკლისა“, ოღონდ თავდაპირველი სახელწოდებით „საფლავი ივერიისა“. ავტოგრაფი აღნიშნული წერილისა, რომელიც მის ადრესატს 1873 წელს პეტრე უმიკაშვილისთვის გადაუცია, დაკარგულია. პეტრე უმიკაშვილს წერილი გადაუწერია. სწორედ მის მიერ შესრულებული პირის მიხედვით გახდა იგი ჩვენთვის ცნობილი. წერილის ასლი ამჟამად ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, გრიგოლ ორბელიანის არქივშია დაცული.

წერილს თარიღი არ ეწერა. მის პირზე წარწერილი პეტრე უმიკაშვილის შენიშვნა გვამცნობს: „ეს ცალ ფურცელზედ იყო ნაწერი. წელიწადი არ არის დანიშნული (უნდა ვკითხო გრიგოლ ორბელიანს)“ (ბარათაშვილი 1993: 179).

მკვლევარებმა წერილი დაათარიღეს 1842 წლით - მასში ჩართული ლექსის დაწერის დროის მიხედვით. ზემოაღნიშნულ გამოცემაში წერილის კომენტარში ვკითხულობთ: „გადმობეჭდილია პ. უმიკაშვილის გადმონაწერიდამ, დედანი ხელთ არ გვქონდა. არა სჩანს, თუ როდისაა დაწერილი, მაგრამ უნდა ვიფიქროთ რომ 1842 წელს, რადგან ამ წელსაა დაწერილი ლექსი „საფლავი ივერიისა“.

მივყვეთ წერილის ტექსტს:

„...აი, ჩემი უკანასკნელი ლექსი, რომელიც კნიაზ ბარათოვს ალბომში ჩაუწერე მისის თხოვნით. ისიც ამ ორ დღეს უკან მიდის პეტერბურღში с большимъ запасомъ сведений объ исторической Грузии.

„საფლავი ივერიისა“

.....

გრიგოლ, რა იქნება, რომ ერთი კიდევ დააწკარუნო ამდენი ხნის დადუმებული შენი სანთური?”

როგორც ვხედავთ, განსხვავებით ნ. ბარათაშვილის სხვა წერილთაგან, სადაც მრავალი ისტორიული პირი და პოეტის ნათესავ-მეგობარია დასახელებული, განსახილავ წერილში, სავარაუდოდ, მისი ფრაგმენტული ხასიათის გამო, მოიხსენიება მხოლოდ ერთი პირი (თუკი ადრესატს არ ჩავთვლით, რა თქმა უნდა) _ „კნიაზი ბარათოვი“.

შევეცადოთ, გავარკვიოთ, ვინ არის იგი.

ნ. ბარათაშვილის წერილების კომენტატორთა ნაწილის (ა. გაწერელია, გ. ლეონიძე) აზრით „კნიაზ ბარათოვში“ იგულისხმება მიხეილ (მელქისედეკ) პეტრეს ძე ბარათაშვილი (ბარათაევი) (1784-1856), ქართველი ისტორიკოსი, ქართული მეცნიერული ნუმიზმატიკის ფუძემდებელი, ქართული და აღმოსავლური მონეტების კოლექციონერი, პარიზის მეცნიერებათა აკადემიის წევრი.

მკვლევართა ნაწილი გამოთქვამს განსხვავებულ მოსაზრებას და წერილში მოხსენიებულ „კნიაზ ბარათოვად“ მიიჩნევს ისტორიკოს სულხან გერმანოზის ძე ბარათაშვილს (ბარათოვს) (1821-1866) (XIX-XX საუკუნეების... 2011: 260). ეჭვი „კნიაზ ბარათოვად“ სულხან ბარათაშვილის მიჩნევისა გასჩენია პოეტსა და მკვლევარს ი. გრიშაშვილსაც - ბარათაშვილის თხზულებების 1922 წლის გამოცემის საკუთარ ეგზემპლარზე, რომელიც მის ბიბლიოთეკა-მუზეუმშია დაცული და რომელზეც გაკეთებული მისი საყურადღებო მინაწერებისა და მარგინალიების გათვალისწინება საჭიროდ მიგვაჩნია ნ. ბარათაშვილის ეპისტოლური მემკვიდრეობის კვლევისას, ხაზგასმულია „კნიაზ ბარათოვს“ და მიწერილია „სულხან ბარათოვი?“

აზრის გაყოფა და საკითხის ბუნდოვანება, ჩანს, გამოიწვია წერილის ტექსტის იმ ნაწილმა, სადაც ლაპარაკია „კნიაზ ბარათოვის“ საქართველოს ისტორიით დაინტერესებასა და მის მიერ ისტორიული ცნობების შეგროვებაზე: „с большимъ запасомъ сведений объ исторической Грузии“ (ისტორიული საქართველოს შესახებ ცნობათა დიდი მარაგით) - ორივე სავარაუდო პირი საქართველოს ისტორიკოსია, რომლებიც ბარათაშვილის ეპოქაში მოღვაწეობდნენ. როგორც ქვემოთ დავინახავთ, 1942 წელს, ე. ი. წერილის დაწერის დროს, ორივე თბილისში იმყოფება.

მიხეილ და სულხან ბარათაშვილებს მიეძღვნა ქართველ მკვლევართა ნაშრომები. მიხეილ ბარათაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა ლიტერატურულ-

ბიბლიოგრაფიული და საარქივო დოკუმენტური წყაროების საფუძველზე მონოგრაფიულად შეისწავლა ლიტერატურათმცოდნემ, პროფესორმა შალვა გოზალიშილმა (გოზალიშვილი 1987). ავტორმა თავისი ნაშრომის ერთი თავი „მიხეილ და ნიკოლოზ ბარათაშვილები“ რომანტიკოსი პოეტისა და ცნობილი ნუმიზმატის ურთიერთდამოკიდებულების საკითხს დაუთმო. რაც შეეხება ისტორიკოს სულხან ბარათაშვილს, მის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია მოცემულია თედო სახოკიას ბიოგრაფიულ ნარკვევში „თ-დი სულხან გერმანოზის ძე ბარათაშვილი (ცხოვრების აღწერა)“, რომელიც დაიბეჭდა ჟურნალ „მოამბის“ 1896 წლის ივლისის VII ნომერში. დასახელებული და სხვა ნაშრომების ყურადღებით გაცნობის შემდეგ შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ნ. ბარათაშვილის განსახილავ წერილში ნახსენები „კნიაზ ბარათოვი” არის მიხეილ პეტრეს ძე ბარათაშვილი.

თვალი გავადევნოთ მიხეილ და სულხან ბარათაშვილების ბიოგრაფიებს და ვნახოთ, რას ემყარება ჩვენი დასკვნა. მათ შესახებ გენეალოგიური ცნობების დაზუსტებაში დახმარებისათვის აქვე მადლობა უნდა მოვახსენოთ ცნობილ გენეალოგს, ბატონ იური ჩიქოვანს.

მიხეილ პეტრეს ძე ბარათაშვილი ნიკოლოზ ბარათაშვილის მეტად შორეული ნათესავია. ისინი ორივენი ეკუთვნიან ბარათაშვილთა საგვარეულოს ერთ სახლს (იოთამის სახლს) და ჰყავთ საერთო წინაპარი აბაში (ჩანს 1600-1611 წლებში). მიხეილი დაიბადა ქალაქ სიმბირსკში. იგი რუსეთში ვახტანგ VI-თან (1675-1737) ერთად გადახვეწილი ქართველი თავადის, 1760-1765 წლებში სარატოვის მხედართმთავრის, კარის მრჩევლის მელქისედეკ (მიხეილ) ბარათაშვილის (1703 - ჩანს 1765) შვილიშვილი იყო - მისი ვაჟის, სიმბირსკის სამეფისნაცვლოს მეფისნაცვლის, გენერალ-პორუჩიკ პეტრე ბარათაშვილისა (1734-1789) და ეკატერინე საბას ასულ ნაზიმოვას (1765-1802) შვილი. მელქისედეკ (მიხეილ) ბარათაშვილთან (1703 - ჩანს 1765) ერთად რუსეთში გადასახლებულა მისი უმცროსი ძმა ნიკოლოზიც (ჩანს 1739), რომელსაც ცოლად ჰყავდა ბარბარე, ზოგიერთი ცნობით მარიამ (მახია) ბეჟანის ასული ბარათაშვილი, მეფე თეიმურაზ II-ის (1695-1762) მესამე მეუღლის ანახანუმის და. მახიასა და რუსეთში ნიკოლოზთან მისი ქორწინების შესახებ

საინტერესო ცნობებს გვაწვდის პლატონ იოსელიანი (იოსელიანი 1995: 154-155). მიხეილ ბარათაშვილს ეკუთვნის ისტორიული ნაშრომი «Нумизматические факты Грузинского царства». 1810 წელს მან იქორწინა საიდუმლო მრჩევლის ნიკოლოზ ჩოგლოკოვის ასულ ალექსანდრაზე (?-1814). 1820-1835 წლებში იყო სიმბირსკის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლი. ამ პერიოდში სიმბირსკში დააარსა მასონთა ლოჟა სახელწოდებით „სათნოების გასაღები“. 1826 დააპატიმრეს დეკაბრისტების აჯანყებასთან დაკავშირებით, მაგრამ სამხილის უქონლობის გამო მალე გაათავისუფლეს. საქართველოში ჩამოვიდა 1839 წელს და დარჩა 1842 წლამდე.

სულხან გერმანოზის ძე ბარათაშვილი მე-19 საუკუნის ქართველი ისტორიკოსია, მაიორ გერმანოზ სულხანის ძე ბარათაშვილის (1782-1833) და ნატალია თადეოზის ასულ ნაცვლიშვილის (1804-1834) შვილი. ნიკოლოზი და მასზე ოთხი წლით უმცროსი სულხანი ბარათაშვილთა საგვარეულოს სხვადასხვა სახლს მიეკუთვნებიან. სულხან ბარათაშვილი სწავლობდა პეტერბურგის კადეტთა კორპუსში. საფუძვლიანად შეისწავლა ევროპული ენები და ისტორიის ლიტერატურა. 1840 წელს დაუახლოვდა მარი ბროსეს (1802-1880). 1841 წელს პეტერბურგიდან სამშობლოში დაბრუნების შემდეგ გაზეთ „Кавказ“-ში გამოაქვეყნა წერილები საქართველოს ისტორიაზე. 1865-1871 წლებში პეტერბურგში ხუთ წიგნად დაიბეჭდა მისი „საქართველოს ისტორია“, უძველესი დროიდან XIII საუკუნემდე. ქართულ ისტორიოგრაფიაში მან ახალი სიტყვა თქვა ქართული ისტორიის პერიოდიზაციის საკითხში და პირველად დაყო ის სამ: ძველი, შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის პერიოდებად. 1844 წელს დაქორწინდა დედით ქართველ (დედამისი მაჩაბლის ქალი იყო) ელისაბედ (Елизавета) პეტრეს ასულ სემიანნიკოვაზე (1832-1875). მის ძმას, კარის მრჩეველ, მთარგმნელ ლევან (ლეონიდე) გერმანოზის ძე ბარათაშვილს (1826-1875) ცოლად ჰყავდა ნიკოლოზ ბარათაშვილის და ნინო მელიტონის ასული ბარათაშვილი (1828-1906). სულხან ბარათაშვილს ჰქონდა მაიორის ჩინი. მსახურობდა მეგრელთა ეგერის პოლკში. დაიღუპა ტრაგიკულად სოხუმში 1866 წლის 13 აგვისტოს, აფხაზთა აჯანყების დროს. დაკრძალეს იქვე, სოხუმის წმინდა გიორგის ეკლესიასთან. (ნადირაძე 1993: 83-95).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მიხეილ ბარათაშვილი საქართველოში 1839 წელს ჩამოვიდა. მთავრობის ბრძანებულებით ამიერკავკასიის საოლქო საბაჟოს სამმართველოს უფროსად იგი 1839 წლის 9 ივნისს დაინიშნა, მაგრამ სამშობლოში ჩამოსვლა შეაგვიანდა და მხოლოდ 1839 წლის 18 ოქტომბერს გამოემგზავრა, დაკისრებული მოვალეობის შესრულებას კი 1839 წლის 28 ოქტომბერს შეუდგა. თბილისში ჩამოსვლისთანავე მან მონახა მელიტონ ბარათაშვილის ოჯახი, სადაც გაიცნო და დაუახლოვდა მის ვაჟს, პოეტ ნიკოლოზს. თბილისში ყოფნის დრო მათ მეგობრულ და ლიტერატურულ ურთიერთობაში გაუტარებიათ. მიხეილ ბარათაშვილი, რომელიც თავადაც წერდა ლექსებს, პოეტის სანაცნობო წრეში ტრიალებდა. ხშირად სტუმრობდა აგრეთვე მანანა ორბელიანისა და ალექსანდრე ჭავჭავაძის სალონებს. შეიძლება იმის ვარაუდიც, რომ სწორედ მიხეილ ბარათაშვილის თბილისში მოღვაწეობის პერიოდში საქართველოს ისტორიის შესწავლით ადრევე გატაცებული ნიკოლოზ ბარათაშვილი, როგორც ამას ხაზგასმით აღნიშნავს თავის მოგონებაში მისი მეგობარი კონსტანტინე მამაცაშვილი (1818-1900), უფრო მეტად აღრმავებს მუშაობას მშობლიური ქვეყნის ისტორიული წარსულის შესასწავლად. პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის თანამშრომლის იული ფრიჩეს საყურადღებო ცნობით 1843 წელს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ ნიკოლოზ ბარათაშვილს დაავალა შეედგენა მნიშვნელოვანი ძველი ქართული ხელნაწერების ნუსხა და გადაეღო მათი ასლები. შ. გოზალიშვილის აზრით, აკადემიის ამ თაოსნობაში მიხეილ ბარათაშვილს უნდა მიუძღოდეს ღვაწლი.

1842 წლის 27 ივნისს საგარეო ვაჭრობის დეპარტამენტმა მიხეილს აცნობა, რომ ფინანსთა მინისტრის თანხმობით მას ნება დაერთო სამთვენახევრიანი შვებულებით ესარგებლა. იგი საქართველოდან პეტერბურგში შვებულებით 1842 წლის 10 ივლისს გაემგზავრა. იმავე წლის 20 ნოემბრიდან შვებულება მას კიდევ გაუგრძელდა, ხოლო შემდეგ - 1843 წლის 11 თებერვლიდან სრული პენსიით სამსახურიდან გათავისუფლდა, ცხოვრობდა პეტერბურგში და საქართველოში აღარ დაბრუნებულა. 1846 წელს პეტერბურგიდან გაემგზავრა მშობლიურ სიმბირსკში, თავის საგვარეულო მამულში სოფელ ბარათაევკაში, სადაც 1856 წლის 30 ივლისს გარდაიცვალა.

ამრიგად საქართველოში მან დაჰყო დაახლოებით ორი წელი და ათი თვე - 1839 წლის ოქტომბრიდან 1842 წლის 10 ივლისამდე. მისთვის უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო საქართველოში ჩამოსვლა და იგი მის სამეცნიერო მიზნებს უკავშირდებოდა. აქ მან ჩაატარა არქეოლოგიურ-ნუმიზმატიკური კვლევა-ძიებანი და შეაგროვა ქართული ფულის მდიდარი კოლექცია, რის შედეგადაც პირველმა შექმნა ცნობილი შრომა ქართული ნუმიზმატიკის ისტორიაზე. 1844-1845 წლებში იგი სამ ენაზე (რუსულად, ქართულად და ფრანგულად) გამოსცა პეტერბურგში სათაურით „ნუმიზმატიკის ფაქტები ანუ ძველნი ფულნი საქართველოს სამეფოსანი“ («Нумизматические факты грузинского царства»). მისმა ნაშრომმა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მაღალი შეფასება დაიმსახურა.

აღნიშნული წიგნი მიხეილმა მელიტონ ბარათაშვილს წერილთან ერთად გამოუგზავნა. ეს მოხდა მოგვიანებით, ნიკოლოზ ბარათაშვილის გარდაცვალების შემდეგ. 1846 წლის 30 სექტემბრით (12 ოქტომბრით) დათარიღებული ამ წერილის შინაარსიდან ირკვევა, რომ ადრესანტს არ სცოდნია ნიკოლოზის გარდაცვალების ამბავი: „მეტის მეტად გამახარებდა ჩვენი საერთო საყვარელი თ. ნიკოლოზ მელიტონის ძე, თუ თავის უხვის ცოდნითა და ნიჭით შეავსებდა თავის მოხუცი პაპის პირველ ნაშრომს, განსაკუთრებით ისეთის ამბების მოთხრობით, რომელშიაც მონაწილეობას იღებდნენ ბარათაშვილების მხცოვან ოჯახის წინაპრები“ (ბარათაშვილი 1993: 198-199).

წერილიდან ჩანს, რომ მიხეილ ბარათაშვილს ახლობლური დამოკიდებულება ჰქონია ნიკოლოზ ბარათაშვილის ოჯახთან და პოეტსაც იცნობდა. 1842 წელს დაწერილ მის ლექსს „საფლავი მეფის ირაკლისა“ აქვს მიძღვნა – „კნიაზს მ... პ... ძეს ბარათაევს“. ინიციალები მ...პ... იშიფრება მიხეილ პეტრეს ძედ. მიხეილ ბარათაშვილსვე მიიჩნევდნენ იმ აზარფეშის მფლობელად, რომელსაც ეძღვნება ნ. ბარათაშვილის ლექსი „კნიაზ ბარათაევის აზარფეშაზედ“: „ამავსებ ღვინით,/ აგავსებ ლხინით,/შესვი? გაამოს“.

აზარფეშა, რომელზეც პოეტს ეს გალექსილი წარწერა მიუწერია, დაკარგულია, ლექსის ორი ავტოგრაფი კი შემოგვრჩა.

ასეთია ნიკოლოზ და მიხეილ ბარათაშვილების ურთიერთდამოკიდებულება.

რაც შეეხება ისტორიკოს სულხან ბარათაშვილს, როგორც ამას მისი ბიოგრაფიის დაწვრილებით გაცნობის შემდეგ ვიგებთ, ისიც, მსგავსად მიხეილ ბარათაშვილისა, 1842 წლისთვის საქართველოში იმყოფება. პეტერბურგიდან, სადაც მან შვიდი წელი გაატარა, სამშობლოში 1841 წელს დაბრუნდა და აქ დაიწყო სამოქალაქო და სამხედრო სამსახური. 1842 წელს პეტერბურგში მისი კვლავ გამგზავრების შესახებ კი არავითარი ცნობა თუ დოკუმენტური მასალა არ მოგვეპოვება. არაფერი ვიცით აგრეთვე მათი პირადი ნაცნობობისა და ახლობლური დამოკიდებულების შესახებ. სავარაუდოდ, ის იცნობდა მელიტონ ბარათაშვილის ოჯახს და მოგვიანებით, დაახლოებით 60-იანი წლების დასაწყისში მისი ქალიშვილის ნინოს მაზლიც გახდა, მაგრამ ზემოთქმულის გათვალისწინებით განსახილავ წერილში ნახსენებ „კნიაზ ბარათოვად“ მას ვერ მივიჩნევთ.

როგორც აღვნიშნეთ, წერილის სავარაუდო დათარიღებად მიჩნეულია 1842 წელი მასში ჩართული ლექსის დაწერის დროის მიხედვით. თუ „კნიაზ ბარათოვში“ ვიგულისხმებთ **მიხეილ (მელქისედეკ) პეტრეს ძე ბარათაშვილს** (ტაბ. 1, 17), რაც აღარ უნდა იყოს საეჭვო ზემოთმოყვანილი მსჯელობის შემდეგ, მაშინ განსახილავი წერილი მისი ტექსტის მიხედვით – „ამ ორ დღეს უკან მიდის პეტერბურღში“- დაწერილი უნდა იყოს 1842 წლის 8 ივლისს, ანუ მიხეილის პეტერბურგში გამგზავრებამდე - 10 ივლისამდე ორი დღით ადრე.

ამრიგად, „კნიაზ ბარათოვის“, ისევე როგორც ნ. ბარათაშვილის წერილებში ნახსენებ სხვა პირთა, იდენტიფიკაცია, მეტად მნიშვნელოვანია როგორც თავისთავად, პოეტის სანაცნობო წრის შესწავლის თვალსაზრისით, ასევე განსახილავი წერილის დათარიღების დასაზუსტებლად. თუ მკაცრად ვიმსჯელებთ, იგი დაწერილი უნდა იყოს 1842 წლის ივლისის პირველ დეკადაში. დაახლოებით ამავე პერიოდით უნდა დათარიღდეს ლექსიც „საფლავი მეფის ირაკლისა“.

თავი V.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლური მემკვიდრეობა და ისტორიული კონტექსტი

1. 1832 წლის შეთქმულება და შეთქმულნი ნ. ბარათაშვილის პირად წერილებში

გამოჩენილი მეცნიერი და XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებისა და საზოგადოებრივი აზრის მკვლევარი მაქსიმე ბერძნიშვილი თავის ნარკვევში „ქართული საზოგადოებრიობა 1833-1844 წლებში“, რომელიც წამძღვარებული აქვს მის ცნობილ ორტომეულს, აღნიშნავს:

„მეტად ძნელია წარსული საუკუნის (იგულისხმება XIX საუკუნე - მ. ც.) პირველი ნახევრის, კერძოდ ჩვენთვის საინტერესო დროის, ქართველი საზოგადოების ცხოვრების ისტორიის დაწერა. ამ ხანებში სრულიად არ გაგვაჩნდა პრესა, რომ შეგვძლებოდა მაშინდელი ქართველობის ნამდვილი სახის დანახვა. ამ დროითგან არ მოგვეპოვება აგრეთვე არც დღიურები, არც მემუარები, არც სხვა რაიმე ნაწერები, რომ მკვლევარს საიმედო მასალა ჰქონდეს და საზოგადო ცხოვრების სრული შეცნობა გაადვილებოდა. ამგვარი რამის წერას მაშინ ყველა ერიდებოდა, დღიური ინტერესით ცხოვრობდა და საქვეყნო აზრების აღძვრისას მხოლოდ ჩიოდა, ისიც მახლობელთა წრეში…(...) და ეს მცირედი, თანაც მწირი მასალაც, ან გამოუქვეყნებელია ან თუ ცნობილია, საჭიროებს კრიტიკულ შესწავლას, მრავალრიგად გამოწვლილვას, რომ გამოსადეგი იქნეს საისტორიო წყაროდ“ (ბერძნიშვილი 1980: 5).

ნ. ბარათაშვილის პირადი წერილები წარმოგვიდგება სწორედ ასეთ მწირ, მაგრამ უაღრესად საინტერესო საისტორიო წყაროებად და მასალად, რომელზეც საუბრობს მ. ბერძნიშვილი.

ნიკოლოზ ბარათაშვილი ქართველი უმაღლესი არისტოკრატიის წარმომადგენელი იყო - ბარათაშვილთა ცნობილი სათავადო სახლის, დედის მხრიდან კი ასევე სახელგანთქმულ ორბელიანთა გვარისა და ქართლ-კახეთის

სამეფოს ბაგრატიონთა შტოს პირდაპირი შთამომავალი. დედამისი ეფემია მეფე ერეკლე II-ის შვილთაშვილი გახლდათ. პოეტს ქვეყნის პოლიტიკურ-კულტურული ელიტაში უხდებოდა ყოფნა და ტრიალი. მისი სანაცნობო წრის შესწავლა საინტერესო და საშური საქმეა იმ მხრივაც, რომ მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა 1832 წლის შეთქმულების მონაწილეებთან. ისინი მის პირადი ბარათებში მოხსენიებულ პირთა დიდ ნაწილს შეადგენენ. აქედან გამომდინარე პოეტის ეპისტოლურ მემკვიდრეობას გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება აღნიშნული შეთქმულების ისტორიოგრაფიისათვისაც და სასურველია ამ მხრივაც გაშუქდეს.

წინამდებარე ქვეთავში წარმოდგენილი გამოკვლევის მიზანს სწორედ ნ. ბარათაშვილის პირად წერილებში მოხსენიებულ 1832 წლის შეთქმულთა ბიოგრაფიული ცნობებისა და პოეტთან მათი მიმართების გამომხატველი ფაქტებისა და მოვლენების თავმოყრა-შესწავლა შეადგენს. აქვე გვინდა აღვნიშნოთ ისიც, რომ უშუალოდ ნ. ბარათაშვილის დამოკიდებულება 1832 წლის შეთქმულებისადმი პოეტის ბიოგრაფოსების მხრივ მეტ-ნაკლებად შესწავლილია (ინგოროყვა 1969:, ბალახაშვილი 1968: 131-139; ჯეირანაშვილი 1997: 106-109) და ამ საკითხს შევეხებით გაკვრით, ოდენ კვლევის მიზანდასახულებიდან გამომდინარე და შემოვიფარგლებით იმ ცნობებით, რომელიც პოეტის პირად წერილებში შეიძლება ამოვიკითხოთ.

ნ. ბარათაშვილის თბილისიდან გრ. ორბელიანთან გაგზავნილ 1837 წლის თებერვლის წერილში ვკითხულობთ:

„ძიავ, ეს ლექსები დიდი ხანია დაწერილი მქონდა. მაგრამ ფოჩტას ვერ ვანდე კიდევ, რა ვიცი, როგორ მომხდარიყო, იქნება, დაკარგულიყო, და მერმე: პ“. (ბარათაშვილი 2015: 18). ამ სიტყვებში იგულისხმება როგორც წერილის დაკარგვის, ისე ცენზურის საფრთხე. ბარათის ამ ადგილს ყურადღება მიაქცია მკვლევარმა მიხეილ კეკელიძემ. იგი შენიშნავს: „პოეტი ამბობს, რომ ფოსტას „ვერ ვანდე კიდევ“: (ცხადია, ჩანს, რომ ფოსტასთან დაკავშირებით მას რაღაც დიდი უსიამოვნება შეხვედრია კიდევ. ეს უსიამოვნება 1832 წლის შეთქმულების გამო შეხვდა პოეტს). „იქნება დაკარგულიყო და მერე პ“ სხვა არაფერია თუ არა შეფარვით თქმული: იქნება ფოსტაში ვინმეს გაეხსნა წერილი და ლექსი წაეკითხა, რასაც მოჰყვებოდა ავტორის (ნ. ბარათაშვილის) ხელახლა პ.[ატიმრობა]. აი, სწორედ ამის გამო დავაგვიანე ლექსებისა

და წერილების გამოგზავნაო, აცნობებს გრ. ორბელიანს ნ. ბარათაშვილი„ (ბალახაშვილი 1968: 139). ის უსიამოვნებანი, რომელზეც საუბრობს მკვლევარი, ვფიქრობთ, შემდეგში მდგომარეობს: 1833 წელს, 16 წლის ნ. ბარათაშვილს დაუწერია სატირული ლექსი, სავარაუდოდ, 1832 წლის შეთქმულების გამცემლობაზე და თავისი თანაგიმნაზიელი მეგობრების დახმარებით ფოსტით გაუგზავნია თბილისის სამოქალაქო გუბერნატორის ნიკოლოზ ფალავანდიშვილისათვის (1790-1855). მთავრობა შესდგომია საქმის კვლევას და საგანგებოდ გაუფრთხილებია ფოსტა. ფოსტის მმართველობისათვის უცნობებიათ, რანაირად იყო დაბეჭდილი პატაკი, რომლითაც მიუვიდა ის ადრესატს და ფოსტის აპარატისთვის დაუვალებიათ თვალყურის დევნება წერილების ბეჭდებისათვის, რათა ამ გზით გამოერკვიათ დამნაშავე. „ფოსტამ მიაგნო დამნაშავის კვალს, როდესაც გიმნაზიიდან მიიღო საძიებელი ბეჭდით დაბეჭდილი ერთი წერილი. წერილის მიმტანი გიმნაზიის მსახური დაიჭირეს და მთავრობას წარუდგინეს. იმავე საღამოს სასწავლებელში მოვიდნენ გამოძიების საწარმოებლად: ჟანდარმის ოფიცერი, პროკურორი და პოლიციის უფროსი. გამოძიების შედეგად გამოირკვა, რომ სატირის ავტორია ნიკო ბარათაშვილი, ლექსი გადაწერილია ლევან მელიქიშვილის ხელით, ხოლო პაკეტზე მისამართი დაწერილია პეტრე ბაგრატიონის ხელით“ (ინგოროყვა 1969: 52). გამოძიების შედეგები აცნობეს კავკასიის ჯარების სარდალს და მთავარმართებელს და რადგან დამნაშავენი არასრულწლოვანნი აღმოჩნდნენ, მათ სასჯელად მხოლოდ როზგით დასჯა აკმარეს. ამ ინციდენტს რამდენადმე განსხვავებულად გადმოგვცემს ი. მეუნარგია თავის ბიოგრაფიულ ნარკვევში. ზემოხსენებულ პეტრე რომანის ძე ბაგრატიონს (1818-1876) ეს ამბავი ასე გადაუცია აკაკი წერეთლისთვის (1840-1915): „გამიგონია შაირებით დიდი კაცების ლანძღვა? აგვიყოლია ჩვენც, მისი მეგობრები: ის სწერდა და ჩვენ ვაგზავნიდით; როცა ფოსტალიონი მოვიდოდა ხოლმე ჩვენს სასწავლებელში, ჩვენ შემოვეხვეოდით გარს, უცბად ავუწევდით ჩანთის თავს, სადაც წიგნები ელგა, და ჩავუდებდით ხოლმე ჩუმად ჩვენს გალექსილ წერილებს. ის რას მოიფიქრებდა, რომ ნახავდა ჩანთაში წერილებს? მიჰქონდა ადრესისამებრ“ (წერეთელი 1989: 83). რაც შეეხება ნ. ბარათაშვილის პატიმრობას 1833 წლის პირველ თვეებში, ამის შესახებ ცნობებს გვაწვდიან მისი თანამედროვენი დ. გრიგორიევი და

გრ. გურიელი (1819-1891). ეს უკანასკნელი იგონებს: „ნიკოლოზ ბარათაშვილი და მე ერთ სკოლის სკამზედ ვიჯექით. ნ. ბარათაშვილმა წინეთ შეიტყო, რომ შენ გაგჩხრეკენო. „მას ბევრი ლექსები აქვნდა რუსის მთავრობის წინააღმდეგ ნაწერი. იგი მალე წავიდა სახლში, მეც თან წამიყვანა, ყველა ეს ნაწერები ბუხარში შეყარა და ცეცხლს მისცა. ის იყო, ეს დაიწო და გამჩხრეკავნიც მოვიდნენ. სასტიკად გაჩხრიკეს ყველაფერი, მერე ნ. ბარათაშვილს ლექსებს უჩვენებდნენ და ჰკითხავდნენ, რომ ეს ლექსი შენი დაწერილიაო? ნ. ბარათაშვილი ყველაფერზე უარს ეუბნებოდა. ჩხრეკა გათავდა და ნ. ბარათაშვილს უთხრეს, რომ შენ დაპატიმრებული ხარ, როგორც სოლომონ დოდაშვილის მეგობარი... მალე წავიდნენ და ნ. ბარათაშვილიც თან წაიყვანეს, ამის შესახებ სკოლაშიაც იყო გამოკითხვა. ორი კვირის შემდეგ ნ. ბარათაშვილი გაანთავისუფლეს“ (ბალახაშვილი 1968: 138-139).

ზემოთმოყვანილი კომენტარი ნ. ბარათაშვილის წერილის ფრაგმენტისა განმარტავს, შეიძლება ითქვას, 1832 წლის შეთქმულების ერთადერთ, ერთგვარად დაქარაგმებულ მოხსენიებას ნ. ბარათაშვილის მიერ ჩვენამდე მოღწეულ პირად წერილებში.

შეთქმულთა დაბეზღებას, შეთქმულების მოღალატეობრივ გაცემას ახსენებს და ამ გამცემლობის მსხვერპლად მიიჩნევს გრიგოლ ორბელიანს ნ. ბარათაშვილი ლექსში „ძის გ...სთან“, რომელსაც ზემთაღნიშნულ 1837 წლის თებერვლის წერილთან ერთად უგზავნის ვილნოში (დღევანდელი ვილნიუსი) გადასახლებულ ბიძას:

„ძიავ, ყაბახი, სამშობლო შენი
წაგართო ავის ენისა გესლმან“.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ ის, ფაქტიც, რომ 1835-1836 წლებში თბილისელმა გიმნაზიელებმა, რომელთა შორის ნ. ბარათაშვილიც იყო, რუსულ ენაზე გამოსცეს ხელნაწერი ჟურნალი „თბილისის გიმნაზიის ყვავილი“ («Цветок Тифлисской Гимназии»), რომელშიც საკუთარ ნაწარმოებებთან ერთად დაბეჭდეს თავიანთი მასწავლებლის, იმჟამად ვიატკაში გადასახლებული 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი მოთავის სოლომონ დოდაშვილის ორი თხზულება: „მეფობა ირაკლის მეორისა“ და „მოკლე განხილვა ქართულისა ლიტერატურისა და სიტყვიერებისა“, რითაც მათ

მაქსიმე ბერძნიშვილის მართებული დაკვირვებით მიუთითებს „იდეურ სოლიდარობაზე მადლიერ მოწაფეობასა და ღირსეულ ნამასწავლებარს შორის“ (ბერძნიშვილი 1980: 48); (ჯოლოგუა 2013:76).

ქვემოთ შევეხებით უკვე წერილებში მოხსენიებულ 1832 წლის შეთქმულების მონაწილეებს.

„თუ გვინდა 1832 წლის შეთქმულება მთელი თავისი არსებით ჩვენთვის გასაგები იყოს, დაახლოებით მაინც უნდა ვიცნობდეთ იმ პირთა ცხოვრებასა და ვინაობას, რომლებიც ამ შეთქმულებას სულს უდგამდნენ: უნდა ვიცოდეთ ის იდეები, რომლებიც თვითეულ შეთქმულს მოღვაწეობის საზოგადო ასპარეზზე იწვევდა, მუშაობის სტიმულს აძლევდა და სათანადო შეგნებასა და მოქმედებას შთააგონებდა.

ამ დასახული მიზნის მიღწევა უბრალო საქმე არ არის. ეს მაშინ იქნება შესაძლებელი, როდესაც შეთქმულების მთავარ მონაწილეთა შესახებ ცალკე მონოგრაფიული გამოკვლევები გვექნება.

რასაკვირველია, შეთქმულების მონაწილენი ერთფეროვან საზოგადოებას არ წარმოადგენენ. ისინი განსხვავდებიან საზოგადოებრივ-სოციალური მდგომარეობით, განათლებითა და მოწინავე იდეების აღჭურვის მხრივ (...) შეთქმულების წყარო ერთი არ იყო. რამდენიმე სხვადასხვა მხრით მოგროვილმა გარემოებამ შექმნა ერთი კვანძი, რომლის ირგვლივაც სხვადასხვა წრის ხალხი აღმოჩნდა დარაზმული“ (გოზალიშვილი 70: 32).

ცნობილია, რომ შეთქმულებაში 145 კაცი იყო მხილებული. მათგან 47 ხელისუფლებამ ნაკლებად დამნაშავედ სცნო და დამნაშავეთა უკანასკნელ, მეათე კატეგორიას მიაკუთვნა. დარჩენილი 98 კაციდან კი თითქმის ორი მესამედი - 61 კაცი თავადიშვილები და ბატონიშვილები იყვნენ. ამრიგად შეთქმულთა სოციალური სახე მკაფიოდ წარმოგვიდგება: იგი არისტოკრატიულია (ბერძნიშვილი 1980: 9).

ნ. ბარათაშვილის პირად წერილებში მოხსენიებულნი არიანი 1832 წლის შეთქმულების შემდეგი მონაწილენი:

1. **გრიგოლ ზურაბის (დიმიტრის) ძე ორბელიანი** (1804-1883) (ტაბ. 2, 20). გრიგოლ ორბელიანის შესახებ საუბარია სადისერტაციო ნაშრომის II თავის 1-ლ ქვეთავში,

სადაც შეთქმულებაში მისი მონაწილეობის საკითხსაც ვეხებით, ამიტომ აქ ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

2. **ანტონ (ტარასი)ნიკოლოზის ძე აფხაზი** (1805-1838) (წერილი IV, („აფხაზი“)), პოდპორუჩიკი, მეფე გიორგი XII-ის (1746-1800) მდივანბეგის, კოლეგიის მრჩევლის, მხატვარ ნიკოლოზ აფხაზისა (1749-1806) და ამავე მეფისავე ნათლულის სოფიო ნიკოლოზის ასულ გურამიშვილის (?-1832 წ. შემდეგ) უმცროსი ვაჟი. ჰყავდა ძმები ივანე (1785-1831), რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი (1827) და გიორგი (ეგორ, შანშე) (1796-1826), შტაბს-კაპიტანი. ანტონ აფხაზი 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი მეთაურის სოლომონ დადაშვილის (1805-1836) ახლო ნაცნობი ყოფილა. შეთქმულებაში აქტიურად არ მონაწილეობდა. საგამოძიებო კომისიამ მიაკუთვნა დამნაშავეთა მე-6 კატეგორიას, ანუ იმ პირთ, რომელთაც იცოდნენ შეთქმულების ამბავი და შეიძლებოდა ეჭვმიტანილნი ყოფილიყვნენ იმაში, რომ ეთანხმებოდნენ შეთქმულებას. ანტონ აფხაზი პატიმრობიდან გაათავისუფლეს 1833 წლის 7 სექტემბერს და გაგზავნეს კავკასიის ხაზზე ქვეითთა პოლკში პოდპორუჩიკად. 1836 წლის 4 სექტემბერს ავადმყოფობის გამო სამსახურიდან გათავისუფლების შემდეგ დაბრუნდა თბილისში, სადაც დაუწესეს ფარული მეთვალყურეობა (ბერძნიშვილი 1980: 158). აფხაზები თბილისში ანჩისხატის უბანში, ბარათაშვილების ოჯახის მეზობლად ცხოვრობდნენ.

3. **დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანი** (1814-1887) (წერილი IV, („ყიფიანმა“)), ქართველი საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი მესვეური. 1830-1859 წლებში მსახურობდა მეფისნაცვლის კანცელარიაში, 1864-1870 წლებში იყო თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი, 1876-1879 წლებში - თბილისის ქალაქის თავი, 1885-1886 წლებში - ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი. 1886 წელს თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორის ჩუდეცკის მკვლელობასთან დაკავშირებით საქართველოს ეგზარქოსმა პავლემ ქართველი ერი დასწყევლა. ყიფიანმა მას საპროტესტო წერილი გაუგზავნა და საქართველოს დატოვება მოსთხოვა. ამის გამო თანამდებობიდან გადააყენეს და მალევე სტავროპოლში გადაასახლეს, სადაც ღამით მძინარე მოკლეს. დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში. 2007 წელს საქართველოს საპატრიარქომ დიმიტრი ყიფიანი

წმინდანად შერაცხა. დიმიტრი ყიფიანი ნიკოლოზ ბარათაშვილის ახლო მეგობარი იყო თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლიდან, სადაც ისინი 1825 წელს მიაბარეს. ისინი ერთად ირიცხებოდნენ ლიტერატურულ წრეშიც. დიმიტრი ყიფიანის მეუღლე ნინო ჭილაშვილი (1827-1902) იგონებდა ნ. ბარათაშვილზე: „был большой друг моего Димитрия и все время пропадал у нас с утра и до поздной ночи, и обедал у нас и ужинал, только не ночевал“. შემორჩენილია აგრეთვე თავად დიმიტრი ყიფიანის მნიშვნელოვანი, მეტად საინტერესო მოგონება ნ. ბარათაშვილზე - მისი საპასუხო წერილი შვილის ნიკოლოზ ყიფიანის წერილზე, რომელშიც იგი სთხოვს მამას მოუთხროს რამე პოეტის შესახებ (ლეონიძე 1940: 406-415). დიმიტრი ყიფიანი შეთქმულების საგამოძიებო კომისიამ მე-4 კატეგორიის დამნაშავედ მიიჩნია, ანუ ისეთ პირად, ვინც „განზრახვაზე თანხმდებოდა და მონაწილეობას იღებდა შეთქმულების არსებობის მანძილზე ერთ-ერთ წელს, ოღონდ არა ქმედითად, ხოლო აჯანყების განზრახვა იცოდა ნაწილობრივად“. 1834 წელს ის ქ. ვოლოგდაში გაგზავნეს, სადაც ჯერ იქაური საგუბერნიო სამმართველოს კანცელარის მოხელედ, შემდეგ მდივნად და ბოლოს სამოქალაქო გუბერნატორის კანცელარიის მმართველის თანამდებობაზე მუშაობდა. საქართველოში 1837 წელს დაბრუნდა.

4. **ეგნატე ონისიმეს ძე იოსელიანი** (1766-1843) (IV და IX წერილები, („მამა ეგნატიმ,)), სასულიერო პირი, სამეფო კარის მოძღვრის ონისიმეს შვილი, თავადაც მღვდელი, მეფე ერეკლე II-ის კარის მწერალი და მოძღვარი, ისტორიკოსის და არქეოლოგის პლატონ იოსელიანის (1809-1875) მამა. შეთქმულების საგამოძიებო კომისიამ მიაკუთვნა დამნაშავეთა მე-9 კატეგორიას, ანუ ისეთ პირთ, რომელთაც ბრალად ედებოდათ არა უშუალო მონაწილეობა, არამედ არაკეთილგანზრახული საუბრების მოსმენა. ეგნატე იოსელიანის პიროვნების დასახასიათებლად მრავლისმეტყველია მისი კრიტიკული დამოკიდებულება რუსეთისა და რუსული მმართველობისადმი საქართველოში: „არვინ ველოდით რუსთაგან ამას..., ახლა ვჰხედავთ რაოდენ ძნელი ნათესავი ყოფილა. ძლიერნი ძალთა სიმრავლითა, თურმე ყოფილან სუსტნი ზრდილობითა, უცნობნი კაცთა, არა დამფასებელნი ღირსებათა, ცივად მხედველნი, ცივად მგრძნობელნი; მეფენი მათნი თვისთა ერთაგან დაშორებულნი, და ვითარცა ტყვენი ვეზირთა ხელთა შინა. მიხედეთ ამათ მართლმსაჯულებასა? განა კაცი

დააწყობს ესრეთსა სამსაჯულოსა? აზიურთა და ძველთა ჩვენთა სჯულის-დებათა ეცინიან რუსნი. განიხილონ რომელია უკეთესი, უმოკლესი და უმეტეს მართლ-მსაჯულებითი?... ესრეთ კეთილად დაწესებული სამეფო, ვითარცა საქართველოსა, სარწმუნოებითა, ეკკლესიებითა, მონასტრებითა, მდივან-ბეგობითა, სწავლითა და ხელოვნებითა, გუთნითა და ხვნითა, თესვითა და მკითა, პატიოსნებითა და ზრდილობითა აღსავსე, ესრეთ ბრწყინვალე სამეფოსა ტახტითა და თავად-აზნაურობითა, სამღვდელოთა წესითა და საეროსა სიმდიდრითა: თოფითა, ზარბაზნითა და ხალხისა სიმხნითა და ვაჟკაცობითა ჩაბარდა სადამდე დიდსა რუსეთისა იმპერიასა?!“ (იოსელიანი 1995: 238). ეგნატე იოსელიანი ნ. ბარათაშვილის ოჯახთან დაახლოებული პირი იყო. კონსტანტინე მამაცაშვილის (1815-1900) გადმოცემით პოეტის სახლში „ნახავდით ძველს ჩვენს სწავლულ ქართველებს, იმათ შორის თითქმის ყოველ დღე მელიტონთან დაიარებოდა მღვდელი ეგნატე იოსელიანი, (მამა ჩვენის მწერლის პლატონ იოსელიანისა). ეგნატე იოსელიანმა ჩინებულად იცოდა ქართული და სომხური ლიტერატურა, იყო ღრმად მოხუცებული, გაზრდილი მეფის სასახლეში და მნახველი ჩვენის საქართველოს ცხოვრებისა წარსულს საუკუნეში, მეფის ირაკლიდგან მეფის გიორგის გარდაცვალებამდისინ“ (მამაცაშვილი 2005: 213). ნ. ბარათაშვილის მიერ წერილში ეგნატე იოსელიანის დასახასიათებლად მოხმობილი სიტყვები - „აი, ადამიანი, რომელიც თავისი მდგომარეობით საზოგადოებაში ყველაზე მეტად იტანჯებოდა. წარსული მიდიოდა მის წინაშე და ღელავდა, როგორც ზღვა-ოკეანე“ - წარმოადგენს ა. პუშკინის ტრაგედიის „ბორის გოდუნოვის“ პერსონაჟის, სასწაულმოქმედის მონასტრის ჟამთააღმწერი ბერის, მამა პიმენის სიტყვების პერიფრაზს: „На старости я сызнова живу,/Минувшее проходит предо мною —/Давно ль оно неслось, событий полно,/Волнуяся, как море-окиян?“ პიმენის სახე გამორჩეულია ნაწარმოებში. ჩანს, პერსონაჟი თავისი თვისებებით - თვინიერებით, მიამიტობით, ღვთისმოსავობით, ასევე სიბრძნითა და გულმოდგინებით, ნ. ბარათაშვილს ეგნატე იოსელიანის პიროვნებას და მის ხასიათს აგონებდა.

5. **ელიზბარ შანშეს ძე ქსნის ერისთავი** (1810-1871) (ტაბ. 4, 22) (VI და XIII წერილები, („ელიზბარს“, „“ელიზბარის)), გენერალ-მაიორი, 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი

მეთაური და აქტიური მონაწილე, პოდპოლკოვნიკ შანშე (რუსული საბუთებით: პავლე) იესეს (აღაბაბას) ძე ქსნის ერისთავის (1765-1831) შვილი. დედის მხრიდან ის მეფე ერეკლე II-ის შთამომავალია. დედამისი ელენე იოანეს ასული ორბელიანი (1785-1817) შვილიშვილია ბატონიშვილ თამარ ერეკლეს ასულისა (1749-1786), მისი ვაჟის, სარდლისა და ქართლის სახლთუხუცესის იოანე დავითის ძე ორბელიანის (1765-1808) ქალიშვილი. 1823-1830 წლებში ცხოვრობდა პეტერბურგში, სადაც ჯერ კერძო პანსიონში, შემდეგ საარტილერიო სასწავლებელში სწავლობდა. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ პოდპორუჩიკად მსახურობდა კავკასიის გრენადერთა არტილერიის მესამე ასეულში. მამის სიკვდილის გამო სამსახურს თავი ანება და გორში გადასახლდა. პეტერბურგში ყოფნის დროს ელიზბარ ერისთავი იულონ ბატონიშვილის ძემ დიმიტრიმ შეთქმულებაში ჩააბა და მისი ერთ-ერთი ორგანიზატორი და ხელმძღვანელი შეიქნა. შეთქმულების საგამოძიებო კომისიამ ელიზბარ ერისთავი მე-2 ჯგუფის დამნაშავედ ანუ ისეთ პირად სცნო, „ვინც იყვნენ შეთქმულების წამომწყები და სხვებსაც უბიძგებდნენ შეთქმულების და თვით აჯანყებისაკენ“. გადაასახლეს ფინეთში, სადაც ჯერ კრონშტადტში, შემდეგ კი ჰელსინგფორსში (დღევანდელ ჰელსინკში) რიგით ჯარისკაცად მსახურობდა. გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ კულტურულ-საზოგადოებრივ მოღვაწეობას იწყებს. იგი დამფუძნებელი წევრია დ. ყიფიანის მიერ დაარსებული „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკისა“, იხსენიება აგრეთვე ერთ-ერთ ინიციატორად გორში ქართული ჟურნალის „სინათლის“ დაარსებისა. ელიზბარ ერისთავი ზრუნავდა აგრეთვე ჟურნალ „ცისკარზე“ და გორის მაზრაში მის გავრცელებაზე, რისთვისაც რედაქტორის მადლობაც დაუმსახურებია. 1840-იანი წლებიდან სახელმწიფო სამსახურშია. 1969 წელს გორის მაზრის უფროსია. კარიერას ასრულებს პოლკოვნიკის ჩინით. სამსახურიდან გასულს გენერალ-მაიორის ხარისხი ებოძა. 1848 წელს მეწარმეობას მიჰყო ხელი - ძმასთან დიმიტრისთან (1811-1854) ერთად ატენის მახლობლად სოფელ ღვარებში დააარსა შუშის ქარხანა, რომლის პროდუქცია თბილისში იყიდებოდა. 1845 წელს ელიზბარ ერისთავი დაქორწინდა ქეთევან ერისთავზე (1826-1906), შალვა ერისთავისა (1798-1849) და ეკატერინე ორბელიანის (1802-1877) ასულზე, ბარათაშვილის ნათესავსა და მეგობარ ქალზე, რომელსაც

პოეტმა უძღვნა ლექსი „ქეთევან“. ელიზბარ ერისთავი ნ. ბარათაშვილის სატრფოს ეკატერინე ჭავჭავაძის დეიდაშვილი იყო. ის გარდაიცვალა გორში. დაკრძალეს გორის საკრებულო ტაძრის, ე. წ. „სობოროს“ გალავანში. იქვე დაუკრძალავთ მისი მეუღლეც. ამჟამად მათი საფლავები დაკარგულია. ელიზბარ ერისთავს ეძღვნება რ. ჩხეიძის ბიოგრაფიული რომანი „მდინარესა ზედა ქსნისასა“.

6. მანანა მირმანოზის ასული ერისთავი-ორბელიანისა (1807-1870) (ტაბ. 4. 18) (VIII, XIII, XIV და XVI წერილები („მანანასათვის“, „მანანა“, „მანანას“)), დავით იოანეს ძე ორბელიანის (1801-1830) მეუღლე, სილამაზითა და ჭკუით განთქმული ქალი, რომელსაც ქართველ „მადამ რეკამიეს“ უწოდებენ. ჰქონდა ლიტერატურული სალონი. 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობისათვის მიჩნეულ იქნა მე-7 კატეგორიის დამნაშავედ ანუ ისეთ პირდ, ვინც იცოდა შეთქმულების ამბავი, მაგრამ არ ეთანხმებოდა მას და როგორც ასეთი დამნაშავე დატოვეს სასტიკი მეთვალყურეობის ქვეშ. დაკრძალულია სოფელ კუმისის წმ. სამების ტაძარში ახლო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ნ. ბარათაშვილთან (ჭუმბურიძე 2012: 217-237) (ჯოლოგუა 2010: 58-62).

7. ელენე ლუარსაბის ასული ორბელიანი (მეტსახელად „ცაკალო“) (1815-1888) (ტაბ.2. 11) (VIII და XIII წერილები („ელენეს“, „ელენეც“)), მანანა ორბელიანის მაზლის, 1832 წლის შეთქმულებისავე მონაწილის ლუარსაბ (იოველ) იოანეს ძე ორბელიანის (1793-1834) ქალიშვილი. თავად ზაქარია გიორგის ძე ერისთავის (1814-1850) მეუღლე. დედამისია ჩვენს მიერ ზემოთ ნახსენები ანა ორბელიანი (იხ. სადისერტაციო ნაშრომის IV თავის 1-ლი ქვეთავი). მას, რომელზედაც დიდი გავლენა ჰქონია ბიცოლას - მანანა ორბელიანს, ერთგვარი წვლილი შეუტანია შეთქმულებაში. „თავისუფლების დროშას საქართველოსი ჰკერამდნენ ელენე და მანანა“ - იხსენებს ელიზბარ ერისთავის უმცროსი ქალიშვილი ელისაბედი (1864-1849) (ცერცვაძე 2012: 42). მამამისის, ლუარსაბ ორბელიანის სახლი იყო ის ადგილი, სადაც 1832 წლის შეთქმულების ხელმძღვანელებს დაგეგმილი ჰქონდათ რუსი სამხედროების მიპატიჟება და ამოწყვეტა (ჭუმბურიძე 2012: 220). ელენეს და მის დას მარიამს (1817-1851) ელენე ორბელიანი-ერისთავისა თბილისში ცხოვრობდა ორბელიანების უბანში,

ატლანტებიან სახლში, სასტუმრო „გრანდ ოტელის“ გვერდით, ამჟამინდელი გ. ათონელის 31-ე ნომერში.

8. **გიორგი დავითის ძე ერისთავი** (მეტსახელად „გლუხარიჩი“) (1813-1864) (ტაბ.4, 23) (VIII წერილი, („გლუხარიჩი“)). დრამატურგი, პოეტი, თეატრალური მოღვაწე. გიორგი ერისთავის მეცადინეობით დაარსდა ქართული თეატრის დასი და ქართული ჟურნალი „ცისკარი“. 1844 წელს დაქორწინდა იაგორ ალიხანოვის ქალზე ელისაბედზე (?-1854), დრამატურგ დავით ერისთავის (1847-1890) დედაზე, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ 1856 წელს შეირთო მიმბაშ დავით ზაზას ძე თარხნიშვილის (1762-1839) ქალიშვილი მართა (1831-1908), დავით გიორგის ძე ბარათაშვილის (1818-1851) ქვრივი. დაკრძალულია იკორთაში (ხუციშვილი 1961: 44). გიორგი ერისთავი შეთქმულების საგამოძიებო კომისიამ მიიჩნია მე-3 კატეგორიის დამნაშავედ, ანუ ისეთ პირად, რომელნიც „ქმედითად მონაწილეობდნენ შეთქმულებაში დაა აჯანყების მომხრე იყვნენ“. მან მთელი წელი დაჰყო ავლაბრის ყაზარმებში, რის შემდეგაც, მხედველობაში მიიღეს რა მისი ახალგაზრდობა და ის, რომ მან აღიარა თავისი დანაშაული, დანიშნეს რუსეთის პირველ ფეხოსანთა კორპუსის ერთ-ერთ რაზმში. 1834 წლის იანვარში გააგზავნეს ქ. ვილნოს მესამე ქვეით დივიზიაში, საიდანაც 1838 წელს დაბრუნდა საქართველოში. გიორგი ერისთავი ავტორია ლექსისა „ნიკოლოზ მელიტონის ძის ბარათოვის გარდაცვალებაზედ“, რომელიც ნ. ბარათაშვილის გარდაცვალების ახლო პერიოდში უნდა იყოს დაწერილი. მასვე ეკუთვნის აგრეთვე ბარათაშვილის უახლოესი მეგობარი ქალის მაიკო ორბელიანისადმი მიძღვნილი ორი ლექსი: „მ...კო ო-ს“ და „რეცეპტი მ. ო.“

9. **ალექსანდრე გარსევანის ძე ჭავჭავაძე** (1786-1846) (IX წერილი, („კნიაზი ჭავჭავაძე“)), ქართველი რომანტიკოსი პოეტი, თავადი, რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი. 1804 წლის მთიულეთის აჯანყების მონაწილე. 1812 წლის 19 თებერვალს იქორწინა სალომე იოანეს ასულ ორბელიანზე (1795-1847), ნიკოლოზ ბარათაშვილის დედის შორეული ნათესავზე. ალექსანდრე ჭავჭავაძე დაკრძალულია კახეთში, შუამთის მონასტერში. საფლავის ქვა ორია: ერთი კედელში, თეთრი მარმარილო, ღერბით, რომელზეც წარწერაა ქართულ და რუსულ ენებზე „თავადი ალექსანდრე ჭავჭავაძე მიიცუალა ᲘᲐ წლისა Თ ნოემბერსა ᲩᲧᲛᲗ წელსა მწუხრსა

განისვენოს ტირილმან და ცისკარსა სიხარულმან ფსალ. კთ.“ «Князь Александр Чавчавадзе, скончался 60 лет 6 ноября 1846 года. Вечер водворится плачь, а заутра радость. Псал. XXIX», მეორე იატაკზე, რომელიც მის სიძეს, სამეგრელოს მთავარს დავით დადიანს (1812-1853) დაუდია, წარწერით: „მარად საუვიწყოსა სიმამრისა სამარესა დავსდევ ფიქალი ესე მთავარმა დავით დადიანმა“ (ხუციშვილი 1961: 113). ალექსანდრე ჭავჭავაძე 1832 წლის შეთქმულებაში თანაუგრძნობდა თავისუფლების იდეას, მაგრამ აჯანყებას შემცდარ გზად სცნობდა. გადაასახლეს ქ. ტამბოვში. ნ. ბარათაშვილი დიდად დაფასებული და მიღებული იყო ჭავჭავაძიანთ კარზე, სადაც თავის პოეტურ ნიმუშებს საჯაროდ კითხულობდა. ის მეგობრობდა ალექსანდრე ჭავჭავაძის შვილებთან, მისი ქალიშვილი ეკატერინე (1816-1882) ნ. ბარათაშვილის პოეტური მუზა და სატრფო იყო. 1839 წელს ეკატერინე ჭავჭავაძე ცოლად გაჰყვა სამეგრელოს მთავარს დავით დადიანს (1812-1853), რაც მეტად მტკივნეულად განიცადა პოეტმა და რამაც მნიშვნელოვანწილად განაპირობა მისი სულიერი დრამა.

10. **ალექსანდრე გიორგის ძე ორბელიანი** (მეტსახელად „ბაკლანა“) (1800-1870) (ტაბ.2, 23) (IX და XI წერილები, („ბაკლანას“„ბაკლანა“)), თავადი, გადამდგარი პორუჩიკი, ნ. ბარათაშვილის დედის ბიძაშვილი. ალექსანდრე ორბელიანის მამა გიორგი (?-1819) და ეფემია ორბელიანის მამა ზურაბი (დიმიტრი) (1766-1827) იყვნენ ძმები. 1832 წლის შეთქმულების მასალებში, კერძოდ, 1833 წლის 8 თებერვლით დათარიღებულ პასუხებში საგამოძიებო კომისიის კითხვებზე ალექსანდრე ორბელიანი კომისიას აწვდის თავის ბიოგრაფიულ ცნობებს: „ვარ ოცდა თოთხმეტის წლისა. ვარ უცოლო, მყავს დედა და ორი ძმა უფროსი ცოლშვილიანი (იგულისხმება ქაიხოსრო ორბელიანი (1792-1851), მაიკო ორბელიანის მამა _ მ. ც.) და უნცროსი (იგულისხმება ანტონ (ტატო) ორბელიანი (1803-1855), რომელსაც გრიგოლ ორბელიანმა უძღვნა ლექსი „ანტონს“ - მ. ც.) ღრუძინცკის ღრანადრის პოლკში ემსახურება პოდპორუჩიკათ. ჩემი ყმა და მამული მდებარეობს ქალაქის უეზდში და ბორჩალოს უეზდში... მე ვსწავლობდი შკოლაში ორ წელიწადი და მას უკან გამოვედი სწავლიდამ და ვიყავ ხოლმე ჩემს სახლში. შევედი სამსახურში და ვემსახურებოდი ერევანცკის პოლკში ათას რვას თვრამეტში იუნკრათ და ვაკანცია არ იყო იმავე პოლკში წარდგენით მომივიდა მინღრელსკი პოლკში პრაპორშჩიკობა ათას რვას ოცდა ერთში.

ათას რვას ოცდა ოთხში ვიყავ აფხაზეთის ომში და მომივიდა მხნეობისათვის ანის ჯვარი ხმალზედ, ათას რვას ოცდა ხუთში მომივიდა ვაკანცით პოდპორუტჩიკობა და ათას რვას ოცდა ექვსში გამოვედი სამსახურიდამ იმის მიზეზით, რომ ჩემის ყმისა და მამულის პატრონი არავის იყო. მინდოდა მემუშავნა და დავრჩენილიყავ ჩემის ყმითა და მამულითა. მოვედი იმერეთიდამ ჩემს სახლში და სპარსეთი აიშალა და საქართველოდამ ღენერალ ოტინფანტერმა იერმალოვმა მაშინ ჩემ ნაჩალნიკათ იყო მაიორი დავიდოვი და იმას ვემსახურე ოთხი თვე; იქიდამ მოვედი და ამომირჩიეს ქალაქის უეზდის საზოგადომ ზასედატლათ და ვემსახურე სამი წელიწადი, ათას რვას ოცდა თორმეტში ვახლდი პახოდში საქართველოს კორპუსის კომანდერს ღენერალ ოტინფანტერს ბარონ როზინს ქისტებში და მივედით სანგარზედ და ქვით მუხლში დავიკოდე ასე რომ სამ კვირა ვკოჭლობდი“ (გოზალიშვილი 1935: 356-357). შეთქმულებაში მონაწილეობისათვის განაწესეს სელენგინის ქვეითთა პოლკში.

11. **ბიძინა რევაზის ძე ერისთავი** (1800-1876) (ტაბ. 4, 28) (XIII წერილი, („ბიძინა ერისთავი“)) რევაზ გიორგის ძე ერისთავისა (1757-1813) და მეფე ერეკლე II-ის ქალის ანასტასია ბატონიშვილის (1763-1838) ვაჟი. 1827 წელს წელს პასკევიჩის ლაშქრობებში მონაწილეობისთვის მიიღო პრაპორშჩიკობა. 1832 წლის შეთქმულების მასალებში მისი სასჯელის შესახებ ვკითხულობ: „იმის გამო, რომ მოინანია დანაშაული, დაჭერილი იქმნას ციხეში სამსახურში პირველი ფეხოსანთა კორპუსის ერთერთ რაზმში და მერე გათავისუფლებული იქმნას ციხიდან პოლიციის ფხიზელი მეთვალყურეობის ქვეშ“ (გოზალიშვილი 1935: 495). დაქორწინებული იყო თამარ იოსების ასულ მელიქიშვილზე (1806-1867). დაკრძალულია იკორთაში.

12. **ლევან ლუარსაბის ძე ერისთავი** (1805-?) (ტაბ. 4, 8) (წერილი (XIII, („ლევან ერისთავი“, „ლევანისა“)) ზაქარია ორბელიანისადმი - სავარაუდო დათარიღებით 1844 წლის 18-დან 20 აგვისტომდე), ნ. ბარათაშვილის უფროსი დის ეკატერინეს (1821-1853) სიძის რევაზ ერისთავის (1812-1881) უფროსი ძმა. მის შესახებ იხ. სადისერტაციო ნაშრომის III თავის მე-4 ქვეთავი.

13. **მამუკა (მაკარ) თამაზის (თომას) ძე ორბელიანი** (1800-1871) (ტაბ. 2, 10) (წერილი XIII, („მამუკა“)), თავადი, გენერალ-მაიორი, 1832 წლის შეთქმულებისა და კავკასიური, რუსეთ-სპარსეთის (1826-1828), რუსეთ-თურქეთის (1828-1829) და

ყირიმის ომების (1853-1856) მონაწილე, ცნობილი მოჯირითე და სახელგანთქმული ვაჟკაცი. სწავლობდა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში. სამსახური დაიწყო 1816 წელს მე-13 ლეიბ გრენადერთა ერევნის კარაბინერთა პოლკში. 1829 წელს მონაწილეობდა მილიციაში გაწვევის წინააღმდეგობაში, რისთვისაც პასუხისგებაში მისცეს, მაგრამ გაამართლეს. 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობისათვის გამწესებულ იქნა პირველ მოლოროსიულ ყაზახთა პოლკში მაიორად. მამუკა ორბელიანმა უნებურად საბედისწერო როლი შეასრულა ნ. ბარათაშვილის ცხოვრებაში. 1844 წლის 21 დეკემბერს ის დაინიშნა ელიზავეტპოლის (უძველესი ქალაქი განჯა) მაზრის უფროსად და თავის თანაშემწედ მიიწვია პოეტი. ნ. ბარათაშვილმა იქ გაატარა თავისი სიცოცხლის უკანასკნელი თვეები. მამუკა ორბელიანს ცოლად ჰყავდა ქეთევანი, თავად გიორგი ერისთვის (სენატორის) (1760-1863) და გაიანე ბატონიშვილის (1780-1820) ასული (1808-1897). მისი ქალიშვილი ალექსანდრა (1835-1914) გათხოვილი იყო ლევან მელიქიშვილზე (1818-1892), ნ. ბარათაშვილის თანაგიმნაზიელსა და უახლოეს მეგობარზე. დაკრძალულია თბილისში, სიონის ტაძარში. მამუკა ორბელიანი ბარათაშვილოლოგიურ ლიტერატურაში ხშირად მოიხსენიება მის ნათესავად, რაც სიმართლეს არ შეეფერება. გვინდა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ იგი მართალია პოეტის დედის მოგვარე და ორბელიანთა სათავადო სახლის წარმომადგენელია, მაგრამ ამ სათავადოს იმდენად დაშორებულ შტოს ეკუთვნის, რომ ნ. ბარათაშვილის ნათესავად არ ჩაითვლება.

14. მელანია შანშეს ასული ერისთავი (1808-1836) (ტაბ. 4, 15) (წერილი XIII, („მელანია“)), ელიზბარ ერისთავის (1810-1871) და. გათხოვილი იყო კოლეგიის მრჩეველზე, თბილისის პოლიცმეისტერ ანდრეი იაკობის ძე მელნიკოვზე (?-1836). ელისაბედ ელიზბარის ასულ ერისთავის (1864-1949) გადმოცემით, მელანიას მზითევში გაატანეს სახლი ეგზარქოსის მოედანზე. მელანია ერისთავი და მისი მეუღლე მონაწილეობდნენ 1832 წლის შეთქმულებაში. მათი სახლი, სადაც ბინა ედო ელიზბარ ერისთავს, შეთქმულთა ერთგვარი შტაბი გახდა. მელანია თავიდანვე იცნობდა ამ საქმეს და მალე შეთქმული ძმების მესაიდუმლე გახდა. „ამ ქალის ოჯახში იქმნა პირველად მოსმენილი შეფიცულთა მთავარი დოკუმენტი „აქტი გონიერი“, აგრეთვე ცნობილი „პირველი ღამის განკარგულება“ და სხვა სადევიზო აქტებიც: აქვე

იკრიბებოდნენ შტაბის ყველა პასუხისმგებელი წევრები... საფიქრებელია, რომ სწორედ ამ ქალის გავლენით მისი ქმარიც (უკრაინელი) მალე გაერია ქართულ შეთქმულებაში და მეთაურთ ხელსაც უწყობდა“ (პაპავა 1990: 71-73). ანდრეი მელნიკოვი საგამომძიებლო კომისიამ მოაქცია დამნაშავეთა მე-7 ჯგუფში, რაც იმას ნიშნავდა, რომ მან შეთქმულების ამბავი იცოდა, მაგრამ აჯანყების მოხდენაზე თანხმობა არ მიუცია. სასამართლომ მას სასტიკი მეთვალყურეობის ქვეშ ყოფნა დაუდგინა. დიმიტრი ყიფიანი იგონებს: „მელნიკოვზე ამბობდნენ, როგორც მრისხანე და პატიოსან პოლიცმეისტერზე, ახლაც რომ ახსოვთ ტფილისში იმ დროის მოხუცებულებს, და ისე რომ მოქცეულიყო, როგორც იქცეოდნენ ტიტულიარნი სოვეტნიკები, გამდიდრება ადვილად შეეძლო, მაგრამ სამსახურიდან რომ გამოვიდა, სიღარიბეში ჩავარდა“ (ყიფიანი 2003: 250). მელანია ერისთავი ერთ-ერთია სოლომონ რაზმაძის მიერ თბილისში გაცნობილ მშვენიერ ბანოვანთა მარაქის წევრთაგან, რომელთაც პოეტი ზმებით ახსენებს თავის ლექსში „დიანას მეჯლიში“ (გოგოლაძე 2002: 98-101). შეთქმულების საგამოძიებო კომისიის მასალებში ნახსენებია მისი უწლოვანი გოგონა, რომელიც 1832 წლის 4 ნოემბერს გარდაცვლილა (გოზალიშვილი 1970: 387) და სხვა შვილები.

15. **ლუარსაბ (ოველ) იოანეს ძე ორბელიანი** (1793-1834) (ტაბ.2, 3) (წერილი XIII, („ლუარსაბის“)), მაიორი (1833), პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის (1886-1846) ცოლისძმა, მანანა ორბელიანის მაზლი. სწავლობდა კეთილშობილთა სასწავლებელში. ცოლად ჰყავდა მამუკა ორბელიანის სილამაზით ცნობილი და ანა თამაზის (თომას) ასული ორბელიანი (1796-1844) (მის შესახებ იხ. სადისერტაციო ნაშრომის V თავის 1-ლი ქვეთავი). 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილობისათვის საგამომძიებლო კომისიამ მე-3 კატეგორიის დამნაშავედ მიიჩნია, ანუ იმ პირად, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა შეთქმულებაში და მომხრე იყო აჯანყებისა. მას საქართველოში დარჩენა და პატიმრობიდან გათავისუფლება გადაუწყვიტეს.

გარდა ზემოთჩამოთვლილი პირებისა, ნ. ბარათაშვილის წერილების ადრესატებიდან და წერილებში არასახელდებით მითითებული პირებიდან შეიძლება გამოიყოს ისინი, რომელთა ოჯახის წევრები ასევე იყვნენ 1832 წლის შეთქმულების მონაწილენი. ესენია, მაგალითად, III წერილის ადრესატი, პოეტი,

კრიტიკოსი, პუბლიცისტი, მთარგმნელი, თეატრის ისტორიკოსი, საზოგადო მოღვაწე, ნ. ბარათაშვილის თანაგიმნაზიელი და გულითადი მეგობარი მიხეილ თუმანიშვილი (ფსევ. ხელთუბნელი, მოლაყბე) (1818-1875), რომლის მამა მეფე გიორგი XII-ის (1846-1800) მდივანი, ტიტულარული მრჩეველი ბირთველ თუმანიშვილი (1760-1836) მონაწილეა შეთქმულებისა. იგი მიაკუთვნეს დამნაშავეთა მე-7 კატეგორიას, ანუ იმ პირთ, ვინც იცოდა შეთქმულების ამბავი, მაგრამ არ ეთანხმებოდა მას და სასტიკი მეთვალყურეობის ქვეშ დატოვეს თბილისში (ბერძნიშვილი 1983: 40-41). აქვე უნდა დავასახელოთ პოეტის უფროსი დის ეკატერინეს მულებიც, (მოხსენიებულნი წერილში XIII) - ანასტასია ლუარსაბის ასული ერისთავი (1809-1886), რომელიც 1827 წელს ცოლად გაჰყვა გივი ამილახვარს (1810-1877), შეთქმულების მონაწილის ბარძიმ დავითის ძე ამილახვრის (1781-1861) ვაჟს და მარიამ ლუარსაბის ასული ერისთავი (1816-?), ენისელელი თავადის, 1832 წლის შეთქმულების მონაწილის დავით ივანეს ძე ჯორჯაძის (1810-1866) მეუღლე. აღსანიშნავია აგრეთვე XVI წერილში ნახსენები „ახალ დანიშნული თუ პატარძალი სოფიოს“ - ნ. ბარათაშვილის გარე ბიძაშვილის სოფიო (ხორეშან) კონსტანტინეს ასული ორბელიანის (27.08.1827-07.01.1884) მეუღლე ზაქარია (საბუთებში ზოგჯერ იხსენიება ზურაბის ან ზაალის სახელით) დიმიტრის ძე ჩოლოყაშვილი (1802-1851), თიანეთ-ფშავ-ხევსურეთის მოურავის, 1804 წელს მოკლული დიმიტრი ჩოლოყაშვილისა და გიორგი XII-ის ასულის რიფსიმე ბატონიშვილის (1780-1847) ვაჟიშვილი, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე ძმასთან ალექსანდრესთან (1803-1833) ერთად, შემდგომში პოლკოვნიკი (1846) (ბერძნიშვილი 1983: 223-225); ასევე სალომე თარხნიშვილი, ივან კარლის ძე დეპნერის (?-1844წ.) მეუღლე, 1832 წლის შეთქმულების მონაწილის, სასამართლოს მრჩევლის, კაპიტან დიმიტრი ზაქარიას (ზაზას) ძე თარხნიშვილის (1774-?) ქალიშვილი (წერილი XIII) სალომე თარხნიშვილი ნ. ბარათაშვილის დის სოფიო ბარათაშვილ-სუმბათაშვილის (1841-1916) ნათლიაა - მეტრიკულ წიგნში ვკითხულობთ: „მიმქმელი იყო სალომე დიმიტრი თარხანოვისა“ (ბალახაშვილი 1967: 87).

ცხადია, ამით არ ამოიწურება 1832 წლის მონაწილე ნ. ბარათაშვილის ნაცნობ-მეგობართა წრე და ის გაცილებით უფრო ვრცელია. გამოკვლევაში წარმოდგენილია ცნობები მხოლოდ იმ პირთა ცხოვრება-მოღვაწეობისა და პოეტთან მათი

დამოკიდებულების შესახებ, რომლებიც ნ. ბარათაშვილის ჩვენამდე მოღწეულ პირად წერილებში ფიგურირებენ. როგორც დავინახეთ, მათი რიცხვი 20-მდე აღწევს (მათგან 3 ქალია), რაც განსახილველი ეპისტოლური მემკვიდრეობის ამ მცირე მოცულობის კვალობაზე არც თუ ისე ცოტაა და ირიბად გვიქმნის წარმოდგენას 1832 წლის შეთქმულების მონაწილეთა სიმრავლესა და მის მასშტაბურობაზე.

2. რუსეთ-კავკასიის ომი და მისი მონაწილენი ნ. ბარათაშვილის პირად წერილებში

ნ. ბარათაშვილს ცხოვრების წლები ემთხვევა რუსეთის იმპერიის მიერ ჩრდილო კავკასიის დაპყრობისათვის მიმდინარე ომის პერიოდს. ეს ხანგრძლივი ომი და სამხედრო მოქმედებათა წყება, რომელიც 1817-1864 წლებს მოიცავს, როგორც ცნობილია, დასრულდა რუსეთის მიერ მიერ ჩრდილოეთ კავკასიის ანექსიითა და კავკასიის ზოგიერთი მთიელი ხალხის განადგურებით.

ნ. ბარათაშვილის მრავალი ნათესავი, მეგობარი თუ ნაცნობი ღებულობდა კავკასიურ ბრძოლებში მონაწილეობას მთიელთა წინააღმდეგ, რაც მის ეპისტოლურ მემკვიდრეობაშიც აისახა. ეს უპირველესად ითქმის მისი ღვიძლი ბიძების - გრიგოლ, ზაქარია და ილია ორბელიანების შესახებ. პირველი ორი პოეტის შემორჩენილი წერილების ადრესატებიც არიან, ხოლო ილიას შამილთან ტყვეობას თითქმის მთლიანად ეძღვნება ერთი პირადი წერილი.

ნ. ბარათაშვილის წერილებში ნახსენებია ცალკეული საბრძოლო ეპიზოდები, მათი მონაწილენი, ლაპარაკია ომის მონაწილეთა დაწინაურება-დაჯილდოების და ომთან დაკავშირებულ სხვა ამბებზე, გამოხატულია ადრესანტის დამოკიდებულება მათ მიმართ.

თვალი გავაყოლოთ პოეტის წერილებს და განვიხილოთ ეს საკითხები, რომლებიც, ვფიქრობთ, მნიშვნელოვანია იმდროინდელი ქართული საზოგადოებრივი აზრისა და, ცხადია, უშუალოდ ნ. ბარათაშვილის პოლიტიკური მრწამსის დადგენა-დაზუსტების თვალსაზრისით.

1844 წლის 10 მაისის წერილში (წერილი XI) ნიკოლოზ ბარათაშვილი სწერდა ბიძამისს ზაქარია ორბელიანს: „ჩვენი ყმაწვილი კაცები: ილია, ლევან, დავით, ბაკლანა (მითომ ესეც ყმაწვილებშია), ზაქარია და ალექსანდრე ერისთავი - სულ წამოვიდნენ შამილის დასაჭერად. ესენი სულ სარდლები არიან ქართველთ ჯარისა. ყაფლან ხომ ასე ამბობს, რომ ესენი სულ ჩამამავლობით გიჟები არიანო“.

ამასვე ატყობინებდა იგი მეორე ბიძას გრიგოლს ცოტა მოგვიანებით 1844 წლის 23 მაისის წერილში (წერილი XII): „ჩვენი ყმაწვილები და ხახვების ფრანტები (იგულისხმებიან რუსი არისტოკარატები - მ. ც.) სულ შამილის დასაჭერად წამოვიდენ, ქალაქი მე დამრჩა (...) ეგ ბატონი ქართველთ სარდლები რომ წამობძანდენ, ყაფლან მაგათზედ იცინის, ასე ამბობს: სულ ჩამომავლობით ჭირვეულნი არიანო“.

წერილში ჩამოთვლილ კავკასიურ ომებში საბრძოლველად წასულ პირთა ნაწილის ვინაობა უკვე განვმარტეთ: პოეტის ბიძა **ილია ორბელიანი** (მის შესახებ იხ. სადისერტაციო ნაშრომის I თავის მე-3 ქვეთავი), **ლევან მელიქიშვილი** (იხ. III თავის 1-ლი ქვეთავი), **ალექსანდრე გიორგის ძე ორბელიანი (მეტსახელად „ბაკლანა“)** (იხ. წინამდებარე თავის 1-ლი ქვეთავი).

რაც შეეხება დანარჩენ პირთ, ესენი არიან:

„დავით“ - **დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძე** (1817-1884), პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის ვაჟი. ერთადერთ ვაჟს მშობლებმა სათანადო სამხედრო განათლება მისცეს. მან პეტერბურგის პოდპრაპორშჩიკთა სკოლა დაამთავრა. 1834 წელს ულანთა პოლკის უნტერ-ოფიცერია. 1838 წელს, 21 წლის ასაკში გახდა ოფიცერი. 1839-1840 წლებში მსახურობდა ფსკოვის კირასირთა პოლკში. 1840 წლიდან მსახურობს კავკასიაში, გენერალ-მაიორ ნ. რაევსკის რაზმში, 1841 წლიდან - ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკში. 1843 წელს მონაწილეობს შამილის წინააღმდეგ მოწყობილ ექსპედიციაში. 1844 წელს დაინიშნა შტაბს-კაპიტნად, 1847 წელს კავკასიის მთავარსარდლისა და მეფისნაცვლის მ. ვორონცოვის ადიუტანტი გახდა. 1851 წელს მცველთა გრენადერთა პოლკში გადაიყვანეს. 1854 წელს გახდა კავალერიის ლეიტენანტ-პოლკოვნიკი. ყირიმის ომის დროს 1853-1856 წლებში ხელმძღვანელობდა კახეთის დაცვას შამილის რაზმებისაგან. თავი გამოიჩინა

შილდის დაცვის დროს 1854 წლის ივლისში, რისთვისაც პოლკოვნიკის და მეფის ფლიგელ-ადიუტანტის წოდება მიიღო. 1856 წლიდან თბილისის ეგერთა პოლკში მსახურობს, 1861 წლიდან გენერალ-მაიორია, შემდგომ იმპერატორის ამალაშია. თავდადებული სამსახურისათვის დაენიშნა პენსია 12 წლის ვადით და გადაეცა უამრავი ჯილდო. სამხედრო სამსახურიდან გადადგომის შემდეგ დავითმა ოჯახური საქმეების მართვა და საგვარეულო ტრადიციების გაგრძელება გადაწყვიტა. დავითი, როგორც მამამისის ერთადერთი მემკვიდრე, მთლიანად განაგებდა ალექსანდრეს მამულს, მუდმივ საცხოვრებლად მან წინანდალი აირჩია. დავით ჭავჭავაძეს ცოლად ჰყავდა ანა ილიას ასული ბაგრატიონი (1828-1905), მეფე გიორგი XII-ის შვილიშვილი. მათ ცხრა შვილი – ექვსი ქალიშვილი და სამი ვაჟიშვილი დარჩათ. მეუღლესთან ერთად დაკრძალულია შუამთის მონასტერში, მამის გვერდით.

„ზაქარია“ - **ზაქარია გიორგის ძე ერისთავი** (1814-1850) (ტაბ. 4, 16), თავადი, პოლკოვნიკი, ცნობილი გენერლის გიორგი იესეს ძე ერისთავის (სენატორის) (1860-1863) ვაჟიშვილი. 1836 წელს დაქორწინდა ელენე ლუარსაბის ასულ ორბელიანზე (1815-1888). ორმოციან წლებში იბრძოდა დაღესტნის ხაზზე შამილის წინააღმდეგ. 1845 წლის ზაფხულში ზაქარია ერისთავი მძიმედ დაიჭრა მკლავში. 1850 წელს მას ეკავა ჭარ-ბელაქანის მაზრის უფროსის თანამდებობა. ამ თანამდებობიდან ივლისში ის მოხსნა ლეკეთ-კახეთის ხაზის უფროსის მოვალეობათა ამსრულებელმა გენერალმა ბელგარდმა. შეურაცხყოფილ, თბილისისაკენ მიმავალ ზაქარია ერისთავს მდინარე ალაზნის ნაპირას, სადგურ მუღანლომდე თავს დაესხნენ ლეკი ყაჩაღები და ბრძოლაში მოკლეს. მისმა სიკვდილმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. მკვლელობის მიზეზად თვლიდნენ მის წინააღმდეგ მიმართულ ინტრიგებს. მაშინდელმა კავკასიის მთავარმართებელმა მ. ვორონცოვმა ბელგარდი კავკასიიდან გადაიყვანა და საქმის გამოძიებაც დაიწყო. ა. ზისერმანის აზრით ყაჩაღების თავდასხმა შემთხვევითი ყოფილა. ამ მკვლელობას ახსენებს გრ. ორბელიანიც თავის რძალთან ქეთევან ორბელიანთან ლუჩექიდან გაგზავნილ 1850 წლის 20 სექტემბრის წერილში: „ზაქარია ერისთავის სიკვდილი ეხლა შევიტყე, აქამდის მიმალავდნენ. - ოჰ, რა ძლიერ შემაწუხა ამ ამბავმა! საბრალო მოხუცი მამამისი! აქამდის იმიტომ იცოცხლა, რომ უკანასკნელი იმედი თვისი დამარხოს თავის ხელით. საბრალო ელენე!

აღმოიფხვრა ეგ ოჯახიცა“. (ორბელიანი 1936: 209-210). ზაქარიას სიკვდილის გამო მამამისს დაუწერია ლექსი „გიორგი კნიაზისაგან თქმული თავის შვილ ზაქარიაზედ“. მასვე ეკუთვნის „ეპიტაფია“, რომელიც წარმოადგენს შვილის საფლავზე წასაწერ ლექსს.

რაც შეეხება „ალექსანდრე ერისთავს“, ვერ გავიზიარებთ წერილების წინარე კომენტატორთა მოსაზრებას, რომელთა მიხედვითაც იგი მიჩნეულია ზაქარია ერისთავის ძმად და გიორგი ერისთავის („სენატორის“) ვაჟად (ბარათაშვილი 1945: 111; ბარათაშვილი 1954: 139; ბარათაშვილი 1968: 213; ბარათაშვილი 1972: 227; XIX-XX საუკუნეების... 2011: 265) შემდეგი მიზეზის გამო: გიორგი ერისთავს („სენატორს“) ჰყავდა მხოლოდ ერთი ვაჟი ზაქარია (ბერძნიშვილი 1980: 228; ჩიქოვანი 2010:10).

წერილში ნახსენები „ალექსანდრე ერისთავი“, ჩვენი აზრით არის ან **ალექსანდრე (ბაბახან) ზურაბის ძე ერისთავი** (1815-1863) (ტაბ. 4, 33), ან **ალექსანდრე შანშეს ძე ერისთავი** (1812-1883) (ტაბ. 4, 27).

ალექსანდრე (ბაბახან) ზურაბის ძე ერისთავი იყო შტაბს-კაპიტანი (1850) შემდეგ გადამდგარი კაპიტანი, 1853-1856 წწ. ყირიმის ომის მონაწილე. მსახურობდა კავკასიის ჯარების კორპუსში. აკაკი გაწერელია მას ერთ-ერთ იმ სავარაუდო პირად მოიაზრებს, რომელსაც ახსენებს გრ. ორბელიანი ზაქარია ორბელიანისადმი 1844 წლის 8 ოქტომბერს ჯუნგუთიდან მიწერილ წერილში (ორბელიანი 1936: 275). დაქორწინებული იყო მანანა შალვას ასულ ერისთავზე (1830-1878). მოვიძიეთ ინფორმაცია ალექსანდრე ერისთავის განსასვენებლის შესახებ. ის დაკრძალულია ქაშუეთის ტაძარში (ცინცაძე 1994:112). ჩავიწერეთ მისი საფლავის ქვის წარწერა: «ЗДЕСЬ ПОКОИТСЯ ПРАХ КНЯЗЯ АЛЕКСАНДРА ЗУРАБОВИЧА ЭРИСТОВА СКОНЧАВШАГОСЯ 2-го СЕНТЯБРЯ 1863 ГОДА».

ალექსანდრე (სანდრო) შანშეს ძე ქსნის ერისთავი (1812-1883) იყო გორის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლი (1844), პოლკოვნიკი, ფლიგელ-ადიუტანტი. დაქორწინებული იყო სილამაზით განთქმულ მართა იორამის ასულ სოლოღაშვილზე (1825-1856), ნიკოლოზ ბარათაშვილის მეგობარზე. იგი ერთ-ერთი ხელმომწერია ჟურნალ „სინათლის“ საპროგრამო ტექსტისა. ალექსანდრე ერისთავს ჰყავდა შვილები ანა (ანეტა) (1848-1934), გენერალ-ადიუტანტ ივანე (ნიკო) გივის ძე ამილახვრის

მეუღლე (1829-1905), და გიორგი (1850-1878), რომელიც ახალგაზრდა გარდაიცვალა პარიზში. ალექსანდრე ერისთავი, მისი მეუღლე და ვაჟიშვილი გიორგი დაკრძალულნი არიან იკორთის ტაძარში. „ტაძრის ცენტრში ისევ მარმარილოს ქვაზე, მეფის გვირგვინის ქვეშ გაშლილ მოსასხამზე, ამოკვეთილია დროშა, ფარი, ხმალი და სხვა იარაღები. იკითხება წარწერა: «Здесь покоится прахъ Александра Павловича Эристова Флигель-адъютанта и полковника бывшего предводителя дворянства Горийского уезда тридцать три года. Род. 1811-го года. Скон. 1883 года 20-го апреля (.)» „აქა განისვენებს გვამი ფლიგელ-ადიუტანტისა პოლკოვნიკისა თავადი ალექსანდრე შანშეს ძისა ერისთავისა, რომელიც ოცდაცამეტი წელი განაგებდა გორის მაზრისა თავად-აზნაურობის წინამძღრობასა. დაიბადა 1811 წელსა აპრილის 20 დღესა. შენსას სასუფლისა შვებასა“ (მეგრელიძე 1997: 234); (ცერცვაძე 2012: 44-55).

„ყაფლან“ - **ყაფლან ასლანის ძე ორბელიანი** (1813-1878) (ტაბ. 2, 7), ცნობილი თავადი, ნიკოლოზ ბარათაშვილის ნათესავი, დედის ბიძაშვილი, გრ. ორბელიანის უახლოესი მეგობარი, კოლორიტული პიროვნება, პოდპორუჩიკი. ცოლად ჰყავდა ჯერ ნინო თამაზის ასული ქობულაშვილი (1817-1839), რომელიც მშობიარობას გადაჰყვა, ხოლო შემდეგ - ელისაბედ ივანეს ასული ბარათაშვილი (1824-1892). დაკრძალულია სოფელ კუმისის წმ. სამების ტაძარში. იქვე დაკრძალულნი არიან მისი მეუღლეები და ჩვიდმეტი წლის ასაკში გარდაცვლილი ვაჟიშვილი დავითი, (1845-1862). მათი საფლავის ეპიტაფიები გამოაქვეყნა ივანე ლოლაშვილმა (ლოლაშვილი 1980: 104-105). ყაფლან ორბელიანი იხსენიება აგრეთვე წერილებში V („ყაფლანს ვაჟი ჰყავს“ (იგულისხმება მისი ჩვილობაში გარდაცვლილი ვაჟის ივანეს (1841-1842) დაბადება - მ. ც.)) და XIII („ყაფლან“). ყაფლან ორბელიანი ნ. ბარათაშვილის ლექსის „ღამე ყაბახზედ!“ პერსონაჟიცაა (აბზიანიძე 1940: 466-473, ცერცვაძე 2010: 56-61).

1842 წლის 2 მაისის წერილი გრ. ორბელიანისადმი (წერილი VI) თითქმის მთლიანად ეძღვნება შამილის მიერ პოეტის ბიძის ილია ორბელიანის დატყვევების ამბავს. ამის შესახებ პოეტს ჯერ გენერალ ფეზეს ოფიციალური შეტყობინებიდან გაუგია, ხოლო შემდეგ - ერთი თვითმხილველი ლეკისგან. როგორც უკვე აღვნიშნეთ (იხ. სადისერტაციო ნაშრომის I თავის მე-3 ქვეთავი), ილია ორბელიანმა თავისი ტყვეობა აღწერა სათავგადასავლო თხზულებაში „რვა თვე

შამილის ტყვეობაში“. ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილის ტექსი მეტ-ნაკლები სიზუსტით გადმოგვცემს ილია ორბელიანის დატყვევებისა და შემდგომი ამბების გარემოებებს. პოეტის წერილის ფრაგმენტებთან ერთად, რომელშიც ზოგი რამ გაზვიადებულია და არ შეესაბამება სინამდვილეს, შედარებისათვის მოგვყავს ამონარიდები ილია ორბელიანის დასახელებული სათავგადასავლო თხზულებიდან, რომელსაც უტყუარი ისტორიული პირველწყაროს მნიშვნელობა აქვს მინიჭებული.

მივყვეთ ტექსტს: „საყვარელო ძმაო გრიგოლ! ილია მართლა ტყვედ არის შამილთან! ეს ამბავი ადრევე მინდა მომეწერა შენთჳის, მაგრამ ჯერ კიდევ ყველას იმედი გვქონდა, რომ ან ეს ჴმა ტყუილი იქნებოდა, ან ყაზიყუმუხელები შეინახავდენ დამშვიდებამდე. По офиціальному донесенію Фезе известно только то, что адьютантъ его, Князь Орбеліани, 20-го марта былъ посланъ в Андалалъ съ порученіем и его взяли тамъ въ пленъ. ხოლო ლეკმა, რომელმანც ეს ამბავი მოიტანა და რომელიც დამსწრე ყოფილა ილიას დაჭერაში, აი, რა ილაპარაკა: ილიკო რომ დაუჭერიათ, სინაქსაროვი და ყაზიყუმიხის ხანი დაჭერილები ყოფილან. მეორე დღეს შემოსულა ანდალალში თვითონ შამილ. ტყვეები წარუდგენიათ. ილიკოს თანა ჰყოლია ოცი, სულ დაწკეპილი ყმაწვილი ბიჭები, ავარელები, ახმეტ ხანისგან (იგულისხმება ახმედ ხანი მეხთულელი, მეხთულის სახანოს მმართველი 1820-1843 წლებში. რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი - მ. ც.) გამოტანებულები (შდრ. „გენერალ-მაიორ ახმედ-ხანის ნუქერებიდან შევარჩიე 17 კაცი”; „ჰარუნ-ბეგს ჰყავდა ოცი ნუქერი, მე - ჩვიდმეტი, ხოლო ახტინელებს - ოცდახუთი“ (ორბელიანი 1991: 22, 25)). შამილს ოცისავესთჳის ილიას თვალთ წინ თავები დაუყრევინებია; ახტელელები კი, რომელნიც სინაქსაროვს მოჰყოლიან, დაუშიშვლებია და ისე გამოუყრია (შდრ. „შამილის ერთ მახლობელს მოვუხმე (...) და ვთხოვე, ეშუამდგომლა შამილის წინაშე, ჩემი ნუქერებისათვის ეპატრონებინა, რადგან ისინი ყაზიყუმუხში ძალით წავიყვანე გამყოლებად. (...) ის შამილთან წავიდა და დიდხანს არ დაბრუნებულა. ამასობაში შემომესმა ხშირი სროლის ხმა. მალე ამბავი მომივიდა, რომ უბედური ნუქერებიდან ცოცხალი არავინ დარჩენილა, ზოგი დახვრიტეს და ზოგიც ხმალდახმალ აჩეხესო“ (ორბელიანი 1991: 36)).

შამილ ახმეტ ხანზედ ძალიან გაბრაზებული თურმეა (შდრ. „ახმედ-ხანის არც ერთი ნუქერი არ გადასულა შამილის მხარეზე. მათ იცოდნენ, რომ ხანი და შამილი ერთმანეთის დაუძინებელი მტრები იყვნენ“ (ორბელიანი 1991: 29)) და ასე უწყალოდ იმიტომ მოჰქცევია ავარელებს. აი, ილიკოს რა უთქვამს შამილისათჳის: „შამილ! როგორ ეკადრება შენს სახელს მაგისთანა უწყალოება! თუ გინდა, მაგით შეაშინო ვინმე, ვინ უნდა შეაშინო? ყველანი სიკვდილის შვილები ვართ. ჭეშმარიტად ახლა მეც სიკვდილი მირჩევნია შენს ჴელში ყოფნას!“ ვითომც შამილს სდომნებია ილიას გამოშვება, მაგრამ, ესე ყოჩაღად რომ უნახავს და ამის გვარის შვილობაც შეუტყვია, უფიქრია, რომ ეს კარგი ოფიცერი უნდა იყოსო და იქნება რუსებმა ჩემს შვილში გამიცვალონო. მაშინ შამილს უთქვამს ტყვეებისთჳის, ილიასა და სინაქსაროვისათჳ ის, რომ თქვენ ნუ რა გეფიქრებათო, მაგრამ თქვენს მამულს ვერა ნახავთ, ვიდრე ჴელმწიფე ჩემს შვილს არ მამცემსო“ (შდრ. „(შამილმა) მრისხანედ მოგვმართა - თუ რუსები ჩემს შვილს დამიბრუნებენ, თბილისში გაგიშვებთ, არადა აქვე აგჩეხავთ ყველას და ჯოჯოხეთში გიკრავთ თავს (ორბელიანი 1991: 37)). შამილი გულისხმობდა ჯემალედინს (რუს. *Джемáль ад-Дин*) (1829-1858), თავის პირმშოს, ვაჟიშვილს, რომელიც 1839 წელს 9 წლის ასაკში მძევლად გადასცა რუსეთის მთავრობას ერთგულებისა და სრული მორჩილების ნიშნად თავისი რეზიდენციის, გამაგრებული მთის სოფლის ახულგოს გენერალ-ლეიტენანტ პ. გრაბეს (1789-1875) მიერ წარმოებული შტურმის დროს. ჯემალედინი იზრდებოდა სანკტ-პეტერბურგში, სადაც მისი მეურვეობა და აღზრდა თავად იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა (1796-1855) ითავა. მიუხედავად ამისა, შამილი აგრძელებდა შეაირაღებულ ბრძოლას რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ.

„ახლა ილიკო დარღოშია, სადაც შამილის ცოლ-შვილია და სიმაგრე და კარგადაც თურმე ინახავს“.

პოეტი ერთი მხრივ შეძრულია თანამოასაკე და თანშეზრდილი ბიძის ბედით, მეორე მხრივ კი სიამაყით ივსება მისი ვაჟკაცური შემართების გამო: „მახლას, ილიკო ყოჩაღად ყოფილა. Он теперь предметом разных анекдотов. ზოგჯერ ამისთანა შემთხვევაც კარგია კაცის სიცოცხლეში. ეს არის, რომ იქნება, ჩვენ დაგვიგვიანდეს ილიას ნახვა, თვარემ იმას ამ ტყვეობით არა უშავს რა“.

ამის შემდეგ მოყვანილია ტექსტი ლექსისა „მერანი“, რომლის დაწერის საბაბიც გამხდარა ილია ორბელიანის ტყვეობა.

„არ ვიცი, ეს ლექსები როგორ მოგეწონება. აქ კი ბევრი ცრემლი, ტყუილი და მართალი, დაინთხა ამის წაკითხვაზე, რასაკურველია, იმიტომ, რომ ამას ამბობს ილია ტყვეობაში და არა მე. ილიას დაჭერა რომ შევიტყვე, ჰსწორე გითხრა, ძალიან შევწუხდი, ასე, რომ სამი დღე გაბრუებული ვიყავ ათასის სხვა და სხვა უცნაურის ფიქრებით და სურვილით და, რომ ეკითხათ კი ჩემთჳის, მეც არ ვიცოდი, რა მინდოდა. ბოლოს მესამეს დღეს ეს ლექსები დავწერე და თითქოს ამან რაღაც შვება მომცაო. ვცდილობ, რომ ილიკოს როგორმე მივაწოდო. ვიცი, გულში ჩაიცინებს და არ იქნება, მით არა ენუგეშოს რა“ .

ამავე წერილში ნ. ბარათაშვილი ილიას გამოხსნის საკითხზეც ესაუბრება გრიგოლს და მისი დატყვევების გამო ოჯახის მწუხარებასაც აცნობს:

„ზაქარია (იგულისხმება ზაქარია ორბელიანი, გრიგოლის ძმა - მ. ც.) ახტას არის, სინაქსაროვის ადგილს; იასეც იქ არის ელისოს მილიციით და იმედებს იწერებიან ილიას გამოყვანისას, მაგრამ მე ჯერ ასე ჩქარა ვერა მგონია, მეტადრე ახლა, როდესაც შამილ ჯერ არსად ომობს და ილიაც თავის სახლში ჰყავს.

ძმაო გრიგოლ, ყოველივე სოფელში ღვთის ნებაა და მწუხარებით, თვითონ იცი, ვერას უშველით ილიკოს. ჩვენი საფიქრებელი ეს არის, რომ ვიღონოთ რამ იმის გამოხსნისათჳის.(...). სხვებრ ჩვენიანები ყველანი კარგად არიან, მხოლოდ ფეფოს მწუხარება გვაწუხებს ყველას. ხომ იცი, ტყვეობა და სიკვდილი ჩვენს დედაკაცებს ერთი ჰგონიათ, მეტადრე ლეკის ტყვეობა“.

ნ. ბარათაშვილის წერილებიდან კარგად ჩანს, თუ როგორი ყურადღებით ადევნებს იგი თვალს რუსეთ-კავკასიის ომს და როგორ უნდა თვითონაც იქ ყოფნა. სიჭაბუკიდანვე სამხედრო სამსახურის მოსურნე პოეტს, რომელმაც ეს სურვილი სიკოჭლის გამო ვერ აიხდინა, კვლავ ეოცნებება მხედრული კარიერა: „ჩემი ფიქრი მანდეთ მოჰქრის“ - სწერს ის გრიგოლ ორბელიანს (წერილი IX). დაღესტნის (ავარიის) მმართველად ახალდანიშნულ ბიძას დისშვილი მსუბუქად საყვედურობს იმ დაპირების შეუსრულებლობას, რომელიც, იმხანად დაღესტანში მთიელებთან

მებრძოლი ესტონური წარმომავლობის რუსი გენერლის პავლე რენენკამპთან (1790-1845) სამსახურის შოვნას ეხება.

„ეცადე, რომა რე[ნ]ენკამფთან დამანიშვნინო. ხომ ამ პირობით წახველ, რომ ეს მოგეხდინა ჩემთჳის? ვიცი დაგავიწყდა, მაგრამ არა, არ დაგვიწყებია. ეს იმ სნეულების ბრალია, რომლისა გამოც ქართველი თავისიანს არ გამოადგება... მე ახლავ მიტყობს გული, რომ ამ ჩემს მხურვალეს განჰსჯას გამიტრიზავებ“.

პოეტი დისშვილი განიცდის იმას, რომ ბრძოლებით დაკავებული ბიძა ვეღარ იცლის პოეზიისათვის. მოკითხვის წერილებთან ერთად იგი მას საკუთარ ლექსებსაც უგზავნის შესაფასებლად და შესთხოვს როგორმე თავადაც მოიცალოს ლექსის წერისთვის. „გრიგოლ, რა იქნება, რომ ერთი კიდევ დააწკარუნო ამდენი ხნის დადუმებული შენი სანთური?“ (წერილი VII); „სირცხვილია, რომ მაგ საშინელებაებში პოეზიამ არ გაიღვიძოს, და, თუ ემირს ლექსის წერა აღარ ეკადრება, ავარიის ისტორია და სტატისტიკა მაინც უბრძანე, რომ დაწერონ“ (წერილი IX). როგორც ცნობილია კავკასიელ მთიელებთან ბრძოლის პერიოდი გრ. ორბელიანისთვის, როგორც პოეტისათვის ნაკლებად ნაყოფიერი იყო. 1833-1851 წლებში მას სულ 14 ლექსი აქვს დაწერილი და როგორც მისი შემოქმედების მკვლევარნი მიუთითებენ, ისიც სპორადულად. 1843 წლით, ე. ი. როცა ბარათაშვილის ეს წერილი იწერებოდა, თარიღდება გრ. ორბელიანის მხოლოდ ერთი ერთსტროფიანი უსათაურო: „***[ჰეი, გონებავ]“, რომელიც თბილისშია დაწერილი.

ნიკოლოზ ბარათაშვილი გარკვეულია რუსეთ-კავკასიის ომის თითქმის ყველა საკითხში, მის ისტორიასა და გეოგრაფიაში, იცის მისი ყოველი ბრძოლისა თუ ეპიზოდის შესახებ, იცის, თავისი ნაცნობი მებრძოლებიდან ვინ როდის რომელ ფრონტზე იბრძვის, როდის ჯილდოვდება, როდის წინაურდება თუ გადადის ახალ სამხედრო თანამდებობაზე. ერთი სიტყვით, ყველაფრის საქმის კურსშია, რაშიც მას, როგორც წერილების ტექსტები ცხადჰყოფენ, ადგილობრივი პრესის გაცნობა და ფრონტიდან დროდადრო ჩამოსული შიკრიკები ეხმარებიან. ნათქვამის დასტურად მოგვყავს ამონარიდები მისი წერილებიდან:

„ბალაშოვის სიკვდილს აქ ასე გლოვობენ, რომ ეს არის შავები არ აცვიათ, თორემ სხვა აღარა აკლიათ რა“ (წერილი IV). ლაპარაკია იმპერიის სამხედრო

მინისტრის ადიუტანტის **ივანე ალექსანდრეს ძე ბალაშოვის** (1816-1841) სიკვდილზე, რომელიც 1841 წელს მივლინებული იქნა კავკასიაში. იმავე წლის 8 მაისს იგი მოკლეს თავში ნასროლი ტყვიით დაზვერვის ოპერაციის განხორციელებისას მდინარე სულაკის გადალახვისას სოფელ ახატლის მახლობლად.

„მაინთ თქვენ და იქით ანდრონიკოვი!“ (წერილი V) - სწერს იგი 1841 წლის 18 ოქტომბერს გრიგოლ ორბელიანს პასუხად მისი ერთი წერილისა. აქ ნახსენები „ანდრონიკოვი“ არის **ივანე მალხაზის ძე ანდრონიკაშვილი (1793-1868**), გენერალი, თბილისის სამხედრო გუბერნატორი, სამოქალაქო ნაწილის მმართველი, მეფე ერეკლე II-ის (1720-1798) ქალის ელენეს (1753-1786) ქალიშვილის მარიამ არჩილის ასულის (?-1775) და იულონ ბატონიშვილის (1760-1827) ეშიკაღასბაშის მალხაზ ანდრონიკაშვილის (1773-1822) შვილი, იმერეთის უკანასკნელი მეფის სოლომონ II–ის (1772-1815) დისშვილი. მოხსენიებულია 1832 წლის შეთქმულების საგამომძიებლო საქმეებში. 19 წლის ასაკში სამხედრო სამსახური დაიწყო პეტერბურგის ლეიბ-გვარდიის ცხენოსანთა პოლკში. 1824 მაიორის ჩინით კავკასიაში ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკში გადაიყვანეს. მონაწილეობდა რუსეთ-ირანის 1826-1828 და რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829 ომებში, აგრეთვე ბრძოლებში ჩრდილო კავკასიაში და ყირიმის კამპანიაში. თავი გამოიჩინა ელიზავეტპოლის, ჯევან-ბულახის, სარდარ-აბადის, ერევნის, ახალციხისა და ბაიბურთის ბრძოლებში. 1841 წელს ანდრონიკაშვილი დაინიშნა თბილისის სამხედრო გუბერნატორად. ანდრონიკაშვილმა ყირიმის ომის (1853-1856) დროს კავკასიის ფრონტზე ახალციხესთან ბრძოლაში (1853 წლის 14 ნოემბერი) მან 5-ათასიანი რაზმით დაამარცხა ალი-ფაშას 20 ათასიანი კორპუსი, ხოლო 1854 წელს მდინარე ჩოლოქთან 10-ათასიანი რაზმით გაანადგურა სელიმ-ფაშას 30-ათასიანი კორპუსი. ცოლად ჰყავდა დავით ბატონიშვილის (1867-1819) შვილობილი, იმერეთის ბატონიშვილის კონსტანტინეს ასული ნინო (1807-1847).

1841 წელს, როცა ნ. ბარათაშვილის ზემოთნახსენები წერილი დაიწერა, ივანე ანდრონიკაშვილი იბრძოდა შამილის წინააღმდეგ დაღესტანში. ის სათავეში ედგა პარტიზანულ ბრძოლას, შუამდგომლობდა ხალხს რუს ხელისუფლებსა და შამილთან, ათავისუფლებდა მძევლებს. ამ ყველაფერმა მას დიდი წარმატება არგუნა

და კავკასიელების დიდი ნდობა და პატივისცემა მოუპოვა. 1841 წელს ივანე ანდრონიკაშვილმა გენერალ-მაიორის ჩინი მიიღო დაღესტნის სამხედრო ექსპედიციაში მონაწილეობისათვის.

სიტყვებში „მაინთ თქვენ და იქით ანდრონიკოვი!“ იგულისხმება გრიგოლ ორბელიანისა და სხვა ქართველთა მონაწილეობა დასავლეთ საქართველოში, კერძოდ გურიაში მომხდარი რუსეთის იმპერიის საწინააღმდეგო აჯანყების ჩაქრობაში მოსე არღუთინსკი-დოლგორუკოვის ხელმძღვანელობით და ივანე ანდრონიკაშვილის იმავდროული მონაწილეობა დაღესტნის ექსპედიციაში.

IX წერილში ნიკოლოზ ბარათაშვილი ეხმიანება გრ. ორბელიანის დაღესტნის (ავარიის) მმართველად დანიშვნას, მას ჰუნების ბელადს ატილას ადარებს და ასე მიმართავს: „საყვარელო ძმაო გრიგოლ, არა, უკაცრავად, მთავარო ავარისაო, ემირ-ავარო, ატტილას ტახტზედ მჯდომარეო!“ ასეთი მიმართვა გამოძახილია ბიძისავე წერილზე - 1843 წელს დაღესტნის მმართველად დანიშვნის შემდეგ გრიგოლ ორბელიანი გენერალ მოსე არღუთინსკი-დოლგორუკოვს (1797-1855) სწერდა: „თქვენის წყალობით შევიქენ ახლა ჰაქიმხან ავარ”, ძმასთან ილიასთან მიწერილ წერილს კი ხუმრობით ასე იწყებდა: „მე ჰაქიმხან ემირ ავარ - სხუა რიგად აღარ შემიძლიან წიგნის დაწყობა - ანუ როგორც წერია ჩემს ბეჭედზედ: მუთავქალლულლ ქინიაზ ხან ორბელიან ემირ ავარ (ითარგმნება: მოსავი ღვთისა(მუთავაქილულაჰი) თავადი ორბელიანი-ხანი, ემირი ავარიისა - მ. ც.) შუბლზე ვაკოცებ ჩემს ღ˜თის წყალობას ძმას ილიას“; „ჩემი ტიტული არ დაგავიწყდეს Правитель Аварий“, „ზედ უთუოდ დააწერეთ წიგნსა Правителю Аварии“, თორემ არ მივიღებ“; „ატილლას კრესლაზე ვზივარ ძალიან მაგრად, ძალიან. შამილა უნდა იყოს, რომ წამართოს ეს კრესლა“ (ორბელიანი 1936: 68, 74, 75, 76, 79, 263).

წერილში IX გრიგოლ ორბელიანს პოეტი თავისი მამიდაშვილის გიორგი საგინაშვილის ზაქათალაში მივლინების ამბავს ატყობინებს. „გიორგი ზაქათალას გაგზავნეს ბატალიონის კამანდერზედ გამოსაძიებლად და ბატალიონსაც პირველს ამას აძლევენ“.

წერილში X ნ. ბარათაშვილი ზაქარია ორბელიანს რიჭის ბრძოლას ახსენებს: „Согласись, Захарій, что еще одинъ случай, подобный Ричинскому, и ты снова въ волненіи

пріятномъ, снова забудешь мирный покой семьянина. Углубись въ себя и тогда, уверившись, что громъ славы и звукъ оружія не имеютъ уже для твоего слуха магического значенія, оставь службу, займись именіем.“

პოეტს მხედველობაში აქვს 1842 წლის 1 მაისის ცნობილი შეტაკება კავკასიელ მთიელებსა და რუს ოფიცრებს შორის სამხრეთ დაღესტანში, გამაგრებულ სოფელ რიჭასთან (უძველესი დასახლებული პუნქტი, ამჟამად შედის აღულის რაიონში). ამ ბრძოლაში სასტიკად დამარცხდნენ შამილის მიურიდები. რიჭის შეტაკებაში მონაწილეობდა ზაქარია ორბელიანიც და ამ დამსახურებისთვის მას პოდპოლკოვნიკობა და წმ. გიორგის მე-4 ხარისხის ორდენი უბოძეს.

ამავე წერილში პოეტი ძმის გრიგოლის პოდპოლკოვნიკობაზეც ჩამოუგდებს სიტყვას ზაქარია ორბელიანს: „Я получилъ от Григорія письмо вследъ за твоимъ. რას მოიწერებოდა? Дай ему престолъ Августа онъ бы всю римскую имперію обратилъ въ комическую шутку. ხუმრობა და ხუმრობა! უთუოდ ჯერ თავისი პოდპოლკობნიკობა არ იცის“. გრ. ორბელიანს პოდპოლკოვნიკობა 1844 წლის 8 ივლისს მისცეს. შესაძლებელია, განსახილავი წერილის დაწერის დროისათვის ის მხოლოდ წარდგენილი იყო ამ წოდებაზე და ნ. ბარათაშვილმა ეს უკვე იცოდა.

წერილში XII ნ. ბარათაშვილი პოლკოვნიკის წოდების მიღებას ულოცავს ზაქარია ორბელიანს. „უსაყვარლესო ძმაო ზაქარიავ! მომილოცავს პოლკოვნიკობა! შენი წიგნი რომ მომივიდა, იმის მეორეს დღეს ,,ინვალიდებში“ (იგულისხმება პოპულარული რუსული სამხედრო გაზეთი «Русскій инвалідъ». გამოდიოდა სანკტ-პეტერბურგში 1813-1917 წლებში - მ. ც.) ეწერა. მე ახლა ჩქარად ღენარლობის იმედიცა მაქვს. მაგრამ ამისთჳის უთუოდ უნდა დაღესტანში იმსახურო, თუნდ მაგ ადგილშიაც არა. და მერმე იცი, რა ვიფიქრე შენთჳის? - კასპიის ობლასტის ნაჩალნიკობა! ვინ იცის! მე კი კარგადა მაქვს დაცდილი წინასწარ თქმა! Это будетъ гораздо существеннее“.

1845 წლის 10 აგვისტოს მურუტიდან პოეტი მაიკო ორბელიანს კავკასიური ბრძოლების მონაწილე მეგობართა დაჯილდოების ამბავზე მოუთხრობს: „აი, ახლა ვჰსთქვათ: ჩვენს ყმაწვილებს რომ ჯვრები მოუვიდათ, რამ დამავიწყა იმათი სახელი? (...) რამ დამავიწყა?... ოჰ, მომაგონდა: ილიამ, ალექსანდრე ერისთავმა და ლევანმა. ყველას მსარჩვლელი შენა ხარ! აბა, ჩემზედ თქვას ვინმემ რამ ცუდი, თუ წამომესარჩლო?“ (წერილი XVI).

ჩვენს მიერ მოძიებული იქნა ინფორმაცია დასახელებული პირების აქ ნახსენები დაჯილდოების სახისა და თარიღის შესახებ, რის შედეგადაც გაირკვა, რომ წერილის ამ ტექსტში იგულისხმება რუსეთის იმპერიულ არმიაში მომსახურე ნ. ბარათაშვილის ნაცნობი ქართველი მეომრების, კაპიტან ილია ორბელიანის, პორუჩიკ ალექსანდრე ერისთავის და კაპიტან ლევან მელიქიშვილის დაჯილდოება წმ. გიორგის IV თანრიგის ორდენებით წერილის დაწერამდე დაახლოებით ერთი თვით ადრე, 1845 წლის ივლისში. ოთხი სხვადასხვა თანრიგის მქონე წმ. გიორგის ორდენი, რომელიც იმპერატრიცა ეკატერინე II-მ (1729-1796) 1769 წლის 26 ნოემბერს დააარსა ბრძოლის ველზე გამოჩენილი მამაცობისათვის ოფიცერთა წახალისებისათვის, წარმოადგენდა თეთრი მინანქრით დაფარულ ოქროს ჯვარს. ლევან მელიქიშვილმა ის 1 ივლისს მიიღო, დანარჩენებმა - 7 ივლისს http://forum.vgd.ru/327/19519/360.htm?a=stdforum_view&o=.

წერილში XVIII ნიკოლოზ ბარათაშვილი ასე ეხუმრება მის ადრესატს, მამიდაშვილსა და იმავდროულად სიძეს, თავისი გარე ბიძაშვილის ბარბარე ორბელიანის მეუღლეს ალექსანდრე საგინაშვილს: „რასაკვირველია, რომ შენ მაიორობა არ მოგივა: ყოველ წელიწადს ბორჯომში შეექცევი, ცივს ნიავს არ მიიდენ! მე რომ ბაბალესი ვიყო, ძალად გაგაგდებ დაღესტანში! საწყალს მაიორშობა არ ეღირსა, არ იქნა. ქალაქიდან განჯა ორასი ვერსია, თუნდ გაჯავრდეთ, რას შეგეპუებით“.

როგორც ვხედავთ, წერილებიდან ერთი შეხედვით ისე ჩანს, რომ რუსეთ-კავკასიის ომებში მთიელთა წინააღმდეგ ქართველთა მონაწილეობა და იქ მიღწეული მათი სამხედრო წარმატება, დაწინაურება თუ დაჯილდოება ნ. ბარათაშვილს საპატიო საქმედ მიაჩნდა. რამდენად გულწრფელია პოეტი და უმჟღავნებს თუ არა ის ახლობლებს ამ საკითხში თავის გულისნადებს, ძნელი სათქმელია. წერილების ტექსტების მიხედვით მისი ამ საკითხისადმი დამოკიდებულება თითქოსდა ეთანადება პოეტის პათოსს, გამჟღავნებულს მის ლექსში „ომი საქართველოს თავად-აზნაურ-გლეხთა პირისპირ დაღისტნისა და ჩეჩნელთა, წელსა 1844-ს, მძღვანელობასა ქვეშე ღუბერნიის მარშლის, თავადის დიმიტრი თამაზის ძის ორბელიანისა.“

წარმოდგენილ კვლევას და წერილების მოხმობილ ამონარიდებს, როგორც საანალიზო მასალას ნ. ბარათაშვილის პოეტურ ნიმუშებთან და სხვა წყაროებთან ერთად გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება პოეტის პოლიტიკური მრწამსისა და ორიენტაციის დასადგენად და დასაზუსტებლად. ეს საკმაოდ რთული საკითხი, რაზეც დღემდე არსებობს აზრთა სხვადასხვაობა, კომპლექსურ და სიღრმისეულ კვლევას მოითხოვს და ამ კვლევაში სასურველია მის პირადი წერილების ტექსტების სათანადო ადგილების გათვალისწინებაც, რაც ჩვენს ამჟამინდელ სამეცნიერო მიზანსა და ამოცანებს სცილდება.

3. 1841 წლის გურიის აჯანყების გამოძახილი

ნ. ბარათაშვილის ერთ პირად წერილში, კერძოდ 1841 წლის 18 ოქტომბრის წერილში გრიგოლ ორბელიანისადმი (წერილი V), მცირე, მაგრამ მეტად საინტერესო საკითხს ვაწყდებით. იგი საყურადღებოა იმით, რომ აქ გვხვდება წერილის ადრესანტის გამოძახილი და დამოკიდებულება XIX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ისტორიის ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენისადმი, როგორიც იყო 1841 წლის რუსეთის იმპერიის საწინააღმდეგო აჯანყება გურიაში. სანამ უშუალოდ საკითხის განხილვაზე გადავალთ, მოკლედ შევეხოთ ამ აჯანყებას, რომელიც 22 მაისიდან 5 სექტემბრამდე გრძელდებოდა და რომლის მიზეზიც გახდა ხალხისათვის ფეოდალური ექსპლუატაციის ზრდა, სახელმწიფო გადასახადების სიმძიმე, სამხედრო და სამოქალაქო მოხელეთა თვითნებობა, საქმისწარმოების გადაყვანა რუსულ ენაზე. ივლის-აგვისტოში აჯანყებამ საყოველთაო ხასიათი მიიღო. მღელვარებამ მოიცვა იმერეთისა და სამეგრელოს ზოგიერთი სოფელიც. 9 აგვისტოს აჯანყებულებმა გოგორეთის ბრძოლაში დაამარცხეს პოლკოვნიკ ბრუსილოვის რაზმი. მალე აჯანყებულებმა მთლიანად დაიკავეს თითქმის ყველა მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი, ოზურგეთისაკენ მიმავალი გზები და სხვა. აჯანყებულებმა დაამარცხეს გურიის თავად-აზნაურთა და მთავრობის ჯარის დასახმარებლად მოსული სამეგრელოსა და იმერეთის თავად-აზნაურთა რაზმები. აჯანყებულთა წინააღმდეგ 2464 რეგულარული ჯარისკაცი გაიგზავნა პოლკოვნიკ მ. არღუთინსკი-

დოლგორუკოვის მეთაურობით. გურიისაკენ დაიძრა სამეგრელოსა და იმერეთის მილიცია. 5 სექტემბერს დილით, მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვმა, ადგილობრივი თავად-აზნაურთა რჩევით, იმ მხრიდან დაარტყა აჯანყებულებს, საიდანაც ისინი არ ელოდნენ. თავდასხმამ საბოლოოდ გადაწყვიტა აჯანყებულების ბედი. მეფის მთავრობამ აჯანყებულთა 50 მეთაური ქუთაისის ციხეში ჩასვა, შემდეგ კი სამხედრო წესით გაასამართლა, მაგრამ 1842 წელს ხალხის მღელვარების თავიდან აცილების მიზნით ყველა გაათავისუფლა, მხოლოდ ამბაკო შალიკაშვილი გადაასახლეს ციმბირში. „ქუთაისში მინისტრის ბრძანებით (იგულისხმება სამხედრო მინისტრი ალექსანდრე ივანეს ძე ჩერნიშოვი (1786-1857) - მ.ც.) განათავისუფლეს გურულები, ბუნტისათვის დაჭერილნი, უნდა გენახა ამათი ტირილი და სიხარული, პირჯვრის წერა და დალოცვა. მხოლოდ ერთი გაგზავნეს ციმბირში შალიკაშვილი, რომელიც უწინდელს ბუნტებშიაც ერია.“ - სწერდა ქუთაისიდან 1842 წლის 20 მაისს გრიგოლ ორბელიანი თავის ძმას ზაქარიას. გურიის აჯანყება მხატვრულად ასახა ეგნატე ნინოშვილმა ისტორიულ რომანში „ჯანყი გურიაში“. გურიის აჯანყების შესახებ იხ. აგრეთვე (კაკაბაძე 200 : 112-113); (ყიფიანი 2003: 130-133).

აღნიშნული აჯანყების ჩახშობაში პოლკოვნიკ მოსე არღუთინსკი-დოლგორუკოვის მეთაურობით მონაწილეობდა წერილის ადრესატიც - გრ. ორბელიანი. წერილში პოეტი მიმართავს ბიძას:

„საყუარელო ძმაო გრიგოლ, შენი წიგნი მომიტანა დ[იმიტრი] ჯ[ორჯაძე]მ. დიდად მაამა ამ წიგნმა, მეტადრე ქართველების ქებამ. მაინთ თქვენ და იქით ანდრონიკოვი! მილიციამ, როგორც იტყვიან, ასახელა თავისი სახელი და ზღაპრული გმირობის ჴმა დაიგდო მრთელს მხედრობაში, თუარემ შენ თვითონ შეიტყობ დაწვლილებით. მითამ როდის და რაში არა ვჰყოფილვართ კარგნი, მაგრამ ჩიმი ქუნიმ!

მჯერა სარდლობა არღუთინსკისა, ს[აგინოვ]ისა და გურამოვისა, რადგანაც შენ აქებ, მაგრამ მინდა ერთი ჩაგიხველოთ. შენი დიპლომატობა ხომ ადრევე ვიცოდი: ხუმრობა არ არის, რომ ქართველმა კაცმა გურულებს შეაგონოს ყოველივე უბედურება, რომელიც შეუდგების აღშფოთებას, შაბაშ, მკლავთა და განკარგულებათა თქვენთა!“

წერილი გაგზავნილი უნდა იყოს ქუთაისში, სადაც იმ დროს, აჯანყების ჩახშობაში მონაწილეობის შემდეგ, სავარაუდოდ, იმყოფებოდა გრ. ორბელიანი. აღნიშნული ვარაუდის საფუძველს გვაძლევს გრ. ორბელიანის პირადი წერილები, რომლებიც დაახლოებით ამ პერიოდში (1839 და 1842 წლებში) ქუთაისიდანაა გაგზავნილი თავისი ნათესავ-მეგობრებისათვის. გრ. ორბელიანის ამ პერიოდში ქუთაისში ყოფნის ფაქტს ადასტურებს აგრეთვე დიმიტრი ყიფიანი თავის მოგონებებში (ყიფიანი 2003: 132).

წერილის ტექსტის მიხედვით ჩანს, რომ იგი პასუხია გრ. ორბელიანის მიერ დისშვილისათვის გამოგზავნილი წერილისა, რომელშიც აჯანყების ჩაქრობაში მონაწილე ქართველების ქება-დიდება უნდა ყოფილიყო.

ნახსენები არიან პირები: „დ[იმიტრი] ჯ[ორჯაძე]“, „ანდრონიკოვი“, „არღუთინსკი“, „ს[აგინოვ]ი“ და „გურამოვი“.

დიმიტრი ჯორჯაძის შესახებ ცნობები მოყვანილი გვაქვს სადისერტაციო ნაშრომის III თავის 1-ლ ქვეთავში.

„ანდრონიკოვში“ იგულისხმება გენერალი **ივანე მალხაზის ძე ანდრონიკაშვილი,** რომელზეც ვისაუბრეთ წინამდებარე თავის წინა ქვეთავში.

წერილში ნახსენები „საგინოვი“ არის **გიორგი დიმიტრის ძე საგინაშვილი,** ნიკოლოზ ბარათაშვილის ღვიძლი მამიდაშვილი, რომლის ბიოგრაფია ასევე მოყვანილი გვაქვს სადისერტაციო ნაშრომის I თავის მე-3 ქვეთავში.

შევეცადეთ დაგვეზუსტებინა და შეგვეკრიბა ბიოგრაფიული ცნობები დანარჩენ პირთა შესახებ.

„გურამოვი“ არის **ივანე ზაქარიას ძე გურამიშვილი** (?-1845), თავადი, პოდპოლკოვნიკი, კავკასიური ომების მონაწილე. სამხედრო სამსახური დაიწყო 1816 წელს იუნკერად კარაბინერთა (შემდგომში ერევნის გრენადერთა) პოლკში. 1819 წლიდან პრაპორშჩიკია. 1820 წლის მაისში იმერეთში მონაწილეობდა სოფელ საზანოს მეამბოხეებთან ბრძოლაში და თავად იაშვილების ციხესიმაგრის აღებაში. 1828-1829 წლებში ერევნის პოლკის მე-5 ეგერთა ასეულის უფროსია და მონაწილეობს თურქების წინააღმდეგ ომში. ახალციხესთან ბრძოლისათვის დაჯილდოვდა წმ. ანას მე-3 ხარისხის ორდენით ბაფთით. ამავე კამპანიაში დაწინაურდა შტაბს-კაპიტნად.

1830 წელს მონაწილეობას იღებს ჯერ სამხრეთ ოსეთში, ჯავასთან აჯანყების ჩახშობაში, ხოლო შემდეგ ჭარ-ბელაქნის ოლქში მთიელთა წინააღმდეგ ბრძოლაში. 1831 წელს დააწინაურეს კაპიტნად. 1838 წელს დაინიშნა ერევნის პოლკის მე-2 ბატალიონის უფროსად. 1841 წელს ნაკრები რაზმის მეთაურის რანგში მონაწილეობდა გურიის აჯანყების ჩახშობაში. იმავე წელს მიენიჭა მაიორობა. მიღებული ჰქონდა სხვადასხვა ორდენები და ჯილდოები.

გურიის აჯანყების ჩახშობას, როგორც უკვე აღვნიშნეთ ხელმძღვანელობდა წერილში ნახსენები „არღუთინსკი“ - **მოსე ზაქარიას ძე არღუთინსკი-დოლგორუკოვი** (1797-1855), სომხური წარმომავლობის თავადი, სომხეთის პატრიარქის იოსებ არღუთინსკის ძმისშვილი, გენერალ-ლეიტენანტი (1845), გენერალ-ადიუტანტი (1848), რუსეთის იმპერიის მიერ წარმოებული ომების აქტიური მონაწილე. დაიბადა და გარდაიცვალა თბილისში. სწავლობდა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში. 19 წლისა გააგზავნეს პეტერბურგში, სადაც განსაკუთრებული ინტერესი გამოიჩინა სამხედრო მეცნიერებათა მიმართ. სამხედრო სამსახური დაიწყო 1817 წელს სანკტ-პეტერბურგის ლეიბ-გვარდიის ცხენოსანთა პოლკში. 1827 წელს მონაწილეობდა რუსეთ-სპარსეთის ომში აბას-მირზას ჯარების წინააღმდეგ, 1829 წელს - ოსმალთა წინააღმდეგ. სარდლობდა პოლკს, რომელმაც 1841 წელს ჩააქრო გურიის აჯანყება. 1830 წლიდან 23 წლის მანძილზე კავკასიური ომების მონაწილეა. 1844 წელს გენერალ-მაიორის ჩინით ეკავა ხელმძღვანელი თანამდებობანი სამხრეთ დაღესტანსა და ყუბანისა და დარუბანდის მაზრებში. 1847 დაინიშნა დარუბანდის სამხედრო გუბერნატორად და კასპიის ზღვისპირა მხარის ჯარების სარდლად და სამოქალაქო ნაწილის მმართველად. შტურმით აიღო გერგებილი და სალთა. 1848 წლის 7 ივლისს ხელმეორედ აიღო გერგებილი. ასეთი ერთგული სამსახურისათვის ებოძა გენერალ-ადიუტანტობა და ალექსანდრე ნეველის ორდენი. 1853 წელს სწრაფად გადალახა კავკასიონი და ჭარ-ბელაქნის ოლქში, ლეკის საკორდონო ხაზში შეჭრილ შამილს ზურგიდან მოუარა და იძულებული გახადა ბრძოლის ველი დაეტოვებინა. დაკრძალულია სანაინის მონასტრის საგვარეულო აკლდამაში. მადლიერმა მეფის მთავრობამ 1877 წელს თემირხანშურაში ძეგლი დაუდგა. ქართველ გრენადერთა პოლკის ოფიცრის დავით ყორღანოვის ერთი მინაწერი გრიგოლ

ორბელიანის წერილზე, რომელსაც ის თავის ძმას ზაქარიას უგზავნის 1842 წლის 11 ივნისს, ერთი ნიმუშთაგანია იმ პატივისა, რაც თავის თანამემამულეებში ჰქონდა დამსახურებული მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვს მოპოვებული სამხედრო წარატებებისათვის: „საყვარელო ზაქარიავ,ჯან. მოველ გრიგოლთან, ამ წიგნის წერას მოუსწარ და რადგანაც მთელი ქალაქი იყო და მოსეი ზახარიჩის გამარ,ჯვების ამბავი (იგულისხმება 1842 წლის მაისში ყაზიყუმუხში შამილის შეტევის მოგერიება - მ.ც.), ასე რომ საყდრებში ბებერი ქურივებიც ლაპარაკობენ, ამისათვის სასიამოვნო ვალად ვრაცხე, რომ გთხოვო რათა მიულოცო კნიაზს მოსეი ზახარიჩს ესრეთი სახელი და სომხების სახელის განათლება, რა ენაღვლებოდათ, რომ ეგ ადრევე გაეგზავნათ დაღისტანში. ჩვენ აქ მაგის გამარ,ჯვების გამო დიდი გული მოგვეცა, ასე რომ ვინც კუზიანი სომეხი იპოებოდა სულ შესწორდნენ. შენი უერთგულესი დ. ყორღანოვი" (ორბელიანი 1936: 56).

წერილის მოხმობილ ამონარიდში ნახსენებ „მილიციაში" იგულისხმება სამეგრელოსა და იმერეთის მილიციის რაზმები, რომლებიც გაიგზავნა გურიაში აჯანყების ჩასახშობად. ქართველი თავადაზნაურობისა და გლეხებისაგან შემდგარი მილიციის რაზმები იბრძოდნენ აგრეთვე კავკასიელი მთიელების წინააღმდეგ.

გიორგი ლეონიძე თავის გამოკვლევაში „ორი შენიშვნა ბარათაშვილზე. 1. ნ. ბარათაშვილი და 1841 წ. გურიის აჯანყება", რომელიც დაიბეჭდა 1835 წელს კრებულში „ლიტერატურული მემკვიდრეობა", სინანულს გამოთქვამს იმის გამო, რომ „ეს დოკუმენტი (იგულისხმება ნიკოლოზ ბარათაშვილის განსახილველი წერილი - მ.ც.) ჩვენს ლიტერატურაში დღემდის გვერდავლილია" და ასეთ კომენტარს უკეთებს წერილის განსახილველ ფრაგმენტს:

„პოეტი მოხარულია, რომ ეგზეკუციაში მონაწილე გრიგოლმა თითქოს ჩვეული დიპლომატობით შეაგონა გურულებს ყოველივე ის შედეგი, რაც მოჰყვებოდა გლეხობისთვის აჯანყებას („ხუმრობა არ არის, რომ ქართველმა კაცმა გურულებს შეაგონოს ყოველივე უბედურება, რომელიც შეუდგების აღშფოთებას") და იწონებს რა არღუთინსკი-ორბელიანის სამხედრო და დიპლომატიურს ღონისძიებებს, დასძენს: „შაბაშ, მკლავთა და განკარგულებათა თქვენთა!"

შემდეგ მკვლევარი განაგრძობს: „ბარათაშვილის ამ გაკვრით გამოთქმულ აზრში მჟღავნდება მაშინდელი ქართველი თავად-აზნაურობის საერთო განწყობილება. იგი რუსეთის იმპერატორის ტახტის ერთგულების განსამტკიცებლად იარაღით იბრძოდა არა მარტო მთიელებისა, არამედ საქართველოს გლეხთა და წვრილ ხელოსანთა აჯანყებების დასათრგუნადაც“ (ლიტერატურული მემკვიდრეობა 1935: 626). „წვრილ ხელოსანთა აჯანყებებში“ ლეონიძე გულისხმობს თბილისის ამქართა აჯანყებას 1865 წელს, რომლის ჩახშობაც ასევე გრ. ორბელიანს მოუხდა.

გამოვთქვამთ განსხვავებულ მოსაზრებას ამ საკითხთან დაკავშირებით. შესაძლოა „მაშინდელი ქართველი თავად-აზნაურობის საერთო განწყობილება“, როგორც მკვლევარი აღნიშნავს, მართლაც ასეთი იყო, მაგრამ ჩვენი აზრით, მისგან ცოტათი მაინც განსხვავდებოდა პოეტისა და მისი ამ წერილის ადრესატის - გრ. ორბელიანის განწყობილება. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს შემდეგი:

„შაბაშ, მკლავთა და განკარგულებათა თქვენთა!“ (შაბაშ! აქ (ძვ.) შორისდებული: ვაშა! ყოჩაღ! ბარაქალა!) (ქეგლ: 1019) - ამ ფრაზით გამოხატა ნ. ბარათაშვილმა თავისი ირონია, საყვედური და მუნათი საკუთარი ბიძისა და სხვა ქართველი მხედრების მიმართ, რომლებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს მოძმე გურულების აჯანყების ჩახშობაში. ამ დამსახურებისათვის გრ. ორბელიანი ნამდვილად მოელოდა ჯილდოს, რომელსაც, როგორც მოსე დოლგორუკოვ-არღუთინსკისადმი გაგზავნილი მისი 1842 წლის 11 ივნისის წერილიდან ირკვევა, მისი უკეთეს ადგილზე გადაყვანისათვის უნდა შეეწყო ხელი. „ვიცი, კნიაზო გიამებათ, მე ყელზე სტანისლავა მომცეს ოსებისათვის (იგულისხმება ოსური სოფლების დასამორჩილებელად გამართული კამპანია და ამისათვის მიღებული წმ. სტანისლავის მე-2 ხარისხის ორდენი - მ. ც.), და თუ გურიისთვისაც გამოტყვრა რამე, მაშინ გევედრებით, კნიაზო, ნუ დამაგდებთ ამ გარნიზონებში, რა უნდა გავაკეთო ალექსანდროპოლში, სადაცა მაძლევენ ბატალიონსა? ოღონდ წამიყვანეთ თქვენთან, და გინდ სალდათის მაგიერ მამსახურეთ”. გრ. ორბელიანი მართლაც დააწინაურეს გურიის აჯანყების ჩაქრობაში მონაწილეობისათვის. დ. ყიფიანის ცნობით „ქუთაისს იქით ჩვენ წასვლა არ მოგვიხდა. თ-მა არღუთინსკიმ ეს საქმეც ბრწყინვალედ დაამთავრა, როგორც ჩვეულებრივ იყო ხოლმე საომარი მისი ღვაწლი. აქ დააწინაურა

მან კაპიტანი, თ-დი ორბელიანი, შემდეგში გენერალ-ადიუტანტი, გენერალი ინფანტერიისა, გრიგოლ დიმიტრის ძე, ერთხელ რომ ასრულებდა კავკასიის მთავარმართებლის თანამდებობას” (ყიფიანი 2003: 132).

მოსე არღუთინსკისთან მიწერილი ამ სიტყვების პარალელურად საყურადღებოა ისიც, თუ რას სწერდა გრ. ორბელიანი თავის ძმას ზაქარიას 1842 წლის 11 ივნისს ქუთაისიდან: „ოსებისათვის სტანისლავა ყელზე მომივიდა. ამის იმედი სრულებით არა მქონდა, ახლა თუ გურიისათვისაც გამოვიდა ზედ დატანებით, **ძალიან ცუდი იქნება**” (ხაზგასმა ჩვენია -მ. ც). ამ ბოლო ფრაზაში - „ძალიან ცუდი იქნება“, ვფიქრობთ, ჩანს გრიგოლ ორბელიანის შინაგანი ჭიდილი, სინდისის ქენჯნა და სინანული რუსეთის იმპერიის მიერ წარმოებულ ბრძოლებში მონაწილეობისათვის.

ჩვენი ყურადღება მიიპყრო ასევე ნ. ბარათაშვილის ფრაზის „მითამ როდის და რაში არა ვჰყოფილვართ კარგნი, მაგრამ **ჩიმი ქუნიმ!“** (ხაზგასმა ჩვენია - მ.ც.) სპარსულმა დაბოლოებამ, რომლის სწორი ვარიანტია: ჩე მიქონამ (სპარს.) – რას ვიზამთ. ფრაზაში - „მითამ როდის და რაში არა ვჰყოფილვართ კარგნი, მაგრამ ჩიმი ქუნიმ!“ - გამოხატული უნდა იყოს ნ. ბარათაშვილის წუხილი და გულისტკივილი სამშობლოს დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრიობის დაკარგვისა და რუსეთის მიერ წარმოებულ იმპერიულ ომებში ქართველი მხედრების მონაწილეობის გამო. მივყვეთ ტექსტს: „მჯერა სარდლობა არღუთინსკისა, ს[აგინოვ]ისა და გურამოვისა, რადგანაც შენ აქებ, **მაგრამ მინდა ერთი ჩაგიხველოთ**“ (ხაზგასმა ჩვენია - მ. ც.) შენი დიპლომატობა ხომ ადრევე ვიცოდი: ხუმრობა არ არის, რომ ქართველმა კაცმა გურულებს შეაგონოს ყოველივე უბედურება, რომელიც შეუდგების აღშფოთებას, შაბაშ, მკლავთა და განკარგულებათა თქვენთა!“

თედო სახოკია განმარტავს: „ჩახველება – მსუბუქი დაცინვა, ნათქვამზე ეჭვის მიტანა“ (სახოკია 1979: 774). იმ შემთხვევაში, თუ ნ. ბარათაშვილი სრულად და უპირობოდ იზიარებს ამ თვალსაზრისს „მაშინდელი ქართველი თავად-აზნაურობის საერთო განწყობილების“ შესახებ ან თუნდაც გრ. ორბელიანისეულ პათოსს ამ აჯანყების ჩაქრობაში ქართველთა მონაწილეობის საპატიო საქმედ მიჩნევის შესახებ, მაშინ, ამ კონტექსტში ლექსემა „ჩაგიხველოთ“ უადგილოდ მოსჩანს.

სწორედ ამის გამო ვფიქრობთ, რომ ამ სიტყვებში გამოხატულია ნ. ბარათაშვილის ფარული, გულში ღრმად დამარხული წუხილი და ტკივილი სამშობლოს კოლონიური მდგომარეობისა და რუსეთის მიერ წარმოებულ იმპერიულ ომებში ქართველი მხედრების მონაწილეობის გამო.

4. სხვა ისტორიული მოვლენებისა და ფაქტების გამოძახილი, მათთან დაკავშირებული პირები

გარდა წინა პარაგრაფებში განხილული ისტორიული მოვლენებისა, ნ. ბარათაშვილის პირად წერილებში გვხვდება სხვა მნიშვნელოვანი ფაქტების გამოძახილიც და მათი ადრესანტისეული შეფასება, რომელთაც მიმდინარე ქვეთავში შევეხებით.

უპირველესად ეს არის სენატორ განის რეფორმა და მისი შედეგები.

„ძლივს საქართველოს მოუვიდა რუსი, რომელსაც ეყურება აქაურობისა - იმედია, რომ პოზინი კეთილად წარმართავს ჩვენ გარემოებას. მინისტრს შვიდს მაისს მოველით ერევანზედ“- სწერს იგი გრიგოლ ორბელიანს 1842 წლის 2 მაისის წერილში (წერილი VI).

მოკლედ საკითხის ისტორიის შესახებ.

„რუსში, რომელსაც ეყურება აქაურობისა“ ნ. ბარათაშვილს მხედველობაში ჰყავს სტატს-მდივანი მ. პოზენი. იგი მოვლინებულ იქნა საქართველოში იმპერატორ ნიკოლოზ I-ის მიერ სენატორ ბარონ განის (1793-1861) მიერ აქ განხორციელებული მმართველობითი რეფორმის სარევიზიოდ. აღნიშნული რეფორმის შედეგად მმართველობა რეორგანიზებულ იქნა რუსეთში არსებული წესების მიხედვით, რამაც გამოიწვია კანცელარული ფორმალიზმის და საერთოდ ბიუროკრატიზმის გაძლიერება. სამოქალაქო სამართალში ნაცვლად იმ დრომდე მოქმედი ვახტანგ მეფის კანონებისა შემოღებული ქნა რუსეთის კანონები. ამასთანავე სახელმწიფო გადასახადებს დაემატა საერობო გადასახადები. ამიერკავკასიის მთავარსამმართველოს საბჭომ გამოიტანა დადგენილება, რომლის მიხედვითაც აიკრძალა ადგილობრივი (ქართველი და სხვა) გლეხების ყიდვა-გაყიდვა. ამ

რეფორმებმა დიდი უკმაყოფილება და აურზაური გამოიწვია ქართველ თავადაზნაურობაში. მან მიიჩნია, რომ ამით ჰკარგავდა თავის საკუთრებას და იმ უფლებებს, რომლებიც მას ვახტანგ მეფის კანონებით ჰქონდა დადგენილი და რუსეთის იმპერატორის 1801 წლის მანიფესტებით დადასტურებული. სხვა საპროტესტო ღონისძიებებთან ერთად თავადაზნაურობამ სპეციალური დეპუტაცია გაგზავნა სანკტ-პეტერბურგში გუბერნიის თავადაზნაურთა მარშლის დიმიტრი ორბელიანის (1796-1868) წინამძღოლობით. ამ ვიზიტის შედეგად საქართველოში გამოიგზავნენ მ. პოზენი და იმპერიის სამხედრო მინისტრი ა. ჩერნიშოვი. მათ შეისწავლეს საკითხი და აღადგინეს გაუქმებული მმართველობითი წესები. ბარონი განი დათხოვილ იქნა სამსახურიდან, რადგან მისი მოქმედება სანკტ-პეტერბურგის უმაღლეს წრეებში შეფასდა მოღალატურად, რომელსაც შეეძლოთ მთელი ქართველი თავადაზნაურობის აჯანყება გამოეწვია.

წერილში ნახსენები „პოზინისა“ და „მინისტრის“ ვინაობა და მათი ბიოგრაფიული ცნობები მოყვანილი გვაქვს სადისერტაციო ნაშრომის III თავის მე-6 ქვეთავში, რის გამოც აქ მათ შესახებ სიტყვას აღარ გავარგძელებთ.

საგულისხმოა ნ. ბარათაშვილის მიერ მოთხრობილი ამბავი თბილისში სპარსეთის შაჰის მდივნის მირზა-სალის შესახებ. მირზა სალის შესახებ ასევე ვისაუბრეთ III თავის მე-6 ქვეთავში.

„გუშინ შაჰის ელჩი შემოვიდა, თუ გახსოვს, მირზა-სალი, ევროპიის ენებზედ მოლაპარაკე, განვითარებული კაცი. მაზეგ რომ სამშაფათია, დიდს ბალს უკეთებს მთავარმმართებელი (იგულისხმება კავკასიის იმჟამინდელი მთავარმართებელი ალექსანდრე ივანეს ძე ნეიდგარდტი, მის შესახებ იხ. თავი III-ის მე-6 პარაგრაფი - მ.ც.) მაგრამ, ვინც შენ გეგულება, არც ერთი ჩვენი ქართველი ქალი აქ არ არის და გაიხარე, რომ ბალში არ იქნებიან. Но и тутъ оне выигриваютъ; будь вместо Мирза-Сали граф Чичероне, оне тотчас бы приехали на балъ. ბალის ამბავს შეგატყობინებ“ - სწერს ნ. ბარათაშვილი გრიგოლ ორბელიანს 1843 წლის 21 აგვისტოს წერილში (წერილი IX).

ცნობილი გერმანელი მეცნიერი, ეთნოგრაფი, ბარონი აუგუსტ ჰაქსჰაუზენი (1792-1866), რომელიც რუსეთის მთავრობის დაფინანსებით ქვეყნის გუბერნიებში მოგზაურობის დროს 1843 წლის აგვისტო-სექტემბერში საქართველოსაც სწვევია, ასე

აგვიღწერს მთავარმართებელ ა. ნეიდჰარდტს, სპარსეთის ელჩსა და თბილისში მისი დახვედრის ამბავს: „მას (ნეიდჰარდტს – მ. ც.) ჰქონდა სახელი ჭკვიანი, ენერგიული და პირდაპირი კაცისა; იყო ნიჭიერი გენერალი, მაგრამ, საუბედუროდ, მომდევნო წელს უკან გაიწვიეს და შეცვალეს თავადი ვორონცოვით. ნეიდჰარდტმა მეორე დღეს (13 აგვისტოს – მ. ც.) მიმიწვია განსაკუთრებულ ზეიმზე თბილისში, კერძოდ, სპარსელი ელჩის მიღებაზე. კავკასიის გენერალ-გუბერნატორს („გენერალ-გუბერნატორს“ ა. ჰაქსჰაუზენი მთვარმართებლის მნიშვნელობით ხმარობს - მ. ც.) უკავია ვიცემეფის თანამდებობა (ადგილი), რაც აზიელ მეგობრებზე – თურქებსა და სპარსელებზე ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, რომ მას უყურებენ და უკავშირდებიან როგორც მმართველს. ახლად მოსული გენერალ-გუბერნატორი ყოველთვის გზავნის ოფიცრებისაგან შემდგარ პატარა ელჩობას თეირანში, რათა სპარსეთის შაჰს აცნობოს თავისი დადგინება. შაჰიც საპასუხოდ თავის პირად ელჩს გზავნის თბილისში, რათა ახალ გენერალ-გუბერნატორს მიულოცოს; ამასთან არ ავიწყდება, რომ გამოუგზავნოს სპარსული „მზის“ ორდენი. აღნიშნულ დღეს 12 საათზე ჩვენ ყველა შევიკრიბეთ გენერალ-გუბერნატორის სასახლის დიდ დარბაზში; გარეთ, მოედანზე იდგნენ რაზმები თავისი მუსიკოსთა გუნდით. როცა ელჩი მოვიდა, გენერალ-გუბერნატორი მას შეხვდა დარბაზის კართან, რომელიც სავსე იყო გენერლებით, ოფიცრებითა და ქართველი დიდებულებით. სპარსელი იყო მაღალი, გამხდარი, მაგრამ კუნთიანი აღნაგობის კაცი მკვეთრი სახის ნაკვთებით. მისი მუქი ყავისფერი სახე მაღალი შავი ქუდით ქმნიდა საოცარ კონტრასტს გრძლად ჩამოშვებულ თოვლივით თეთრ სამოსთან. ის თავისუფლად ლაპარაკობდა ფრანგულად და თავი ეჭირა ზრდილობიანად და თამამად. ის იჯდა გენერალთან ერთად დივანზე და ესაუბრებოდა თამამად“ (ჰაქსჰაუზენი 2011: 98). ცნობილი გერმანელი მოგზაურის მორიც ვაგნერის ცნობით, რომელმაც 1843-1846 წლებში შავიზღვისპირა ქვეყნებში, კავკასიაში, ქურთისტანსა და სპარსეთში იმოგზაურა, სპარსეთის შაჰს ა. ნეიდჰარტის ვაჟი ხლებია მამის მთავარმართებლად დანიშვნასთან დაკავშირებით. „მისი (ნეიდჰარდტის – მ. ც.) უფროსი ვაჟი, ელეგანტური ოფიცერი, ის იყო დაბრუნდა თეირანიდან, სადაც ის შაჰს თავისი მამის სახელით მიესალმა, და აცნობა მისი

დანიშვნა (დამკვიდრება) მეზობელ სამფლობელოში, წაუღო საჩუქრები და თვითონაც ასევე მიიღო“ (ვაგნერი 2002: 58).

საინტერესოა აგრეთვე წერილი XVII - [1845 წლის] 23 აგვისტოს წერილი ბარბარე საგინაშვილისადმი მურუტიდან გაგზავნილი წერილის ფრაგმენტი:

„ამ ოთხი დღის წინათ თამართან ვიყავ დილიჯანში; პრინცს მოველოდი გატეხილს ხიდზედ, აღარ მოვიდა და იქ შევბრუნდი“.

აქ ნახსენები „პრინცი“ არის **ალექსანდრე ჰესენ-დარმშტადტელი** (1823-1888) (იხ. სადისერტაციო ნაშრომის III თავის მე-6 ქვეთავი). 1845 წლის 19 ივლისს, დარღოს ექსპედიციის დროს ვორონცოვსა და მის რაზმს, რომელშიც პრინციც ირიცხებოდა, მიეშველა და დაღუპვას გადაარჩინა გენერელ რ. კ. ფრეიტაგის (1802-1851) რაზმი. ამის შემდეგ ისინი მიღებული ჭრილობების მოსაშუშებლად, სამკურნალოდ და დასასვენებლად გაეშურნენ კავკასიის მინერალურ წყლებზე – პიატიგორსკსა და კისლოვოდსკში. „კისლოვოდსკში ვორონცოვი დაახლოებით ორ თვეს დარჩა, მასთან ჩავიდა მისი კნეინაც, იქვე გადავიდა მთელი მისი შტაბიც, და კისლოვოდსკი შეიქნა ყველაზე ხალისიანი ცხოვრების ცენტრად. პრინცმა ალექსანდრე ჰესენელმა, ბარიატინსკიმ და ახალგაზრდების საუკეთესო ნაწილმა თავადის ირგვლივ მოიყარეს თავი, ხანდახან ჩვენც მივემგზავრებოდით ხოლმე მათთან პიატიგორსკიდან, რომ კისლოვოდსკური ცხოვრებისა და საზოგადოების მთელი სიმშვენიერე შეგვეგრძნო“ - იხსენებს რუსი გენერალი და სახელმწიფო მოღვაწე, კავკასიური ომების მონაწილე ა. მ. დონდუკოვ-კორსაკოვი (http://www.vostlit.info/Texts/Dokumenty/Kavkaz/XIX/1840-1860/Dondukov_Korsakov/text11.htm). ბარონ ალექსანდრე ნიკოლაის (1821-1899) ცნობით, რომელიც მისი დღიურიდანაა ამოღებული, ჰესენის პრინცი კისლოვოდსკიდან 9 აგვისტოს „ვიტჰენშტეინისა და სამსონოვის თანხლებით, გამოემგზავრა საქართველოს სამხედრო გზით თბილისში. წასვლას აპირებდა ირანში, საითკენაც გზა დილიჯანზე იდვა” (ხელთუბნელი 1940: 362). ბარათაშვილი მას სამსახურეობრივი მოვალეობის გამო უნდა დახვედროდა გატეხილ, იგივე წითელ ხიდთან, თუმცა ეს აღარ მომხდარა. პრინცის ამ გამგზავრებაზეა ლაპარაკი. წითელ, იგივე გატეხილი ხიდზე მდინარე ხრამის ნაპირზე, რომელიც თბილისის სამხრეთ-აღმოსავლეთით, საქართველოსა და აზერბაიჯანის საზღვარზე მდებარეობს,

გადიოდა თბილისიდან წინა აზიის ქვეყნებისაკენ მიმავალი საქარავნე გზა, საიდანაც შემდეგ აზიის და ევროპის ქვეყნებში შეიძლებოდა გასვლა. გატეხილი ხიდიდან დილიჯანამდე მანძილი დაახლოებით 70 კილომეტრია.

წინამდებარე ქვეთავში მოყვანილი ნ. ბარათაშვილის წერილებში ნახსენები ისტორიული მოვლენები, ადრესანტისეული კომენტარები, დაკვირვება და მათი შედარება სხვა თანადროულ დოკუმენტებთან ადასტურებს იმას, რომ ნ. ბარათაშვილის ეპისტოლური მემკვიდრეობა შესაძლოა განვიხილოთ როგორც XIX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი საინტერესო წყარო.

ნაშრომის ძირითადი დასკვნები

ნიკოლოზ ბარათაშვილის პირადი წერილები, რომელიც პოეტურ ნიმუშებთან ერთად მისი ლიტერატურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს, უაღრესად საინტერესო წყაროა XIX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური, კულტურული ყოფისა და პოეტის გარემოცვისა და საახლობლო წრის შესასწავლად და დასახასიათებლად.

ამ შესწავლამ, რომელიც დაემყარა როგორც წინარე მკვლევართა ნაშრომებს, ასევე ჩვენს მიერ მოძიებულ ბოლოდროინდელ ისტორიულ-ლიტერატურულ და სხვა წყაროებსა და კვლევებს, მრავალი საყურადღებო შედეგი მოგვცა, რომლებიც შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

ნ. ბარათაშვილი ქართველი უმაღლესი არისტოკრატიის წარმომადგენელია, ქართლ-კახეთის ბაგრატიონთა სამეფო ოჯახის შთამომავალი და მამის მხრივ ბარათაშვილთა, ხოლო დედის მხრივ ორბელიანთა ცნობილი სათავადო სახლების შვილი. ბარათაშვილთა და ორბელიანთა გვარებს შორის არსებობს გარკვეული ურთიერთმიმართება, რომელსაც მიეძღვნა თანამედროვე ქართველ ისტორიკოსთა შრომები. მათზე დაყრდნობით და ბოლოდროინდელი კვლევების გათვალისწინებით სადისერტაციო ნაშრომის I თავის 1-ლ ქვეთავში ეს ურთიერთმიმართება შეძლებისდაგვარად სრულად და ამომწურავად არის განხილული, რაც ამდიდრებს ჩვენს ცოდნას პოეტის წარმომავლობის შესახებ. ამ წარმომავლობის წყალობით ნ. ბარათაშვილს ცხოვრება უხდებოდა ქვეყნის პოლიტიკურ და კულტურულ ელიტაში, რის გამოც მისი გარემოცვის შესწავლა მეტად საშური საქმეა. იგი იძლევა საინტერესო საკვლევ და საანალიზო მასალას პოეტის თანადროული საქართველოს საზოგადოებისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიისათვის.

I თავის მე-2 ქვეთავში განხილულია ნიკოლოზ ბარათაშვილის გენეალოგიის საკითხი. ნაჩვენებია, რომ პოეტის მამის მელიტონის მიერ წარმოდგენილი ნუსხა არ არის ზუსტი და იგი შეცვლილია ცნობილი ქართველი გენეალოგის ი. ჩიქოვანის მიერ შედგენილი ზუსტი გენეალოგიური ტაბულით, რომელიც დანართის სახით ერთვის სადისერტაციო ნაშრომს და რომელიც მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს;

I თავის მე-3 ქვეთავი ეძღვნება პოეტის ოჯახურ წრეს, მის უახლოეს ნათესავებს: მშობლებს, დებს, ბიძებს, მამიდას და მამიდაშვილებს. დასახელებული პირების ბიოგრაფიები გამდიდრებულია უახლოესი საყურადღებო ცნობებით. შესწავლილია პოეტის დებისა და მათი შთამომავლების ცხოვრებისა და მოღვაწეობის ეპიზოდები. მნიშვნელოვანია პოეტის მამიდისა და მამიდაშვილების გიორგი და ქეთევან საგინაშვილების ირგვლივ ჩატარებული კვლევები. მოყვანილია მათი სწორად იდენტიფიკაციისათვის საჭირო დამატებითი არგუმენტაცია.

სადისერტაციო ნაშრომის II თავში, რომელიც ეძღვნება ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილების ადრესატებს გრიგოლ, ზაქარია და მაიკო ორბელიანებს, მიხეილ თუმანიშვილს და ალექსანდრე და ბარბარე საგინაშვილებს, მათი და პოეტის ურთიერთდამოკიდებულების საკითხებს, სამეცნიერო სიახლის თვალსაზრისით განსაკუთრებით ღირებულია ჩვენს მიერ მოძიებული ახალი ცნობები მაიკო ორბელიანის, მისი საქმროსთან, ლევან მელიქიშვილთან ურთიერთობისა და მათი კანონგარეშე შვილის ივანე მელიქიშვილის შესახებ. ასევე ალექსანდრე და ბარბარე საგინაშვილების ბიოგრაფიული ცნობების შეკრება და მათი შესძლებისდაგვარად სრულად წარმოდგენა. უახლესი გამოკვლევების საფუძველზე წარმოდგენილია საყურადღებო დაკვირვებანი პოეტისა და ბიძამისის გრიგოლ ორბელიანის ურთიერთობის ირგვლივ.

სადისერტაციო ნაშრომის ყველაზე ვრცელი III თავი ეხება ნიკოლოზ ბარათაშვილის პირად წერილებში მოხსენიებულ პირთა იდენტიფიკაციას. ამ საკითხში, მიუხედავად წინარე მკვლევართა მნიშვნელოვანი დამსახურებისა შეინიშნებოდა თეთრი ლაქები. ჩატარებული კვლევითი სამუშაოს შედეგად შეძლებისდაგვარად აღმოფხვრილია მრავალი ხარვეზი. სანიმუშოდ შეიძლება დავასახელოთ მხოლოდ რამდენიმე მათგანი.

დასახელებული თავის 1-ლ ქვეთავში, რომელიც ნ. ბარათაშვილის თანაგიმნაზიელ და სხვა მეგობრებს ეძღვნება, ერთ-ერთ მნიშვნელოვან სამეცნიერო სიახლეს წარმოადგენს შემდეგი: ანთროპონიმ „იასეში“, რომელიც გვხვდება ორგან, წერილებში I და VIII, ნაგულისხმევი პირი არ არის ერთი და იგივე პირი, როგორც ეს აქამდე იყო მიჩნეული - ნ. ბარათაშვილი წერილების წინარე გამოცემების უკლებლივ

ყველა კომენტატორი ამ წერილებში ნახსენებ „იასეებს“ ერთ პირად მიიჩნევდა - იასე ადამის ძე ანდრონიკაშვილად.

საკითხის საგულდაგულო კვლევისა და წყაროების შესწავლის შედეგად ჩვენს მიერ დადგენილია, რომ წერილებში მოხსენიებულია ორი სხვადასხვა პირი - VI წერილში ნახსენები „იასე“ არის არა ნიკოლოზ ბარათაშვილის თანაგიმნაზიელი, სამოქალაქო პირი იასე ადამის ძე ანდრონიკაშვილი (1814-1892), არამედ სამხედრო პირი იასე იოსების ძე ანდრონიკაშვილი (1798-1863).

III თავის მე-2 ქვეთავში, რომელიც ნ. ბარათაშვილის ნათესავ და მეგობარ ქალებს ეძღვნება, მნიშვნელოვანია ვრცელი გამოკვლევა, რომელიც მიეძღვნა იდენტიფიკაციის საკითხებს XVI წერილში ნახსენები ქალბატონების - „პატარძალ სოფიოსა“ და „მეორე სოფიოსი“. წერილების წინარე გამოცემებში ისინი არასწორად იყვნენ იდენტიფიცირებულნი. ჩვენს მიერ საკითხის შესწავლის შედეგად ვასაბუთებთ შემდეგს:

„„პატარძალ სოფიოდ“ მივიჩნევთ სოფიო კონსტანტინეს ასულ ორბელიანს (27.08.1827-07.01.1884), ხოლო მეორედ – სოფიო იაკობის ასულ ორბელიანს (1829-1861). აღნიშნული გამოკვლევის მიზნებისათვის გენეალოგ ი. ჩიქოვანის ტაბულების საფუძველზე შევადგინეთ სპეციალური გენეალოგიური ტაბულა, რომელიც დანართის სახით ერთვის სადისერტაციო ნაშრომს (იხ. ტაბ. 3 - ორბელიანები და დედით ორბელიანები).

III თავის მე-3 ქვეთავი დათმობილი აქვს ნ. ბარათაშვილის ტრფობის ობიექტებსა და პოეტურ მუზებს, რომლებიც ასევე ბოლოდროინდელი კვლევების საფუძველზეა წარმოდგენილი. შევისწავლეთ და სადისერტაციო ნაშრომში მოგვყავს პოეტის ერთ-ერთი პოეტური მუზის, XIV და XV წერილებში ნახსენები გონჩა ბეგუმის - აზერბაიჯანელი პოეტი ქალის გონჩაბეიიმის (აზერბ. *Qönçəbəyim*), (1827-?) ბიოგრაფიული ცნობები.

III თავის მე-4 ქვეთავი ეძღვნება ნ. ბარათაშვილის ახლობელთა ერთი წრისა და კერძო წერილების პერსონაჟების, სახელდობრ მისი სიძის, პოეტის უფროსი დის ეკატერინეს მეუღლის რევაზ ერისთავის (1812-1881) ოჯახური წრის (დედის, ბიძის, და-ძმების, რძლების) შესწავლას, მათ ირგვლივ არსებული ბიოგრაფიული

ცნობების მოძიებას, თავმოყრასა და არსებულის დაზუსტებას. კვლევა იმ თვალსაზრისითაცაა საყურადღებო, რომ ამ ოჯახის ზოგიერთი წევრი და ნათესავი (ლევან ერისთავი, დავით ჯორჯაძე, ბარძიმ ამილახვარი...) 1832 წლის შეთქმულების მონაწილეცაა.

III თავის მე-5 ქვეთავი ეძღვნება IX და XIII წერილებში მოხსენიებულ პირებს. ეს წერილები მოხსენიებულ პირთა სიმრავლით გამოირჩევიან ნ. ბარათაშვილის წერილებში. დადგენილ-დაზუსტებულია და სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილია ბიოგრაფიული ცნობები და ცხოვრება-მოღვაწეობის ამსახველი ფაქტები შემდეგი პირებისა: ლეონტი იაკობის ძე სავარსამიძე (1778-1838) და მისი მეუღლე სიდონია ზაალის ასული გურამიშვილი (?-1863), აპოლონ სტეფანეს ძე სივრიჩი და მისი მეუღლე მარიამი, ანა ქაიხოსროს ასულ ჩოლაყაშვილისა და სეკუნდ-მაიორ ისაი ახვერდოვის ქალიშვილი, ნიკოლოზ პავლეს ძე ბეზაკი (1804-1979) და მისი მეუღლე, გრიგოლ ორბელიანის ყოფილი დანიშნული სოფიო ყაფლანის ასული ორბელიანი, გრიგოლ (გიორგი) სვიმონის ძე წერეთელი (1804-1861 წლის შემდეგ), ქაიხოსრო ბაგრატის ძე ბაგრატიონ-მუხრანელი (1799-1857), ალექსანდრე ივანეს ძე სუმბათაშვილი (1801-1847), ესტატე მირმანოზის ძე ერისთავი (1810-1882) და მისი ქალიშვილი ანა ესტატეს ასული ერისთავი (1844-1920), იაკინთე დიმიტრის ძე ალექსი-მესხიშვილი (1805-1878) და სხვ.

III თავის მე-6 ქვეთავში უახლესი მასალების საფუძველზე განხილულია ნ. ბარათაშვილის პირად წერილებში ნახსენები რუსი და სხვა უცხოელი პირნი - კავკასიის მთავარმართებლები და მათი ოჯახის წევრები, საიმპერატრო კარის წევრნი, კავკასიაში მომსახურე იმპერიის სამსახურში მყოფი სამხედრო და სამოქალაქო პირები, მათ იდენტიფიკაციასა და ბიოგრაფიული ცნობების დაზუსტების, აგრეთვე წერილების ადრესანტისა და მისი თანამედროვე ქართველების მათთან ურთიერთობისა და პოლიტიკურ-საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში მათი მონაწილეობის საკითხები.

სამეცნიერო სიახლის თვალსაზრისით გამორჩეულია სადისერტაციო ნაშრომის IV თავი - წერილებში მოხსენიებული პირები და წერილთა დათარიღება. მისი 1-ლი ქვეთავი ეძღვნება და ნ. ბარათაშვილის XIII წერილის, ხოლო მე-2 ქვეთავი - VII

წერილისა და ლექსის „საფლავი მეფის ირაკლისა“ დათარიღების საკითხებს. წარმოდგენილი კვლევის საფუძველზე დასაბუთებულია, რომ ამ წერილთა აქამდე არსებული სავარაუდო დათარიღება შეიძლება შეიცვალოს და დაზუსტდეს. კერძოდ, პირველ შემთხვევაში დათარიღება [1844 წლის 15 აგვისტოს შემდეგ] უნდა შეიცვალოს 1844 წლის 18-დან 20 აგვისტომდე პერიოდით, ხოლო მეორე შემთხვევაში - [1842 წელი] 1842 ივლისის პირველ დეკადით. დაახლოებით ამავე პერიოდით უნდა დათარიღდეს წერილში ჩართული ლექსიც „საფლავი მეფის ირაკლისა“. მნიშვნელოვანია აგრეთვე დასკვნა VII წერილში ნახსენები პირის „კნიაზ ბარათოვის“ იდენტიფიკაციის შესახებ. გამყარებულია არგუმენტაცია მისი მიხეილ (მელქისედეკ) პეტრეს ძე ბარათაშვილად მიჩნევისა, ნაცვლად სულხან გერმანოზის ძე ბარათაშვილისა, როგორადაც ის არის წარმოდგენილი პოეტის წერილების ზოგიერთ გამოცემაში. აღნიშნული შედეგები მეტად მნიშვნელოვანია ბარათაშვილოლოგიისა და ზოგადად ქართული ლიტერატურათმცოდნეობისათვის.

სადისერტაციო ნაშრომის V თავში - ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლური მემკვიდრება და ისტორიული კონტექსტი - პირველად არის განხილულია პოეტის პირად წერილებში მოხსენიებულ პირთა 1832 წლის შეთქმულებაში, რუსეთ-კავკასიის ომში და 1841 წლის გურიის აჯანყებაში მონაწილების საკითხები. წარმოდგენილია მათი სია, მოყვანილია ბიოგრაფიები, აღნიშნულ ისტორიულ მოვლენებში მონაწილეობის ეპიზოდები, შესწავლილია პოეტისა და ამ პირთა ურთიერთდამოკიდებულების საკითხები, პოეტის კომენტარები ამ ისტორიულ მოვლენებზე, რაც ერთი მხრივ გვაძლევს საანალიზო მასალას ნ. ბარათაშვილის პოლიტიკური მრწამსის დასაზუსტებლად, მეორე მხრივ ამდიდრებს ქართულ ისტორიულ მეცნიერებას ამ მოვლენების შესწავლის საკითხში.

გამოკვლევაში წარმოდგენილია ცნობები 1832 წლის მონაწილე მხოლოდ იმ პირთა შესახებ, რომლებიც ნ. ბარათაშვილის ჩვენამდე მოღწეულ პირად წერილებში ფიგურირებენ. მათი რიცხვი 20-მდე აღწევს, მათგან 3 ქალია, რაც განსახილველი ეპისტოლურ მემკვიდრეობის ამ მცირე მოცულობის კვალობაზე არც თუ ისე ცოტაა და ირიბად გვიქმნის წარმოდგენას 1832 წლის შეთქმულების მონაწილეთა სიმრავლესა და მის მასშტაბურობაზე.

წარმოდგენილ კვლევას და წერილების მოხმობილ ამონარიდებს, როგორც საანალიზო მასალას ნ. ბარათაშვილის პოეტურ ნიმუშებთან და სხვა წყაროებთან ერთად გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება პოეტის პოლიტიკური მრწამსისა და ორიენტაციის დასადგენად და დასაზუსტებლად, რაზეც დღესაც არსებობს აზრთა სხვადასხვაობა.

V თავის მე-4 ქვეთავში განხილულია ასევე სხვა ისტორიული მოვლენებისა და ფაქტების გამოძახილი (განის რეფორმა და მისი რევიზია, სპარსეთის ელჩის ვიზიტი თბილისში, პრინც ჰესენელის არშემდგარი ჩასვლა წითელ ხიდზე), რომელთა შესახებ პოეტის აზრიც ასევე მეტად საინტერესოა და ამასთან ეს მოვლენები განხილულია მათ სხვა თანადამსწრეთა - უცხოელი მოგზაურებისა თუ სხვა პირების ჩანაწერების პარალელურ ტექსტებთან ერთობლიობაში, რაც ადასტურებს ამ ფაქტების სისწორეს და ნ. ბარათაშვილის ეპისტოლური მემკვიდრეობას წარმოგვიდგენს, როგორც საიმედო და უტყუარ ისტორიულ წყაროს.

ლიტერატურა

1. **XIX-XX საუკუნეების... 2011:** XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. I. ალექსანდრე ჭავჭავაძე, სოლომონ დოდაშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილი. თბილისი. „უნივერსალი“. 2011.
2. **XIX-XX საუკუნეების... 2012:** XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. II. გრიგოლ ორბელიანი (ნაწილი I). თბილისი. „საარი“. 2012.
3. **XIX-XX საუკუნეების... 2012:** XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. III. გრიგოლ ორბელიანი (ნაწილი II). „საარი“. თბილისი. 2012.
4. **XIX-XX საუკუნეების... 2013:** XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. IV. გრიგოლ ორბელიანი (ნაწილი III). „უნივერსალი“. თბილისი. 2013.
5. **XIX-XX საუკუნეების... 2014:** XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. V. გრიგოლ ორბელიანი (ნაწილი IV). „უნივერსალი“. თბილისი. 2014.
6. **XIX-XX საუკუნეების... 2015:** XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. VI. გრიგოლ ორბელიანი (ნაწილი V). „საარი“. თბილისი. 2015.
7. **XIX-XX საუკუნეების... 2017:** XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. VII. გრიგოლ ორბელიანი (ნაწილი VI). „ჯეოპრინტი“. თბილისი. 2017.
8. **პირთა ანოტირებული... 1991:** პირთა ანოტირებული ლექსიკონი. ტ. I. „მეცნიერება“. თბილისი 1991.
9. **პირთა ანოტირებული... 2004:** პირთა ანოტირებული ლექსიკონი. ტ. III. „არტანუჯი“. თბილისი 2004.
10. **პირთა ანოტირებული... 2007:** პირთა ანოტირებული ლექსიკონი. ტ. IV. „არტანუჯი“. თბილისი 2007.

11. **აბაშიძე 2007:** აბაშიძე კ. „თ-დი ნიკოლოზ ბარათაშვილი“. წიგნში კ. აბაშიძე. „ეტიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ“. ტ. 1. ქუთაისი. თ. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიის გამოცემა (იოსებ მ. ხელაძის სტ.). 1911.
12. **აბრამიშვილი 1968:** აბრამიშვილი ა. „ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედების ერთი პატარა დეტალი.“ წიგნში ა. აბრამიშვილი. „ლიტერატურული წერილები“. თბილისი. „საბჭოთა საქართველო“. 1968.
13. **აბზიანიძე 1940:** აბზიანიძე გ. ყაფლან ორბელიანი – ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიის პერსონაჟი. „ლიტერატურის მატიანე“. #1-2. 1940.
14. **აბრამიშვილი 1956:** აბრამიშვილი ე. ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლური მემკვიდრეობა. ჟ. „ტალღა“. #18. 1956.
15. **ავალიანი 1967:** ავალიანი გ. „რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო მეგობრობის ისტორიიდან“. თბილისი. „საბჭოთა საქართველო“. 1967.
16. **ალასანია 2002:** ალასანია გ. ბარათაშვილების წარმომავლობისათვის ჟ. „ანალები“, 2002, #2, გვ.10-15;
17. **ანდრონიკაშვილი 1953:** ი. ანდრონიკაშვილი ი. საქართველო მ. ლერმონტოვის შემოქმედებაში. თბილისი. „საბჭოთა მწერალი“. 1953.
18. **ბაგრატიონი 1951:** ბაგრატიონი ნ. ბურებთან. მოგონება. „საბჭოთა მწერალი“. თბილისი. 1951.
19. **ბაგრატიონი 1941:** ბაგრატიონი ვ. „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (საქართველოს გეოგრაფია). თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი. 1941.
20. **ბალახაშვილი 1941:** ბალახაშვილი ი. მანანა ორბელიანი. თბილისი.1941.
21. **ბალახაშვილი 1966:** ბალახაშვილი ი. გრიბოედოვი და ნინო ჭავჭავაძე. თბილისი. „საბჭოთა საქართველო“. 1966.
22. **ბალახაშვილი 1967:** ბალახაშვილი ი. ბარათაშვილის ცხოვრება. თბილისი. 1967.
23. **ბალახაშვილი 1968:** ბალახაშვილი ი. 1832 წლის შეთქმულების ნ. ბარათაშვილის ჯგუფი. ჟ. „ცისკარი“. №9, 1968.

24. **ბალახაშვილი 1968:** ბალახაშვილი ი. ნიკოლოზ ბარათაშვილის ნათესავები. ჟ. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“. 1968. ილია თავაძისა და აკაკი გაწერელიას რედაქტორობით. თბილისი. „ფედერაცია“. 1939.
25. **ბალახაშვილი 2017**: ღამე ყაბახზე. კრებულში „ნიკოლოზ ბარათაშვილი“. პროექტის ავტორი და საიუბილეო კრებულის შემდგენელი ბ. კობაძე. თბილისი. „სვეტი+“. 2017.
26. **ნ. ბარათაშვილი 1939:** ბარათაშვილი ნ. ლექსები, პოემა, წერილები. რედ. ი.თავაძე და ა. გაწერელია. თბილისი. „ფედერაცია“ 1939.
27. **ბარათაშვილი 1945:** ბარათაშვილი ნ. თხზულებანი გიორგი ლეონიძის კომენტარებით. თბილისი. „სახელმწიფო გამომცემლობა“. 1945.
28. **ბარათაშვილი 1954:** ბარათაშვილი ნ. თხზულებანი გიორგი ლეონიძის კომენტარებით. თბილისი. „საბჭოთა მწერალი“. 1954.
29. **ბარათაშვილი 1968:** ბარათაშვილი ნ. თხზულებანი. თბილისი. „საბჭოთა მწერალი“. 1968.
30. **ბარათაშვილი 1972:** ბარათაშვილი ნ. თხზულებანი. აკაკი გაწერელიას და ივანე ლოლაშვილის რედაქციით. თბილისი. „საბჭოთა საქართველო“. 1972.
31. **ბარათაშვილი 1993:** ბარათაშვილი ნ. ლექსები, ბედი ქართლისა, წერილები/ სამსონ ფირცხალავას რედაქციით.- ტფ., 1922 (რეპრინტული გამოცემა). რად. სილოვან ნარიმანიძე, -თბ.: მერანი, კოოპერატივი „მწერალი“. 1993.
32. **ბარათაშვილი 1996:** ბარათაშვილი ნ. თხზულებანი სიმფონია-ლექსიკონითურთ. შემდგენლები ა. არაბული, თ. გვანცელაძე, ა. ლომთაძე. თბილისი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1996.
33. **ბარათაშვილი 2015:** ბარათაშვილი ნ. პირადი წერილები. ავტორ-შემდგენელი მ. ცერცვაძე. „არტანუჯი“. თბილისი. 2015.
34. **ბარბაქაძე 1998:** ბარბაქაძე ც. სად განისვენებს ნიკოლოზ ბარათაშვილის მამა. გაზ. „ახალი ქართული გაზეთი“. #74, 17 ოქტომბერი, 1998.
35. **ბარნოვი 1974:** ბარნოვი ალ. ძველი თბილისის მუსიკოსები. თბილისი. „ხელოვნება“. 1974.

36. **ბატონიშვილი 1984:** ბატონიშვილი ი. კალმასობა. „ქართული პროზა“. წიგნი VI. თბილისი. „საბჭოთა საქართველო“. 1984.

37. **ბატონიშვილი 1997:** ბატონიშვილი ი. „შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა “. მასალა ისტორიისათვის. რედაქტორი და გამომცემელი ზურაბ კაცელაშვილი. თბილისი 1997.

38. **ბიბილეიშვილი 2006:** ბიბილეიშვილი ც. ნინო ჭავჭავაძის გარდაცვალება ბარონ ალექსანდრე ნიკოლაის წერილების მიხედვით. გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი. #7. 2006.

39. **ბოლქვაძე მ. 2016** : ბოლქვაძე მ. ნიკოლოზ - ბარათაშვილის მეგობარი რახელ ციციშვილი. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“. 16 მარტი. 2016.

40. **ბოლქვაძე მ. 2016**: ბოლქვაძე მ. ესტატე და რახაელ ციციშვილების შესახებ. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“. 1 ივლისი. 2016.

41. **ბურჯანაძე 1992:** ბურჯანაძე ქ. მე-19 საუკუნის ქართული მხატვრული თარგმანის ისტორიის საკითხები. თბილისი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1992.

42. **ბარათაშვილი 2005:** ბარათაშვილი ნ. თხზულებათა სრული კრებული ლ. თაქთაქიშვილის საერთო რედაქციით. თბილისი. „პეგ“. 2005.

43. **ბერძნიშვილი 1980:** ბერძნიშვილი მ. მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის. წიგნი I. თბილისი. „მეცნიერება“. 1980.

44. **ბერძნიშვილი 1983:** ბერძნიშვილი მ. მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის. წიგნი II. თბილისი: „მეცნიერება“ 1983.

45. **ბროსე 2016:** ბროსე მ. პირადი მიმოწერა. ავტორ-შემდგენელი ე. ქავთარაძე. თბილისი. „არტანუჯი“. 2016.

46. **გამსახურდია 1991**: გამსახურდია ზ. სვიფტის „გულივერის მოგზაურობანი“ ქართულ ენაზე. კრებულში: წერილები, ესსეები. თბილისი. „ხელოვნება“. 1991.

47. **გზირიშვილი 2017:** გზირიშვილი ქ. ნიკოლოზ ბარათაშვილის სვლა განჯიდან მთაწმინდამდე. ჟ. „ისტორიანი“. #3(75). მარტი. 2017

48. **გოგოლაძე 2002:** გოგოლაძე თ. „დიანას მეჯლიში“ _ კოდირებული ტექსტი. ჟ. „კრიტერიუმი“. #6. 2002.

49. **გოზალიშვილი 1987:** გოზალიშვილი შ. მიხეილ ბარათაშვილი. თბილისი. „საბჭოთა საქართველო“. 1987.

50. **გოზალიშვილი 1935:** გოზალიშვილი გ. 1832 წლის შეთქმულება. ტ. 1. ტფილისი. სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1935.

51. **გოზალიშვილი 1970:** გოზალიშვილი გ. 1832 წლის შეთქმულება. ტ. 2. თბილისი. „მერანი“. 1970.

52. **გოზალიშვილი 1976:** გოზალიშვილი გ. 1832 წლის შეთქმულება. ტ. 3. თბილისი. „საბჭოთა საქართველო“. 1976.

53. **გრიგალაშვილი 1987:** გრიგალაშვილი ნ. ხე ცნობადისა. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1987.

54. **გრიშაშვილი 1957:** გრიშაშვილი ი. ალექსანდრე ჭავჭავაძის უმცროსი ქალის - სოფიოს აკლდამა ქ. ვიბორგში. წიგნში ი. გრიშაშვილი. ლიტერატურული ნარკვევები. თბილისი. „სახელგამი“ 1957.

55. **გრიშაშვილი 1957:** გრიშაშვილი ი. ნიკოლოზ ბარათაშვილის მშობლების წერილები. წიგნში ი. გრიშაშვილი. ლიტერატურული ნარკვევები. თბილისი. „სახელგამი“ 1957.

56. **გრიშაშვილი 1957:** გრიშაშვილი ცხოვრება ალექსანდრე ჭავჭავაძისა. წიგნში ი. გრიშაშვილი. ლიტერატურული ნარკვევები. თბილისი. „სახელგამი“ 1957.

57. **გრიშაშვილი 1997:** გრიშაშვილი ი. ქალაქური ლექსიკონი. გამომცემლობა თბილისი. „სამშობლო“. 1997.

58. **გრიშაშვილი 1957:** გრიშაშვილი ი. ქართული შექსპირიანა და ივანე მაჩაბელი. კრებულში ი. გრიშაშვილი. ლიტერატურული ნარკვევები. თბილისი. „სახელგამი“ 1957.

59. **გრიშაშვილი 1957:** გრიშაშვილი ი. ცხოვრება ალექსანდრე ჭავჭავაძისა. კრებულში ი. გრიშაშვილი. ლიტერატურული ნარკვევები. თბილისი. „სახელგამი“. 1957.

60. **გრიშაშვილი 1918:** გრიშაშვილი ი. საᲐათნოვა და ძველი ტფილისი. 1918.

61. **დიუმა 1970:** დიუმა ა. კავკასია. თბილისი. „მერანი“. 1970.

62. **დრანსე 2010:** დრანსე ა. შამილის ტყვე ქალები. თარგმნა, შენიშვნები და ფოტომასალა დაურთო მურმან თავდიშვილმა. თბილისი. „არტანუჯი“. 2010.

63. **დრიაშვილი 1981:** დრიაშვილი ნ. სალომე ჭავჭავაძის პორტრეტი. ჟ. „საბჭოთა ხელოვნება“. 1981.

64. **ევგენიძე 2013.** ევგენიძე ი. ალექსანდრე ორბელიანი. კრებულში „ქართული ლიტერატურა“. ტ. II. თბილისი. „საქართველოს მაცნე“. ტ. 2013.

65. **ევგენიძე 2013.** ევგენიძე ი. გრიგოლ ორბელიანი. წიგნში ი. ევგენიძე, ლ. მინაშვილი. „ქართული ლიტერატურა“. ტ. II (XIX საუკუნე). თბილისი. „საქართველოს მაცნე“. 2013.

66. **ევგენიძე 2013.** ევგენიძე ი. ნიკოლოზ ბარათაშვილი. წიგნში ი. ევგენიძე, ლ. მინაშვილი. „ქართული ლიტერატურა“. ტ. II (XIX საუკუნე). თბილისი. „საქართველოს მაცნე“. 2013.

67. **ევგენიძე 2013.** ევგენიძე ი. გრიგოლ ორბელიანი. თბილისი. „მერიდიანი“. 1995.

68. **ენიკოლოფოვი 1968:** ენიკოლოფოვი ი. მამუკა ორბელიანის რაპორტი ჟ. ცისკარი, №9, 1968.

69. **ერისთავი 1966:** ერისთავი გ. თხზულებანი. თბილისი. „ლიტერატურა და ხელოვნება“. 1966.

70. **ერისთავი-ჯავახიშვილისა 1987:** ერისთავი-ჯავახიშვილისა დ. ორი დღე ერის მამასთან”. კრებულში „ილია ჭავჭავაძე თანამედროვეთა მოგონებებში“ თბილისი. „საბჭოთა საქართველო“. 1987.

71. **ვაგნერი 2002:** ვაგნერი მ. საქართველოს შესახებ. გერმანული ტექსტი თარგმნა, შესავალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო გ. გელაშვილმა. თბილისი. „არტანუჯი“. 2002.

72. **ვახანია 2012:** ვახანია ნ. „მიხეილ თუმანიშვილი“ წიგნში ნ. ვახანია „ჩვენი XIX საუკუნე“. თბილისი. 2012.

73. **თ. ალექსანდრე ჯამ. ... 1879:** თ. ალექსანდრე ჯამ. ორბელიანის ნაწერი და ოთხი ლექსი თ. ვახტანგ ვახტანგის ძის ორბელიანისა. გამოცემული ზაქ. ჭიჭინაძისაგან. თბილისი. ექვთიმე ხელაძის სტამბა.1879.

74. **თაქთაქიშვილი 2005:** თაქთაქშვილი ლ. „ნიკოლოზ ბარათაშვილის პორტრეტი“ კრებულში ნიკოლოზ ბარათაშვილი. თხზულებათა სრული კრებული ლევან თაქთაქიშვილის საერთო რედაქციით.თბილისი. „პეგ“. 2005.

75. **თაყაიშვილი 1991:** თაყაიშვილი ე. დამსახურებული პროფესორის პეტრე მელიქიშვილის გარდაცვალების გამო. კრებულში: დაბრუნება. ტ. 1 ემიგრანტული ნაშრომები. გურამ შარაძის რედაქტორობით. „თბილისი. „მეცნიერება“ 1991.

76. **თოფჩიშვილი 2011:** თოფჩიშვილი რ. საქართველოს თავად-აზნაურთა გვარების ისტორია. თბილისი. „უნივერსალი“, 2011.

77. **ილია ჭავჭავაძის... 2010:** ილია ჭავჭავაძის პერსონალური ენციკლოპედია. სიტყვანი. „უნივერსალი“. თბილისი. 2010.

78. **ინგოროყვა 1969:** ინგოროყვა პ. ნიკოლოზ ბარათაშვილი. „მერანი“. თბილისი. 1969.

79. **იოსელიანი 1995:** იოსელიანი პლ. ცხოვრება მეფისა გიორგი მეათცამეტისა. „ქართული მწერლობა“ ტ. 10. თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“. 1995.

80. **კაკაბაძე 2003:** კაკაბაძე ს. ქართველი ხალხის ისტორია (1783-1921). თბილისი. „ნეკერი“. 2003.

81. **კლდიაშვილი 1988:** კლდიაშვილი დ. ჩემი ცხოვრების გზაზე. ქართული პროზა. წიგნი XVI. თბილისი. „საბჭოთა საქართველო“. 1988.

82. **კოტეტიშვილი 1959:** კოტეტიშვილი ვ. ქართული ლიტერატრის ისტორია. (XIX ს.) თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ 1959.

83. **ლაიზევიცი 1958:** ლაიზევიცი ი. იულიუს ტარენტელი. მთარგმნ. გ. ნადირაძე. თბილისი. საბავშვო და ახალგაზრდობის სახელმწიფო გამომცემლობა. 1958.

84. **ლეონიძე 1940:** ნიკოლოზ ბარათაშვილის გარშემო. დიმიტრი ყიფიანის მოგონებანი ნიკოლოზ ბარათაშვილზე. თბილისი. „ლიტერატურის მატიანე“ №1-2. 1940.

85. **ლეონიძე 1940:** ნიკოლოზ ბარათაშვილის გარშემო. ანასტასია მაყაშვილის მოგონებიდან. თბილისი. „ლიტერატურის მატიანე“ №1-2. 1940.

86. **ლეონიძე 1940:** ნიკოლოზ ბარათაშვილის გარშემო. სად ცხოვრობდა თბილისში ნ. ბარათაშვილი? „ლიტერატურის მატიანე“ №1-2. 1940.

87. **ლიტერატურული მემკვიდრეობა 1935:** წიგნი I. ლიტერატურული მემკვიდრეობა. რუსთაველის სახელობის ლიტერატურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. თბილისი. 1935.

88. **ლოლაშვილი 1969:** ლოლაშვილი ი. დამატებანი და გასწორებანი..., ჟ. „მნათობი“. 1969. 7.

89. **ლოლაშვილი 1908:** ლოლაშვილი ი. ექსპედიცია კუმისში სამების ტაძრის ნეკროპოლის აღსაწერად. კრებულში „ოცი წელი გიორგი ლეონიძესთან“, თბილისი. „მერანი“. 1980.

90. **ლომიძე 2011:** ლომიძე ნ. ინტერვიუ ნუნუ საგინაშვილთან. გაზეთი „24 საათი (Weekend)“. 6 ნოემბერი. #2858 (250). http://www.24saati.ge/weekend/story/21166-saginashvilebis-albomidan...

91. **ლომჯარია 2004:** ლომჯარია ზ. ყაზბეგების ერთი შტო. გაზ. „კალმასობა“. #3 (77). 2004.

92. **მამაცაშვილი 2005**: მამაცაშვილი კ. მოგონება ნიკოლოზ ბარათაშვილზე. კრებულში ნიკოლოზ ბარათაშვილი. თხზულებათა სრული კრებული ლევან თაქთაქიშვილის საერთო რედაქციით.. თბილისი. „პეგ“. 2005.

93. **მანსვეტაშვილი 1936:** მანსვეტაშვილი ი. მოგონებანი, ნახული და გაგონილი. ლევან ასათიანის რედაქციით, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით. ტფილისი. ფედერაცია. 1936.

94. **მეუნარგია 1939:** მეუნარგია ი. სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი და დავით დადიანი. თბილისი. „ტექნიკა და შრომა“. 1939.

95. **მეუნარგია 2004:** მეუნარგია ი. ცხოვრება და ღვაწლი გრიგოლ ორბელიანისა. ქართული მწერლობა. ტ. 22. თბილისი. „ნაკადული“. 2004.

96. **მეუნარგია 2004:** მეუნარგია ი. ცხოვრება და პოეზია ნიკოლოზ ბარათაშვილისა. ქართული მწერლობა. ტ. 22. თბილისი. „ნაკადული“. 2004.

97. **მეუნარგია 2010:** მეუნარგია ი. ცხოვრება და პოეზია ნიკოლოზ ბარათაშვილისა. წიგნში იონა მეუნარგია. თხზულებანი. ტ. 1. თბილისი. „არტანუჯი“. 2010.

98. **მთაწმინდელი 1885:** მთაწმინდელი ზ. ნიკოლოზ ბარათაშვილი. თფილისი. არსენ კალანდაძის სტამბა. 1885.

99. **მინაშვილი 2009.** მინაშვილი ლ. გრიგოლ ორბელიანთან ილია ჭავჭავაძის მიმართებისათვის. წიგნში ლ. მინაშვილი. „ლიტერატურული ნარკვევები. თბილისი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2009

100. **მინაშვილი 2013.** მინაშვილი ლ. გიორგი ერისთავი. წიგნში ი. ევგენიძე, ლ. მინაშვილი. „ქართული ლიტერატურა“. ტ. II (XIX საუკუნე). თბილისი. „საქართველოს მაცნე“. ტ. 2013.

101. **მინაშვილი 2013.** მინაშვილი ლ. ვახტანგ ორბელიანი. წიგნში ი. ევგენიძე, ლ. მინაშვილი. „ქართული ლიტერატურა“. ტ. II (XIX საუკუნე). თბილისი. „საქართველოს მაცნე“. ტ. 2013.

102. **მთვარელიძე 2005**: მთვარელიძე მ. სამი ქართული ოჯახი: ვეზირიშვილები, დიასამიძეები, ამირეჯიბები. თბილისი. „ცის ნამი“. 2005.

103. **მოზდოკელი 1993:** მოზდოკელი გ. სად ცხოვრობდნენ ორბელიანები თბილისში. გაზეთი „თბილისი“. 2 ივნისი. 1993.

104. **ნანიტაშვილი 2010:** ნანიტაშვილი ლ. ეპიგრამა „ელენეს და მაროს“ (ბეჭდვის ისტორია). ჟ. „ჩვენი მწერლობა“. თბილისი. 17(121), 2010.

105. **ნადირაძე 1938:** ნადირაძე გ. ბარათაშვილი და ლაიზევიცი. ჟ. „მნათობი“. № 4. 1938.

106. **ნადირაძე 1993:** ნადირაძე გ. სულხან ბარათაშვილი ქართულ ისტორიოგრაფიაში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. 3-4. თბილისი. 1993.

107. ნ. ბარათაშვილის... 1910: ნ. ბარათაშვილის ლექსები და წერილები. დავით კარიჭაშვილის შენიშვნებით. სტამბა გუტტენბერგისა. ტფილისი. 1910.

108. ნოდარიძე 1968: ნოდარიძე ვ. ნიკოლოზ ბარათაშვილი სამართლისა და განჩინების ექსპედიციაში. ჟ. „საბჭოთა სამართალი“. №5. სექტემბერ-ოქტომბერი. 1968.

109. ნუცუბიძე 2010: ნუცუბიძე თ. „მადლი შენს გამჩენს, ლამაზო“ თუ „დამქროლა ქარმან სასტიკმან“. წერილები ლიტერატურისა და კულტურის შესახებ. თბილისი. ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა. 2010.

110. ორბელიანი 2009: ორბელიანი ა. რუსების დასი ქართუელები ჩემზედ. კრებულში: XIX საუკუნის ქართველი მოღვაწენი. თბილისი. ქართული ბიოგრაფიული ცენტრი. 2009.

111. ორბელიანი 1989: ორბელიანი გრ. მგზავრობა ჩემი ტფილისიდამ პეტერბურღამდის. კრებულში: გრიგოლ ორბელიანი. საღამო გამოსალმებისა. ა. გაწერელიას და ჯ. ჭუმბურიძის რედაქციით, შესავალი წერილებით, შენიშვნებით და კომენტარებით. 1989.

112. ორბელიანი 1936: ორბელიანი გრ. წერილები. 1832-1850. ტ 1. აკაკი გაწერელიას რედაქციით და შენიშვნებით. თბილისი. „სახელმწიფო გამომცემლობა“. 1936.

113. ორბელიანი 1937: ორბელიანი გრ. წერილები. 1851-1859. ტ 2. აკაკი გაწერელიას რედაქციით და შენიშვნებით. თბილისი. „სახელმწიფო გამომცემლობა“. 1937.

114. ორბელიანი 1959: ორბელიანი გრ. თხზულებათა სრული კრებული ა. გაწერელიას და ჯ. ჭუმბურიძის შესავ. წერილებით, რედ. და შენიშვნებით თბილისი. „საბჭ. მწერალი“. 1959.

115. ორბელიანი 1991: ორბელიანი ი. რვა თვე შამილის ტყვეობაში. თარგმნა, წინასიტყაობა დაურთო და ტექსტი დასაბეჭდად მოამზადა ელიზბარ უბილავამ. თბილისი. საქ. ი. ჭავჭავაძის სახ. წიგნის მოყვარ. საზ-ბა. 1991.

116. პაპავა 1990: პაპავა თ. ქართველი ქალი და 1832 წლის შეთქმულება. წიგნი „დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში“ თბილისი. „მერანი“ 1990.

117. საშვილიშვილო მოკავშირე ...1997: საშვილიშვილო მოკავშირე - დიმიტრი ყიფიანი (მასალები XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიისათვის). ტ. II. შეადგინა, რუსული ტექსტები თარგმნა, გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვა, ბიბლიოგრაფიული შენიშვნები, კომენტარები და საძიებლები დაურთო თ. ჯოლოგუამ. თბილისი. ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება. 1997.

118. საშვილიშვილო მოკავშირე ...2007: საშვილიშვილო მოკავშირე - დიმიტრი ყიფიანი (მასალები XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიისათვის). ტ. II. შეადგინა, რუსული ტექსტები თარგმნა, გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვა, ბიბლიოგრაფიული შენიშვნები, კომენტარები და საძიებლები დაურთო თ. ჯოლოგუამ. თბილისი. ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება. 2007.

119. საშვილიშვილო მოკავშირე ...2011: საშვილიშვილო მოკავშირე - დიმიტრი ყიფიანი (მასალები XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიისათვის). ტ. II. **საშვილიშვილო მოკავშირე ...2007:** საშვილიშვილო მოკავშირე - დიმიტრი ყიფიანი (მასალები XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიისათვის). ტ. II. შეადგინა, რუსული ტექსტები თარგმნა, გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვა, ბიბლიოგრაფიული შენიშვნები, კომენტარები და საძიებლები დაურთო თ. ჯოლოგუამ. თბილისი. ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება. 2011.

120. სახოკია 1896: სახოკია თ. თ-დი სულხან გერმანოზის ძე ბარათაშვილი. ჟ. „მოამბე“. #7. ივლისი. 1896.

121. სახოკია 1979: სახოკია თ. ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი. თბილისი. „მერანი“. 1979.

122. ფერაძე 1964: ფერაძე თ. რუსი და უცხოელი მხატვრები საქართველოში. (XIX საუკუნე). თბილისი. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. 1964.

123. ფოფხაძე 2007: ფოფხაძე მ. ელენე ორბელიანი-ერისთავისა. გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი. #10-11. 2007.

124. **ქავთარია ... 1987:** ქავთარია მ. ყაფლანიშვილთა სახლის გენეალოგია. ჟ. მრავალთავი. ტ. 14. 1987.

125. **ქავთარია ... 1991:** ქავთარია მ. (ორბელიშვილთა) ყაფლანიშვილთა ფეოდალური სახლის ისტორია. ჟ. მრავალთავი. ტ. 16. 1991.

126. **ქართული...1975:** ქართული პოეზია. ტ. 6. თბილისი. „ნაკადული“. 1975.

127. **ქართული...1978:** ქართული პოეზია. ტ. 10. თბილისი. „ნაკადული“. 1978.

128. **ქართული...1984:** ქართული პოეზია. ტ. 15. თბილისი. „ნაკადული“. 1984.

129. **ქართლ-კახეთის...2005:** ქართლ-კახეთის თავადთა და აზნაურთა ოჯახები. ფოტოტიპიური გამოცემა ზურაბ ჭუმბურიძის რედაქციით. „არტანუჯი“. თბილისი. 2005.

130. **ქუთათელაძე 2001:** ქუთათელაძე ქ. ქვემო ქართლი (პოლიტიკური ისტორიის საკითხები). „მთაწმინდელი“. თბილისი. 2001.

131. **ღლონტი 1974:** ღლონტი ალ. ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა. ტ.1. თბილისი. „განათლება“. 1974.

132. **ყიფიანი 2003:** ყიფიანი დ. მემუარები. „ქართული მწერლობა“. ტ.20. თბილისი: „ნაკადული“. 2003.

133. **ყიფიანი 2009:** ცხოვრება და მოღვაწეობა. ფოტომატიანე. პროექტის ავტორი თ. მიქაძე. თბილისი. 2009.

134. **შარაძე 1973:** შარაძე გ. ილია ორბელიანის „შამილთან ტყვეობის მოთხრობის“ უცნობი თავები“ კრებულში: გ. შარაძე. „არქეოგრაფიული ძიებანი“. თბილისი. „განათლება“. 1973.

135. **შუბითიძე ... 2013:** შუბითიძე ვ., ბიწაძე შ. კრწანისის უცნობი გმირი და მისი შთამომავალნი (ვეზირიშვილები). ჟ. „ჩვენი მწერლობა“. ^#5 (187) 8. მარტი. 2013.

136. **ჩიქოვანი 2015:** ჩიქოვანი ი. გიორგი XII და მისი შთამომავლობა. „უნივერსალი“. თბილისი. 2015.

137. **ჩიქოვანი 2002:** ჩიქოვანი ი. თავადი ჭავჭავაძეები. კომენტარები დაურთეს ზ. ლომჯარიამ და ი. ჩიქოვანმა. „უნივერსალი“. თბილისი. 2002.

138. **ჩიქოვანი 2010:** ჩიქოვანი ი. თავად ამილახვართა საგვარეულო. 2010. http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/8443/1/Tavad_Amilaxvarta_Sagvareulo.pdf.

139. **ჩიქოვანი 2009:** ჩიქოვანი ი. თავად ბარათაშვილთა საგვარეულო. 2009. http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/6820/1/Chiqovani_Iuri.pdf.

140. **ჩიქოვანი 2012:** ჩიქოვანი ი. თავად ორბელიანთა საგვარეულო 2012. http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/4909/1/Tavad_Orbelianta_Sagvareulo.

141. **ჩიქოვანი 2010:** ჩიქოვანი ი. ქსნის ერისთავები. 2010. http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/8447/1/Qsnie_Eristavebi.pdf

142. **ჩუბინაშვილი 1984:** ჩუბინაშვილი დ. ქართულ-რუსული ლექსიკონი. თბილისი. „საბჭოთა საქართველო“. 1984.

143. **ჩხეიძე 2010**: ჩხეიძე რ. ლეგენდა ისკანდერისა. თბილისი. 2010.

144. **ჩხეიძე 2011**: ჩხეიძე რ. ქართული დუელიანა. თბილისი. 2011.

145. **ჩხეიძე 2016**: ჩხეიძე. ჟარგონი და მეტსახელი. ენათმეცნიერული ცდა. თბილისი. „ჩვენი მწერლობა“. 2016.

146. **ჩხეტია 1945:** ჩხეტია შ. „ნიკოლოზ ბარათაშვილი“. ტ. I. მასალები ნიკოლოზ ბარათაშვილის შესახებ. შსსრ შინსახკომის საარქივო სამმართველოს გამომცემლობა. თბილისი. 1945.

147. **ცაიშვილი 1940:** ცაიშვილი ს. ბარათაშვილის ბიოგრაფიისათვის. „ლიტერატურის მატიანე“. #1-2. 1940.

148. **ცერცვაძე 2013:** ცერცვაძე მ. „გაგონდება თუ არა კარალეთის დღეები?“ გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი. #3-4. 2013.

149. **ცერცვაძე 2011:** ცერცვაძე მ. ელისაბედ ერისთავის მოგონება ლევან მელიქიშვილზე. გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი. #11-12. 2011.

150. **ცერცვაძე 2014:** ცერცვაძე მ. ექვსი სოფიო - ნ. ბარათაშვილის ეპისტოლური მემკვიდრეობისა და საახლობლო წრის შესწავლისათვის. ჟ. „ამერ-იმერი“. #2. 2014.

151. **ცერცვაძე 2010.** ცერცვაძე მ. იყო ორბელიანების ... სამოსახლო. ორბელიანთუბანი. ჟ. „ლიტერატურა და ხელოვნება“. #5(53). 2010.

152. **ცერცვაძე 2012:** ცერცვაძე მ. მასალები ქართული არისტოკრატიის ისტორიისათვის – ელისაბედ ერისთავის მოგონებანი მანანა ორბელიანზე, ეკატერინე ჭავჭავაძის შთამომავლებზე, ანა და ივანე ამილახვრებზე. გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი. # 5-6. 2012.

153. **ცერცვაძე 2015:** ცერცვაძე მ. „კნიაზ ბარათოვი“ და ნიკოლოზ ბარათაშვილის ერთი წერილის დათარიღება. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“. №21 (3751). 2015.

154. **ცერცვაძე 2015:** ცერცვაძე მ. ნიკოლოზ ბარათაშვილის ერთი წერილის დათარიღებისათვის. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“. №18 (3748). 2015.

155. **ცერცვაძე 2015:** ცერცვაძე მ. ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილების ადრესატები – ალექსანდრე და ბარბარე საგინაშვილები. თსუ-ს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „აკაკი წერეთელი და მისი ეპოქა“ მასალები. თბილისი. 2015.

156. **ცერცვაძე 2013:** ცერცვაძე მ. რამდენიმე სურათი ქართველ არისტოკრატთა ცხოვრებიდან. გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი. #1-2. 2014.

157. **ცერცვაძე 2014:** ცერცვაძე მ. „სათარასათვის ღმერთს ხმა მიუცია“. ჟ. „ისტორიანი“. #6 (42). 2014

158. **ცერცვაძე 2016:** ცერცვაძე მ. „ვეფხისტყაოსნის“ ნიკოლოზ ბარათაშვილისეული ხელნაწერი. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“. №159 27 აგვისტო. 2016.

159. **ცერცვაძე 2012:** ცერცვაძე მ. ალექსანდრე საგინაშვილისა და გრიგოლ ორბელიანის უცნობი მიმოწერა. გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი. # 1-2. 2017.

160. **წერეთელი 2010:** წერეთელი ა. მესტვირული. თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად. ტ. I. თბილისი. ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა. 2010.

161. **წერეთელი 2014:** წერეთელი ა. ვარანცოვი. თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად. ტ. V. თბილისი. „საქართველოს მაცნე“. 2014.

162. წერეთელი 2015: წერეთელი. ჩემი თავგადასავალი. თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად. ტ. VII. თბილისი. „საქართველოს მაცნე“. 2015.

163. ჭავჭავაძე 1991: ჭავჭავაძე ი. წერილები ქართულ ლიტერატურაზე. ი. ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად. ტ. 5. თბილისი. „მეცნიერება“. 1991.

164. ჭავჭავაძე 1987: ჭავჭავაძე ი. გამოცანები. თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად. ტ. 1. თბილისი. „საბჭოთა საქართველო“. 1987.

165. ჭავჭავაძე 2009: ჭავჭავაძე პ. წინანდლიდან ვედენოსკენ. ფრაგმენტი რომანიდან „მთები ალაჰისა“. თ. ნატროშვილის თარგმანი. ჟ. „ჩვენი მწერლობა“ #17(69). 10 ნოემბერი. 2009.

166. ჭავჭავაძე 2010: ჭავჭავაძე პ. შამილი და კნეინები. ფრაგმენტი რომანიდან „მთები ალაჰისა“. თ. ნატროშვილის თარგმანი. „ლიტერატურული გაზეთი“. # 29. 25 ივნისი-8 ივლისი. 2010.

167. ჭუმბურიძე 2012: ჭუმბურიძე დ. რუსული არმიის გენერალი _ ივანე ანდრონიკაშვილი. კრებულში „ისტორიული პორტრეტები. წერილები“. თბილისი. „უნივერსალი“. 2012.

168. ჭუმბურიძე 2012: ჭუმბურიძე დ. ორი ელენე ორბელიანი. კრებულში „ისტორიული პორტრეტები. წერილები“. თბილისი. „უნივერსალი“. 2012.

169. ჭუმბურიძე 2012: ჭუმბურიძე დ. მანანა მირმანოზის ასული ერისთავი-ორბელიანი . კრებულში „ისტორიული პორტრეტები. წერილები“. თბილისი. „უნივერსალი“. 2012.

170. ხალხური...1965: ხალხური სიბრძნე. ანდაზები. ტ 5. თბილისი. „ნაკადული“. 1965.

171. ხელთუბნელი 1940: ხელთუბნელი მ. უკანასკნელი წელი ნიკ. ბარათაშვილის ცხოვრებისა. „ლიტერატურული მატიანე“. #1-2. 1940.

172. ხუციშვილი 1961: ქართველ მოღვაწეთა ნეკროპოლი. თბილისი: საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატის გამოცემა, 1961.

173. **ჯამბაკურ-ორბელიანი 2009:** ჯამბაკურ-ორბელიანი მ. მოგონებები. კრებულში: XIX საუკუნის ქართველი მოღვაწენი. თბილისი. ქართული ბიოგრაფიული ცენტრი. 2009.

174. **ჯამბურია 1955:** ჯამბურია გ. ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან (სომხით-საბარათიანოს სათაბადოები). საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. თბილისი. 1955.

175. **ჯეირანაშვილი 1997:** ჯეირანაშვილი ნ. .ფარული საზოგადოების წევრი.. ჟ. ცისკარი. #7. 1997.

176. **ჯოლოგუა 2003:** ჯოლოგუა თ. დიმიტრი ყიფიანი. ბოლოსიტყვა დიმიტრი ყიფიანის თხზულებებისათვის. „ქართული მწერლობა“. ტ. 20. თბილისი, „ნაკადული“. 2003.

177. **ჯოლოგუა 2001:** ჯოლოგუა თ. რამდენიმე ახალი ცნობა ნოკოლოზ ბარათაშვილის ბიოგრაფიისათვის. ჟ. „არილი“. #11. 2001.

178. **ჯოლოგუა 2013:** ჯოლოგუა თ. ქართული ჟურნალისტიკის ისტორია. ჟ. თბილისი. „არტანუჯი“. 2013.

179. **ჯოლოგუა 2010:** ჯოლოგუა თ. შეთქმული ქალები (მანანა ორბელიანი). ჟ. „ქართული მწერლობა“. # 6. აგვისტო. თბილისი. 2010.

180. **ჰაქსჰაუზენი 2011:** ჰაქსჰაუზენი ა. საქართველოს შესახებ. (XIX საუკუნის პირველი ნახევარი). გერმანულიდან თარგმნა, შესავალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო გ. გელაშვილმა. თბილისი. „არტანუჯი“. 2011.

181. **Думин С... 1996:** Думин С., Гребельский П., Катин-Ярцев Ю., Чиковани Ю., Шумков А. Дворянские роды Российской империи. т. III. Князья. Москва. «Ликоминвест» . 1996.

182. **Думин С... 1998:** Думин С., Гребельский П. Дворянские роды российской империи. т. IV: Думин С., Чиковани Ю. Князья царства грузинского. Москва. «Ликоминвест» . 1998.

183. А. Зисерман, 25 лет на Кавказе., СПб 1879.

184. **Исаков. 1917:** Исаков. Н. Из запикокъ Н.В. Исакова. «Русская старина». т. CLXX L. 1917 г.

185. Сурков 1998 Л. «Церковные колокола». газета «Молодежь Эстонии» 21 апреля, 1998 г. http://www.moles.ee/98/Apr/21/5-3.html)

186. Журнал «Кавказский сборник» т. 4. 1880. ст. 289;

187. ელექტრონული რესურსი. თავისუფალი ენციკლოპედია. https://ka.wikipedia.org;

188. ელექტრონული რესურსი. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. ავტორები. გიორგი ლეონიძე. http://www.nplg.gov.ge/ebooks/authors/giorgi_leonidze/leqsebi/ckneturi%20vardi.pdf.

189. ელექტრონული რესურსი. საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა. პუბლიკაცია. ილია ჭავჭავაძე. იასე ანდრონიკაშვილი, 10 იანვარი, 1887 წელი. http://www.gdi.ge/uploads/other/0/392.pdf;

190. ელექტრონული რესურსი. А.М. Дондуков-Корсаков. Мои воспоминания. http://www.vostlit.info/Texts/Dokumenty/Kavkaz/XIX/1840-1860/Dondukov_Korsakov/text11.htm);

191. ელექტრონული რესურსი. Свободная энциклопедия. https://ru.wikipedia.org;

192. ელექტრონული რესურსი. Генеалогический форум. http://forum.vgd.ru;

193. ელექტრონული რესურსი. The Free Encyclopedia. https://en.wikipedia.org.